

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

Kutaisi Iliа Chavchavadze Public Library

წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი

X

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა

ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის
დამაარსებელს - ანტონ ლორთქიფანიძეს

Dedicated to
the Georgian public figure, founder of Kutaisi
public library Anton Lortkipanidze

ქუთაისი
2018
Kutaisi

“წელიწდეულში“ იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ასევე რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

saredaqcio sabWo:

ოსებ ასათიანი, ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, თეიმურაზ გვანცელაძე, როზეტა გუჯეჯიანი, ეკა დადიანი (რედაქტორი), ლუკა დვალისვილი, ზურაბ თოდუა, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, მათა მიქაუტაძე, ალექსანდრე მღებრიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ნიკოლეიშვილი, საად აბდ ალ - რაჰიმი, რუსუდან სალინაძე, ნათია სვინტრაძე, გიორგი სოსიაშვილი, ნინო უგულავა (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), ლალი ურდულაშვილი, ტარიელ ფუტყარაძე (მთავარი რედაქტორი), ლეილა ქველიძე, გრიგოლ ქობალიანი, მურმან ქუთელია, დავით შავიანიძე, რევაზ შეროზია, რიტა წაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ლუიზა ხაჭაპურიძე, სტივენ ჯონსი.

პროექტის დირექტორი
grigol qobaliani

ISSN 1987 - 9288

redaqciis misamarTi: 4600, q. quTaisi, l. nucubiZis q. #1
el-fosta: **k.library1873@gmail.com**

Annual publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze public library X International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistic, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc..).

EDITORIAL BOARD:

Ioseb Asatiani, Nomadi Bartaia, Merab Beridze, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze, Rozeta Gujejiani, Eka Dadiani (editor), Luka Dvalishvili, Zurab Todua, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze, Aleksandre Mghebrishvili, Aytandil Nikoleishvili, Otar Nikoleishvili, Saad Abd Al-Rahim, Rusudan Saginadze, Natia Svintradze, Giorgi Sosiashvili, Nino Ugulava (editor of the English texts), Lali Urdulashvili, Taniel Putkaradze (editor in chief), Leila Kvelidze, Grigol Kobaliani, Murman Kutelia, Davit Shavianidze, Revaz Sherozia, Rita Tsakadze (secretary responsible), Luiza Khachapuridze, Stephen Jones.

Project Director
Grigol Kobaliani

Address of the Editorial Office: L. Nutsubidze str. #1
e-mail: k.library1873@gmail.com

© Publishing Centre "Kutaisi", 2018

შინაარსი

რიტა წაქაძე - ანტონ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები	9
Rita Tsakadze - Major trends of Anton Lortkipanidze public work	19
ეკატერინე ბარაბაძე - №3 საქალაქო ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიისათვის	20
Ekaterine Barabadze - About establishing the #3 city Library	29
ნომადი ბართაია - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული სპარსულენოვანი ხელნაწერი პოეტური კრებულის შესახებ	30
Nomadi Bartaia - Persian Poetry Manuscript Preserved at Kutaisi State Historical Museum	33
თამარ გოგოლაძე - მამია გურიელი და მისი დრო	34
Tamar Gogoladze - Mamia Gurieli and his time	39
ოთარ გოგოლიშვილი - ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან არსებული მიწათმოქმედების განყოფილების როლი ბათუმის ოლქში სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების საქმეში (1878-1900 წლები)	40
Otar Gogolishvili - The role of the agricultural department of Kutaisi military governor in the development of Batumi agriculture (1878-1900).....	43
რუსუდან კაშია - ქუთაისური პრესის ისტორიიდან (გაზეთი "ჩვენი ქვეყანა" დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში).....	44
Rusudan Kashia - From the history of Kutaisi Press (Newspaper "Our Country" in the years of the democratic republic)	52
მერაბ კევევაძე - ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა ქუთაისში.....	53
Merab Kezevadze - Zakaria Phaliashvili street in Kutaisi	62
ქეთევან კვირკელია, თამთა ჭიჭინაძე, გიორგი კილაძე - ქ. ქუთაისი Greestone 3.08 კოლექციაში.....	63
Ketevan Kvirkelia, Tamta Chichinadze, Giorgi Kiladze - Kutaisi city of Greestone 3.08 Collections	69

მარიამ კობერიძე - ქუთაისი და გაზეთი "შრომა"	70
Mariam Koberidze - Kutaisi and newspaper "Shroma"	76
ირაკლი ლორთქიფანიძე - ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონის (გიორგაძე) გარდაცვალების ვერსიები	77
Irakli Lortkipanidze - Versions of death of Anton (Giorgadze) Metropolitan of Kutaisi	86
მარიამ მარჯანიშვილი - გიორგი ყიფიანი - მირონცხეული პოეტი	87
Mariam Marjanishvili - Giorgi Kipiani - a restored poet	92
თამარ მილორავა - ენის სიწმინდისათვის ზრუნვა და გაზეთი "ქართული" ქუთაისში 1998-2004 წლებში	93
Tamar Milorava - Protecting language purity and the newspaper "Kartuli" in Kutaisi 1998-2004	96
მაია მიქაუტაძე, ეკა დადიანი - მასალები იმერული დიალექტური ლექსიკონისათვის (ქუთაისური მეტყველების მიხედვით)	97
Maia Mikautadze, Eka Dadiani - Materials for the dictionary of Imereti Dialects (According to Kutaisi colloquial speech)	105
რუსუდან მიქაუტაძე - ალექსანდრე იობიძე - კოლხური ვაზის აღორძინების ინიციატორი საქართველოში	106
Rusudan Mikautadze - Aleksandre Iobidze - The initiator of the Revival of Colchis Viticulture in Georgia	113
ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების ისტორიიდან	114
Avtandil Nikoleishvili - From the history of Kutaisi literary life	126
ოთარ ნიკოლეიშვილი - ერთი ფრანგული წყარო ქუთაისის შესახებ	127
Otar Nikoleishvili - One french source about Kutaisi	130
ნიკოლოზ ოთინაშვილი - ბაგრატის ტაძრის სამშენებლო წარწერების ენობრივ-პალეოგრაფიული თავისებურებანი	131
Nikoloz Otinashvili - Linguistic-paleographic peculiarities of Bagrati Cathedral inscriptions	135

რუსუდან საღინაძე - საქართველოს სახელმწიფო ენა და საზოგადოება (მასალები XX საუკუნის 90-იანი წლების ქუთაისის სინამდვილიდან)136

Rusudan Saghinadze - State language of Georgia and Society
(Materials from the reality of Kutaisi of 1990s)142

მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე - აბრეშუმის მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ქუთაისში143

Madina Uglava-Jinjikhadze - On the history of silk manufacture
in Kutaisi146

ლალი ურდულაშვილი - ცისფერყანწელთა ფსიქოლოგიურ - შემოქმედებითი პორტრეტები ნინო ჩხიკვიშვილის ორი რომანის მიხედვით ("უკანასკნელი ცისფერყანწელი" და "მე პაოლო ვარ")147

Lali Urdulashvili - Psychological-creative portraits of the
Tsisferkhantselebi based on two novels by Nino Chkhikvishvili ("I'm the last Tsisperkhantseli" and "I am Paolo")153

ტარიელ ფუტკარაძე - ქუთაისის გამორჩეული როლის განმაპირობებელი მიზეზებისათვის საქართველოს ენობრივ-კულტურულ - სახელმწიფოებრივ ისტორიაში154

Tariel Putkaradze - About the reasons for the distinctive role of Kutaisi
in the linguistic - cultural state in the history of Georgia163

ლეილა ქველიძე, ნათია სვინტრაძე, მოჰსენ

ჰეიდარნია - ქართულ-აღმოსავლური ასტრონომიული ტერმინოლოგია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერის მიხედვით164

Leila Kvelidze, Natia Svintradze, Mohsen Heidarnia - Georgian
terms of eastern astronomy according to manuscripts held in Kutaisi
N. Berdzenishvili state historical museum171

დავით შავიანიძე - "ქუთაისური საუბრები" - ქართველოლოგთა დიდი სამეცნიერო ფორუმი XX საუკუნის 90-იან წლებში172

Davit Shavianidze - "Kutaisi Conversations" - Big scientific forum of Kartvelologists of the 90s of XX century	178
შალვა შარაშენიძე - 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და ქუთაისი	179
Shalva Sharashenidze - The events of 1991-1992 December and January of Kutaisi	185
რევაზ შეროზია - გრიგოლ ხანძთელი და ქუთაისი	186
Revaz Sherozia - Grigol Khandzteli and Kutaisi	190
ნანული ცხვედიანი - ებრაელები ქუთაისში	191
Nanuli Tskhvediani - Jews in Kutaisi	203
მაგდა ჭიქაბერიძე - ქუთაისი ნიკო ნიკოლაძის მოგონებების მიხედვით	204
Magda Thcikaberidze - Kutaisi according to the of memories of Niko Nikoladze	208
ლოლიტა ჭოლაძე - ქრისტინე შარაშიძე - "ქალი წარსულიდან", მომავლისათვის თავგანწირული	209
Lolita Choladze - Christin Sharashidze - A woman from the past dedicated to the future	217
ლოლა ხაჭაპურიძე, ლუიზა ხაჭაპურიძე - სამხედრო გადატრიალება საქართველოში და გაზეთი "ქუჯი" ქუთაისში	218
Lola Khatchapuridze, Luiza Khatchapuridze - The military coup in Georgia and the newspaper "Kuji" in Kutaisi	221
ლუიზა ხაჭაპურიძე - ქუთაისის ცეკვის სახელმწიფო ახალგაზრდული ანსამბლი XX საუკუნის 50-60-იან წლებში	222
Luiza Khatchapuridze - Kutaisi State Youth Dance Ensemble in the XX 50-60s	226
რამაზ ხაჭაპურიძე - ქუთაისელ ებრაელთა ტრადიციები (კულინარია, ქორწინება, სამოსი)	227

Ramaz Khatchapuridze - Traditions of Jews living in Kutaisi (culinary, marriage, clothing habits)236

მზია ხოსიტაშვილი - ქუთაისის გიმნაზიებიდან საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 237

Mzia Khositashvili - From Kutaisi Gimnasium to the Georgian Constituent Assembly245

თეონა ჯალაღონია - ევფემისტური ფრაზეოლოგიზმებისათვის ქუთაისურ მეტყველებაში (ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალების მიხედვით) 246

Teona Jalagonia - Euphemist phraseology in Kutaisi speech (According to the materials of the Institute of Dialectology).....249

საინტერესო წერილები
Interesting Letters 250

ია ხაჭაპურიძე, ლოლა ხაჭაპურიძე - XX საუკუნის იმერეთის დედოფალი - ნესტან კვეიძე251

Ia Khatchapuridze, Lola Khatchapuridze - XX century queen of Imereti - Nestan Kveidze254

რიტა წაქაძე

ანტონ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები

ანტონ ლორთქიფანიძე დაიბადა 1847 წელს ქუთაისის მაზრაში, სოფ. გოჩა-ჯიხაში. ქუთაისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ (1867) სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტში. 1871 წელს დაასრულა აღნიშნული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დაბრუნდა ქუთაისში. აქედან მოყოლებული გარდაცვალებამდე იგი ერთვულად ემსახურებოდა საკუთარ სამშობლოს, მშობლიურ ქალაქ ქუთაისს. მან ბევრი კარგი საქვეყნო საქმის გაკეთება შეძლო. მისი მეუღლე გახლდათ დიდი ქართველის – დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი ელენე (ლოლა) ყიფიანი. მეუღლეები თანამოაზრეებიც იყვნენ, ამიტომ ერთად იღვწოდნენ. ანტონ ლორთქიფანიძე 1894 წელს საკმაოდ ახალგაზრდა, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მეუღლესთან ერთად ქუთაისში, გორაზე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

ანტონ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია:

- ქალაქის თვითმმართველობა;
- თეატრალური დასის ჩამოყალიბება;
- ქუთაისში პირველი ბიბლიოთეკის დაარსება;
- ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის დაფუძნება.

ქუთაისში დაბრუნებისთანავე ანტონ ლორთქიფანიძე აქტიურად ჩაერთო საზოგადო საჭირბოროტო დებატებში. იგი შეუნიღბავად აფიქსირებდა თავის შეხედულებებს და გარედან არ უცქერდა საზოგადოებრივ პროცესებს. ამიტომ მალე მოიპოვა ავტორიტეტი და შეუბღალავი რეპუტაციით სარგებლობდა.

იმუშამინდელი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ისეთი საქალაქო თვითმმართველობა, რომლის საქმიანობის მთავარი მიმართულება იქნებოდა ქალაქის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. ამ მხრივ საინტერესოა ანტონ ლორთქიფანიძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ქუთაისის საქალაქო დეპუტატების სხდომაზე 1874 წლის 19 მარტს: “ჩვენ ქუთაისის მცხოვრებნი ვირჩევთ დეპუტატებს, მაგრამ როგორც ფაქტები გვიმტკიცებს, არ ვიცით, რა თანამდებობაა დეპუტატობა, არც დეპუტატებმა იციან თავიანთი მოვალეობა... ქალაქის დეპუტატები არიან ქალაქის წარმომადგენლები, რომელთაც მიენდობა ქალაქის საქმეების გამგეობა. არც ერთი საქმე, არც ერთი საგანი, რომელიც კი შეეხება ქალაქს, არ უნდა იყოს დაფარული დეპუტატებისაგან. ყოველი ქალაქის ანგარიში მინდობილი აქვთ ქალაქის დეპუტატებს მცხოვრებლებისაგან. ყოველმა დეპუტატმა არამცთუ უნდა

იცოდეს ქალაქის ანგარიში, ქალაქის შემოსავალ-გასავალი, არამედ მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ის, რომ არც ერთი კაპიკი ქალაქის არ დაიხარჯოს მათ შეუტყობინებლათ და გადაუწყვეტლათ“ (გაზ. “დროება“, 1874, №421).

ქუთაისის ქალაქის საბჭოს დებუტატების არჩევნები პირველად 1875 წლის 16 სექტემბერს გაიმართა. არჩევნები, დებულების თანახმად, სამ თანრიგად ჩატარდა. ანტონ ლორთქიფანიძე პირველ თანრიგში აირჩიეს. იგი გახდა ქ. ქუთაისის საბჭოს ხმოსანი დებუტატი. 1875 წლის 4 დეკემბერს დაინიშნა საქალაქო საბჭოს მეორე სხდომა, რომელზედაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქალაქის საბჭოს მუშაობა 1876 წლის 1 იანვრიდან უნდა დაეწყო. ამ სხდომაზე ანტონ ლორთქიფანიძე გამგეობის წევრად აირჩიეს (გაზ. “დროება“, 1875, №143).

ანტონ ლორთქიფანიძე სულ 2 წელი იყო ქალაქის თვითმმართველობაში. ქალაქის საბჭოში მოღვაწეობის პერიოდში ანტონი ჩვეული მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩეოდა: “ცოტა ხანს შემდეგ ის ამოარჩიეს ქალაქის დებუტატად და წინააღმდეგა იმდროის გუბერნიის მმართველის თვითმნებლობას. ამ დროს ქალაქის დებუტატების დაუკითხავათ გაიყიდა რამდენიმე ძვირფასი ნაჭერი მიწა. თ. ანტონ ლორთქიფანიძის მეთაურობით შედგა დებუტატია, რომელიც წარუდგა მაშინდელს კავკასიის სამოქალაქო გამგეობის უფროსს ბარონ ნიკოლაის და მოახსენა ქუთაისის საქალაქო საქმეების ცუდი მდგომარეობა. დებუტატებმა იშუამდგომლა, რომ ქუთაისსაც მინიჭებოდა ახალი საქალაქო თვით-გამგეობა. მთავრობამ კანონიერათ იცნო ეს თხოვნა და თანახმა გახდა“ (გაზ. “კვალი“, 1894, 30 ოქტ., №45).

1877 წელს ანტონ ლორთქიფანიძემ საკუთარი სურვილით დატოვა ქალაქის საბჭო. მის ნაცვლად აირჩიეს ბესარიონ ხელთუფლიშვილი, მამა ცნობილი იურისტის – დავით ხელთუფლიშვილისა.

ანტონ ლორთქიფანიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის თეატრის დაარსებაში. მან ქუთაისში ჩამოაყალიბა სცენის მოყვარეთა საზოგადოება და ხშირად მართავდა ქართულ წარმოდგენებს. ერთ-ერთ სპექტაკლში (“გაყრა“) თავადაც მიიღო მონაწილეობა, როგორც მსახიობმა და ყურადღება მიიპყრო ოსტატური თამაშით. სისტემატურად მართავდნენ საქველმოქმედო სპექტაკლებსაც. ანტონ ლორთქიფანიძის სცენის მოყვარეთა დასის მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული თეატრის ისტორიაში. ეს დასი გახდა ერთ-ერთი საფუძველთაგანი ქუთაისში პროფესიული დასის დაფუძნებისა 1880 წელს.

გაზეთ “კვალში“ (1894 წლის 30 ოქტომბერი, №45) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში ანტონ ლორთქიფანიძე მოხსენებულია, როგორც ქუთაისში საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელი: **“ერთ საუკეთესო ნათელ ხანათ მისი საზოგადო მოღვაწეობისა უნდა აღინიშნოს ის დრო, როცა მან საჯარო წიგნთსაცავი გამართა ქ. ქუთაისში და აღძრა ქუთაისის მოზარდს ახალგაზრდობაში კითხვისა და თვით-განვითარების სურვილი. წელს თ. ანტონ ლორთქიფანიძემ ნაშთი თავის საჯარო ბიბლიოთეკისა შეწირა ქალაქს ქუთაისს, რომლის საქალაქო გამგეობამ**

მადლობა გამოუცხადა შემწირველს, ისარგებლა იმ ბიბლიოთეკით და შეუდგა ამ ბოლო დროს უფრო ვრცელის საჯარო სამკითხველოს დაარსებას.“

ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ როდის, როგორ და რა ვითარებაში შეიქმნა ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა, მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის - კირილე ლორთქიფანიძის არქივი, რომელიც დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. კირილე ლორთქიფანიძის არქივში შემონახულია ანტონ ლორთქიფანიძის პირადი წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, სულ 7 წერილი. ამათგან მხოლოდ ორი ეხება ბიბლიოთეკის გახსნის თემას, მაგრამ ორივე წერილი ვრცელია და საკმაო ინფორმაციას იძლევა აღნიშნულ საკითხის შესახებ.

“ძნაო კირილე,

შენ გაგებულე გაქვს, რომ ჩვენ ბიბლიოთეკის მოფოხებას ვაპირებდით. ეს საქმე როგორც არის ამ დღეებში მიუახლოვდა აღსრულებას, მაგრამ სახლის შოვნაზე დადგა საქმე. ნიკოლაძეს უთხარი, რომ თუ მაგან ის სახლი არ გვათხოვს, რომელიც ხიდის ყურში დგას ისეთ ბიბლიოთეკის გაკეთება გავგიჭირდებათქვა,.. ერთის სიტყვით უთხარი ნიკოლაძეს, რომ ის სახლი გვიშოვოს ან უფასო და ან რივიანის ფასით (თუ უფასოთ არ მოხერხდება, რასაკვირველია). კირილე, ვთხოვ ამ ბარათის პასუხი პირველივე ფოსტით გამომიგზავნო, რადგან ეს საქმე ძალიან გვეჩქარება ჩვენ.“

ამ პერიოდისათვის ანტონი იმყოფება ქუთაისში, ხოლო კირილე – თბილისში. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული რეპრესიების გამო 1868 წლის დეკემბერში პეტერბურგიდან თბილისში იძულებით დაბრუნდა ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფი: ნ. ნიკოლაძე, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ინაშვილი, ა. იშმაილოვი და სხვები. მათ შორის იყო კირილე ლორთქიფანიძეც. თავისთავად ცხადია, კირილე ქართველი ინტელიგენციის წრეში ტრიალებდა, ურთიერთობა ჰქონდა ბიბლიოთეკებთან, იცნობდა მათ დამაარსებლებს. ამიტომაც სთხოვს მას ანტონი გამუდმებით დახმარებას.

ეს წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ ზუსტად ვიცით მე-2 წერილის დაწერის დრო. ეს არის 1873 წლის 6 ოქტომბერი. რამდენადაც პირველ წერილში ანტონი აღნიშნავს, რომ ძალიან ეჩქარება, უნდა ვივარაუდოთ, პირველსა და მეორე წერილს შორის ქრონოლოგიური დაშორება დიდი არ უნდა იყოს, ე.ი. უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს წერილიც 1873 წელს არის დაწერილი. თუმცა არც ის არის გამორიცხული, სხვადასხვა ხელისშემშლელ გარემოებათა გამო ანტონი შეფერხებულიყო, მაგრამ ასეთ რაიმეს, ალბათ, აუცილებლად ახსენებდა მეორე წერილში. მეორე წერილში კი, პირიქით, წერს, რომ უკვე ბინის პრობლემაც მოაგვარა და ყველანაირად მზად არის ბიბლიოთეკის გახსნისთვის. თუმცა არსებითი მნიშვნელობაც არა აქვს, განისაზღვროს პირველი წერილის თარიღი, რადგან კვლევისათვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ როდის დაიწყო ანტონმა ზრუნვა ბიბლიოთეკის დაარსებისათვის, არამედ ის, თუ კონკრეტულად როდის მოიყვანა სისრულეში ეს გადაწყვეტილება. ამ მხრივ კი ძალიან საყურადღებოა მეორე წერილი:

“მაო კირილე, ჩვენ ბიბლიოთეკის საქმე როგორც არის გავათავვე, სულ ყოველისფერათ მზათ ვარ. კატალოლი უნდა წარვადგინო და გახსნის ნებას იმ დღესვე მომცემენ. წიგნებს გლახას და კარგს ფრანციზულს და რუსულს შეუყარე თავი ოთხი ათასამდის. ბაბილიოვის ბიბლიოთეკის დანარჩენი ვიყიდე, სახლი ვიქირავე, ბიბლიოთეკარებიც მყავს, ყურნალებიც არის და მებელიც მაქვს; ერთის სიტყვით ყოველისფერით მზათ ვარ. ახლა თუ დრო გექნება, გაისარჯე და ბიბლიოთეკის პრავილოები (წესდება) გამოგვიგზავნე, აგრეთვე პატარა ბლანკები, რომელიც წიგნების წამლებს მიეცემა; ერთის სიტყვით ყოველივე რაც კი შეეხება ბიბლიოთეკის პრავილოებს გამომიგზავნე საჩქაროთ. ამ ბიბლიოთეკას ვხსნი ჩემს სახელზედ. არას კაციდგან არაფერს შემწეობას არ ვნახულობ, რადგან ვიცი რომ ბევრი პატრონების ჯოგს ხშირად სჭამს მგლები.“

ანტონმა ბიბლიოთეკაში თავი მოუყარა როგორც საკუთარ, ისე კერძო პირებიდან შემოტანილ წიგნებს. ასევე დიდი რაოდენობით პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა მიიღო პეტერბურგელი სტუდენტებისაგან:

“ნოშრევან ალავიძეს მოუტანია პეტერბურლიდგან წიგნები სტუდენტების და შენ უნდა გადმოქცენ. არ ვიცი ჩვენი ბიბლიოთეკისთვის არის ეს წიგნები თუ არა. ანდრია გრისნავმა კი მოგვწერა, რომ სტუდენტები გიგზავნიანო. ერთი ას ოციოდე წიგნი სტუდენტების შემაქვს და თუ მაგენიც ჩვენია, შემოუთვალეთ შენ და ნოშრევან ალავიძემ ნიკო ალავიძეს, რომ ეს წიგნები გადმომცეს. ყოველს ჩემს პირობებს შეუთვლი პეტერბურლის სტუდენტებს დაწვრილებით და თუ ისურვებენ წიგნების თხოვებას კარგიდ თორემ მათი წიგნები მიირთვან. მანემდის წიგნებს ბიბლიოთეკაშიდ უფრო ადგილი ექნება ვინემ კერძო სახლშიდ.“

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეორე წერილის დაწერის თარიღი ზუსტად არის ცნობილი, ავტორს თვითონ აქვს წერილზე მითითებული 1873 წლის 6 ოქტომბერი. ამ დროისთვის ანტონი წერს, რომ ყველანაირად მზად არის და მალევე გახსნის ბიბლიოთეკას: “ამ ერთს კვირაშიდ უსათუოდ უნდა გავალო ბიბლიოთეკა... დაუჩქარე პასუხს.“

რამდენად შეძლო ანტონმა ნავარაუდებ პერიოდში ბიბლიოთეკის გახსნა, ეს ანტონ და კირილე ლორთქიფანიძეების პირადი მიმოწერიდან აღარ ჩანს. მაგრამ ამ საკითხის გარკვევისთვის შეგვიძლია მოვიშველიოთ იმ პერიოდის პრესა. 1873 წლის 26 ოქტომბერს (№42) გაზეთი “დროება“ წერდა: “ბეჯითად ვიცი, რომ პირველ ნოემბრამდის ქუთაისს ბიბლიოთეკა და საკითხავი კაბინეტი გაიხსნებაო. ეს საქმე უკისრნია უფ. ანტ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც ამ მოსაწონი საქმის დაწყებისათვის საზოგადოების სრული თანადგომა უნდა ეკუთვნოდეს.“ უკვე 16 ნოემბერს კი იგივე “დროება“ (№45) იუწყებოდა: “ისეთ მიყრუებულს და რკინის გზისგან დაჩაგრულს ქალაქში, როგორც ქუთაისია, მართლა რომ მოვლინებათ ჩაითვლება უ. ა. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის დაბადება.“

უ. ლორთქიფანიძემ პირველად დაანახა ქუთაისელებს, რომ შესაძლებელია კაცმა ისეთ საქმესაც მოჰკიდოს ხელი, რომლისგან შემოსავალი

კი არა, ცხადი ზარალიც მოეღოს. მაგრამ საზოგადო სიკეთისთვის კი საჭიროა ამ ნაირი საქმის დაწყება.

ჩვენ მადლობით მიულოცავთ უ. ლორთქიფანიძეს ამ მშვენიერი განზრახვისათვის გასჯას და ვისურვებთ, რომ იმერეთის სატახტო ქალაქმა გამოიყენოს გონების გასაზღვლად ის საშუალებები, რომელსაც მისცემს მას ბიბლიოთეკა.“

ეს გახლდათ ქუთაისში დაფუძნებული პირველი ბიბლიოთეკა, იმ დროისათვის კარგად მოწყობილი და გამართული. „ამ ბიბლიოთეკას ვხსნი ჩემს სახელზედ. არას კაციდგან არაფერს შემწეობას არ ვნახულობ, რადგან ვიცი, რომ ბევრი პატრონების ჯოგს ხშირათ სჭამს მგლები“ – წერდა ანტონი კირილეს. მართალია, ბიბლიოთეკა კერძო იყო, მაგრამ ფაქტობრივად ასრულებდა საჯარო ბიბლიოთეკის ფუნქციებს, ამიტომაც მალევე იქცა ქუთაისელი საზოგადოების საყვარელ თავშესაყარ ადგილად.

თანამედროვეებში ანტონის ბიბლიოთეკა დიდი მოწონებით სარგებლობდა: “რაც შეეხება ბიბლიოთეკის გაწყობილობას, ჩვენ, როგორც მნახველს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ თავით სრული დასაკმაყოფილებელია, როგორც წიგნების კოლექცია, ეგრეთვე მათი აღრჩევაც. მომავალი ამ საქმისა დამოკიდებულია თვითონ საზოგადოებაზედ...” (გაზეთი “დროება“, 1873 წლის 16 ნოემბერი, №45).

20 წლის შემდეგაც კი, 1893 წლის 7 აპრილს, “ივერიაში“ ასეთი წერილი დაიბეჭდა: **“პირველი ბიბლიოთეკა, მართლაც დროის შესაფერისად მოწყობილი, ამ თვრამეტიოდე წლის წინად თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძემ გაჰმართა“.**

თვრამეტი წლის მანძილზე დიდი ძალისხმევით, საკუთარი სახსრების გაღებით უპატრონა ანტონ ლორთქიფანიძემ ბიბლიოთეკას. იყო პერიოდი, როცა ძალიან გაუჭირდა და გაასხვისა კიდევ. მაგრამ ახალი მეპატრონე ვერ აღმოჩნდა კარგი მეურნე და უპატრონოდ დაგდებულ ბიბლიოთეკას ისევ ანტონმა მიხედა.

როცა 1893 წელს ქუთაისის თვითმმართველობამ გადაწყვიტა დაეარსებინა ქალაქში საზოგადო-საჯარო ბიბლიოთეკა, ანტონ ლორთქიფანიძემ, ყოველგვარი თანხის გარეშე, საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გადასცა ქალაქის გამგეობას, რითაც ფაქტობრივად საძირკველი ჩაუყარა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას: “იმ ხარჯს გარდა, რომელიც ქალაქმა იკისრა, ვგონებთ, მეტი არ იქნება, ქალაქის გამგეობამ, როცა საქმეს შეუდგება, კერძო კაცებსაც სთხოვოს დახმარება. იმედია, ქუთაისში ბევრი მოიპოვება, რომლებიც ისეთ სასიკეთო საქმისათვის, როგორც ბიბლიოთეკის გამართვაა, ქალაქს თავის წვლილს არ დაამადლებენ და შეძლებისა-და გვარად შემწეობას აღმოუჩენენ თუნდაც წიგნების შეწირვით. ეს იმედი, რომ ტყუილი არ არის, ამის საბუთი ამ დღეებში თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძემ დაგვანახვა, რომელმაც მომავალის ბიბლიოთეკისათვის ათას ხუთასიოდე ცალი წიგნი უსასყიდლოდ დაუთმო და სამუდამოდ შესწირა ქალაქს. ეს ისეთი შესაწირავია, რომ მკვიდრს საძირკველს დაუდებს ბიბლიოთეკას; ამ ათას ხუთას წიგნში, როგორც ნამდვილად

ვიცი, ბევრი იშვიათი და თვალ-საჩინო წიგნი იპოვება როგორც რუსულის მწერლობისა, ისე ფრანგულისა. რასაკვირველია, თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძე ამ შესაწირავისთვის დიდის მადლობის ღირსია და, სრული იმედია, ამ ამბავს ქალაქი არ დაივიწყებს“ (გაზ. “ივერია“, 1893 წ. 7 აპრილი).

ელენე ყიფიანი 10 წლის მანძილზე თავმჯდომარეობდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტს. ამ დიდ საქმეში მის გვერდით იყვნენ მეუღლე – ანტონ ლორთქიფანიძე და ძმა – ნიკოლოზ ყიფიანი, როგორც სკოლის საბჭოს წევრები. სიმონ ხუნდაძე თავის მონოგრაფიაში “დიმიტრი ყიფიანი“ გვაწვდის ძალიან საინტერესო ფაქტს: “1880 წ. 17 ნოემბრის თარიღით მეფის მოადგილის მთავარი სამმართველოს გამგის მოვალეობის აღმასრულებელი პესჩუროვი სრულიად კონფიდენციალურად სწერდა დ. ყიფიანს: „ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სასწავლებლის საბჭოში შედიან ისეთი პირები, რომელნიც ან პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კავკასიის რევოლუციური წრის საქმის გამო ან მასთან ახლოს იდგნენ. ამ პირთა შორის აღნიშნული არიან: ანტონ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი ელენე და ძმა უკანასკნელის ნიკოლოზ ყიფიანი.

დიდი მთავრის მეფის მოადგილის ბრძანებით წარმოებული ძიების ცნობებით აღმოჩნდა, რომ 1876 წელს ანტონ ლორთქიფანიძე და მისი ცოლი ნამდვილად იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი ქუთაისში მავნე პოლიტიკური წრის შედგენის გამო, ნიკოლოზ ყიფიანი კი 1869 წ. უმაღლეს სასწავლებელში მომხდარ არეულობათა გამო გადმოსახლებულ იქმნა სანკტ-პეტერბურგიდან კავკასიაში და იმყოფებოდა პოლიციის თვალყურის დევნების ქვეშ.

იმ ნათესაობითი ურთიერთობის გამო, რომელიც გაკავშირებს თქვენ აღნიშნულ პირებთან და იმიტომ, რომ არა ჰსურთ, ამ შემთხვევაში, წარმოებული იქნას რაიმე ძალდატანებითი ზომები, მისმა უმაღლესობამ ინება გამოეთქვა სურვილი, რომ მათი მოშორება დაწესებულებიდან მოხდეს მათივე განცხადების თანახმად. ამიტომ ხელმწიფემ მთავარმართებელმა ინება ჩემთვის მოენდო, რათა გთხოვოთ თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ამ საქმეში სრულიად კონფიდენციალური მონაწილეობა და დაარწმუნოთ ანტონ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი და ნიკოლოზ ყიფიანი, რომ ნებაყოფლობით განაცხადონ უარი აღნიშნული სკოლის საბჭოს წევრთა სახელწოდებაზე.“

დიმიტრი ყიფიანის საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ “სანკტ-პეტერბურგიდან მოწოდებული ცნობები ამოკრებილია იქ არა ნათელ წყაროდან...” ანტონ ლორთქიფანიძეს ბრალდებოდა, რომ მის ბიბლიოთეკაში ოდესღაც დადიოდნენ არაკეთილსაიმედონი, ნიკოლოზ ყიფიანის დანაშაულობა იყო ის, რომ 11 წლის წინათ მან თავის ამხანაგებთან ერთად სთხოვა უნივერსიტეტის გამგეობას, რათა დაეშვათ მათი სასარგებლო ზოგიერთი შერბილება უნივერსიტეტის გამგებლების შინაგან განწყობების საქმეში, კნენა ლორთქიფანიძეს კი იმაში, რომ ის ისმენდა პეტერბურგიდან ჩამოსული სტუდენტის, თავისი ბიძაშვილის რაღაც ბოდვებს და არ

დაასმინა ის. დანახვა ამაში პოლიტიკური არაკეთილსაიმედობისა ნიშნავს, ჩემი აზრით, მოსაჩვენარის სინამდვილედ აღიარებას.

ლორთქიფანიძეები ცოლი და ქმარი და ყიფიანი, როგორც უნდა იყოს მათი მოწაფეობის დროინდელი ცხოვრება, ამჟამად სარგებლობენ თავიანთი წრის პატივისცემით, როგორც შეუბღალავი ზნეობის ადამიანები.“

დიმიტრი ყიფიანის გონივრულმა პასუხმა შედეგი გამოიღო და მოხერხდა ამ ადამიანთა სკოლის კომიტეტში დატოვება. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა 1880 წლის 3 თებერვალს დაარსდა, პ. პესჩუროვის წერილი იმავე წლის 17 ნოემბრით თარიღდება. ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ ელენე ყიფიანი სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს გარდაცვალებამდე უძღვებოდაო, ე. ი. ელენე ლორთქიფანიძისა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტს თავმჯდომარეობდა 1880-1890 წლებში. კირილე ლორთქიფანიძის არქივში დაცულია ანტონ ლორთქიფანიძის ხელწერილი: “მივიღეთ კირილე ლორთქიფანიძისაგან სამას ორმოცდა ათი მანეთი სააზნაურო სკოლის სადგომების შესაკეთებლათ. ქ. ქუთაისი, 31 ივლისი, 1888 წ.“ ხელს აწერენ ანტონ და სიმონ ლორთქიფანიძეები. აღნიშნული დოკუმენტი კიდევ ერთი დადასტურებაა ანტონ ლორთქიფანიძის მოღვაწეობისა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში, რომელიც პირველი ქართული სკოლა იყო. მართალია, ამ პერიოდში ქალაქში მოქმედებდა ვაჟთა კლასიკური გიმნაზია, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა და სასულიერო სასწავლებლები, მაგრამ ისინი რუსული ორიენტაციისა იყო. სათავადაზნაურო ქართული სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სწავლებას ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით წარმართავდა და სასწავლებელშიც ქართული სული ტრიალებდა.

სკოლის საბჭოს წევრების ინიციატივით მუდმივად იმართებოდა საქველმოქმედო საღამოები, სპექტაკლები ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. დამატებით ამეცადინებდნენ მათ, რომ უკეთ ესწავლათ წერა-კითხვა. ცდილობდნენ, სკოლაში უკეთესი პირობები შეექმნათ, აგროვებდნენ ფულს ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. აქტიურად იყვნენ ჩაბმული მთარგმნელობით საქმიანობაში, რათა მოსწავლეებს ქართული სახელმძღვანელოებით მიეღოთ განათლება.

როგორც ვხედავთ, ეროვნული მსოფლმხედველობის გამო ანტონ ლორთქიფანიძეს მუდმივად თვალთვალისა და დევნის პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, მან თავისი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი პირნათლად მოიხადა. **“მისი სიკვდილი ყველას გულს დასწყვეტს, ვინც კი დაახლოვებით იცნობდა მის მახვილ-გონებიანს და მოსწრებულს სიტყვა პასუხს. ეს კაცი მართლაც დაბადებული იყო საზოგადო მოღვაწეობისათვის და თუ თავის მკვირცხლი ნიჭის შესაფერი შედეგი არ ჰქონდა მის ცხოვრებას, ბრალი სავსებით ედება იმ ხელ-ფეხ-შემკვრელს გარემოებას, რომლითაც მოცულია ჩვენი ცხოვრება“** (გაზ. „კვალი“, 1894, 30 ოქტ., №45).

damowmebuli literatura da wyaroebi

l. gabunia, 2006 – l. gabunia, quTaisi – didi saganmanaTleblo centri, quTaisi, 2006.

g. mWedliZe, 1993 – g. mWedliZe, quTaisis axali istoriis narkvevebi, quTaisi, 1993.

m. nikoleiSvili, 1968 – m. nikoleiSvili, qarTveli sazogado moRvaweebi quTaisSi saqalaqo TviTmmarTvelobis SemoRebis Sesaxeb: quTaisis n. berZeniSvilis saxelobis istoriul-eTnografiuli muzeumis masalebi, gv. 82-88, 1968.

i. i. puradaSvilebi, 2009 – i. i. puradaSvilebi, mogonebebi, quTaisi, 2009.

s. xundaZe, 1936 – s. xundaZe, dimitri yifiani, tf., 1936.

gaz. "droeba", #42 – gaz. "droeba", 26 oqtomberi, #42, 1873.

gaz. "droeba", #45 – gaz. "droeba", 16 noemberi, #45, 1873.

gaz. "droeba", #421 – gaz. "droeba", #421, 1874.

gaz. "droeba", #143 – gaz. "droeba", #143, 1875.

gaz. "iveria", #69 – gaz. "iveria", 7 aprili, #69, 1893.

gaz. "iveria", #44 – gaz. "iveria", 25 Tebervali, #44, 1894.

gaz. "kvali", #45 – gaz. "kvali", 30 oqtomberi, #45, 1894.

qsiem – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი №2173/366, 367, 786.

ilustraciebis aRwerilobebi

sur. 1. anton lorTqifaniZe

sur. 2. anton lorTqifaniZe da elene yifiani

sur. 3-4. anton lorTqifaniZis xel nawerebi

RITA TSAKADZE**MAJOR TRENDS OF
ANTON LORTKIPANIDZE PUBLIC WORK**

Georgian public man, Anton Lortkipanidze was a dedicated servant of his homeland, home town Kutaisi. The main trends of Anton Lortkipanidze public works are the following:

- Local authority
- Founding theatre cast
- Founding the first library of Kutaisi
- Noble school of Kutaisi

From the very moment of returning to Kutaisi, Anton Lortkipanidze got involved in actual public debates. He expressed himself in an undisguised manner and didn't observe the public processes indifferently. That's why he soon became the authoritative figure and enjoyed positive publicity. In 1875 he was elected as a member of a city board, with the right of vote. Anton Lortkipanidze was distinguished with the position of an active citizen

Anton Lortkipanidze is largely engaged with founding Kutaisi theatre. He initiated founding the community of stage lovers and often used to host Georgian plays. He even participated in one play and got many applauds for his artistic virtue. The community constantly hosted charity plays. The community of stage lovers founded by Anton Lortkipanidze played a huge role in the development of Georgian theatre. This cast is one of the reasons for founding the professional theatre cast in Kutaisi in 1880.

The date of founding the first library of Kutaisi, 1873, was defined on the basis of the correspondence between Anton and Kirile Lortkipanidze. After 20 years, book funds of Anton Lortkipanidze became the basis of founding the public library of Kutaisi.

Anton Lortkipanidze and his wife, Elene Kipiani actively worked in Kutaisi school of the Nobles, as the members of the school board. Elene Lortkipanidze headed the committee of the poor students in 1880-1890. School board often initiated charity evenings, plays to help poor students. They gave them additional lessons to improve their performance, bettered studying conditions, collected money to improve the infrastructure, took active participation in translations to provide the future generations with Georgian guidebooks.

Anton Lortkipanidze and Elene Kipiani were engaged in a court case since they were also the members of a political party. He suffered surveillance during a whole life for his national mindset. Despite this fact, he did his best for his native town and country.

ეკატერინე ბარაბაძე

№3 საქალაქო ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიისათვის

ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლა, ჰქონოდა ელემენტარული სივრცე უკეთესი განათლების მისაღებად, ქუთაისის უბნებში საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების დაფუძნების წინაპირობას წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანი გაუქმდა, დაკარგა ფუნქცია, ან სახე იცვალა და სხვა სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა, თუმცა ისინი ერთგვარ ინოვაციურ ცენტრებს წარმოადგენდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

სერია: “გავაცოცხლოთ ბიბლიოთეკის ისტორია“ მიზნად ისახავს ერთ დროს ქალაქის აქტიურ ცხოვრებაში ჩართული და უკვე გაუქმებული ბიბლიოთეკებისა და აქ მომუშავე ბიბლიოთეკართა მოღვაწეობის გაცნობას თანამედროვე საზოგადოებისათვის.

რატომ №3 საქალაქო ბიბლიოთეკა?

საინტერესო კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრებით, წიგნადი ფონდის მრავალფეროვნებითა თუ მკითხველთა სიმრავლით (გაუქმების მომენტამდე) გამორჩეული ბიბლიოთეკის ისტორია იქმნებოდა მასში მომუშავე თუ მისით მოსარგებლე, იშვიათი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანთა მიერ. რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ქალბატონი ვენერა ძოწენიძე, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის, როგორც ბიბლიოთეკის ისტორიის მემკვიდრის, სიცოცხლის ბოლო წუთებშიც მიუთითებდა უბანში ერთგვარი კულტურულ-საინფორმაციო ცენტრის აუცილებლობაზე: “მთავარი არაა ტრადიციული ბიბლიოთეკის არსებობა, იყოს თუნდაც ელექტრონული ბიბლიოთეკა, ან იმ ფორმის დაწესებულება, რაც ადგილობრივ ახალგაზრდებს მიიზიდავს და პიროვნულ ჩამოყალიბებაში ხელს შეუწყობს...”

№3 საქალაქო ბიბლიოთეკის ისტორიის შედგენის მცდელობა 1960 წლიდან დაიწყო ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორებისა და პირვანდელი საბიბლიოთეკო საბჭოს წევრების: მის. მალაქელიძის, გ. გოგავას, გ. აბდლაძის, თ. მალაქელიძის და ბიბლიოთეკის გამგის, მარიამ მალაქელიძის ძალისხმევით. ზოგი რამ უბნის ხანდაზმული მცხოვრებლების - ლიზა ტოგონიძის, დიმიტრი კუხიანიძის, ბართლომე ფაჩუაშვილისა და ივანე ნასარიძისაგან მოისმინეს, ქრონოლოგიურად დალაგებული ჩანაწერები კი 1965-1967 წლებში დროებით განთავსდა ბიბლიოთეკის არქივში. 1968 წელს მასზე მუშაობა განაახლა რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა, ქ-ნმა ვენერა ძოწენიძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის ცენტრალურ არქივში არ აღმოჩნდა არავითარი ოფიციალური ინფორმაცია ბიბლიოთეკის მუშაობის ადრეული

წლების შესახებ. პირველი ცნობა, რომელიც 1938 წლითაა დათარიღებული, ეხებოდა საბიუჯეტო ხარჯებს. ამიტომ ბიბლიოთეკის ისტორია იმ დროის ამბების მომსწრეთა და უშუალო მონაწილეთა ჩვენებების საფუძველზეა შედგენილი. ეს ჩანაწერები წლების განმავლობაში გროვდებოდა აღნიშნულ ბიბლიოთეკაში, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ – ქალბატონ ვენერა ძოწენიძის პირად არქივში.

ubnis zogadi daxasiaTeba

ქუჩა, სადაც №3 საქალაქო ბიბლიოთეკა მდებარეობდა, წინათ ქალაქის ძალზე განაპირა უბანი იყო და სოფლური ტიპის დასახლებას წარმოადგენდა; პირველი სოფელი, რომელიც ამ გზით უკავშირდებოდა ქალაქს, მესხეთი იყო და ქუჩაც 1926 წლამდე “მესხეთის ქუჩის“ სახელწოდებით გახლდათ ცნობილი; ის საკმაოდ გრძელი, მაგრამ ძალზე ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და იმდენად ტალახიანი იყო, წვიმიან ამინდში გზაზე დამდგარი გუბეების დაუბრკოლებლად გავლა მხოლოდ ცხენიან მგზავრს თუ შეეძლო.

ორივე მხარეს ჩარიგებულ, ადგილობრივ მცხოვრებთა ღარიბულ ქონებას ერთგვარ სიცოცხლეს მწვანე, ხასხასა მოლით დაფარული და ხეებით დაჩრდილული ეზოები აძლევდა. რიგიან სახლს აქ იშვიათად ნახავდით და თუ იყო, მხოლოდ რომელიმე ჩინოვნიკის, მღვდლის ან ვაჭრის საკუთრებას წარმოადგენდა.

მესხეთის ქუჩა მაშინ თავისი დუქნებით, ქეიფისა და აყალმაყალის მოყვარულთა წყალობით ისე იყო “სახელგანთქმული“, რომ “აუღებელი“, ე.წ. “გამოუსწორებელი“ ქუჩის სახელწოდებით არა მარტო ქუთაისში, არამედ მახლობელ რაიონებშიც კი იყო ცნობილი. ექვსკილომეტრიან ქუჩაზე არ არსებობდა არც ერთი დაწესებულება, სკოლასა და ბიბლიოთეკაზე ლაპარაკი ზედმეტია. სამაგიეროდ, სამიკიტნოებსა და კერძო სავაჭროებში გვიან ღამემდე გაისმოდა არღნისა და მოქეიფეთა სიმღერა, რომელსაც არცთუ იშვიათად სროლის ხმაც შეერეოდა ხოლმე. ნაშუალამევს მოუკირწყლავ ქუჩაზე გაგორებული ეტლის ბორბლების ხმაური კიდევ უფრო ურღვევდა მყუდროებას ძილის ბურანში მყოფ უბნის მცხოვრებლებს და უკანასკნელი მოქეიფის წასვლის შემდეგ ქუჩა დროებით, მაგრამ ცოტა ხნით ჩაწყნარდებოდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე.

pirveli nabijebi

მოსახლეობაში ცოდნისა და წიგნის გავრცელების მიზნით 1919 წლის 6 ივლისს შედგა მესხეთის ქუჩის (ამჟამად ნინოშვილის ქუჩა) დაბლა უბნის მცხოვრებთა კრება, რომელიც აქ სამკითხველოს გახსნას მიეძღვნა.

ამ მეტად საპატიო და კეთილშობილური წამოწყების უშუალო მონაწილე და თაოსნები იყვნენ ამავე უბნის მცხოვრებნი – კულტურის თაყვანისმცემლები და ქომაგნი.

კრების ოქმში ვკითხულობთ: “ქალაქ ქუთაისი, 1919 წლის 6 ივლისს (ახალი სტილით) შევიკრიბეთ რა მესხეთის ქუჩის დაბლა უბნის

მცხოვრებნი რიცხვით სამოცამდე სული, ავირჩიეთ კრების თავმჯდომარედ ელპიდე იესეს ასული ჩარკვიანი, მდივნად, კი ბენედიქტე თომას ძე კუხიანიძე. თავმჯდომარემ ცნო რა კრება კანონიერად, მარტივად ახსნა კრების მოწვევის მიზეზი, რომ მას სურს აუწყოს კრებას: მესხეთის ქუჩის დაბლა უბანში გაიხსნას სამკითხველო, კრებამ აირჩია სამკითხველოს გამგეობა, გამგეობის წევრებად დაასახელა: რამინ კვირკველია, ელპიდე იესეს ასული ჩარკვიანი, მგალობლიშვილის ქალი, მარიამ სპირიდონის ასული მიქელაძის ქალი და ალექსანდრე (ალიოშა) გიორგაძე. აღნიშნული პირები კრების მიერ ერთხმად იქნა გამგეობის წევრებად არჩეული. არჩეულ პირებს მიენდო სამკითხველოსათვის ბინის გამოძახება, გამგეობის წევრთა სიის შედგენა, საწევრო გადასახადთა აკრება და აგრეთვე სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად ვახშმიანი სალამო-წარმოდგენების მოწყობა-გამართვა. კრებამ დაადგინა: ასლი ამ კრებისა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას სალამო-წარმოდგენების გამართვისთვის ნებართვის მიცემის შესახებ“ (გაზ. “ქუთაისი“, 1983 წ., 23 აგვისტო).

მენშევიკების ბატონობის პერიოდში აღნიშნულ უბანში სამკითხველოს დაარსება ვერ მოხერხდა, მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეესხა ხორცი ამ უბნის მცხოვრებ მოწინავე ადამიანთა ოცნებას და ახალი წყობილების პირველსავე წლებში, 1924 წელს, უბანში უკვე გაჩნდა მათი საერთო შრომის ნაყოფი – პირველი საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის შექმნამდე ახალგაზრდებმა დააფუძნეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: მიხეილ მალაკელიძე, გიორგი აბდალაძე, გიორგი გოგავა, ალექსანდრე გიორგაძე, ბენია სინაურიძე – სულ ხუთი ადამიანი. საორგანიზაციო კომიტეტმა ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ განაცხადა ადგილობრივ ხელისუფლებას და უბნის მცხოვრებლებს ღია კრებაზე გააცნო ბიბლიოთეკის დანიშნულება და მიზანი. მიხეილ მალაკელიძე აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ; უბნის მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ახალგაზრდების თაოსნობას და საქმის წარმატებით დასრულებაში დახმარება აღუთქვეს. აი, როგორ იგონებს ამ ფაქტს კრების ერთ-ერთი მონაწილე, უბნის უხუცესი მცხოვრები დიმიტრი კუხიანიძე: “როცა კრებაზე დაგვიძახეს კომკავშირელებმა და გვითხრეს, რას იტყვით, ხალხო, ეს ამბავი ყველას ძალიან გაგვიხარდა; გაუნათლებელი და ჩამორჩენილი ცხოვრება ჩვენც გვეყოფოდა და ახლა თუ კი ჩვენი შვილი და მომავალი განათლებას შეიძენდა და თვალში გამოიხედავდა, ვის ეწყინებოდა, მტრების გარდა. მარტო ერთ კილომეტრზე 35-40 დუქანი იყო და იმათი პატრონების ლაპარაკი საქმეში ჩაუხედავ კაცს ჭკუაზე გადააყენებდა; პირველად კრების ჩაშლაც უნდოდათ, მთვრალეები შემოგვიგზავნეს აყალ-მაყალის ასატენად, მაგრამ ვერაფერი, რომ ვერ დაგვაკლეს, მერე თვითონ ასისინდნენ: “ჰო, დაუკარით ტაში, დაუკარით! მაგენი იქნება, ასმეტრიან საბანში რომ შევიძახებენ დედა-ბიჭიანადო“. ან კიდევ: “მაგენის ბაბუა წიგნის კითხვამ მოკლა, სახლში კატა არ გაუძღვებოდა და უყურე შენ, ახლა წიგნების კითხვა მოუწდათო“. მერეც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ამ საქმისთვის, მაგრამ ახალგაზრდებმა იმარჯვეს, ჩვენც

დავეხმარეთ, ასე მივიყვანეთ საქმე ბოლომდე“.

იმხანად ბიბლიოთეკისათვის შესაფერისი ბინის შოვნა ვერ მოხერხდა და რადგან სხვა საშუალება არ იყო, ბიბლიოთეკას საკუთარ ეზოში მდგარ თავისუფალ შენობაში მისცა ბინა მიხეილ მაღლაკელიძემ. ამ ნაბიჯს მთელი უბანი მხურვალედ გამოეხმაურა. ბიბლიოთეკის შექმნაში თითქმის ყველა ოჯახმა მიიღო მონაწილეობა. მოსახლეობისაგან შემოწირულობათა ხარჯზე შეიქმნა მცირე წიგნადი ფონდი – 400 ცალის ოდენობით. ამავე გზით გაჩნდა რამდენიმე შინაგანი ხის ახალი სკამი, სახელდახელოდ შეჭედული ორიოდე მაგიდა და ერთი ნახმარი კარადა, რომელიც ხელზე მოვაჭრისგან შეუძენიათ.

ბიბლიოთეკის შექმნის საქმეს განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით მოეკიდნენ: ივანე გოგავა, გიორგი წითლიძე, კონსტანტინე ჯაში, ივანე ნასარიძე, იასონ ძოწენიძე, ვასილ აბესაძე, დიმიტრი კუხიანიძე, ესაია ჭეიშვილი და სხვები, რომელთაც კერძო პირებისაგან შეისყიდეს მხატვრული წიგნების ნაწილი და საკუთარი თანხებით გამოიწერეს ჟურნალ-გაზეთები ბიბლიოთეკისათვის.

როცა ბიბლიოთეკამ, ასე თუ ისე, დასრულებული სახე მიიღო, საორგანიზაციო კომიტეტმა განცხადებით მიმართა ქალაქის განათლების განყოფილებას, რათა მას აღედგრა შუამდგომლობა საქართველოს განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე და ეთხოვა მისთვის, ნება დაერთოთ, სახელმწიფო აღრიცხვაზე აეყვანა ახლადშექმნილი ბიბლიოთეკა, თუმცა ამ საკითხის განხილვამდე ბიბლიოთეკა განაგრძობდა არსებობას და მუშაობას. ამ დროისათვის, მიხ. მაღლაკელიძის თქმით, ბიბლიოთეკას უკვე ჰქონდა 700-მდე საბავშვო თუ მოზრდილთათვის საკითხავი წიგნი, გამოწერით მიღებული ჟურნალ “მნათობის“ ეგზემპლარები და რამდენიმე სახის გაზეთი, მათ შორის – “Правда“ და “კომუნისტი“.

საორგანიზაციო კომიტეტის მაგივრად ჩამოაყალიბეს საბიბლიოთეკო საბჭო ცხრა წევრის შემადგენლობით. ხელმძღვანელად აირჩიეს ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი მიხ. მაღლაკელიძე, მდივანად – თამარ წითლიძე /შემდეგში მიხ. მაღლაკელიძის მეუღლე/, ხოლო წევრებად – გიორგი გოგავა, ბენია სინაურიძე, გიორგი აბდალაძე, ვასილ კავტიევსკი, ალექსანდრე გიორგაძე, გიორგი გიორგაძე, თამარ რუხაძე, ვალერიან მეტუკე. ბიბლიოთეკის საბჭომ ოფიციალურ სხდომაზე, რომელიც, თამარ წითლიძე-მაღლაკელიძის თქმით, 1924 წლის ოქტომბერში გაიმართა (ოფიციალური დოკუმენტი დაცული არაა), თავის ერთ-ერთ წევრს გიორგი გოგავას დაავალა, ემუშავა ბიბლიოთეკარად, მოეწოდებინა წიგნადი ფონდისათვის, შემოეკრიბა და მომსახურება გაეწია მკითხველებისათვის, განსაკუთრებით – ახალგაზრდებისათვის.

გიორგი გოგავა იყო პირველი საზოგადოებრივი ბიბლიოთეკარი, რომელიც ორი წლის მანძილზე, 1924-1926 წლებში, უხელოვანად, სიყვარულით და დაუღალავად ემსახურებოდა ხალხს.

გიორგი გოგავა ბუნებით გულდია და, ამასთან, ძალზე სასიამოვნო მთხრობელი და მოსაუბრე გახლდათ, რის გამოც მის ირგვლივ ყოველთვის

ბევრი მსმენელი იყრიდა თავს. შეიძლება ამის გამო იყო, რომ ბიბლიოთეკას ყოველდღიურად თანდათან ემატებოდა მკითხველი.

იმ დროისათვის წერა-კითხვა მოსახლეობის მცირე ნაწილმა იცოდა და ბიბლიოთეკარად მომუშავე გიორგი (ჟორა) გოგავას უხდებოდა, ხმამაღლა კითხვა-საუბრებით დაეკმაყოფილებინა მოძალეულ მკითხველთა ინტერესი.

„ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, – იგონებს პედაგოგი ტ. ძოწინიძე, – როცა მამაჩემი საღამოს, თავისუფალ საათებში, სამკითხველოში (მაშინ ასე ეძახდნენ) გადავიდოდა და მეც თან გამიყოლებდა. ამ დროს სამკითხველოს პატარა ოთახი ყოველთვის ხალხით იყო სავსე. მახსოვს, მსმენელებს, მათ შორის – მამაჩემსაც, ძალიან უყვარდათ დანიელ ჭონჭაძის “სურამის ციხე“ და ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები, რის გამოც ხშირად ითხოვდნენ, გიორგი (ჟორა) გოგავას განმეორებით წაეკითხა რომელიმე ადგილი ამ ნაწარმოებებიდან. ის კითხულობდა და კითხულობდა ძალიან შთამბეჭდავად, მხატვრული გამომსახველობით, რაც დიდ ემოციებს და გამოძახილს იწვევდა მსმენელებს შორის.

არ არის ცნობილი, ამ ნაწარმოებების წაკითხვის ზეგავლენით იყო, თუ ნაწარმოების გმირთა სიმართლით ასახული თავგადასავლით, ხალხმა ისე შეიყვარა ეგნატე ნინოშვილი, რომ შემდეგში, როცა ქუჩის სახელწოდების შეცვლის საკითხი დადგა, ადგილობრივებმა ერთხმად მოითხოვეს ქუჩისთვის მისი სახელის მიკუთვნება (1926 წ.).“

@

თავად გიორგი გოგავა ასე იგონებს ბიბლიოთეკაში თავის მუშაობას: “ახლანდელთან შედარებით მაშინდელი ჩვენი ბიბლიოთეკა ძალიან პრიმიტიულად და ლარიბულად გამოიყურებოდა; მთელი წიგნადი ფონდი მაშინ ერთ მოზრდილ კარადაში იყო მოქცეული. მაგიდა და სკამებიც არ გვქონდა საკმარისი, ბევრი ახლო მცხოვრები საკუთარი სკამით მოდიოდა ხმამაღალი კითხვის მოსასმენად. მაშინ წერა-კითხვა მარტო სკოლაში მოსიარულე უმაწვილებმა იცოდნენ, ამიტომ ხმამაღალი კითხვისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო. მომსვლელებს ყველაფერი აინტერესებდათ – რა კეთდება ახალი, რა ცვლილებებია მოსალოდნელი ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რა ხდება საზღვარგარეთ და სხვა... ჩემთან ერთად საბიბლიოთეკო საბჭოს წევრებიც უკითხავდნენ მხატვრულ ლიტერატურას ადგილობრივ მოსახლეობას. რაც შეეხება შინ წიგნის გაცემას, ამისთვის ძირითადად მოსწავლეები მოდიოდნენ; წიგნებს ორი, სამი დღით ვაძლევდით, აღრიცხვა არ გვიწარმოებია (უბრალოდ ვინიშნავდით), არ გვქონდა სამაგისო ცოდნა და გამოცდილება; მაგრამ კარგად მახსოვს, ბინაზე წიგნის მკითხველთა რიცხვი ძალიან მცირე იყო, დაახლოებით 5-6 წიგნი დღეში. ამის მიზეზი კი წერა-კითხვის უცოდინრობასთან ერთად ისიც იყო, რომ ქალები და მოსწავლე გოგონები ბიბლიოთეკას ჯერ კიდევ შორიდან და მორიდებით უვლიდნენ გვერდს“.

გიორგი გოგავას მოგონებას ერთგვარად ავსებს საბიბლიოთეკო საბჭოს მაშინდელი მდივანი თამარ წითლიძე-მალლაკელიძისა. აი, რას ამბობს იგი: “ბიბლიოთეკის საქმის წარმატება და მასთან ხალხის კავშირი

მოსვენებას უკარგავდა დუქნების მეპატრონეებს, რომლებიც ფარულ აგიტაციას ეწეოდნენ ჩვენს საწინააღმდეგოდ და ცდილობდნენ, სახელი გაეტეხათ ბიბლიოთეკისთვის. ჩვენამდე მოდიოდა ამბავი, თუ როგორ აქეზებდნენ ისინი უბნის მცხოვრებლებს, არ გამოეშვათ შვილები ბიბლიოთეკაში: “ქალიშვილებს შევირცხვენენ და მერე ვეღარ გაათხოვებთო”, – ეუბნებოდნენ ქალიშვილების მშობლებს. ბუნებრივია, ასეთი საუბრები აფრთხობდათ მათ და შვილებს ბიბლიოთეკასთან სიახლოვეს უშლიდნენ. ამის გამო ბიბლიოთეკარ გიორგი გოგავას მორიგეობით ცვლიდა მიხეილ მალლაკელიძის და – მარიამ მალლაკელიძე. გვინდოდა, ჩვენი მაგალითით დაგვერწმუნებინა მცხოვრებლები, რომ არა თუ ბიბლიოთეკაში სიარული, არამედ იქ მუშაობაც კი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა ქალისათვის“.

ბიბლიოთეკაში გაჩნდა ქალთა აქტივი: მარიამ ხინგავა, ტატიანა კუხიანიძე, რებეკა ხაბურზანია, თამარ რუხაძე, ელიკო ცაგარელი და სხვები, რომელთა მოსვლის შემდეგ ბიბლიოთეკის მუშაობა კიდევ უფრო საინტერესო გახდა. ბიბლიოთეკა ფეხს იკიდებდა უბანში და მისი ავტორიტეტი და გავლენა ხალხის თვალში თანდათან იზრდებოდა. ქალები და ქალიშვილები ახლა უკვე აღარ უფრთხოდნენ ბიბლიოთეკაში მოსვლას და მკითხველთა რიცხვმა თვალსაჩინოდ მოიმატა.

ცალკე საუბრის თემაა “საბიბლიოთეკო საბჭო“, რომელსაც იმდენივე წლის ისტორია აქვს, რამდენიც თვით აღნიშნულ ბიბლიოთეკას. საბჭო ბიბლიოთეკის მუშაობის წამყვან ძალას და ხალხთან დაახლოების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა, ვინაიდან ბიბლიოთეკა ერთადერთი კულტურული დაწესებულება იყო უბანში. ცხადია, საბჭო ვერ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ საბიბლიოთეკო საქმიანობით (წიგნების პროპაგანდითა და სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით), ის აქტიურად ერეოდა მოსახლეობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარების საქმეში, საბჭო ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი იყო ხალხსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის; მისი რიცხოვრივი შემადგენლობა 9 წევრიდან 15 წევრამდე გაიზარდა, ასევე მოდერნიზაცია განიცადა საქმიანობის ფორმებშიც.

საბიბლიოთეკო საბჭოს საქმიანობასთანაა დაკავშირებული პირველი რადიოს გამოჩენა უბანში. “ხმამალა მოლაპარაკეს“, რომელიც საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მალლაკელიძემ საკუთარი ხელით მიამაგრა ბიბლიოთეკის ოთახზე (ქუჩის მხრიდან), უამრავი ცნობისმოყვარე მოაწყდა, უკვირდით, ასეთ პატარა ყუთში ადამიანი როგორ ეტეოდა.

ბიბლიოთეკის ამ პერიოდის მუშაობაზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის საბიბლიოთეკო საბჭოს წევრი გიორგი აბდალაძე:

“ბიბლიოთეკა მუშაობდა დასვენების დღის გარეშე, დილის 11 საათიდან 2 საათამდე და 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ხშირად, მომსვლელთა რიცხვის გამო, გვიან ღამემდეც გვიხდებოდა ბიბლიოთეკაში ყოფნა. როცა ყველა მკითხველი ოთახიდან გაიკრიფებოდა, ბიბლიოთეკას დაეასუფთავებდით, მივალავებდით და დაღლილ-დაქანცული, მაგრამ

კმაყოფილები ვბრუნდებოდით ოჯახებში. ჩვენ გვახალისებდა და ენერგიას გვმატებდა დაწყებული საქმის წარმოება, ხალხის მხარდაჭერა და ინტერესი მისადმი“.

ერთი წლის მერე ბიბლიოთეკის ფონდი 800 ცალამდე წიგნს ფლობდა, ძირითადად, მხატვრულ ლიტერატურას; ბინაზე სარგებლობდა უკვე 60-70 მკითხველი, ყოველდღიური გაცემაც 10-12 წიგნამდე გაიზარდა.

პირველი საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა მესხეთის ქუჩაზე ყურადღების გარეშე როდი დარჩა. 1926 წლის ზაფხულში განსახკომმა გამოგზავნა წარმომადგენელი ბიბლიოთეკის ადგილზე დასათვალიერებლად. მან გამოყოფილი ბინა დაიწუნა და აპირებდა უარის თქმას მის მიღებაზე, თუმცა საბიბლიოთეკო საბჭომ აქაც იმარჯვა და მოითხოვა, ახალი შენობის გამოძებნამდე დაეტოვებინათ ბიბლიოთეკა ძველ ბინაში, ამავე დროს აეყვანათ სახელმწიფო აღრიცხვაზე. მართლაც, 1926 წლის შემოდგომაზე ბიბლიოთეკა ოფიციალურად აიყვანეს სახელმწიფო აღრიცხვაზე. ამის დამადასტურებელი საბუთი ქალაქის არქივში არ მოიძებნა, თუმცა ეს რომ ნამდვილად ასეა, დასტურდება ბიბლიოთეკის საბჭოს თავმჯდომარის, მიხეილ მაღლაკელიძის პირად არქივში შემონახული ერთი დოკუმენტით – №2276, რომელიც დათარიღებულია 1927 წლის 21 თებერვლით და გამოგზავნილია მიხეილ მაღლაკელიძის სახელზე. მასში საუბარია “ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკაში” ჩასატარებელ ღონისძიებაზე, რაც ამყარებს საბჭოს წევრების მოგონებებს ბიბლიოთეკის სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე.

ბიბლიოთეკის დაარსების დღიდანვე დაინიშნა ერთი ხელფასიანი მუშაკი და გიორგი გოგავა ჩაანაცვლა მარიამ მაღლაკელიძემ.

სახელმწიფო ბიუჯეტზე აყვანამ (თანხა უცნობია) მკითხველებთან ბიბლიოთეკის მუშაობას უფრო ორგანიზებული ხასიათი მისცა. გაჩნდა ინვენტარის წიგნი, მკითხველის ფორმულარი; შეიქმნა და დამტკიცდა წლიური სამუშაო გეგმა, წიგნადი ფონდი 1000-მდე გაიზარდა, ხოლო მკითხველთა რაოდენობა – 150 ადამიანამდე. ძირითადად ახალგაზრდები მოდიოდნენ შორეული უბნებიდანაც.

1929 წელს ბიბლიოთეკა, გიორგი აბდალაძის მოგონებით, გადასულა ს/სამეურნეო არტელ “მეზოსტნეობის” დაქვემდებარებაში. რა გამართლება ჰქონდა ამ ნაბიჯს, ან რა ბიუჯეტით სარგებლობდა ბიბლიოთეკა იმ ხანებში, ოფიციალურად ცნობილი არ არის, ერთი რამ კი ცხადია, არტელი თავად ახალი ორგანიზაცია იყო და ბიბლიოთეკას ჯეროვან დახმარებას ვერ გაუწევდა. ამიტომ 1930-31 წლებში ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს ბევრი არაფერი შემატებია. გამგე მარიამ მაღლაკელიძის თქმით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დაახლოებით 1400 ცალს არ აღემატებოდა, ბინაზე წასაკითხად მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობა სარგებლობდა. მათი რიცხვი, ჯამში, 180 ადამიანამდე აღწევდა; კვლავ პოპულარული იყო ხმამაღალი კითხვა-საუბრების ჩატარება ხანშიშესულ ადამიანებთან; 1932 წლისთვის მკითხველთა რაოდენობა 300-ზე მეტს აღწევდა, ამ დროისათვის ბინაზე იცემოდა 40 წიგნამდე.

1933 წელს ბიბლიოთეკამ გამოიცვალა ადგილსამყოფელი და გადავიდა მახლობლად მდებარე, ლიკვიდირებული დუქნის შენობაში, სადაც გაუქმებამდე ფუნქციონირებდა.

ერთოთახიანი (40-45 კვ.მეტრი) ბინის იატაკი და კედლები სრულად დალაქავებული იყო. ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიბლიოთეკის აქტივის დახმარებით შენობას გაუკეთდა რემონტი და ბიბლიოთეკას მიეცა შედარებით უკეთესი პირობები მუშაობისათვის, ინვენტარი ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი ღონისძიებებისათვის.

1935 წელს ბიბლიოთეკამ მიიღო მეორე, გვერდითი ოთახიც (16 კვ.მეტრი), სადაც წინათ ღვინის დუქანი იყო განთავსებული. ახლად მიღებული ოთახი გადაკეთდა წიგნსაცავად. ამ დროისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 2000 ცალს აღწევდა, თუმცა ისინი არ იყო საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული, წიგნები ჯერ შინაარსის და შემდეგ ანბანის რიგზე იყო განლაგებული. საყურადღებოა, რომ იმ პერიოდში საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, ბ-ნ კოსტა თავბერიძეს ბიბლიოთეკისთვის რამდენიმე ათეული წიგნი უფასოდ გადაუცია და რჩევა-დარიგებასაც არ აკლებდა ენთუზიაზმით მომუშავე ბიბლიოთეკის აქტივს.

1935 წელს შეიცვალა ბიბლიოთეკის გამგე (შალვა ბილისეიშვილი), საბიბლიოთეკო აქტივიც ახალი წევრებით შეივსო, მათ შორის იყვნენ: გრიგოლ მიშველაძე, ეთერ ლორთქიფანიძე, ანა ტოგონიძე, მიხეილ რუსაძე, ალ. გიორგაძე, გიორგი ნასარიძე და სხვები. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში უბნის მცხოვრებლებმა პირველად ნახეს კინოფილმი “არსენა“.

საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა შალვა ლამბაშიძემ 1939 წელს საკუთარი ხარჯებით ბიბლიოთეკას რადიომიმღები და ასობით წიგნი უსახსოვრა. ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უკვე 4000-ს აღწევდა, ბიბლიოთეკის ბიუჯეტი კი 3000 მანეთს შეადგენდა. 1940 წელს ბიბლიოთეკას დაემატა ბიბლიოთეკარის შტატი და ბიბლიოთეკარად დაინიშნა ნინო ქუშუტოლი, რომელიც იმავე წელს ჩანაცვლა უბნის მცხოვრებმა გუგული ფაჩუაშვილმა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მწირად ივსებოდა ბიბლიოთეკის ფონდი, იყო დანაკარგიც. 1946 წელს წიგნების რაოდენობა 4500-მდე გაიზარდა, ამავე წელს ბიბლიოთეკა გადავიდა კულტურის განყოფილების დაქვემდებარებაში. ბიუჯეტიც საკმაოდ სოლიდური გამოეყო (12000 მანეთი), ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ინიციატივით (ხელმძღვანელი ალ. გაჩეჩილაძე) ბიბლიოთეკას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი: გამოიცვალა იატაკის საფარი, ჰერი, კარ-ფანჯრები, ხის მინებიანი კედელი შეიცვალა აგურით; 1950-1955 წლებში წიგნადი ფონდი 14 471 ეგზემპლარს აღწევდა.

1967 წლისათვის ბიბლიოთეკის არსებული ფართობი 45 კვადრატული მეტრით გადიდდა, სადაც განათავსეს წიგნსაცავი. ცალკე სივრცე გამოიყო ჟურნალ-გაზეთებისთვის.

ბიბლიოთეკის ფონდი გაუქმებამდე 30 000 ეგზემპლარს ითვლიდა.

2011 წლის 3 მარტს, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარე ოპტიმიზაციის, რეორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად

№3 ბიბლიოთეკამ არსებობა შეწყვიტა.

ქალბატონმა ვენერა ძოწენიძემ სტუმრად მისულ ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებს საპატიო ქუთაისელის წოდების მიღებაზე უარი განუცხადა: “ბიბლიოთეკა, რომლის გამოც ჯილდო ვაღიარებ, გაუქმებულია და, შესაბამისად, ეს პატივი არ დამიმსახურებიაო“. მან, ჯილდოს მიღების სანაცვლოდ, ქალაქის მესვეურებს ჩამოართვა პირობა, ბიბლიოთეკის შენობა, გარდა კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისა, სხვა ფორმით არ გასხვისდებოდა. ეს ნაწილობრივ შეუსრულეს კიდევც... ყოფილი ბიბლიოთეკის კედლებში ამჟამად ფუნქციონირებს ცნობილი ქუთაისელი მხატვრის გურამ გაგომიძის სახელობის არტ-სალონი.

damowmebuli wyaroebi

ჟურნ. **"ganTiadi"**, 1982 – ჟურნალი “განთიადი“, №3, 1982.

ჟურნ. **"sabWoTa xelovneba"**, 1971 – ჟურნალი “საბჭოთა ხელოვნება“, №11, 1971.

გაზ. **"quTaisi"**, 1971 – გაზეთი “ქუთაისი“, 3 ივლისი, 1971.

გაზ. **"quTaisi"**, 1971 – გაზეთი “ქუთაისი“, 6 ოქტომბერი, 1971.

გაზ. **"quTaisi"**, 1971 – გაზეთი “ქუთაისი“, 18 ნოემბერი, 1971.

გაზ. **"quTaisi"**, 1979 – გაზეთი “ქუთაისი“, 28 ივლისი, 1979.

გაზ. **"quTaisi"**, 1980 – გაზეთი “ქუთაისი“, 30 ოქტომბერი, 1980.

გაზ. **"quTaisi"**, 1982 – გაზეთი “ქუთაისი“, 3 ნოემბერი, 1982.

გაზ. **"quTaisi"**, 1983 – გაზეთი “ქუთაისი“, 23 აგვისტო, 1983.

გაზ. **"quTaisi"**, 1985 – გაზეთი “ქუთაისი“, 23 ნოემბერი, 1985.

EKATERINE BARABADZE**ABOUT ESTABLISHING THE #3 CITY LIBRARY**

Series “Bring the life of the library back into being” aims to re-introduce the libraries and librarians, which no longer exist at present but once were actively involved in the public life of the modern society.

Researching the history of #3 city Library turned out to be quite difficult, the only document which survived until our time is the budget expenses kept in the archives dated back to 1938. That’s why the history of the library stands on the empiric data collected among the participants of the events of that time.

The demand of the local community to have the basic space for better education encountered certain obstacles. By that time very tiny part of the community was able to read and write and the librarians had to conduct verbal reading and speaking sessions in order to fulfill the interests of large numbers of the library users.

The endeavor of the district youths was so powerful to establish the cultural center, that the member of the library board Mikheil Maglakelidze gave the flat in the building from his own yard. In 1924 the first public library was opened in the Meskheti district.

Giorgi Gogava was the first public librarian who served the community diligently and affectionately for two years (1924-1926) with no salary.

In 1926 the library was officially registered. Right from that date, the librarian got the official salary and Giorgi Gogava was replaced by Mariam Maglakelidze.

In 1933 the library changed its address and moved into the building of the annulated shop where it functioned till the time of its abolishment. The flat initially contained one room (40-45 m²) and it was the former dye-works studio. With the help of the local authorities and library activists, the building was decorated and the library now had relatively better conditions for work.

In 1936 the library received the next room (16 m²) the newly received room was turned into the book-stack space. In 1940 the library got a new place for the staff; during World War II the library fund was poorly filled it also faced loss. In 1946 the number of books reaches 4500, in the same year, the library became governed by the culture department.

On March 3, 2011, due to the optimization, reorganization and structural changes the library #3 was abolished on the basis of the statement N16/4. The book funds of the library contained 30000 copies by the time of abolishment.

ნომადი ბართაია

**ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული
სპარსულენოვანი ხელნაწერი პოეტური
კრებულის შესახებ**

მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ირანული მრავალმხრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქართველოში დიდი რაოდენობით არის დაცული სპარსული ხელნაწერები. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო XV-XIX საუკუნეებია. თუმცა არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ეს ჩარჩო უფრო ფართო არ ყოფილიყო და საქართველოში არ არსებულებოდა ადრეული ხანის სპარსული ხელნაწერებიც.

ცნობილია, რომ თემურლენგმა საქართველოდან უამრავი ხელნაწერი გაზიდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მისი ინტერესების სფეროში სპარსულენოვანი ხელნაწერები შევიდოდა. ლოგიკურია, რომ მბრძანებელი საქართველოდან კულტურულ ნადავლს თავის ქვეყანაში გადასაყრელად არ წაიღებდა და მათ საიმედო ბინას მიუჩენდა.

მიუხედავად ქართული მხარის მცდელობისა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა მათი კვალის მიგნება. არას ვამბობთ ქართულ-ირანულ ურთიერთობათა ამსახველ იმ ხელნაწერებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით ინახება ირანის საცავებში და რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოში არსებულისა.

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქუთაისის ისტორიულ სახელმწიფო მუზეუმში დაცულმა ლირიკული ლექსების სპარსულმა ხელნაწერმა კრებულმა, რომლის ზოგადი აღწერილობა ასეთია:

K – 699 – სპარსული ლირიკული ლექსების კრებული, მინიატურებით (ქუთაისის მუზეუმი, K - 699).

მასალა – ქაღალდი ოქროთი მოვარაყებული.

ყდა – შავი ფერის ტყავი.

ზომა – 7 X 14 სმ.

გვერდების რაოდენობა – 147 ფ.

დაცულობა – დაუზიანებელი.

დათარიღება – სავარაუდოდ XIX ს.

შეუფასებელია – გარკვეული რაოდენობა გვერდებისა.

წარმომდგენია – ჰუსეინ ზადე, ჰიჯრით 1320 წელს (1942 წ.).

გადაწერილია ლამაზი კალიგრაფიული ხელით – შექასთე-ნასთალიკით. კრებულში შეტანილია მსოფლიოში სახელგანთქმულ ირანულ ლირიკოსთა: საადის, ჰაფეზის და სხვათა ლექსები.

ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში ამ სახის ხელნაწერებთან მიმართებით.

ამ მიზნით ჩვენ გავეცანით საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ

ცენტრში არსებულ მასალებს, სადაც მათი რაოდენობა არის 28, რომელთაგან 26 არის ცალკეულ ავტორთა ლირიკული დივანი, ხოლო ორი – სხვადასხვა ავტორთა ლირიკული ლექსების კრებული. ცალკეული სპარსელი კლასიკოსებიდან 8 ეკუთვნის ჰაფეზ შირაზელს, 5 – აბდ ორ-რაჰმან ჯამის, 3 – საიებ თავრიზელს, 2 – ბიდელს, 2 – ამლას. დანარჩენი თითო ცალი: საადი შირაზელს, ჯელალ ედ-დინ რუმის, ჯეილანის, შეიდას, ესთერაბადის, ნასერ ალის. ხოლო ორი, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ავტორთა ლექსების კრებულია.

აღნიშნული ხელნაწერებიდან ოქროთი მოვარაყებულია მხოლოდ ორი – ბიდელისა და აბდ ორ-რაჰმან ჯამის დივანები, რომლებსაც ამ მხრივ ემატება ქუთაისში დაცული ჩვენთვის საინტერესო სპარსული ხელნაწერი.

ისლამურ სამყაროში დიდი ყურადღება ექცევა კალიგრაფიულ წერას, რომელმაც განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა სპარსულ მწერლობაში. სწრაფი წერის მოთხოვნილებამ სათავე დაუდო სხვადასხვა კალიგრაფიული ხელის წარმოშობას, რომელთა შორის ყველაზე საპატიო ადგილს იკავებს ნასთალიკი თავისი ნაირსახეობებით და რომელსაც ისლამური სამყაროს კალიგრაფიის პატარძალს უწოდებენ. სწორედ ამ კალიგრაფიული ხელით არის გადაწერილი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული სპარსული ლირიკული ლექსების კრებულიც.

ცნობილია, რომ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი XII საუკუნიდან იღებს სათავეს და მოდის XIX საუკუნემდე. ირანულიდან ქართულში შემოსული მხატვრული ძეგლებიდან მხოლოდ ეპიკური ჟანრის ნაწარმოებებია ჩვენამდე მოღწეული, რამაც დაამკვიდრა აზრი, რომ ჩვენი წინაპრები მხოლოდ ამ ჟანრისადმი იჩენდნენ ყურადღებას და არა – ლირიკულისადმი. ამ დროს კი საქართველოში სამ ათეულამდე სპარსულენოვანი ლირიკული კრებულის არსებობა, ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციული შეხედულების გადახედვას გვკარნახობს.

საყურადღებოა ერთი მომენტიც: ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერები XVII-XIX საუკუნეებს მიეკუთვნება, როცა მეტად მჭიდრო და მრავალფეროვანი იყო ქართულ-ირანული ურთიერთობანი. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ დროს გაჩენილიყო საქართველოში მეტი ინტერესი სპარსული ლირიკისადმი.

საქართველოში არსებული სპარსულენოვანი ხელნაწერები ყურადღებას იპყრობენ სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, რომელთაგან ყველაზე უფრო ირანულ შაჰთა ფირმანები და სხვა დოკუმენტებია გამოკვლეული, რასაც ვერ ვიტყვით ლირიკულ კრებულებთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთ-ერთი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

ამგვარად, საქართველოში არსებული 29 სპარსული ლირიკული ლექსების ხელნაწერი კრებულიდან 26 ცალკეულ ავტორთა დივანია, ხოლო სამი წარმოადგენს სხვადასხვა ავტორთა ლექსების კრებულს. ქუთაისური ხელნაწერიც სწორედ იმ სამეულში შედის. ასევე შედის იგი იმ სამეულში, რომელთა ფურცლებიც ოქროთია მოვარაყებული.

ჩვენთვის საინტერესო კრებული უთუოდ ერთ-ერთი ღირებული დოკუმენტია, ამსახველი მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობებისა. იგი არაერთი კუთხით იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას.



სპარსული ხელნაწერი კრებულის პირველი გვერდი.

damowmebuli literatura

qsim, R-699 - quTaisis saxelmwifo istoriuli muzeumi, sparsuli xelnaweri K-699.

m. mamacaSvili, 1977 - k. kekeliZis saxelobis xelnawerTa institutis sparsul xelnawerTa katalogi: **AC** koleqcia, Semdgeneli maia mamacaSvili, saq. sss mecnierebaTa akademia, k. kekeliZis saxelobis xelnawerTa instituti, mecniereba, Tb., 1977.

NOMADI BARTAIA

PERSIAN POETRY MANUSCRIPT PRESERVED AT KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

The subject matter of the article is the collections of Persian manuscript poems in Georgia and the review of the only collection of Persian lyrics preserved in the Kutaisi Museum, containing poems by Hafez, Saad, and others.

The number of pages of the manuscript is 147 sheets, size - 7X14, material - gold-plated paper, cover - black leather, represented by Hussein Zade in 1929, copied by one of Nastalik's beautiful calligraphy.

The Persian-language manuscripts in Georgia are striking in their abundance and diversity, most of them are Iranian Shahat firms and other documents, which are preserved and researched. But we cannot say the same about lyrical collections which seem very interesting for scholars in many ways, including the one kept in Kutaisi.

From the 29 manuscript collections of Georgian lyric poems available in Georgia, 26 are works of individual authors, and three represent collections of poems by various authors.

The Kutaisi manuscript is among the top three collections. It is also included in the top three works with gold plated sheets.

The collection of interest to us is undoubtedly one of the valuable documents reflecting centuries-old Georgian-Iranian cultural relations that, in many respects, are the subject of interest to scholars.

თამარ გოგოლაძე

მამია ბურიელი და მისი ღრო

რთულია და უამრავი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენით დატვირთული XIX საუკუნის 30-90-იანი წლები. 1832 წლის შეთქმულების მარცხი, 1841 წლის ჯანყი გურიასა და 1856-1857 წლებში სამეგრელოში, რუსეთ-თურქეთის ომი, შამილთან ბრძოლა თუ ბატონყმობის გადავარდნა, “მამათა“ და “შვილთა“ ლიტერატურული პაექრობა, ევროპული ლიტერატურის შემოდინება თარგმანების სახით საქართველოში, რუსული ლიტერატურულ-სოციალური იდეების გავლენა, ბრძოლა ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, რომელიც ხალხის სამსახურში უნდა იდგეს მარადჯამს, – ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, სევდა გურიელის უფლებდაკარგულ, მხოლოდ სამხედრო სამსახურს დაქვემდებარებულ ყოფაში პოეტ მამია გურიელს (1836-1891) უფრო რომანტიზმისაკენ უბიძგებს, ვიდრე რეალიზმისაკენ, მით უფრო – კრიტიკული რეალიზმისაკენ. ეპოქის შვილია წარმომავლობით გურიის სამთავროს მფლობელის შთამომავალი მამია, იმ ეპოქისა, როდესაც მის გვერდით მოღვაწეობენ ნათესავი და მოპაექრე, დიდი პოეტი აკაკი წერეთელი (ქართველი ხალხის უკვდავ გენიად წოდებული), მწერალი და თანამედროვეობის დიდი მოღვაწე, კრიტიკოსი ნიკო ნიკოლაძე, თერგდალეულთა ბანაკის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი წარმომადგენელი კირილე ლორთქიფანიძე, პუბლიცისტი, საქართველოსა და ქუთაისის კულტურული ცხოვრების მესაძირკვე. ასეთ დროს და ასეთ გარემოში გამორჩეულობა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ნიჭისა და შემოქმედების ორიგინალობის თვალსაზრისით. ამიტომ იყო, რომ მამია გურიელმა სცადა თავისი პოეტური ხმა მაინც მიეწვდინა ქართველი მსმენელისა თუ მკითხველისათვის. როგორც ზურაბ კუხიანიძე შენიშნავს, “მამია გურიელის ლექსები თაობიდან თაობაში გადადის და ურიგო არ იქნება, ხანდახან სულს თუ შეეუბერავთ მის ხსოვნის ქონგურებზე მკრთალად დაფენილ ფერფლს და ახალი ელვარებით გამოვაჩენთ ამ ნიჭიერი და ახლობელი პოეტის სტრიქონებს“ (მ. გურიელი, 1978: 7).

„ქუთაისი.

წითელი ხიდი.

ცაცხვების ქუჩის აღმართი.

წმიდა გიორგის საკრებულო ტაძარი.

ძელქვებით, ცაცხვებით დაჩრდილული ტაძრის ეზოში განისვენებს ცნობილი მამია გურიელი (ფაზელი).

პოეტის საფლავი იქაა, “სადაც გრგვინვა ფაზის, მარადის მწერალის, უღუღუნებდა ხმას საამურს“.

„მამია გურიელის ლიტერატურული ფსევდონიმი ფაზელი იყო. ფაზელი მან ქუთაისისა და რიონის სიყვარულით აირჩია“ (ქართული პოეზია, 1978: 5).

თავად მამია გურიელის პიროვნება ტოვებს შთაბეჭდილებას ადამიანისა, რომელსაც, გარეგნულად კეთილად შექმულს, ღრმა სევდის კვალი დასჩნევია, სევდა საზოგადო, დაკარგულ წარსულ საქართველოზე, სევდა პირადი მარტოობის, უსასოობის გამო.

თავისი ძმის, ჯაბასადმი გაგზავნილ წერილში აშკარად მოჩანს პოეტის უნუგეშო მდგომარეობა: “როცა ვფიქრობ, რომ ვარ მარტოდ-მარტო ამ სოფელში, შეუპოვარი უსიამოვნებისა და გარემოებისა ცივი, ამპარტავანი, უშიშარი და უკანასკნელ გამბედავი თავხედობამდის, მხოლოდ გაუცნობიერებელი, უამხანაგო, უმეგობრო...” (წერილი უთარილოა და იბეჭდება მხოლოდ ი. მეუნარგიას წინასიტყვაობიდან). ეს მარტოობა ბადებს თავის თავში ჩაღრმავება-ჩაძირვის სურვილსაც, ღვინით სევდის ჩანშობის სურვილსაც, მაგრამ მთავარი მაინც რჩება პოეზია, დეკლამაცია. არაიშვიათად თარგმანიც, ოღონდ ქართველის ბედისწერისადმი მისადაგების პრინციპით...

მამია გურიელი ახლადგახნილი ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეა 1851-1853 წლებში, სამხედრო პირიც, მოსიყვარულე მამა, მაგრამ შვილის სიკვდილით გულმოკლულიც.

მას ერთგვარი გამოხდომა, თავზე ხელის აღებაც შეეძლო თავხედური შეურაცხყოფის წილად. ამის ნიმუშია მისი ცოლის თაყვანისმცემლის, თფილისის ოლქის სასამართლოს წევრის იუფეროვის გალახვა, რომელი საქმის ფაქტიურად ანალიზს იძლევა ნიკო ნიკოლაძე გაზეთ “დროების“ ფურცლებზე (1870, V, 2, №17. 3. VII, №26) გამოქვეყნებულ წერილში “მამია გურიელის საქმე“.

აღწერს რა საქმის ვითარებას, ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს მამია გურიელის სიტყვაც: “მე გავლახე იუფეროვი, იმიტომ რომ ის ოჯახში შემომიხტა და გამაუპატიურა. ოჯახი კაცს ყველაზე უძვირფასესათ უნდა მიაჩნდეს, მის დასაცველად ის თავს არ უნდა იზოგავდეს. მე ჩემი ღირსება დავიცე; იმედი მაქვს, რომ თქვენ, ჩემი გამტყუნებით და დასჯით გულს არ გაუმაგრებთ იმ მაწანწალებს (შარლატანებს), რომელნიც ქუჩა-ქუჩა დაეთრევიან და სხვის ღირსებას და ოჯახს აუპატიურებენ“ (ნ. ნიკოლაძე, 1960: 59).

მოგვიანებით, 1871 წელს “დროებაში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ წერილში (1871, IX, 3, №39) ნ. ნიკოლაძე კვლავ ეხება მამია გურიელის საქმეს კასსაციის სენატის გადაწყვეტილებით იმის ხელ-ახალ გასამართლებლად დაბრუნების გამო. აქ ნ. ნიკოლაძე ცდილობს პირუთვნელი იყოს ამბის გადმოცემისას, მაგრამ მაინც გაიელვებს ალაგ-ალაგ თანაგრძნობა შეურაცხყოფილი გურიელის მიმართ.

ოჯახურმა ტრაგედიამ შეიწირა მ. გურიელის პირადი ბედნიერება და ბოლოს იქნებ ერთდაერთი შვილის, კახაბერის, სიცოცხლაც...

სწორედ ამიტომ და იქნებ ამიტომაც იბადება მ. გურიელის ლექსები ადამიანის დანიშნულებაზე:

“ეგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდი,
მოგიკლა გული, გყო სევდიანი?
ნუ დაეცემი, დასდევ, გამაგრდი,
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!”

(მ. გურიელი, 1978: 11).

“ამ მდგომარეობაში მყოფი მამია ხანდახან გამოფხიზლდებოდა, გამოცოცხლდებოდა ხოლმე; მისი ნიჭი ამ მომენტებში ნაკვესებს ჰფანტავდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მამია თავისი ლექსების მოხდენილი კითხვით მსმენელთ იპყრობდა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით“ (მ. ზანდუკელი, 1972: 367).

მ. ზანდუკელს აქვე მოჰყავს იონა მეუნარგიას მოგონებიდან ნაწყვეტი ხარაზოვის თეატრში “ჩემი ალავერდის“ წაკითხვის გამო. გ. ლასხიშვილიც ასევე იხსენებს მის დეკლამაციას: “მე მამიას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ქუთაისის გიმნაზიელებს ის ხშირად გვყავდა ნანახი და ძალიანაც გვიყვარდა, მისი ზოგი პატრიოტული ლექსი ზეპირად ვიცოდით, განსაკუთრებით აღტაცებაში მოგყავდით მის სცენიდან დეკლამაციას. ახლაც თვალწინ მიდგას მამია სცენაზე. პენსზე ქვეით ჩამოწეული, მამია ზევიდან გამოიყურება და თავისებურის ხელების ქნევით, მომხიბლავი კილოთი წარმოთქვამს“ (გ. ლასხიშვილი, 1934:67).

სწორედ ამ დეკლამაციას ლერმონტოვის “დემონის“ თარგმანის წაკითხვისას ეხება აკაკი წერეთელი ერთ თავის იუმორისტულ წერილში “ქუთაისი“, სადაც ერთგვარად სატირულად აღწერს ანონიმური პირი დეკლამაციის მანერას, რომელსაც სხვებზედაც მოუხდენია გავლენა. თუმცა ეს კინკლაობა აკაკი წერეთლისა თავისი ნათესავისა და პოეტისადმი არ ნიშნავდა მ. გურიელის უარყოფას. ლევან ასათიანის ცნობით, აკაკის მიუძღვნია კიდევაც ლექსი მამია გურიელისადმი:

“იგი გრძნობით შენია,

შენია და შენია,

ის გაშლილი ვარდია,

ერთგული და შენია“ (ლ. ასათიანი, 1961: 195).

მამია გურიელის შემოქმედებას მიუძღვნეს თავისი გამოკვლევები მიხეილ ზანდუკელმა, ნოდარ ალანიამ, მონოგრაფია გ. ჟღენტმა (“მამია გურიელი“, 1961) და სხვ.

ჩვენს წინამდებარე წერილში კი ვცადეთ ყურადღება გავვამახვილებინა იმ დეტალებზე, რომლებიც მ. გურიელს ახასიათებდა თავის ეპოქაში, თავის თანამედროვეებში, იმდროინდელ საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი და კირილე ლორთქიფანიძის დამოკიდებულება. სწორედ ქუთაისში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის არქივშია დაცული მამია გურიელის წერილები დედისადმი (ეკატერინესადმი), შვილისადმი (ხ.80, ხ.39, ხ.109, ხ.110, ხ.86 და სხვ.) და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1897 წელს ქუთაისის ამხანაგობისაგან გამოცემული მ. გურიელის ერთტომეულის ხელნაწერი, რომელიც მთლიანად გადაწერილია კირილეს ხელით შავი მეღვინით. თუმცა მ. გურიელის შემოქმედება ჩასწორებულია კირილეს ხელით, რაც,

მ. ზანდუკელის აზრით, გამოწვეული უნდა იყოს ზოგი ენობრივი სიწმინდის მიზნით, ზოგი რითმისათვის, ზოგიც შინაარსის გადამახვილებისათვის. ცენზორს კი მრავალი მათგანი მიუღია და ამის მიხედვითაც შეუსწორებია“ (მ. ზანდუკელი, 1972: 371).

კირილე ლორთქიფანიძემ სცადა ეს კრებული გამოეცა მამია გურიელის გარდაცვალებიდან 6 წლის შემდეგ, რასაც შემდგომში ეყრდნობიან კიდევაც ლიტერატურათმცოდნენი.

მამას თავის სიცოცხლეშივე უღიარებია კირილე თავის ხელნაწერების მემკვიდრედ და გამომცემლად, რის დასტურადაც გ. ჟღენტი იმოწმებს გრ. ხავთასის (“მამია გურიელის არქივიდან”) ინფორმაციას მისი ძმების (ჯამბაკურ, ვახტანგ, ტელემაკ, ვარდენ) მიერ ამიერკავკასიის საცენზურო კომიტეტის სახელზე გაკეთებული განცხადებიდან: “სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, განსვენებულმა პირადათ გადასცა თავად კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძეს მის საკუთრებასა და სრულ განკარგულებაში. ამიტომ თავადი ლორთქიფანიძის მიერ განსვენებული ძმის თხზულებათა გამოცემას ჩვენი მხრით არავითარი დაბრკოლება არ ეღობება“ (გ. ჟღენტი, 1961: 76). აქ მოჩანს მეგობრის, საზოგადო მოღვაწის, ქართული ლიტერატურის დიდი გულშემატკივარის დიდი წვლილიც.

ნიკო ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა ასეთი შეფასება მისცა მამია გურიელის შემოქმედებას: “Отличительная черта характера и направления кн. Мамии Гურიели-это смесь баиронизма с романтизмом“ (გ. ჟღენტი, 1961: 3).

სწორედ ამიტომ თარგმნის მ. გურიელი ბაირონის “გიაურს“.

თუმცა ეს მაინც ქართულ ნიადაგზე, ქართულ სატკივარზე გადმოტანილად წარმოადგინა მ. გურიელმა, როგორც თვითონ აღნიშნავდა: “ეს რამდენიმე ხანია იმისათვის ვთარგმნე მე, რომ რალაც მეტად ეწყობა ჩვენს მხარესა და ჩვენს ხალხსო“ (გ. ჟღენტი, 1961: 58).

მამია გურიელის პოეზია თავის დროზე აქლერებულია მუსიკაშიც. ამის მაგალითად გამოდგება მელიტონ ბალანჩივაძის რომანსი “ნუ შემებრალებ“:

“ნუ შემებრალებ, თუმცა დარდები,

ვით საფლავის ქვა გულზედა მაძევს;

ნუ შემებრალებ, თუმცა ვგიჟდები,

და იმედს ტკბილსა არავინ მაძლევს!

ნუ შემებრალებ, თუმცა, სიყრმიდან

ჯერ არ მინახავს მხიარულება,

მსმენია ტყვილი მეგობრებისგან,

სატრფიალოსგან მოტყუილება!

ნუ შემებრალებ, თუნდა წამართონ

ღირსება, ჩინი და ორდენები,

ნუ სწუხარ, სულიც რომ ამომართონ, —

მე კვლავ ერთგული შენი ვიქნები“.

აღნიშნული ლექსი კ. ლორთქიფანიძის კრებულშია შეტანილი (გვ. 87), ხოლო ინფორმაცია მისი მელიტონ ბალანჩივაძის მუსიკაზე

აქლერებისა დაცულია თამარ გიორგაძის წიგნში “ქართული მწერლობა და მუსიკა“ (2003).

მამია გურიელის გარდაცვალებას მწუხარებით შეხვდა საქართველო. მოსულა უამრავი დეპეშა სამძიმრისა, მათ შორის გორიდანაც: “...როდესაც ასეთი მძლავრი კაცები იხოცებიან, მათ სიკვდილი გულს არ ეჭვრება, გული მათ ვერ იმეტებს, რჩებიან ივინი ჩვენთან ამინ უკუნისამდე. ეს არის კიდევ უკვდავება კაცისა. ეს ჩვენი გული არის უკვდავი ძეგლი მამიასი და მისთანათა“ (გ. ჟღენტი, 1961: 91).

მამია გურიელის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ითხოვს ტექსტოლოგთა, ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღებას ერთი ეპოქის, ერთი დროის გამორჩეული პოეტისა და მის გარეშემყოფთა ურთიერთობის ამსახველი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

damowmebuli literatura

T. giorgaZe, 2003 _ T. giorgaZe, qarTuli mwerloba da musika, Tb., 2003.

m. gurieli, 1978 _ m. gurieli, leqsebi, quTaisi, 1982.

m. zandukeli, 1972 _ m. zandukeli, Txzulebani, t. I, Tb., 1972.

g. JRenti, 1961 _ g. JRenti, mamia gurieli, Tb., 1972.

n. nikolaZe, 2003 _ n. nikolaZe, Txzulebani, t. I, Tb., 1960.

qarTuli poezia, 1978 _ qarTuli poezia, t. 10, Tb., 1978.

TAMAR GOGOLADZE**MAMIA GURIELI AND HIS TIME**

Life and art of XIX century famous Georgian poet Mamia Gurieli (pseudonym Mamia Phazeli 1836-1891) is closely connected to Kutaisi. He was a poet and a translator. His translated works include the passages of “Giaour” by George Gordon Byron which was published in the Georgian press of that time. From the theme of his poetry, Mamia Phazeli tries to connect the fate of Georgia to the theme of English poem and translate it with his linguistic colors.

The first selection of Mamia Gurieli’s works was published by his friend, Kirile Lortkipanidze after the death of the poet in 1897. The work reviews the relations of Mamia Gurieli with the famous public persons Niko Nikoladze and Kirile Lortkipanide, also it depicts the socio-cultural background of Georgia at that time.

The death of Mamia Gurieli was conducted with grief in Georgia. Lots of letters of condolence were sent from the whole country including Gori: “ When such powerful people die, our hearts don’t believe in their death, the heart can’t yield them, they stay with us till eternity. It’s the immortality of a man. Our hearts are immortal monuments of Mamia and his kind of people.

Mamia Gurieli’s creative inheritance needs the attention of the textologs, literators, interms of studying the history of the relations of the outstanding poet of one epoch and his associates.

ოთარ გოგოლიშვილი

**ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან არსებული
მიწათმოქმედების განყოფილების როლი ბათუმის ოლქში
სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების საქმეში
(1878-1900 წლები)**

აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება 1879 წლის იანვარში ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის მიერ სახელმწიფო საზღვრებსა და მიწასთან დაკავშირებით გაცემული დოკუმენტი, სადაც საუბარია რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრების აღდგენის თაობაზე და ქობულეთის რაიონის სოფლების – ჩეხედანას, ნაცხავატევის და ქაქუთის მდებარეობის შესახებ. არსებული საბუთიდან ირკვევა, რომ ნაცხავატევი არასოდეს არ ყოფილა თურქეთის ბატონობის ქვეშ და გურია-აჭარის საზღვრებში იყო მოქცეული. ჩეხედანა ქრისტიანული სოფელი იყო, ნაცხავატევი კი – მუსლიმანური რელიგიის მატარებელი (აარსს, ფ. ი-8, აღწ. 1, საქმე 1, ფურც. 25-30).

1879 წლის 1 ივლისს ბათუმის ოლქის რუსეთთან შემოერთების შემდეგ პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარუდგინა მოხსენება ბათუმში მიწათსაკუთრების წესების მოწყობის შესახებ, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობის, რომლებიც მუჰაჯირებად წავიდნენ თურქეთსა და სხვა ქვეყნებში, მიწებზე საკუთრების უფლება-მოვალეობანი იზღუდებოდა. მოგვიანებით, 1880 წლის 11 ივლისს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ქუთაისში მოიწვია თათბირი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი (იმ დროს ბათუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში და უშუალოდ ემორჩილებოდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს – ო. გ.). თათბირზე განიხილეს როგორც ფრეიერის, ასევე ქუთაისელი მიწათმომწყობის პავლე სტეფანოვის გეგმა. უნდა ითქვას, რომ სტეფანოვი ამისთვის ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდა 1879 წლის ოქტომბერსა და 1880 წლის მარტში, შემდეგ მან სპეციალურად ბათუმისათვის შეადგინა ბათუმის ოლქის მიწათმოწყობის გეგმა. ეს გეგმა მოიწონეს და შეავსეს ფრეიერის გეგმიდან რაღაც მონაკვეთები და დასამტკიცებლად გაგზავნეს კავკასიის მთავარმმართველობაში (ქცა, ფ. 24, აღწ.1, საქმე 20, ფურც. 36).

ბათუმში მოქმედი მიწის საკუთრების რუსული კანონი შესაბამისობაში მოიყვანეს ჯერ კიდევ 1861 წელს რუსეთში მიწის რეფორმების დროს მიღებულ კანონთან.

ბათუმში 1878 წლის შემოერთებამდე მოქმედებდა მიწათსაკუთრების თურქული კანონი (ამ კანონს ეწოდებოდა მიწის კოდექსი “დასტურ“), რომელიც დიდ უპირატესობას ანიჭებდა რელიგიის მსახურთ. რუსეთი, მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული კანონის მიღებით ცდილობდა

ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის მსახურთა გავლენის დასუსტებას. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილის, გენერალ-მაიორ ნ. ერისთავისადმი ბათუმის ოლქის გუბერნატორის მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ ვინმე ისმაილ ალა ფაშაზადე, რომელიც იყო მოლა, ფლობდა ქალაქში დიდი რაოდენობით მიწებს, მაგრამ 1880 წლის დასაწყისში გადასახლდა რა ის თურქეთში და ითვლებოდა მუჰაჯირად, რუსეთის იმპერიის კანონების საფუძველზე დაკარგა ბათუმში მიწაზე საკუთრების უფლება. მესაკუთრის არსებული მიწა გადაეცა ბათუმის პოლიციის სამმართველოს (აარსს, ფ. ი-ნ, აღწ. 1, საქმე 590, ფურც. 89-91).

მიწაზე საკუთრების რუსული კანონი უპირატესობას ანიჭებდა რუსეთის მოქალაქეებს, უფრო მეტიც, ხელისუფლება მოუწოდებდა რუსეთის განაპირა მხარეებში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომ ჩამოსულიყვნენ და დასახლებულიყვნენ მუჰაჯირების მიერ მიტოვებულ მიწებზე.

ქალაქ ბათუმის საზღვრები (ყოფილი პორტო ფრანკო, რომლის საზღვარი გადიოდა მდ. ანგისაზე და არა მეჯინისწყალზე, სადაც ანგისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ეკუთვნოდათ ძმებ ნიკოლაძეებს) მოიცავდა 33 დესეტინა 930 კვ. საყენი მიწის ფართობს, ხოლო დანარჩენი მიწა ბათუმის ოლქის საზღვრებს გარეთ მდებარეობდა.

1881 წელს მეზღვე დალფონსმა ქუთაისში მოღვაწე ინჟინერ პოლიტკოვსკისთან, ასევე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან არსებულ ბათუმის ოლქისთვის შექმნილ სამიწათმოქმედო განყოფილების ბოტანიკოს ზეიდლიცთან და ამავე განყოფილების მიწათმომწყობ ლორთქიფანიძესთან ერთად ჩაქვისთავში 123 დესეტინა მიწა შეიძინა. ამის თაობაზე სამხედრო გუბერნატორს მოხსენება წარუდგინა ინჟინერმა პოლიტკოვსკიმ. ეს მოხსენება განიხილეს ქუთაისში 1881 წლის ნოემბერში და იგი შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნეს კავკასიის მთავარმართველს. ასევე, მეზღვე დალფონსმა ბათუმში არსებულ საკუთარ მიწაზე გააშენა ხეხილის ბაღი, დეკორატიული ხეები და მცენარეთა სათბური.

ამ პერიოდში ქალაქ ბათუმის გამწვანებაში უცხოელებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ მეზღვეებს: ი. გორდეზიანს, ი. ლიონიძეს, გ. დოლიძეს და ქუთაისში მაცხოვრებელ მეზღვეებს: დ. ქუთათელაძესა და გ. მაისურაძეს. გიორგი დოლიძესა და დავით ქუთათელაძეს საკუთარი ბაღი ჰქონდათ გაშენებული ბათუმის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ქალაქის მოსახლეობა სეირნობდა (აარსს, ფ. ი-ნ, აღწ.1, საქმე 590, ფურც. 112:114).

1899 წლის 15 ნოემბერს ბათუმის თვითმმართველობამ დააკმაყოფილა რუსეთის მეზღვეთა საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოთხოვნა 1900 წლისათვის ბათუმში მცენარეული კულტურების გამოფენის მოწყობის შესახებ.

1900 წელს ბათუმელმა არქიტექტორმა ა. ბენკლიანცმა და ქუთაისელმა არქიტექტორმა ს. ბელოვმა შეადგინეს გეგმა 183.32 კვ. საყენი მიწის ნაკვეთზე. ეს მიწის ნაკვეთი განთავსებული იყო ნავთობის ქუჩაზე, რომელიც

იჯარით ჰქონდა აღებული კიევის სამრეწველო ბანკის ბათუმის ფილიალს. ასევე ბათუმში არსებულ მიწებზე საკუთრების უფლება გააჩნდათ რუსულ მენავთობეთა ამხანაგობა “ნავთობს“ და ბათუმში არსებულ ირანის საკონსულოს.

მართალია, რუსები დაეპატრონენ ბათუმის მიწებს, მაგრამ მათთვის სასარგებლოდ უვლიდნენ კიდევაც. მათ ბათუმის შემოგარენში არსებული ჭაობიანი ადგილები ამოაშრეს, არხები გაიყვანეს და გამოთავისუფლებულ მიწებზე ხელი მიჰყვეს სამიწათმოქმედო კულტურების განვითარებას. იმ პერიოდში ბათუმის შემოგარენში არსებულ კერძო მიწებზე, ე.წ. “სოფელჭაობში“, მოჰყავდათ ბრინჯი, ღომი, სიმინდი; გაშენებული იყო ბაღ-ვენახი, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას და ა.შ. არსებული ადგილები ბათუმის ბაზარს უზრუნველყოფდა რძისა და ხორცის პროდუქტებით (**Батум и его окрестности, 1908: 18-20**).

ბათუმის სანაპირო არც ისე მდიდარი იყო მცენარეთა ორიგინალური სახეებით, მაგრამ არსებობისათვის აუცილებელი საუკეთესო პირობების გამო იქმნებოდა მცენარეული საფარის განვითარების კარგი საშუალება. პროფ. ა. კრასნოვი წიგნში “სამხრეთ კოლხეთი“ აღნიშნავდა, რომ მკაცრი ზამთრის პერიოდში, როცა გაგრასა და სოხუმში ნაზი მცენარეები ვერ ძლებენ, აქ ბათუმში ზღვის ზეგავლენით მცენარეები ინარჩუნებენ სიცოცხლეს (**А. Н. Краснов, 1912: 61-62**).

ამრიგად, ზემოთ მოტანილ დოკუმენტურ მასალაში წარმოჩენილია აღნიშნულ პერიოდში ქალაქ ბათუმში რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ გატარებული მიწათსაკუთრებისა და სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ცალკეული საკითხები. ამ საკითხების გადაწყვეტაში კი ასევე განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქუთაისელ მიწათმოქმედებს.

damowmebuli literatura da wyaroebi

Батум и его окрестности, 1908 - Батум и его окрестности, Батум, 1908.

А. Н. Краснов, 1912 - А. Н. Краснов, Южная Колхида, Батум, 1912.

aarss - aWaris avtonomiuri respublikis saarqivo sammarTvelo, fondi i-8, i-6, saqme 1, 590.

qca - quTaisis centraluri arqivi, fondi 24, saqme 20.

OTAR GOGOLISHVILI

THE ROLE OF THE AGRICULTURAL DEPARTMENT OF KUTAISI MILITARY GOVERNOR IN THE DEVELOPMENT OF BATUMI AGRICULTURE (1878-1900)

In the state archives of Adjara, there is one document regarding the order of the state border and land issued by the military governor of Kutaisi in 1879 which is about the restoration of the borders of Russia and Turkey, focusing the location of the villages Tsekhedana and Natskhavatevi. According to this document, it becomes clear that Natskhavatevi had never been under Turkish control, it was among the borders of Guria and Adjara. Tsekhedana was a Christian village, as for Natskhavatevi, its population was Muslim.

On July 1, 1879 after uniting Batumi region to Russia, Polcovnic Frier made a report for the Caucasus army leader regarding launching the rule of land possession, according to which the possession rights on the lands would be restricted for the locals. Later, on July 11, 1880 Kutaisi military governor held a meeting in Kutaisi participated by the Batumi military governor. They discussed the plans of Freier and Pavle Stefanov, Kutaisi agricultor.

Russian rule of agriculture acting in Batumi was adapted to the agriculture law issued in Russia in 1861. Before the reunion of Batumi in 1878 Turkish law of land ownership was acting which

used to give high priority to religious servants. Russian was trying to decrease the influence of religious servants by issuing land ownership law.

რუსუდან კაშია

ქუთაისური პრესის ისტორიიდან (გაზეთი "ჩვენი ქვეყანა" დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში)

დემოკრატიული საქართველოს პერიოდის ბეჭდური მედია იძლევა მკაფიო სურათს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური ვითარების შესახებ.

ქუთაისში მოღვაწეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ძლიერი ჯგუფი. მისი პერიოდული ორგანო "ჩვენი ქვეყანა" გამოდიოდა 1917-19 წლებში.

გაზეთი იცავდა იმ მიმართულებებს, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღო 1915-17 წლებში ქუთაისში გამოშვებულ გაზეთ "სამშობლოსაგან" (გრ. იარალოვი, 1988: 80). გაზეთ "ჩვენი ქვეყნის" რედაქცია იმყოფებოდა ახლანდელი თამარ მეფის ქუჩაზე, სოლომონ მიქელაძის სახლში, იბეჭდებოდა სტამბაში "ამობა". თავდაპირველად გაზეთის გამომცემელ-რედაქტორი იყო ვეჟილი დ. კვიციანი; 1919 წელს კი გაზეთს სათავეში ჩაუდგა სარედაქციო კოლეგია ცნობილი პუბლიცისტის ვასილ წერეთლისა და კონსტანტინე კაპანელ-ჭანტურის ხელმძღვანელობით (მ. თაღუმაძე, 2010: 21).

გაზეთს რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა: ეკონომიკური სიძნელეები, მწირი შესაძლებლობები, ქალაქის სიმცირე აიძულებდა რედაქციას შეემცირებინა ფორმატი. მიუხედავად ამისა, გაზეთს მტკიცე პოზიცია ეჭირა და დროულად ანალიზებდა იმდროინდელი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს.

ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია ყველა იმ საკითხის სრულად გაშუქება, რომელიც გაზეთში განიხილებოდა. ამ შემთხვევაში ვისაუბრებთ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ვნახავთ, როგორ წარმოჩნდა და როგორი შეფასება მიეცა მათ გაზეთის ფურცლებზე.

1917 წელს რუსეთის იმპერიაში მომხდარმა მოვლენებმა, მეფის გადადგომამ კავკასიის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოუტანა. საქართველოს სამღვდელთა კარგად გამოიყენა ისტორიული მომენტი და 12 მარტს სვეტიცხოველში შეკრებილი საზოგადოების წინაშე საზეიმოდ გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. ქართველი ერის უდიდესი სიხარული გაზეთმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: "ჩვენი კეკელუცი სამშობლოს სული წარსული წლის რევოლუციამ საპყრობილეს უფსკრულიდან გამოიყვანა და უვნებლათ ჩაგვბარა... აიშვა თავი ტყვე საქართველოს ეკლესიამ" (1 იანვარი, 1918. ჟურნალისტი ირ. დიდიძე, აქვეყნებდა ფსევდონიმით "ი. იმერელი").

1918 წელს ამიერკავკასიაში კრიზისული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. საქართველოს დიდი საფრთხე დაემუქრა. I მსოფლიო ომი ჯერ არ იყო დასრულებული, როცა ბრესტის ზავით (1918 წლის 3 მარტი) საბჭოთა რუსეთმა თურქეთს გადასცა ბათუმისა და ყარსის ოლქები. ოსმალეთის არმიამ რუსეთის ჯარისაგან მიტოვებული ფრონტის ხაზი გადმოლახა. მოახდინა სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიის ოკუპაცია. გაზეთ “ჩვენი ქვეყნის” 28 იანვრის ნომერში ვასილ წერეთელი შემფოთებული წერდა: “საქართველო ინგრევა... ახალციხის სომხებს დაუდგენიათ, ახალციხის მაზრა განჯის გუბერნიაში უნდა გადავიდესო, ზაქათალა პოლიტიკურად დაღესტანს შეუერთდესო, ოსები და აფხაზები ტერიტორიულ პრეტენზიებს აცხადებენ”, – ვკითხულობთ გაზეთში.

30 მაისს გაზეთში ქვეყნდება “მთავრობის ცნობა” – “ბათომიდან აკაკი ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით საქართველოს მთავრობას აცნობა დეპეშით, რომ ოსმალები დაკავებული ტერიტორიების გარდა პრეტენზიებს აცხადებენ და ულტიმატუმით ითხოვენ აჭარასა და ახალციხეს”.

“სამშობლო განსაცდელშია”, – წერდა (1918. 14, I) ვასილ წერეთელი, – რუსის ჯარმა ოსმალეთის საზღვარი მიატოვა და თავის სამშობლოში დაბრუნდა. ამ საშინელ, საბედისწერო ყამს ჩვენი ბედი ამიერკავკასიის კომისარიატს ჩაუფდეთ ხელში...” საგაზეთო წერილით ავტორი აღმოგვცემს, თუ რაში ხედავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გამოსავალს: 1) უფრო ლეგიტიმური ორგანოს – ამიერკავკასიის სემის არჩევა. 2) “ქვეყნის დასაცავად შედგეს მოხალისეთა რაზმები”. გაზეთის შემდგენლობებში იბეჭდებოდა ქართული ჯარის შესაქმნელად მოწოდებები: “დაიცავით სამშობლო”.

ურთულეს და უაღრესად საშიშ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება – დახმარებისათვის მიმართა გერმანიას, რომელსაც შეეძლო შეეჩერებინა მისი მოკავშირე თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან აგრესია. გერმანია ვალდებულებას იღებდა დაეცვა საქართველო და გამხდარიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტი.

სტატიაში “გერმანიის მფარველობა” პუბლიცისტი ტრიფონ ჯაფარიძე წერდა: „გარედან მტერმა აგვიკლო, შიგნით არეულობამ... ასეთ მდგომარეობაში მყოფი ერთად ერთ გზას ვნახულობთ, რომელიც იმედს გვისახავს და ჩვენს მომავალს უზრუნველყოფს – ეს არის გერმანიის მფარველობა“ (1918 წლის 28 მაისი).

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. გაზეთის 26 მაისის ნომერში ინფორმაცია დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ ჯერ კიდევ არ არის დაბეჭდილი.

28 მაისის ნომრის პირველი გვერდი საზოგადოებას ამცნობს: “გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და გერმანეთთან კავშირი, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს”.

იმავე ნომერში პუბლიცისტი იაკობ ცინცაძე, რომელიც ია ეკალაძის სახელით აქვეყნებდა, წერდა: “წყეული იყოს ასი წლის ვერაგული პოლიტიკა რუსეთისა... მან დააკნინა სული ჩვენი ერისა“. იქვე სიზუსტითაა აღწერილი რა ხდებოდა თბილისში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. გაზეთი

აცნობს თავის მკითხველს მთავრობის შემადგენლობას. 29 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი; ასევე ნ. ჟორდანიას სიტყვა ისტორიულ სხდომაზე. 30 მაისს სტატიაში “თავისუფალ საქართველოს” ვკითხულობთ: “დიდი ხნის ტკივილების შემდეგ იშვა ჩვენგან დიდხნობით ნანატრი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება...” საგაზეთო წერილში ჟურნალისტი ელ. პატარიძე საღად აფასებს მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს: “გვმართებს სიხარული, მაგრამ არა წრესგადასული, დროა საქმეს მოვკიდოთ ხელი, რათა სიხარული ვაი-ვიშით არ შეგვეცვალოს”, — ვკითხულობთ გაზეთში. სტატიის ავტორი მოუწოდებს ხელისუფლებას არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის “კულტურულ-ეკონომიკური განვითარების” ზრუნვაზე... და აგრძელებს: “ეროვნულმა მთავრობამ უნდა შექმნას ნამდვილი ჯარი რკინის დისციპლინით, იზრუნოს აღჭურვაზე, ასეთ ლაშქარს შეუძლია საქართველოს მიწა-წყლის დაცვა და საქართველოს მომავლის უზრუნველყოფა”.

ვ. წერეთელი 31 მაისის ნომერში აღნიშნავდა: “ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სამი რამეა საჭირო: გერმანიის მეგობრობა, ძლიერი ჯარი, საკუთარი ძალით საქართველოს ტერიტორიის დაცვა”.

“რაც ქართველები ახალ ცხოვრებას ვიწყებთ, რაც მონობაში დაკარგეთ, იმას თავისუფლებაში აღვიდგენთ, მწარე წარსულმა ერთი რამ მოგვცა — ესაა გამოცდილება, თუ ვისარგებლებთ, ეს უტყუარი თავდება ბრწყინვალე მომავლისა” — ვკითხულობთ გაზეთ “ჩვენი ქვეყნის” 1918 წლის 6 ივნისის ნომერში.

საქართველოს სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა თავისუფლებისათვის.

დემოკრატიული საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მონაპოვარია ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

პირველი განცხადება უნივერსიტეტის დაარსების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთში 14 იანვარს. ეს იყო “დროებითი გამგეობის წევრების პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის” ოფიციალური განაცხადი: „სტუდენტებად მიიღებიან ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებიდან, სასულიერო სემინარიიდან, რეალური, საკომერციო სასწავლებლებიდან, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლიდან, საოსტატო ინსტიტუტისა და კადეტთა კორპუსიდან“. სწავლის გადასახადი — 10 თუმანი. მომდევნო ნომრები იმეორებს განცხადებას. 26 იანვარს გაზეთი ამცნობს ქუთაისის საზოგადოებას: “დღეს თბილისში იხსნება **qarTuli universiteti**, რამდენათ საამაყოა ეს დღე მონობით დაჩაგრული ჩვენი ქვეყნისათვის. რამდენათ საგულისხმო და სანეტაროა ეს დღე წამებული საქართველოსათვის. ვუსურვოთ აყვავება ქართულ უნივერსიტეტს. გაიხარე და იხარე ქართველო ერო. ჩვენო ბებერო მუხავ, საქართველოს დედაქალაქო, აღზარდე შენს გულში და მოგვეც ღირსეული მამულიშვილნი“ — წერს ილია ჭლენტი.

დამოუკიდებელი საქართველო უძძიმესი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

I მსოფლიო ომის, რევოლუციების პერიოდში მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკური სტაგნაციის პროცესი სულ უფრო ღრმავდებოდა. მოიშალა იმპერიის ფარგლებში არსებული სავაჭრო კავშირები. ტექნიკურ საშუალებათა უკმარისობის გამო მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ფაბრიკა-ქარხნების დახურვით შეწყდა ან შემცირდა (საფეიქრო, ტყავის, საპნის, კვების) პროდუქციის გამოშვება, ქვეყანა უმუშევრობამ მოიცვა. ქართული საზოგადოება იმედის თვალთ უყურებდა დახმარებას ევროპიდან. გაზეთი “ჩვენი ქვეყანა” 1919 წლის 24 მაისის ნომერში წერდა: “ფოთში მოვიდა საფრანგეთიდან ორი დიდი გემი სხვადასხვა საქონლით დატვირთული. საქონლის ღირებულება რამდენიმე მილიონს აღემატება. მოტანილი საქონლის ნაცვლად გემებით საფრანგეთში წაიღებენ მატყლსა და მარგანესს. მოტანილი საქონელი გასაყიდად დაურიგდება საქართველოს ვაჭრებს. საქონელი უნდა გაიყიდოს 25% დამატებით“. იგივე გაზეთი 9 ივლისს საიმედო ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს: “საქართველოს ფინანსურ წრეებში ხმებია, რომ ბოლო ხანებში ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს ფრიად დიდი სავაჭრო საქმე დაუჭერია ინგლისელებთან. პირველად უნდა მზადდებოდეს გასაგზავნად მილიონი ფუთი შავი ქვა, რაც მოგვცემს 2 მილიარდ მანეთს, ამ თანხის ანგარიშში ინგლისელებს შემოაქვთ 1000 ფუნტი სტერლინგი, ამისათვის მოსალოდნელია ჩვენი ვალუტის ძალიან აწევა“ (გაზ. “ჩვენი ქვეყანა“, 1919, №123).

დემოკრატიული საქართველოს სამწლიანი არსებობის პერიოდში მთავარი პრობლემა ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევაში მდგომარეობდა. ქართული მედია, მათ შორის ქუთაისში გამომავალი პერიოდული გამოცემები, აქტიურად აშუქებდნენ საქართველოს კუთხეებში არსებულ მძიმე ფინანსურ და ეკონომიკურ ვითარებას: “მიმშობლობა რაჭის, ლეჩხუმის, ოზურგეთის მაზრებში, ითხოვენ სიმინდს“ – წერდა 1918 წლის 23 მაისს გაზეთი “ჩვენი ქვეყანა“. იგივე გაზეთი 24 მაისის ნომერში აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მძვინვარებს “სიძვირე და უმუშევრობა“. 1919 წლის 21 ივნისს გაზეთი შემოფოთებული წერდა, რომ “მიმშობლობა მოგველის, თან ერთვის უამიდობა“. გაზეთი 24 ივლისს მიუთითებდა, რომ საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს “საშინელი სიძვირისა და მიმშობლობის“ პირობებში – ასეთი სათაურებით ქვეყნდებოდა საგაზეთო სტატიები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ძალზე მცირე დრო ჰქონდა ეროვნულ-სახელწიფოებრივი მშენებლობის ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად. ქვეყნის აღმშენებლობა მიმდინარეობდა მეტად მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში, ურთულეს საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში.

დემოკრატიული მთავრობა, რომელშიც წამყვან როლს სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ასრულებდნენ, არ ავიწროებდა კაპიტალისტურ წარმოებას, არ ზღუდავდა კერძო ინიციატივას, მაგრამ მათი მთავარი ეკონომიკური პროგრამა საკუთრებისა და წარმოების ფორმების თანწყობაში მდგომარეობდა.

ძლიერი დაპირისპირება მიმდინარეობდა ეროვნულ პარტიებსა და სოციალისტური მიმართულებების პარტიებს შორის. უთანხმოების ერთ-

ერთი თემა აგრარული, მიწის რეფორმა იყო. წინააღმდეგობა ეროვნულ-დემოკრატიებსა და სოციალ-დემოკრატიებს შორის კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულებაში მდგომარეობდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა (განსხვავებით სოციალ-ფედერალისტებისა და ესერებისაგან, რომლებიც კოოპერაციული მეურნეობების შექმნას ვარაუდობდნენ) ითვალისწინებდა მიწის კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური მეურნეობების შექმნას.

ეროვნულ-დემოკრატიები და მათი ქუთაისის ფრაქციის ბეჭდვითი ორგანო “ჩვენი ქვეყანა“ განსაკუთრებით მკვეთრად აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამოქმედო პროგრამას. გაზეთის რედაქტორი ვასილ წერეთელი 1919 წლის 21 მარტის ნომერში მიუთითებდა, რომ მთავრობის პოლიტიკით საქართველოში “კერძო საკუთრების საფუძველი შერყეულია“ და ძირითად საფრთხეს ქვეყნისათვის სწორედ ამაში ხედავდა.

იგივე გაზეთი 29 აპრილის ნომერში წერდა: “ჩვენში ჯერ არ არის განვითარებული წარმოების საქმე იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ეროვნული ეკონომიკის ფეხზე დაყენების საქმე. მართალია, ეროვნული ბურჟუაზია ძლიერ ნორჩია, მაგრამ თუკი სათანადო გზას აღმოვუჩინებთ, ქვეყნის აღორძინების საქმეს ღირსეულად გადავჭრით“.

დემოკრატიული საქართველოს წინაშე უმთავრეს ამოცანად იქცა საკანონმდებლო ორგანოს – *damfuZnebeli krebis mowveva*. დამფუძნებელი კრება უნდა ყოფილიყო უფრო ლეგიტიმური არჩევითი ორგანო, ვიდრე ეროვნული საბჭოს საფუძველზე შექმნილი პარლამენტი. საყოველთაო არჩევნების გზით არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს უნდა განესაზღვრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი პოლიტიკური მიმართულებანი, მიეღო კონსტიტუცია და ჩამოეყალიბებინა სახელმწიფოებრივი სტრუქტურები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და გაზეთი “ჩვენი ქვეყანა“ 1918 წლის იანვარში მოუწოდებდა საზოგადოებას: “მოქალაქენო, მოითხოვეთ სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრების საჩქაროთ მოწვევა.“

საარჩევნო პერიოდში პრესა განსაკუთრებით გააქტიურდა. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები ძირითადად პერიოდული გამოცემების მეშვეობით ეწეოდნენ საარჩევნო აგიტაციას. გაზეთები მკაფიოდ გამოხატავდნენ თავიანთი პარტიების პოზიციებს და წინასაარჩევნო მარათონში ჩაბმულნი მკვეთრად აკრიტიკებდნენ სხვა პარტიების სამოქმედო პროგრამებს.

გაზეთი “ჩვენი ქვეყანა“ განიხილავდა და მოსახლეობას აცნობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ ამოცანებს, რაც მდგომარეობდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და მყარი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში. რუბრიკაში “დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის“ (30 იანვარი, №5) პუბლიცისტი ვასილ წერეთელი წერს: “სოციალისტებს ხმას ნუ მისცემთ, რადგან მათი მიზანია კერძო საკუთრების მოსპობა... მენშევიკები ბოლშევიკების მსგავსად თავის პროგრამაში აცხადებენ, რომ მათი მიზანია საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება“. ბოლოს ავტორი მოწოდებით ამთავრებს: “ფრთხილად მოქალაქენო! თუ კერძო საკუთრება და თავისუფლება გიყვართ, მიეცით

ხმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“.

იმავე ნომერში გაზეთი აქვეყნებს დამფუძნებელ კრებაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ სამოქმედო პროგრამას, რომელიც 12 პუნქტად იყო ჩამოყალიბებული. ჩვენ ყურადღება რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ:

1. განმტკიცდეს კერძო საკუთრება, რომელიც არის თავისუფლების და ქონებრივ-ზნეობრივი წინსვლის საფუძველი.

2. განმტკიცდეს საქართველოში რესპუბლიკური დემოკრატიული წეს-წყობილება. საქართველოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ საქმეებს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელთა კრება და ამ კრების მიერ აღნიშნული მთავრობა უნდა განაგებდეს.

3. საფუძველი ჩაუყაროს ადგილობრივ, ანუ საეროობსა და საქალაქო თვითმმართველობებს, რომელთაც უნდა განაგონ ადგილობრივი საქმეები იმ პირობით, რომ უზენაესი ზედამხედველობა ეკუთვნოდეს მთავრობას.

8. “მოაწესრიგოს ფულის საქმე“, ქართული მთავრობის მთავარი მიზანი უნდა იყოს ქართული ბაზრიდან რუსული ფულის განდევნა, რასაც მხოლოდ სტაბილური გარემო და მყარი ეროვნული ვალუტა შექმნის.

პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია რეგულარული ჯარის, ფოსტატელეგრაფის, განათლების პრობლემებზე და ა. შ.

“ჩვენი ქვეყნის“ თებერვლის თვის ყველა ნომერში გამოქვეყნებულია დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა 17 კაცის სია. №1 ამ სიაში ნიკო ნიკოლაძეა. კანდიდატთა სიაში იყვნენ ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები: სპირიდონ კეღია, გიორგი გვაზავა, გერონტი ქიქოძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, პეტრე სურგულაძე და სხვ.

5 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია ქუთაისის თვითმმართველობის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხმოსნების კანდიდატთა სია, რომელშიც პირველ ნომრად სახელდება პუბლიცისტი ვასილ წერეთელი.

თებერვლის ყველა ნომრის პირველ გვერდზე გაზეთი მკითხველს ახსენებს პარტიის საარჩევნო ნომერს. მთელ ფურცელზე დაწერილ რიცხვ 2-ს, თან ახლავს მოწოდება მინაწერის სახით: “მოქალაქენო, ხმა არ დაკარგოთ, მოიხადეთ თქვენი ვალი და ხმა მიეცით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას“.

რაც თვისობრივად ამსგავსებს საგაზეთო პუბლიკაციებს, არის ის, რომ საარჩევნო აგიტაცია ძირითადად მაინც მოწინააღმდეგე პარტიების სამოქმედო პროგრამების კრიტიკითა და განქიქებით მიმდინარეობს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტის გაზეთი “ჩვენი ქვეყანა“ (1919, 30 იანვარი) სტატიის “დამფუძნებელი კრების გარშემო“ მენშევიკურ პარტიას ბოლშევიკურს ადარებს და ამომრჩეველს სიფრთხილისაკენ მოუწოდებს: “ხმას თუ მისცემთ სოციალისტურ პარტიებს, უფსკრულში გადაიჩეხებით“.

იმავე ნომერში გამოქვეყნებულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ხაზგასმულია, რომ სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ

უზრუნველყო ქართული ფულის სიმყარე, წაგებაზე მუშაობს რკინიგზა და ა. შ. სტატია მთავრდება მოწოდებით: “მართვა-გამგეობა ხელში არ ჩაუვდონ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსისაკენ მიჰყავთ“.

გაზეთი ასევე მწვავედ აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებულ მიწის კანონპროექტს და ამომრჩეველს აფრთხილებს: “თუ მათ ექნებათ ხმის უმეტესობა, საფუძველი შეერყევა კერძო საკუთრებას“ – ნათქვამია გაზეთში (29 იანვარი).

საარჩევნო პერიოდში (თებერვლის პირველი რიცხვები) პირველ გვერდს გაზეთი იწყებდა მოწოდებით ამომრჩეველისადმი – “ხმა არ მისცეთ სოციალისტურ პარტიებს“.

ქუთაისური პრესა აქტიურად ეხმიანებოდა არჩევნებთან დაკავშირებულ, ქალაქში მიმდინარე ყველა მოვლენას. ქუთაისში წინასაარჩევნოდ ჩამოდიოდნენ საზოგადოებისათვის ცნობილი მოღვაწეები. ტარდებოდა საჯარო მოხსენებები საარჩევნო მოვლენების საკითხებთან დაკავშირებით. რ მარტს გაზეთი აშუქებს სპირიდონ კედიას საჯარო ლექციას ქუთაისში თემაზე: “საქართველო და ჩვენი მთავრობის პოლიტიკა“ და ა. შ.

პერიოდული გამოცემების ყველა ნომერში აღწერილია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დაბებსა და სოფლებში მიმდინარე საარჩევნო მზადების შესახებ.

თებერვლის დასაწყისის ბეჭდური მედია ახსენებდა მკითხველს არჩევნების მიმდინარეობის დროსა და წესებს; გაზეთები მიუთითებდნენ არჩევნების პროცედურულ მხარეზე. ასევე ხშირად იბეჭდებოდა ქუთაისის საარჩევნო კომისიის განცხადებები (სად უნდა მივიდეს ამომრჩეველი, რომელსაც არ მიუღია ბარათები და ა. შ.)

დადგა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც მიმდინარეობდა 14, 15, 16 თებერვალს, ეს იყო პარასკევი, შაბათი და კვირა დღეები.

მიუხედავად პარტიების, პერიოდული გამოცემების აქტიური მცდელობისა, არჩევნებში მოსახლეობის დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა ნახევარზე ოდნავ მეტმა. დაბალი აქტივობის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო დაპირისპირება პარტიებს შორის, ასევე ქართველი ბოლშევიკების ბოიკოტი არჩევნებისადმი.

არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. დამფუძნებელ კრებაში 130 ადგილიდან მათ 109 მანდატი მიიღეს, 8-8 – ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალ-ფედერალისტებმა, 5 – ესერებმა.

ყველა სახელისუფლო დონეზე, სამაზრო ერობებსა და თვითმმართველობებში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

სოციალ-დემოკრატები შედეგებით ზეიმობდნენ. ჟურნალისტი ვასილ წერეთელი ამაზე ირონიულად აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატებს “სიხარულით ტარაბუა დაესხათ“ (1919 წლის 2 მარტი).

საქართველოს ისტორიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პერიოდში

გაზეთ “ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია დროულ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს მიმდინარე მოვლენების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ერთი სტატიის ფარგლებში ძნელია ყველა საკითხის სრულად გაშუქება, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ გაზეთი ინტენსიურად აწვდიდა ქუთაისის საზოგადოებას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის “სატაქტიკო საკითხებს“; პერიოდული გამოცემა მოუთხრობდა მკითხველს სომხეთ-საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტის მიმდინარეობის შესახებ; განიხილებოდა საფრთხეები ქვეყნის შიგნით. რუბრიკაში “ბოლშევიკების სამზადისი“ გაზეთი გადასცემდა თავის მკითხველს ქართველი ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული გამოსვლების შესახებ რაჭაში, საჩხერეში, ლეჩხუმსა და სხვა კუთხეებში.

ამდენად, დიდი ისტორიული მისიის – დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა პრესამ, მათ შორის აქტიურობითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ქუთაისში გამომავალი პერიოდული გამოცემები.

damowmebuli literatura

m. TadumaZe, 2010 _ m. TadumaZe, 1917-21 wlebis quTaisis presa, quTaisi, 2010.

g. iaralovi, 1988 _ g. iaralovi, qarTuli periodikis istoriisaTvis, Tb., 1988.

r. kaSia, 2013 _ r. kaSia, damfuZnebeli krebis arCevnebi quTaisuri presis mixedviT, weliwdeuli (quTaisis sajarო biblioTekis krebuli), ტ. V, ქუთაისი, 2013.

g. mWedliZe, 1993 _ g. mWedliZe, quTaisis axali istoriis narkvevebi, quTaisi, 1993.

a. nikoleiSvili, 1996 _ a. nikoleiSvili, kultura demokratiul saqarTveloSi, Tb., 1996.

RUSUDAN KASHIA**FROM THE HISTORY OF KUTAISI PRESS
(NEWSPAPER “OUR COUNTRY” IN THE YEARS
OF THE DEMOCRATIC REPUBLIC)**

The strong group of the national-democrat party settled in Kutaisi. Its periodic organ “Our Country” issued in 1917-19. The newspaper gives a clear picture of a political, social-economic situation in the country.

It’s not possible to highlight all the issues discussed in the newspaper in one article. In this case, we will talk about the most important events, which played a big role in the history of our country and see how they are viewed and appreciated in the newspaper editions.

“Our Country” expresses a great joy regarding declaring independence of Georgia, returning autocephalous status of the church. On January 26 the newspaper highlights the establishment of Tbilisi State University, which is one of the most important deliverables of democratic Georgia.

During the 3 years’ existence of democratic Georgia, one of the most important problems was improving the economic conditions. Georgian media, including periodic editions of Kutaisi, actively described the hard economic and financial conditions of the region.

The most important problem of democratic Georgia was establishing legislation organ - Founding Board. Founding Board should have been a more legitimate and elective organ than the parliament established based on the national board. Press became extremely active during the election period. Participant parties mostly held their agitations with the newspaper. The newspapers clearly expressed the positions of their parties and harshly criticized the action programs of opposing parties. “Our Country” discussed the main issues of the national-democratic party regarding solidification of the country’s political independence and founding stable democratic institutions.

The newspaper intensively highlighted the strategic issues of the national-democratic party for Kutaisi audiences, e.g. territorial conflict in South Georgia; threats within the country. In the rubric “Bolshevik preparations” - the newspaper highlighted the protest rallies inspired by bolsheviks in Ratcha, Satchkhere, Letchkhumi and other regions.

The press played a big role in establishing democratic Georgia including the active newspapers from Kutaisi.

მერაბ კეზევაძე

გაქარია ფალიაშვილის ქუჩა ქუთაისში

ქუთაისი მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. არქეოლოგიური შესწავლის შედეგად ქუთაისში საქალაქო ცხოვრების 3000-წლოვანი ისტორიაა დადასტურებული. ძველი უბნები მდებარეობს მდინარე რიონის ორივე მხარეზე. ქალაქის დღევანდელი ცენტრალური ნაწილი – ბულვარისა და დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიები – შედარებით გვიან, ფეოდალურ ხანაშია მოშენებული. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 1770 წლიდან, ქუთაისის თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ. ქალაქის აღნიშნული ტერიტორია ძირითადად სამეფო ოჯახის წევრებისა და დიდ თავადთა საგვარეულო საკუთრებას შეადგენდა. XVIII საუკუნის დასასრულს აქ ინტენსიურად მიმდინარეობს ქართველ კათოლიკეთა, ებრაელთა და სომეხთა დასახლება. უბნის მოშენებას ხელს უწყობდა ისიც, რომ აქ გადიოდა თბილისიდან დასავლეთისაკენ გამავალი მთავარი მაგისტრალი (ახლანდელი ზ. ფალიაშვილის, გელათისა და მ. კოსტავას ქუჩები) და დღევანდელი ნიუპორტის ქუჩის ბოლოში, სააპელაციო სასამართლოს ადგილზე მხარის ადმინისტრაციული ცენტრი იყო – ჯერ იმერეთის მმართველის, ხოლო შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ქუთაისის გუბერნატორის რეზიდენცია. ქუჩის მოშენების ისტორიის განხილვამდე, მინდა აღვნიშნო მისი სახელდების შესახებ. მას, ისევე როგორც ქუთაისის ქუჩების უმეტესობას, XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში სახელი არ ჰქონდა. პირველად ის “ხიდის ქუჩის” სახელით 1861 წლის დოკუმენტებში ჩანს. დიდი ალბათობით, სახელი უკავშირდება ქუჩის ბოლოში იმჟამად მშენებარე ხიდს, რომელიც 1862 წლიდან დასრულების შემდეგ მიხეილის (წითელ) ხიდად იწოდა, შესაბამისად, ქუჩაც მიხეილის სახელის მატარებელი გახდა 1918 წლამდე. ქუჩა 1918-1921 წლებში – ბათუმის, 1921-1934 წლებში – ალექსანდრე (სამა) წულუკიძის, 1934-1953 წლებში – ლავრენტი ბერიას სახელითაა ცნობილი, 1953 წლიდან დღემდე კი ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს.

ქუჩის მოშენება იწყება ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა დღევანდელი რუსთაველის მოედნის ტერიტორიასა და რიონის მარცხენა სანაპიროზე, წითელი ხიდის მიმდებარედ, შეიქმნა რუსული სამხედრო დასახლება – სამხედრო დანაყოფების, შენობებისა და ჰოსპიტლის სახით. ეს იყო იმ დროისათვის დაუსახლებელი ტერიტორია, რომელიც აღმოსავლეთით მოიცავდა დიდ ფართობს დღევანდელი ქალაქის ბულვარისა და ცენტრალური მოედნის ჩათვლით და “საასპარეზო მოედნად” იწოდებოდა. ქუჩის დღევანდელი პროფილი ძირითადად XIX საუკუნის 60-იან წლებში, მას შემდეგ, რაც 1862 წელს მიხეილის (წითელი) ხიდი გავიდა

ექპლუატაციაში, ჩამოყალიბდა. წითელი ხიდის ადგილზე დასტურდება უძველესი სახიდე გადასასვლელის არსებობა, რომელიც 1861-1862 წლებში დღევანდელი ხიდით შეიცვალა. ქუჩა იწყებოდა წითელი ხიდიდან და დღევანდელი ცენტრალური მოედნის აღმოსავლეთ ხაზთან მთავრდებოდა. ხიდიდან სამოციოდ მეტრში ქუჩას ორი შესახვევი ჰქონდა: ერთი მარჯვენა მხრით მიემართებოდა (სადაც დღეს რუსთაველის მოედანია) ოქროს ჩარდახისაკენ, მეორე კი – მარცხენა მხარეზე ჯაჭვის ხიდისკენ. 1820-1840-იან წლებში ქუჩა ძირითადად ერთსართულიანი ხის სახლებითა და დარაბებით იყო მოშენებული, რომელიც 1861 წლის დიდმა ხანძარმა შეიწირა, უფრო ადრინდელი მოშენება კი – 1820-იან წლებში გაჩენილმა ხანძარმა. 1860-იანი წლებიდან უკვე იწყება ქუჩის მოშენების ახალი ეტაპი, რომელიც ძირითადად უკვე გარკვეულ გეგმიურობას ემორჩილება, კერძოდ კი, მთავარმართებელ პასკევიჩის დროს, 1829 წელს შედგენილ ქუთაისის გეგმას, რის საფუძველზეც ძირითადად ქვის და აგურის ორ-და სამსართულიანი ქვის შენობებით იქნა ქუჩა მოშენებული, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ დღემდე მოღწეული “ვი თი ბი” ბანკის ყოფილი შენობა, საჯარო ბიბლიოთეკა, ბეგოვის საცხოვრებელი სახლი, ყოფილი კულტურის სახლი. დანარჩენი შენობები, მათ შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი, სხვადასხვა წლებში განხორციელებულმა უბნის რეკონსტრუქციამ შეიწირა, კერძოდ, 1970-იან წლებში მთლიანად იქნა აღებული დღევანდელი რუსთაველის მოედნის ადგილზე მდებარე კვარტალი. ხოლო 1960-იანი წლების დასაწყისში აღებულ იქნა არქივის ყოფილი შენობის აღმოსავლეთით მდებარე კვარტალი საერთო საცხოვრებელი სახლის აგების გამო. XIX საუკუნეში ქუჩაზე მრავლად იყო დარაბები, რომელთათვის დამახასიათებელი იყო დიდზე გადმოშვებული სახურავები, რომლებიც, თავის მხრივ, რკინის წვრილ სვეტებს ეყრდნობოდნენ, მათ ქვეშ გადიოდა ე.წ. ტროტუარებად წოდებული გასასვლელები. დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკის დასავლეთით ე.წ. ოცხელის პასაჟა იდგა. ეს იყო ორსართულიანი სახლი, რომელიც ფალიაშვილის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩაზე გადიოდა. შუა გასასვლელი მინით იყო დაფარული, ფალიაშვილის ქუჩაზე კი წითელი ქვით მოპირკეთებული ვიწრო ფასადით გამოდიოდა. ამ შენობის დასავლეთით ასევე ორსართულიანი შენობა იდგა, რომელშიდაც ქვევით სავაჭროები იყო განთავსებული, ზევით კი საცხოვრებელი ბინები. შენობის აღებამდე მასში კინოთეატრი იყო მოთავსებული. ამ შენობის დასავლეთით ასევე ორსართულიანი კაპიტალური შენობა იდგა, რომელიც 1960 წელს დანგრეულ იქნა მაღაზია “ბავშვთა სამყაროს” აგების გამო (არქიტექტორი გ. თოდაძე; ქცა, ფ. 513, ან.1, ს.2, ფ. 333-336).

ფალიაშვილის ქუჩის მონაკვეთი წმ. ნინოს ქუჩის გადაკვეთიდან დასავლეთით მოშენებული იყო 1860-იანი წლების შემდეგ ძირითადად ერთსართულიანი ქვის დარაბებით, რომლებზეც მოგვიანებით დაშენდა მეორე-მესამე სართულები, თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისიც, მაგალითად, ბეგოვის სახლი, რომელიც ბეგოვის პასაჟად იწოდებოდა და 1881 წელს იყო აგებული. ასევე ყოფილი კულტურის სახლი, რომლებმაც დღემდე თითქმის თავდაპირველი სახით მოაღწიეს.

XIX საუკუნის ბოლოს ქუჩა გადაიკირწყლა, ხოლო გადასასვლელ ადგილებში ჩატანებული იყო ქვის ძელაკებისაგან დაგებული ლენტი. ტროტუარები თითქმის ორივე მხარეზე თეთრი ქვის თლილი ფილებისაგან იყო გაკეთებული, ხოლო საჯარო ბიბლიოთეკის წინ ტროტუარი მოფენილი იყო ფერადი და მხატვრული სახის გოფირებული მეტლახის ფილებისაგან, რომელიც 1950-იან წლებში ასფალტის ფენით დაიფარა.

ფალიაშვილის ქუჩაზე მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის სამუშაოები ჩატარდა 1934-1936 წლებში თეატრის მშენებლობის დაწყების გამო, როცა ქუჩის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილიდან, დღევანდელი “ვი თი ბი“ ბანკის შენობამდე აღებულ იქნა დუქან-დარაბების ნაწილი, ხოლო 1956 წელს თეატრის ექსპლუატაციაში გადასვლის გამო თითქმის მთელი კვარტალი. უფრო ადრე, 1922 წელს წითელ ხიდთან არქიტექტორ ნ. თუმანიშვილის პროექტით აგებულ იქნა ქალაქის №2 აბანო. დღევანდელ ცენტრალურ მოედანზე არსებული კვარტალი აღებულ იქნა 1947-1948 წლებში, რამაც ქუჩის სიგრძე 100 მეტრით შეამცირა და დღეს 420 მეტრს შეადგენს. ყოფილი არქივის შენობის წინ იდგა ერთსართულიანი სავაჭრო დარაბები, რომელიც 1935-1936 წლებში დაინგრა და მის ადგილზე გაკეთდა სკვერი, ხოლო შენობაში 1961 წლამდე მოთავსებული იყო საბავშვო ბიბლიოთეკა (ქცა, ფ. 513 ან. 1, ს. 2, ფ. 335-341), ხოლო რეკონსტრუქციის შემდეგ (არქიტექტორი გ. თოდაძე) ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, რომელიც აქ იყო განთავსებული 2009 წლამდე.

როგორც აღვნიშნეთ, ზ. ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ძველი შენობებიდან რამდენიმე ჩვენამდე მოაღწია, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა. 1850-იანი წლების ბოლოს აგებულმა დიდმა, ორსართულიანმა ნაგებობამ დღევანდელი სახე 1914-1915 წლებში, ინჟინერ ე. ფრიკის პროექტით მესამე სართულის დაშენების შედეგად მიიღო (ზ. ფალიაშვილის ქ. №31). რუსტიკითა და ქალისთავებით შემკული მესამე სართული მკაფიოდ გამოიყოფა ძველი ნაგებობის სადა ფასადის ფონზე.

თავდაპირველი სახლი აზნაურ სტეფანე აკოფაშვილის საკუთრება იყო და სწორედ აქ დაიდო ბინა 1875 წელს დაფუძნებულმა ქალაქის თვითმმართველობამ და სათათბირომ. 1890 წელს სახლი არონ ელიგულაშვილმა შეიძინა. სახლი საკმაოდ დიდი მოცულობის იყო, ზედა სართულში 20 ოთახი, პირველ სართულზე კი 10 მაღაზია იყო, თითოეული სამი განყოფილებით. 1900-იან წლებში შენობის მეორე სართულზე მოთავსებული იყო აზოვ-დონის კომერციული ბანკი, ქვემოთ კი სხვადასხვა სავაჭროები (გალანტერეა, საათები და ოქროულობა, ქსოვილები, ღვინისა და სპირტის საწყობი და სხვა). საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სახლი მუნიციპალიზირებულ იქნა და მასში კომუნალური და სასოფლო სამეურნეო ბანკები განთავსეს, მესამე სართული კი მთლიანად საბჭოთა მოსამსახურეებს ეკავათ, მათ შორის იყო ცნობილი ბარნაბა ეძგვერაძე.

1922 წელს ცოტა ხნით შენობის ერთ ოთახში ებრაელთა სამლოცველოც იყო მოწყობილი. საჯარო ბიბლიოთეკამ, რომელიც ანტონ ლორთქიფანიძის მიერ 1873 წელს დაარსებული ბიბლიოთეკის მემკვიდრეს წარმოადგენდა, შენობა 1934 წელს დაიკავა (qca, f. 38, an. 1, s. 833a; f. 296, an. 1 s. 822, f. 261; f. 108, an. 1, s. 3016; f. 108, an.1, s.33, f. 16; f. 108, an. 1, s. 341, f. 18; f. 22, an. 1, s. 20270).

საინტერესო ნაგებობაა “ვი თი ბი” ბანკის ყოფილი შენობა. ზ. ფალიაშვილის ქ. №35-ში მდგარი სამსართულიანი ნაგებობა, რომელიც ინჟინერ ე. ფრიკის პროექტით 1915-1916 წლებშია აგებული, ვაჭარ მიხეილ მოშიაშვილს ეკუთვნოდა. სახლის პირველ სართულზე ფარდულები იყო, ზემოთ კი მშენებლობის დასრულებისთანავე ვოლგა-კამის კომერციული ბანკის ქუთაისის განყოფილება განთავსდა. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან უკვე მუნიციპალიზირებულ შენობაში ჩანს კომუნალური ბანკი, დამზღვევი სააგენტო და ქალაქის ლომბარდი. 1961 წლიდან შენობაში მოთავსებული იყო სსრ ბანკის ქუთაისის განყოფილება, რომელიც 1987 წლიდან მრეწველბანკმა შეცვალა. უფრო მოგვიანებით მასში ინდუსტრია ბანკი, გაერთიანებული ქართული ბანკის ქუთაისის რეგიონალური ფილიალი და “ვი თი ბი” ბანკის განყოფილება იყო მოთავსებული.

მოდერნის სტილის მაღალი შენობა თავისი კომპისებური რიზალიტებითა და დატეხილი კონტურით მკაფიო ურბანულ აქცენტს წარმოადგენს. ფასადის გადაწყვეტა ფრიკისავე პროექტით გადაკეთებულ საადგილმამულო ბანკის შენობას ეხმიანება (დღევანდელი თამარ მეფის ქუჩა №56). ფასადს დინამიკურობას ანიჭებს გუმბათით დაგვირგვინებული და ფრონტონით დასრულებული რიზალიტების, ოვალური და სწორკუთხა აივნების, თაღოვანი და სწორკუთხა ვიწრო ღიობების მონაცვლეობა (qca, f. 108, an. 1, s. 4496, f. 4; f. 38, an. 1, s. 833a; f. 296, an. 1, s. 12, f. 185; gaz. "Cveni megobari", 1916, 214).

ქუჩაზე არსებულ ისტორიული პასაჟებიდან დღემდე მოღწეულია ბეგოვის პასაჟა. იაკობ ბეგოვის ყოფილი საცხოვრებელი სახლი (ზ. ფალიაშვილის ქ. №23) ინჟინერ ი. ლიავდანსკის პროექტითაა აგებული 1882 წელს. ტრადიციულად, შენობის პირველი სართული დარაბებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ნაგებობის პროექტი გარკვეული ცვლილებებით განხორციელდა. შენობა საკმაოდ დიდი მოცულობისაა და ფალიაშვილის ქუჩას “პასაჟით” ბაზართან აკავშირებს.

რუსტიკით შემკული ფასადი სწორკუთხა ღიობთა რიგით არის დანაწევრებული. მკაფიო აქცენტებად იკითხება ფსევდოორდერული პილასტრებით მოხარჩობებული ფართო მშვილდათაღოვანი ღიობი და მის თავზე მოქცეული ფრონტონი, რომელიც “ბაროკული“, მცენარეული და კლასიკური რეპერტუარის არქიტექტურული ელემენტებითაა შემკული. ფრონტონის წვერში ნაგებობის თარიღია გამოკვეთილი, ცენტრში კი საათი იყო დამონტაჟებული. კარნიზის შემამკობელ უჩვეულო კბილანებს შორის მფლობელის რუსული მონოგრამაა – **МЗ** (m. bulia, m. janjalia, 2006: 117).

XIX საუკუნეში ზ. ფალიაშვილის ქუჩაზე რამდენიმე სასტუმრო არსებობდა. მათგან ჩვენამდე მოაღწია ყოფილი სასტუმრო “ლონდონი“-ს შენობამ. 1880-იან წლებში დღევანდელი ზ. ფალიაშვილისა და ცისფერყანწელთა ქუჩების კუთხეში აგებული სასტუმრო “ლონდონი“ ელიგულაშვილისა და გრ. გველესიანის საკუთრება იყო. სადღეისოდ საკმაოდ გადაკეთებული შენობის მეორე სართულს თავდაპირველი სახე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს. ტრაპეციული მოყვანილობის ნაგებობის შუა წახნაგს ფრონტონი აგვირგვინებს. ფასადის მორთულობა სიუხვით გამოირჩევა: კედელი ორფერი რუსტიკის ზოლებითაა დაფარული, თაღოვან ღიობთა საპირეებს რუსტიკებული ქვაბი ანაწევრებს, კარნიზს ტრიგლიფებისა და მეტოპების ფრიზი მიუყვება, მეტოპებში სხვადასხვაგვარი მცენარეული და ანტროპომორფული მოტივებით შემკული მედალიონებია ჩასმული (მ. bulia, m. janjalia, 2006: 122).

ზ. ფალიაშვილის ქუჩაზე არსებულ ძველ სახლებს შორის თავისი მასშტაბით გამორჩეულია კონსტანტინე ხარაზოვის სახლი. 1874 წელს წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიხეილის (ამჟამად ზ. ფალიაშვილის) ქუჩის ჩრდილოეთ მხარეზე, თავად ოთარ კონსტანტინეს ძე დადემქელიანისაგან – სვანეთის უკანასკნელი მთავრის მურზაყან (კონსტანტინე) დადემქელიანის მემკვიდრისაგან – მამული შეიძინა ქუთაისელმა მოქალაქემ კონსტანტინე სტეფანეს ძე ხარაზოვმა (ხარაზიშვილმა), სადაც 1875-1876 წლებში ორსართულიანი ქვის დიდი სახლი ააგო, რომლის ქვედა სართულში 34 ოთახი იყო, ზედაში კი – 28.

1898 წელს აღნიშნული სახლი კონსტანტინე ხარაზოვისაგან 35 ათას მანეთად შეიძინა ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობამ. სხვადასხვა დროს შენობაში მოთავსებული იყო ქუთაისის საოლქო სასამართლო, საჯარო ბიბლიოთეკა, კლუბი, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო, ცეცხლისგან დამზღვევი საზოგადოების კანტორა, ქალაქის გამგეობა, ქიმიური ლაბორატორია, მიკროსკოპიული სადგური, საგუბერნიო სტამბა და სხვა.

1948-1949 წლებში შენობის მეორე სართულს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, კერძოდ, ქუჩაზე გამომავალი ხის აივანი შეიცვალა კაპიტალური კედლით. ათეული წლის განმავლობაში შენობაში განთავსებული იყო ვასო აბაშიძის სახელობის კულტურის სახლი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე თითქმის ყველა გამორჩეული სახლი, მათ შორის ზემოთ განხილული შენობებიც მუნიციპალიზებულ იქნა, ასევე ფილხაზ ციციაშვილის სახლი, რომელშიც წითელი ჯვრის კომიტეტი მოათავსეს, ქალაქის თვითმმართველობის ყოფილი სახლი, რომელიც დღევანდელი რუსთაველის მოედანზე მდებარეობდა და რომელშიც ჯერ პასტერის სადგური, უფრო მოგვიანებით კი ბავშვთა საავადმყოფო და ამბულატორია იყო მოთავსებული, პავლე ჩაკვეტაძის სახლი, რომელშიც საბჭოთა სავაჭრო ტრესტების კანტორა მოათავსეს და სხვა.

მიუხედავად მრავალი, ზოგჯერ გაუმართლებელი რეკონსტრუქციისა, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა ძირითადად თავდაპირველ გამორჩეულობასა და სილამაზეს ინარჩუნებს, რაშიც გადამწყვეტ როლს მისი მდებარეობა (ბულვარისა და წითელი ხიდის სიახლოვე) ასრულებს.

damowmebuli literatura da wyaroebi

m. bulia, m. janjalia, 2006 _ m. bulia, m. janjalia, quTaisi, Tb., 2006.

qca _ quTaisis centraluri arqivi, f. 513 an.1 s.2.

qca _ quTaisis centraluri arqivi, f.38 an.1 s.833a; f.296 an.1 s.822; f.108 an.1 s.3016; f.108 an.1 s.33; f.108 an.1 s.341; f.22 an.1 s.2027.

qca _ quTaisis centraluri arqivi, f.108 an.1 s.4496; f.38 an.1 s.833a; f.296 an.1 s.12

გაზ. **"Cveni megobari"**, 1916 _ gaz. "Cveni megobari", #214, 1916.

ilustraciebis aRwerilobebi

sur. 1. mixeilis (dRevandeli faliaSvilis) quCa _ 1910-iani wlebis bolo.

sur. 2. mixeilis (dRevandeli faliaSvilis) quCa _ 1890-iani wlebi.

sur. 3. faliaSvilis quCa _ 1950-iani wlebi.

sur. 4. faliaSvilis quCa _ 1950-iani wlebis bolo.

sur. 5. qalaqis gamegeobebis saxli dRevandel SoTa rustavelis moedanze _ 1950-iani wlebis dasawyisi.

sur. 6. quTaisis diubua de monperiseuli gegma _ 1833 weli.

sur. 7. xidis (dRevandeli faliaSvilis) quCis mimdebare teritoriis gegma _ 1861 weli.



sur.1.



sur. 2.



sur. 3.



sur. 4.



sur.5.



sur.6.

MERAB KEZEVADZE**ZAKARIA PALIASHVILI STREET IN KUTAISI**

Old districts of Kutaisi are situated on both banks of the river Rioni. Modern city center - Boulvoire and dramatic theatre surroundings are mentioned in the late feudal age. Mentioning Paliashvili street starts from XIX century. The street used to start from the red bridge and ended to the east line of the present-day square. In 60 meters from the bridge the street had 2 turning

points, one was heading right (modern Rustaveli square) second was going on the left side towards Chain bridge.

Paliashvili street passage from the cross of St. Nino street to the west side there were generally single-story houses which were developed into 2 and 3 floored houses though there are several exceptions, e.g. Begov house built in 1881, also a former culture house which still holds the same name.

From the old buildings situated in Paliashvili street only some of them survived till this time, we should distinguish Kutaisi Public Library building among them. Initially, it was the property of the noble person Stefane Akopashvili. In 1875 it was the house of the local government. In 1890 the house was bought by Aron Eligulashvili.

The library which was the inheritor of the one founded by Anton Lortkipanidze in 1873 took the building in 1934.

Despite lots of, sometimes incorrect reconstructions Zakaria Paliashvili street retains initial distinctness and beauty, which is mostly provided by its situation (closeness of Boulvoire and the bridge).

**ქეთევან კვიციანი
თამთა ჭიჭინაძე
გიორგი კილაძე**

ქალაქი ქუთაისი "Greestone 3.08" კოლექსიაში

თანამედროვე საზოგადოება წარმოუდგენელია განათლების გარეშე. განათლება ესაა პროცესი, რომელიც გამიზნულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი. ითვლებოდა, რომ შედეგი მიღებული ცოდნაა, თუმცა დღესდღეობით მენეჯერთა უმრავლესობა თვლის, რომ განათლების საბოლოო შედეგი არის არა იმდენად ცოდნის მიღება, არამედ მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი. განათლების მიღების ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ძირითადი გზა სკოლაზე გადის. თანამედროვე სკოლა, რომელიც ე.წ. ინფორმაციულ ხანაში ფუნქციონირებს, წარმოუდგენელია ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების გამოყენების გარეშე. სამწუხაროდ, მსოფლიო მასშტაბით ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას “ფეხს ვერ უწყობს” ქართული საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები. ქართული ინტერნეტრესურსები მეტისმეტად მწირია და განვითარების დონით ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელთაც მათ უყენებს ელექტრონულ საძიებო სისტემებთან, ბაზებსა და სხვა ტიპის რესურსებთან მუშაობის 7–12 წლიანი გამოცდილების ე.წ. “Technology-friendly” სკოლის მაღალი კლასების მოსწავლე. ციფრული ტექნოლოგიების სწორად და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება დადებითი შედეგების მომტანი იქნება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზისო და საშუალო). განათლების სისტემაზე ორიენტირებული ციფრული რესურსები, სპეციალიზებული ვებგვერდები, ციფრული ბიბლიოთეკები და კოლექციები იძლევა საშუალებას, მოსწავლემ მოკლე დროში მიიღოს სასურველი ინფორმაცია და გამოიყენოს როგორც ძირითადი გაკვეთილების მომზადების, ასევე თვალსაწიერის გაფართოებაში.

არაერთხელ გვითქვამს და კვლავ გავიმეორებთ, ამ მიმართულებით ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო პროექტი “ეროვნული ბიბლიოთეკა სკოლას” (იხ. <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolos.htm>). პროექტი ინტერნეტ-სივრცეში უკვე სამ წელზე მეტია “მუშაობს” და მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა დაინტერესებულ მიზნობრივ ჯგუფებს შორის მეტ-ნაკლები წარმატებით სარგებლობს. აღნიშნულს ადასტურებს სოციალური მეცნიერებების მაგისტრების, ქეთევან კვიციანისა და თამთა ჭიჭინაძის მიერ ჩატარებული კვლევა. კვლევა სრული სახითაა განთავსებული

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს სხენებული პროექტისა და კვლევის შედეგების ანალიზი, თუმცა გვერდს ვერ აფუვლით პროექტის – “ეროვნული ბიბლიოთეკა სკოლას” – ძირითად მიზანსა და ერთ განსაკუთრებულ ამოცანას.

proectis mizania: საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის დონის ამალღების საქმეში ეროვნული ბიბლიოთეკის ჩართულობის გაძლიერება.

gansakuTrebuli amocana: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არსებული და პოტენციური ელექტრონული რესურსების ბაზაზე საქართველოს სკოლების მოსწავლეებისთვის დამხმარე საინფორმაციო პორტალის შექმნა.

ამოცანით გათვალისწინებული პორტალის შექმნა ითვალისწინებს ისეთი ციფრული რესურსების შექმნას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სასკოლო განათლებას. სწორედ ასეთი “ირიბი” რესურსი არის “მშობლიური ქალაქი“, რომელიც ჩვენ მიერ მოაზრებულია, როგორც პროექტის – “ეროვნული ბიბლიოთეკა სკოლას” – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეპროექტი, შესაბამისი მიზნით, ამოცანებით, განხორციელების გზებითა და, რაც მთავარია, პოზიტიური შედეგით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, ციფრული რესურსის – “მშობლიური ქალაქი” – შექმნა, ტექნიკური, სტრუქტურული და, რაც მთავარია, შინაარსობრივი თვალსაზრისით რთული პროცესია და სპეციალისტთა ფართო წრის მუშაობას მოითხოვს. ასევე აუცილებელია წინასწარი კვლევის ჩატარება სამიზნე ჯგუფების (მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების სპეციალისტთა და განსაკუთრებით მოსწავლეების) მოსაზრებების გამოსავლენად, რაც თავისთავად ასევე რთული და არცთუ მცირეხარისხიანი პროცესია, განსაკუთრებით რაოდენობრივი შესწავლისას. სწორედ ამიტომ რესურსის შექმნას წინ უსწრებდა ჩვენ მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის შედეგებმა “ნიადაგი მოამზადა“ რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად. ვგულისხმობთ, შესაბამისი ანკეტირებისა და საპილოტე რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას. კვლევების მიზანზე, ამოცანებზე, პროცესსა და შედეგებზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდე კი საჭიროდ მივიჩნით, წინასწარ გაგვეჩვენოთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამა თუ იმ ქალაქის (ჩვენს შემთხვევაში ქ. ქუთაისი) ისტორიის, კულტურის, აწმყოსა და მომავლის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვირტუალურ სივრცეში.

ინტერნეტ-სივრცეში ყველაზე მეტად გავრცელებული საძიებო სისტემის Google-ის მიხედვით მომხმარებელი ძირითადად სამ ციფრულ რესურსს იყენებს: “ვიკიპედიის“ შესაბამის გვერდს (<https://ka.wikipedia.org/wiki/quTaisi>), “ქუთაისი მთავარს“ ([ix.http://www.empirehotel.ge/index.php?id=8934](http://www.empirehotel.ge/index.php?id=8934)) და “სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია“ – ოფიციალურ ვებგვერდს (<https://imereti.gov.ge/geo/static/17/kutaisi>). სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, ინტერნეტ-მომხმარებლისთვის ასევე

საინტერესოა ქუთაისის შესახებ ამინდის პროგნოზი და ვიდეო- და ფოტო-მასალა, რომელიც ასახავს ქალაქ ქუთაისში მიმდინარე კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებს.

Google-ის შესაბამისი გვერდების ზერეულე გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ ინტერნეტ-მომხმარებელი ქუთაისზე ინფორმაციას პირველ რიგში “ვიკიპედიაში” პოულობს. სხვა ქალაქების შემთხვევაშიც ასეა (მაგ., ამბროლაური, ბათუმი, თბილისი, ოზურგეთი და ა.შ.), ამიტომ ბუნებრივად იბადება სულ მცირე ორი კითხვა: 1. რამდენად არის შესაძლებელი “ვიკიპედიის” შესაბამისი გვერდის სრულყოფით (სტატიების, წიგნების ბმულების და ა.შ. დამატება) სასურველი შედეგის (მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაციის) მიღება? 2. არსებობს უფრო სრულყოფილი კომპიუტერული პროგრამა მიზნის მიღწევისთვის და რამდენად არის შესაძლებელი მისი “მორგება” მომხმარებლის (უპირველეს ყოვლისა, სკოლის მოსწავლეების) ინტერესებთან?

ვიმედოვნებთ, დასმულ კითხვებზე ჩვენეული პასუხი სრულ შესაბამისობაშია ინტერნეტ-მომხმარებელთა პასუხებთან: 1. შეუძლებელია “ვიკიპედიის” გვერდებზე ამა თუ იმ ქალაქზე სრული ინფორმაციის, განსაკუთრებით სრულტექსტიანი ციფრული წიგნების განთავსება და 2. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შეუძლია მოსწავლეთა ინტერესების, აგრეთვე Google-ის პარამეტრით შექმნას ციფრული კოლექცია “მშობლიური ქალაქი” და უზრუნველყოს მისი მიწოდება ინტერნეტ-სივრცეში, რისთვისაც საჭიროა: მ. მამარდაშვილის სახელობის ციფრულ კოლექციებში შესაფერისი სტრუქტურის ახალი ქვეკოლექციის “მშობლიური ქალაქი” შექმნა.

კვლევის მიზანი:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პოტენციური ციფრული რესურსისადმი “მშობლიური ქალაქი” მოსწავლეთა დამოკიდებულების კვლევა.

ამოცანები:

- სკოლის (სამივე საფეხურის) მოსწავლეების დამოკიდებულების განსაზღვრა მშობლიური ქალაქის ისტორიის, კულტურის, აწმყოსა და განსაკუთრებით მომავლის შესახებ;

- მოსწავლეების დამოკიდებულების შეფასება ინტერნეტ-სივრცეში, მათ შორის ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო რესურსებში მშობლიური ქალაქის შესახებ;

- მოსწავლეების მიერ ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსის – “მშობლიური ქალაქის” – მომავალი სტრუქტურისთვის ინფორმაციის მიღება.

ჰიპოთეზები:

- მიზნობრივი ჯგუფის (მოსწავლეები) დაინტერესება საგნის – “მშობლიური ქალაქის” – მიმართ საშუალოზე მაღალია;

- სკოლის (სამივე საფეხურის) მოსწავლეები დიდ ყურადღებას იჩენენ მშობლიური ქალაქის ისტორიის, კულტურის, აწმყოსა და განსაკუთრებით მომავლის შესახებ. კვლევის მიზნის მისაღწევად

გამოყენებულია თვისებრივი გამოკითხვის (სიღრმისეული ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები) მეთოდი, აგრეთვე შეფასებებისა და რეკომენდაციების ანალიზი. კვლევის არეალი მოიცავს ქალაქებს: თბილისს, ქუთაისს, ჭიათურასა და ოზურგეთს.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტებად შეირჩა მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექტორები.

თვისებრივი კვლევა განხორციელდა: ფოკუს-ჯგუფისა (ჯგუფური დისკუსიის) და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით. ფოკუს-ჯგუფის უმთავრესი მიზანი იყო თვისებრივი კვლევისათვის წინასწარ შედგენილი კითხვარის დაზუსტება. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები გახლდათ მოსწავლეები (VI-XII კლასი) და მასწავლებლები (ისტორია, სამოქალაქო განათლება).

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა პირველი ჯგუფური დისკუსია. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა ე.წ. “თოვლის გუნდის” მეთოდის გამოყენებით. თვისებრივი კვლევისას და სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელი იყო ქსელურობა და კონკრეტულ ადგილებში თავშეყრის ტენდენცია.

ჯგუფური დისკუსიების ხანგრძლივობა შეადგენდა 2 საათს. ფოკუს-ჯგუფის მსვლელობა განთავსებულია “სასკოლო ლიტერატურის” გვერდზე (1.08.2018). პირველადი მასალის დამუშავებით ჩასწორდა კითხვარი (რომელიც ჩაითვალა კვლევის ძირითად ინსტრუმენტად).

SezRudvebi Tvisebrivi kvlevis farglebSi

კვლევის რესპონდენტებად შერჩეული იყვნენ მხოლოდ გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლები (მოსწავლეები, მასწავლებლები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები, საიტების ავტორები). ვერ მოხერხდა სხვა სფეროების წარმომადგენლების გამოკითხვა. გარდა ამისა, კვლევა ჩატარდა ზაფხულის არდადეგების პერიოდში, რაც ართულებდა მოსწავლეების ჩართვას კვლევის პროცესში.

raodenobrivi kvleva

raodenobrivi kvlevis instruments warmoadgenda struqturirebuli kiTxvari. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ (face to face) ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

kvlevis obieqti: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 ქალაქში (14 წლის და უფრო მეტი ასაკის) მოსახლეობაში (მოსწავლეები, მასწავლებლები).

SerCeviTi erTobliobis მოცულობა მთლიანობაში შეადგენდა 52 რესპონდენტს.

SerCeva: ალბათური შერჩევა, ანუ გენერალური ერთობლიობის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი შანსი ჰქონდა. ინდივიდუალურად მოხდა თითოეულთან დაკავშირება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4 სხვადასხვა ეროვნების მქონე პირმა. გამოსაკითხთა ერთობლიობა გადანაწილდა საქართველოს 4 ადმინისტრაციულ ერთეულში, იმის მიხედვით, თუ რომელ ქალაქს თვლიდა მშობლიურად, ანუ, რომელი ქალაქი უნდოდა მოხვედრილიყო ქვეკოლექციაში

“მშობლიური ქალაქი“.

თითოეულ შერჩეულ ქალაქში ჩატარდა იმდენი ინტერვიუ, რამდენ რესპონდენტთანაც შესაძლებელი გახდა დაკავშირება.¹

savele samuSaoebi

საველე სამუშაოები განხორციელდა ქვეკოლექციის – “მშობლიური ქალაქი“ – შექმნით დაინტერესებული პირების (ინტერვიუერების) მიერ. მონაცემების მოპოვება ველზე მოხდა კითხვარების საშუალებით.

monacemTa analizi

საველე სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიქმნა მონაცემთა ბადა, რაოდენობრივი ინფორმაციის სრულად მიღების შემდგომ მოხდა მონაცემთა დათვლა და ანალიზი. მონაცემთა დამუშავება განხორციელდა საოფისე პროგრამა "Excel-ში."²

daskvna³

1. მოსწავლეები, რომლებიც ე.წ. ინფორმაციულ ხანაში სწავლობენ, განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი, ინფორმაცია ციფრულ ფორმატში მიიღონ;

2. ინფორმაციის ციფრულად მიღების ძირითადი წყარო არის “ვიკიპედია“;

3. სკოლის (სამივე საფეხურის) მოსწავლეები დიდ ყურადღებას იჩენენ მშობლიური ქალაქის ისტორიის, კულტურის, აწმყოსა და განსაკუთრებით მომავლის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებაზე;

4. სკოლის (სამივე საფეხურის) მოსწავლეები “მშობლიური ქალაქის“ შესახებ ინფორმაციას იღებენ “ვიკიპედიის“ შესაბამისი გვერდიდან;

5. მოსწავლეები თვლიან, რომ ინტერნეტსივრცეში, მათ შორის ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო რესურსებში განთავსებული ინფორმაცია საქართველოს ამა თუ იმ ქალაქის შესახებ არასაკმარისია, თუმცა ბევრი რაიმეს გაგება შესაძლებელია. რაც შეეხება სურვილებს, კარგი იქნება, თუ ინტერნეტსივრცეში განთავსებული ყველა ინფორმაცია ერთ პორტალზე მოიყრის თავს. განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო იქნება სრულტექსტიანი ფაილების მომზადება;

6. რესპონდენტების უმრავლესობა “საშუალო დონეზე“ იცნობს, მაგრამ დაინტერესებულია ქალაქის (გამონაკლისია ქ. თბილისი – უმრავლესობა იცნობს “კარგად“) ისტორიის, კულტურის, აწმყოსა და განსაკუთრებით მომავლის შესახებ ინფორმაციით;

7. რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ მიუხედავად ინტერესისა, არ ფლობს საკმარის ინფორმაციას ქალაქის შესახებ, იმიტომ რომ თავის

¹ შეზღუდული მოცულობის გამო სტატიაში გამოკითხვის ანკეტას, დემოგრაფიულ მონაცემთა ანალიზს არ განვიხილავთ და მხოლოდ მიღებული შედეგებით შემოვიფარგლებით. შედეგები ასახულია სტატიის დასკვნაში.

² კვლევის შედეგები მოცემულია დასკვნაში.

³ დასკვნაში, სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, საუბარი გვაქვს მხოლოდ მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე ქვეკოლექციის “მშობლიური ქალაქის“ მიმართ.

დროზე არ უსწავლია და მერე დრო არ ჰქონდა“;

8. რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ინფორმაციის ძირითადი წყარო არის “ვიკიპედიის” შესაბამისი გვერდი, თუმცა მის მიმართ დამოკიდებულება არის “არასაკმარისი” და საჭიროებს შევსებას;

9. რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ სტრუქტურად გამოიყენებდა “ქ. თბილისის გვერდს”, ამასთან, ვიკიპედიის მონაცემებს დაამატებდა “ციფრულ ლიტერატურას (წიგნები, სტატიები)“;

10. რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსები კარგია, თუმცა აუცილებლად დაამატებდა “მეტ ციფრულ წიგნებსა და სტატიებს“;

11. რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ სასკოლო საგანი “მშობლიური ქალაქი” უნდა ისწავლებოდეს ერთ სემესტრში (კვირაში 1 დღე) განათლების მეორე საფეხურზე (VI-IX კლ.), არ უნდა იყოს სავალდებულო საგანი და უნდა ისწავლებოდეს “დამატებით გაკვეთილზე“.

damowmebuli literatura da wyaroebi

g. kilaZe, 2017 _ g. kilaZe, biblioTekari biblioTekars, krebuli, Tb., 2017.

l. wulaZe, 2008 _ l. wulaZe, raodenobrivi kvlevis meTodebi socialur mecnierebebSi, Tb., 2008.

T. WiWinaZe, q. kvirkelia, 2018 _ T. WiWinaZe, q. kvirkelia, sainformacio, SemecnebiTi veb-saitis cnobadobisa da reitingis gamsazRvrelis faqtorebi, samagistro naSromi, Tb., 2018.

Tvisebrivi kvlevis angariSi _ თვისებრივი კვლევის ანგარიში (<http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2018/02/13.pdf>). 05.02.2019.

Tvisebrivi meTodebi socialur kvlevaSi _ Tvisebrivi meTodebi socialur kvlevaSi (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0--0---0prompt-10---4-----0-11-10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&c1=CL2.10&d=HASH0129b5727ecf269b3f2c1338.1>). 05.02.2019.

**KETEVAN KVIRKELIA
TAMTA CHICHINADZE
GEORGE KILADZE**

KUTAISI CITY IN "GREENSTONE 3.08" COLLECTION

It's not possible to imagine a modern society without education. Nowadays, one of the primary sources to get an education is school. A modern school of so-called information age couldn't function without implementing digital technologies and electronic educational resources.

Unfortunately, Georgian electronic educational resources can't keep up with the standards of digital technologies worldwide.

* Students of this so-called information age have special interest in getting information by means of digital formats.

* The main source to get digital information is "Wikipedia"

* Students at all three levels of the school give huge attention to get thorough information about the history, culture, present and especially the future of their home town.

* Students at all grade levels of education get information about their home towns from relevant pages on "Wikipedia".

* Students think that information about different cities in the internet space, including the educational resources of the national library is not sufficient, although it enables you to learn quite a lot about them. As for their wishes, it would be a good idea to gather all the information on one portal, especially the full-text files.

* The majority of respondents know their city on the average level. (Tbilisi is an exception: most of them have quite good knowledge of it) However, they are interested in its history, culture, present and especially future.

The majority of respondents state that despite the interest they have insufficient information about their home-towns since they were not exposed to it in their young years and now they lack the time to learn it.

* Most of the respondents consider that the main source of information is the Wikipedia page, but they think it needs to be expanded.

* Most of the respondents think they would use the "Tbilisi city page" together with digital literature (books, articles) added to the Wikipedia data.

* The Majority of respondents consider the National Parliamentary Library of Georgia has good online resources, but there is a need for more digital books and articles.

* Most of the respondents state that schools should teach "Home-town" as a subject for one semester (one day per week, at the secondary level, 6-9 grades), it shouldn't be a compulsory subject and should have a form of additional lesson.

მარიამ კობერიძე

ქუთაისი და გავითი "შრომა"

1881-1883 წლებში ქუთაისში გამოდიოდა ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი "შრომა" (ქუთაისში გამოცემული პირველი ქართული გაზეთი). ეს იყო პროგრესული ახალგაზრდობის ორგანო, რომელიც იდგა ეროვნული განთავისუფლების პოზიციაზე. გაზეთი გამოდიოდა ორშაბათობით. მოცულობა – 4 გვერდი. სულ გამოვიდა 90 ნომერი. რედაქტორი იყო დიმიტრი დადიანი, გამომცემლები: დიმიტრი დადიანი და დიმიტრი ნაზაროვი (დ. კარიჭაშვილი, 1929: 144-1446).

დავით კლდიაშვილი წერდა: "იმ ხანებში ქუთაისის გუბერნატორად იყო გენერალი სლოგოჩინსკი, ტომით პოლონელი, რუსეთის თვითმპყრობელობის თავგამოდებული მოსამსახურე. სლოგოჩინსკიმ დააკმაყოფილა საზოგადოება იმით, რომ არ გადაედო, ხელი არ შეუშალა ქუთაისში ქართული გაზეთის გამოსვლას" (დ. კლდიაშვილი, 1981: 302). ქუთაისში პირველი ქართული გაზეთის გამოცემის საქმე დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, ამიტომ "ყველა აღტაცებით მიეგება მით უფრო, რადგან იმერეთისკენ საჭირო იყო დრო – გამოცემის დაწყება. აი, დაიწყეს კიდევ. ხელის მომწერთა რიცხვიც კარგად მიდიოდა, გაზეთის მიმართულებაც მკაცრად ექვემდებარებოდა ჩვენს მაჯის ძარღვის ცემას, ჩვენს განზრახვას და მიმართულებას. გაზეთის საბედნიეროდ მისი ცენზურაც ქუთაისში იქმნა დაარსებული" (ზ. ჭიჭინაძე, 1916).

გაზეთის ქუთაისში გამოსვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელებული იყო ის, რომ "გაზეთის ორგანიზატორები სამსახურით თუ საცხოვრებელი ადგილით დაკავშირებული იყვნენ ამ ქალაქთან. ამასთანავე, ისინი მართებულად მსჯელობდნენ: თბილისში გამოდის "დროება", რომელიც საკმაოდ აშუქებს ქვეყნისა და, უპირველეს ყოვლისა, თბილისის ცხოვრებას, ქუთაისში გამომავალი გაზეთი კი პირველ რიგში ადგილობრივ ამბებს მიაპყრობს ყურადღებას" (ნ. ტაბიძე, 1968: 10).

თავდაპირველად გაზეთის ცენზურა ქუთაისში იყო, შემდეგ თბილისში გადაიტანეს. "თბილისელი ცენზურისაგან ამოშლილი ადგილების შევსება ყოვლად მოუხერხებელი ხდებოდა; გაზეთი წესიერად ვეღარ გამოდიოდა; ხან დაგვიანებით, ხან ნაკუწ-ნაკუწად; "მთავრობას იგი არ აუკრძალავს, არ მოუსპია, იგი თავისი ნებით შეჩერდა" – მთავრობას უმანკოდ გამოჰყავდა თავი" (დ. კლდიაშვილი, 1981: 302).

ზაქარია ჭიჭინაძის აზრით: "შინაურ მოქალაქეთა მეოხებით "შრომაზე" სხვა-და-სხვა ცილისწამებანი და ჭორები გაიმართა, "შრომის" ცენზურა თბილისში გადმოიტანეს, ასეთი გარემოება გაზეთმა ვერ აიტანა, მესამე წლის ნახევარს იგი თავის უნებლიედ უდროვოდ მოისპო" (ზ. ჭიჭინაძე, 1916). რა თქმა უნდა, ცენზურის თბილისში გადატანა მრავალ პრობლემას

შექმნიდა: გაზეთის გამომცემლობისათვის "უცნობი" ცენზურა და ტერიტორიული ფაქტორი ბუნებრივად აისახებოდა გაზეთის არსებობაზე.

მნიშვნელოვანია გაზეთ "შრომის" გარშემო შემოკრებილი საზოგადო მოღვაწეების – დიმიტრი დადიანის, დიმიტრი ნაზარიშვილის, ბოსლეველის (ესტატე მჭედლიძის), კეზელის (დავით სოსლანის), სეველისა (დავით ბაქრაძის) და უმწიფარიძის (გრიგოლ ვოლსკის) კულტურულ-საგანმანათლისებლო საქმიანობა ქუთაისში. ამ ორგანოს საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი კრიტიკოსი, მთარგმნელი, ქალაქის ხმოსანი (ა. გოგუაძე, 1956: 139). როგორც ნ. ტაბიძე აღნიშნავს: "დ. დადიანი, დ. ნაზარიშვილი და კ. ლორთქიფანიძე ქმნიან მტკიცე ტრიუმვირატს, დაფუძნებულს ურთიერთგაგებისა და საზოგადო საქმის წინ წაწევის სურვილზე" (ნ. ტაბიძე, 1968: 17).

გაზეთ "შრომის" რედაქტორი დიმიტრი დადიანი ქუთაისის "საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის" მმართველად ყოფილა ოთხმოციან წლებში. გაზეთის დაარსებამდე ის თანამშრომლობდა "დროებაში". 1875-1876 წლების "დროების" ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი სტატიებიდან აღსანიშნავია: "მუდამ ცალ-ცალკე, თუ ერთად?" "ერთი შენიშვნა", "ხმა სიმართლისა", "კიდევ ჩვენს მეცნიერებაზე". იმდროინდელი საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა მისი წერილების ძირითადი თემატიკა: საქართველოს მხარეთა პოლიტიკური გაერთიანება, საზოგადოებრივი აზრის გაღვივებაში ლიტერატურის მნიშვნელობა და ქართველი კადრების აღზრდის საჭიროება (ა. გოგუაძე, 1955: 227).

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალებზე დაყრდნობით, ა. გოგუაძე აღნიშნავს, რომ მთავრობის წინაშე გაზეთ "შრომის" გამოცემაზე პასუხისმგებლობა დიმიტრი დადიანმა აიღო. გაზეთის გამოცემის საინიციატივო ჯგუფს დ. დადიანის რედაქტორად მოწვევა იმიტომაც აინტერესებდა, რომ მას, როგორც დიდი გვარიშვილს და საქმის კაცს, მთავრობა ენდობოდა და გაზეთის გამოცემის ნებართვა უადვილდებოდა. ამას ადასტურებს მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში ქუთაისის გუბერნატორის მიერ წარდგენილი დახასიათებაც (ცსსა, ფ. 1/121, 1881 წ., საქმე 6107, ფ. 22-24; ა. გოგუაძე, 1955: 228). აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ ფაქტსაც: "არც თუ ადვილი იყო დიმიტრი დადიანზე უკეთესი კანდიდატის შერჩევა. მაშინ ქართველებში ბევრი როდი მოიძებნებოდა ისეთი, რომელიც მთავრობის ნდობით სარგებლობდა, გული მამულის ბედნიერებისათვის უცემდა. ამასთანავე, იგი ეკონომიურადაც ძლიერი მემამულე გახლდათ" (ნ. ტაბიძე, 1968:12).

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილი დაიბადა 1854 წელს ქუთაისში. მამა წარმოშობით გორიდან იყო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო წმინდა ნინოს სასწავლებელში ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად, მას წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიული აკადემია. იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მან მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომში დუნაის მოქმედ არმიაში, როგორც

ექიმმა. დიმიტრი ნაზარიშვილი 1880 წლიდან იწყებს მოღვაწეობას ქუთაისში სამხედრო ლაზარეთის ორდინატორად. იგი იყო ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთი ჯგუფის ე. წ. “განსაკუთრებული კომისიის” შემადგენლობაში გიორგი მაიაშვილთან, კირილე ლორთქიფანიძესთან, იოსებ ოცხელთან და სხვებთან ერთად. 1890 წელს დ. ნაზარიშვილისა და ს. თოფურიას ხელმძღვანელობით ქუთაისში პირველი საქალაქო სავადმყოფო გაიხსნა. 1892 წელს მან ქუთაისში დააარსა პირველი უფასო ამბულატორია ღარიბთათვის, რომელსაც 25 წელი განაგებდა. 1995 წლიდან “ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრი” მის სახელს ატარებს. 1917 წლის მაისში დიმიტრი ნაზარიშვილისა და სამსონ თოფურიას თაოსნობით შეიქმნა ქუთაისში დასავლეთ საქართველოს ექიმთა კავშირი (nateba.websait.net/biographies/205.nazarisvili; www.nplg.gov.ge/medics/ka/00000888).

დიმიტრი ნაზარიშვილის პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ფსევდონიმით “№”, “ლომკირი” (ა. გოგუაძე, 1955: 228).

გაზეთ “შრომის” აქტიური თანამშრომელი იყო ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მასწავლებელი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მდივნად მსახურობდა გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიაში. მისი კრიტიკული მიმოხილვები უმთავრესად ეხება მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების ქართულ მწერლობას, განხილული აქვს ი. ჭავჭავაძის “განდეგილი” და დ. ერისთავის “სამშობლო”. მის მიერ “ქუთათურ ფელეტონებში” გამუქებულია ქუთაისის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრება. აღსანიშნავია მისი პუბლიცისტური წერილები: “იმედი” და მისი კრიტიკოსი პუბლიცისტები” (1882), “კრიტიკული მიმოხილვა” (1882, №48, 1883, №1,3). ის იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. სამწუხაროდ, ახალგაზრდა ესტატე მჭედლიძე მოკლულ იქნა 1885 წელს (<http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=92&id=3463> <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00016043/>).

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია დავით კეზელის რამდენიმე ფსევდონიმი: “დავით სოსლანი”, “არაგველი”, “ზოილი”. ის აქტიურად იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის (ა. გოგუაძე, 1955: 229).

გრიგოლ ვოლსკი დაიბადა 1860 წელს ქუთაისში. მამა პოლონელი იყო, დედა – ქართველი. გრიგოლ ვოლსკი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში წერდა ლექსებს “უმწიფარიძის” ფსევდონიმით. საინტერესოა გაზეთ “შრომაში” დაბეჭდილი მისი წერილი “თორმეტი შავი დალი”. ამ წერილში გაბედულად აყენებს ახალი ქართული ლიტერატურული ენის განმტკიცებისა და დანერგვის, ენის სიწმინდის დაცვის საკითხს (დ. ნაცვალაძე, 1968: 97-98).

გაზეთ “შრომის” გამოცემის ტექნიკურ-ორგანიზაციულ საქმეებში ჩართული იყო პუბლიცისტი და მოაზროვნე დავით ბაქრაძე (სეველი) (ა. გოგუაძე, 1955: 230).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაზეთის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. “რა ჰქონდა საერთო ქუთაისის ლიბერალ-ხალხოსანთა “შრომის” ჯგუფთან აკაკი

წერეთელს?“ “საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა, სოციალური საკითხი და 80-იანი წლების რეაქციის შედეგად მისი მიდრეკილება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებისაკენ“ (ა. გოგუაძე, 1965: 141).

აკაკი წერეთლის ყველა პუბლიცისტური წერილი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ "შრომაში", ეხება რეალურ პრობლემებს და მისი გადაწყვეტის გზების ძიებას. ქუთაისისადმი მიძღვნილი მისი პუბლიცისტური წერილებიდან აღსანიშნავია: "მეორეთ მოსვლის გამო" (1881, №2), "სათიატრო შენიშვნა" (1881, №12), "ნაკუდალა" (1881, №5) "სამღვდელოების შესახებ" (1881, №15), "ქუთაისი" (1881, №16), "რამდენიმე სიტყვა თავადი ალექს. მიქელაძის შესახებ" (1882, №2), "ქალების მოსარჩლე ქალ-ბატონს" (1882, №3), "პასუხი" (1882, №18), "ბატონო რედაქტორო" (1882, №19), "ქუთაისი" 19 მაისს, 1882 წ. (1882, №19), "ჩვენი უკუღმართები" (1882, №20), "მცირე შენიშვნა" (1882, №25), "შენიშვნა" (1882, №189) "სახალხო ლექსებისა და ამბების შემკრებლებს" (1882, №42), "სამგზავრო წერილებიდან" (1882, №7), "ცხელ-ცხელი ამბები" (1882, №45), "საქუთაისო შენიშვნები" (1883, №16)...

აკაკი წერეთელი იმ პერიოდის ქუთაისის რეალური ცხოვრების დასახასიათებლად გადატანითი მნიშვნელობით იყენებს გამოთქმებსა და ტერმინებს: **მწყერობა, მწყერი** – მედროვე ადამიანი. „ყველა დროება წლისა მათთვის ერთია, ყოველთვის ჰპოულობენ საკმაო სითბოს და მარცვლებს საკვებად“, **სალაყბო ანუ პარლამენტი** – თავად-აზნაურობის ყრილობა (ა. წერეთელი, 1960: 132, 147).

აკაკი წერეთელი ქუთაისის იმდროინდელი ქუთაისის რეალობას ასე გვიხასიათებს. "ქუთაისი ერთი უძველეს ქალაქთაგანია საქართველოში, ოდესმე განთქმული ყოფილა, მაგრამ დღეს კი მოწყენით გადალაჯვბია ღრიალა რიონს და გაიყურება შავი ზღვისაკენ, თითქოს უნდოდეს, რომ თავისი დარდები, ერთად რიონის ტალღებთან შერთული, იქ იმ უფსკრულში ჩანთქას!". ირონიასთან შეზავებული ტკივილიც არის გამოხატული. "ერთი შეხედვით კაცს ეგონება, ამ ქალაქს ჰსურსო, რომ თავის თავს გაექცეს, მაგრამ ტალახიდან ვეღარ ამომძვრალა და ის აკავენსო"... გულ-მოსასვლელია ამისთანა მდგომარეობა, მაგრამ მეტი ტკეპნისაგან გულიც დასუსტებული აქვს. ეს გული გახლავთ "ბულვარი", რომელსაც ხალხი "გულვარდათ" უწოდებს და მართლაც, რომ მწუხრისათვის გულის ვარდია ხან-და-ხან" (ა. წერეთელი, 1960: 147).

საპოლემიკო გამხდარა აკაკი წერეთლის გაზეთ "შრომაში" დაბეჭდილ ერთ ფელეტონში ნათქვამი სიტყვები: "რაც შეეხება აქაურს ქალებს, ამაზედ ლაპარაკი არ ღირსო". ამ სიტყვებს "გაუწიწმატებია" ერთი ქუთაისელი ქალბატონი, რომლის საპასუხო წერილი დაბეჭდილია გაზეთ "შრომის" №1 ნომერში. ქალების მოსარჩლე ქალი წერს: "მოგვეცითო ის უფლება, ის აღზრდა, რომელიც თქვენ მიგიღიათ და მემრე ვნახოთ, თუ ჩამოვიდგებითო" (ა. წერეთელი, 1960: 154, 156).

ორატორული მეტყველების შესანიშნავი ნიმუშია აკაკი წერეთლის მიერ ალექსანდრე მიქელაძის დაკრძალვის დროს წარმოთქმული სიტყვა

“რამდენიმე სიტყვა თავ. ალექ. მიქელაძის შესახებ“, რომელიც გაზეთ “შრომაში“ დაიბეჭდა: “საუკუნოდ იყოს განსვენებულის თავადის ალექსანდრე მიქელაძის ხსენება! და ვინატროთ ამ გვარ კაცებისათვის უკეთესი ღრო, რომ უსამართლობა მხრებს ვეღარ ამტკვრევდესო“ (1882, №2).

აკაკი პარალელების გამოყენებით ქუთაისის ორ ნაწილს ერთმანეთს ადარებს: “ქალაქი ქუთაისი იყოფა ორ ნაწილად: დაბლობად და მაღლობად, ანუ გორად და ვაკედ. გორა ნაწილი სიხარბით დაჰყურებს მაღლიდან ვაკეს და გულზე სქდება! ვაკე შურით შესცქერის გორას და მწუხარების ოხმივარი ასდის... საკვირველია, რათ შესჩერებინ ერთმანეთს სიხარბით, მაშინ როდესაც თავ-თავის ადგილზე ორივე კარგათაა? მისთვის რომ ადგილობრივ-საზოგადო კანონებს ექვემდებარებიან. – აქ, ამ ქვეყანაში, გამოითქვა პირველად ის ჭეშმარიტება, რომ “თვალეში, თუ შუაში ცხვირი არ ედვასთ და არ იყოფოდნენ, ერთმანეთს გააფუჭებდნენ და მხედველობას დააკლებდნენ“ (იქვე). იმ პერიოდის ქუთაისში ორი გასართობი ადგილი ყოფილა: “გაღმა – ბალი ფერმად წოდებული, სადაც გაზაფხულზე – მაშინ როდესაც ჯოჯოხეთიც არ უნდა იყოს მოსაწყენი – დროს გატარება შეიძლება... გამოღმა ბულვარი – ბულვარი, ანუ “ხრიკის მოედანი“. უმთავრესი ქუჩა არის “ორპირის“ ქუჩა, ანუ ესრედ წოდებული “ზალიკოს ტაყცილი“ (ა. წერეთელი, 1960: 285).

აკაკის აზრით: “ძვირად სადმე მოიპოვება ქალაქი, რომ ქუთაისს შეეძაროს მოუსვენრობითა და მოძრაობით: აქ ყოველივე მოძრაობს, ყველა მოქმედობს, დიდი და პატარა საქმეს აკეთებს, მაგრამ ნასაქმი და ნამოქმედარი კი არსად სჩანს, რა მიზეზია? – მე არ შემიძლიან, რომ პირ-და-პირ რამე ვსთქვა; ორ-გულობას, მოღალატეობას შემომწამებენ და, თუ ისურვებს მკითხველი, ერთ უცხოელ-კაცის შენიშვნებს წარმოვადგენ. — ქუთაისში სასტუმროები სტუმრებზე მეტი არიან, მაგრამ ყველაზედ უფრო სახელგანთქმული “კოლხიდა“ ანუ “ზავთრას“ სასტუმრო. “შეუძლია მოგზაურს აქ ჩამოხტეს, იცხოვროს დამშვიდებით და როდესაც ანგარიშს მოსთხოვს, “ზავთრათი“ გაისტუმროს (იქვე, 286).

გაზეთი „შრომა“ 125 წლის შემდეგ კვლავ დაიბეჭდა ქუთაისში, როგორც საიუბილეო ნომერი, 129 ჟურნალისტის წერილით. ესეც კიდევ ერთი ფაქტი – თანამედროვეობასთან კავშირი.

ამრიგად, გაზეთ “შრომაში“ დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XIX საუკუნის 80-იანი წლების ქალაქ ქუთაისის ისტორიის ერთი პერიოდის შესახებ. აღსანიშნავია აქ მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, სოციალური პრობლემები, ენისა და რწმენის საკითხი, მათ შორის ბანკი და მის გარშემო წარმოშობილი პრობლემები.

damowmebuli literatura da wyaroebi

a. goguaZe, 1955 – a. goguaZe, liberalur xalxosanta quTaisis jgufi: al. wulukiZis saxelobis quTaisis saxelmwifo pedagogiuri institutis Sromebi, t. XIV, quTaisi, 1955.

a. goguaZe, 1956 – a. goguaZe, akaki wereTeli da gazeTi "Sroma": al. wulukiZis saxelobis quTaisis saxelmwifo pedagogiuri institutis Sromebi, t. XV, quTaisi, 1956.

d. kariWaSvili, 1929 – d. kariWaSvili, qarTuli perioduli gamocemebis bibliografiuli mimoxilva: qarTuli mwerloba, #6-7, Tb., 1929.

d. kldiaSvili, 1981 _ d. kldiaSvili, memuarebi: Txzulebani, t. II, Tb., 1981.

d. nacvalaZe, 1968 _ d. nacvalaZe, volski grigol iosebiZe: saxalxo ganaTlebis qarTveli moRvaweebi da saxalxo maswavleblebi, krebuli mesame, Tb., 1968.

n. tabiZe, 1968 _ n. tabiZe, narkvevebi qarTuli Jurnalistikis istoriidan, Tb., 1968.

a. wereTeli, 1960 – a. wereTeli, t. XII, publicisturi werilebi, 1881-1889, Tb., 1960.

z. WiWinaZe, 1916 – z. WiWinaZe, qarTuli gazeTi asi wlisaa; gamosca v. tyeSelaSvilma, Tb., 1916.

scssa, 1881 – saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1/121, 1881, saqne 6107;

გაზ. **"Sroma" 1881** – gazeTi "Sroma", 9 seqtemberi, #2; 18 noemberi, #12; 30 seqtemberi, #5; 9 dekemberi, #15; 16 dekemberi, #16, quTaisi, 1881.

გაზ. **"Sroma" 1882** – gazeTi ,,Sroma", 13 ianvari, #2; 20 ianvari, #3; 12 maisi, #18; 19 maisი #19; 19 maisი #19; 26 maisი #20; 30 ivnisi, #25; 10 seqtemberi, #189; 27 oqtomberi, #42, quTaisi, 1882.

გაზ. **"Sroma" 1883** – gazeTi "Sroma", 16 Tebervali, #7; 27 aprili, #16, quTaisi, 1883.

dimitri nazariSvili (1954-1927) - dimitri nazariSvili (1954-1927) (<http://nateba.websail.net/biographies/205-nazarishvili>).

12.03.2019.

estate mWedliZe (bosleveli) - estate mWedliZe (bosleveli) (<http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=92&id=3463>).

12.03.2019.

saqarTvelos eqimebi (biografiuli leqsikoni) -
 saqarTvelos eqimebi (biografiuli leqsikoni) (www.nplg.gov.ge/medics/ka/00000888). 12.03.2019.

qSwkgs - qarTvelTa Soris wera-kiTxvis gamavrcelebeli
 sazogadoebis wevrebis (<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00016043>).
 12.03.2019.

MARIAM KOBERIDZE

KUTAISI AND NEWSPAPER “SHROMA”

The weekly political and literary newspaper “Shroma” was publishing Kutaisi in 1881-1893. The newspaper used to highlight the works of cultural and educational activities in Kutaisi of public figures - Dimitri Dadiani, Dimitri Nazarashvili, Boslevili (Estate Mchedlidze), Kezeli, Davit Bakradze and Grigol Volski.

Akaki Tsereteli and Kirile Lortkipanidze actively participated in the activity of the newspaper. Akaki Tsereteli’s publicistic letters dedicated to Kutaisi and texts of oratorical speech were often published in the newspaper “Shroma”. The most notable among them are: “On the Second Coming”, “Remark regarding the theatre”, “Nakudala,” “About the clergy”. “Kutaisi”, “Few words About Lord Aleksandre Mikeladze, “Toe a woman supporting women”, “The Answer, “Mr. Editor”, “Kutaisi on May 19, 1882”, “Our misfortune”, “Small Note”, “Note”, “To the Collectors of Public Poems and Stories, “Hot News”, “From travel stories”, “Remakrs related to Kutaisi”.

We should remark that Akaki Tsereteli uses figurative terms to describe the real-life of Kutaisi of that period. For example, ‘Quail Hunting’, Quail - self serving-man; ‘hounds - henchmen of self-serving men; talk fest - parliament...

ირაკლი ლორთქიფანიძე

**ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონის (ბიორბაძე)
ბარდასვალების პერსონაჟი**

"patiosan ars winase uflisa
sikvdili wmindaTa mista"
(fsal. 117,8)

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ისტორიაში მღვდელმთავართა შორის ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს (გიორგაძე) გამოირჩეული ადგილი უჭირავს.

ტრაგიკული გამოდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის 1918 წელი; მოულოდნელად ეკლესიამ დაკარგა ორი მაღალიერარქი: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი და ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.

“მამულისშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდია”, – წერდა კათოლიკოსი კირიონი.

1918 წლის 26 ივნისს მარტყოფის მონასტერში მოულოდნელად გარდაიცვალა უწმიდესი და უნეტარესი კირიონი. კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების გამო არაერთი სამგლოვიარო წერილი თუ დეპეშა გამოქვეყნდა. ქუთაისში ჩატარდა საეპარქიო კრება. ქუთაისიდან გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

“მრავალტანჯულ საქართველოს ეკლესიას, რომელმაც თავგანწირვით გამოჰკლიჯა თავისუფლება ორთავიან არწივს, უცნაურმა ბოროტებამ მოსტაცა მისი სიამაყე, უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოსი კირიონ მეორე. მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი, სამიტროპოლიტო საბჭო და სასამართლო გულმოკლული დასტირიან ქართველთა ეკლესიის და ერის მოჭირნახულის ნემტს და იმედოვნებენ, რომ თავისუფალი ერი საქართველოსი განწმენდს თავის მიწა-წყალს საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის მტერთა და მოღალატეთაგან. მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი“ (გაზ. “საქართველო“, №129, 1918, გვ. 3).

„ერთი ტყვიით განგმირულ იქმნა კათალიკოზი კირიონი II. ის დაასაფლავეს სიონის ტაძარში 7 ივლისს, 1918 წელს. იმავე წლის ენკენისთვის 18-ს მოსწამლეს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი...“ (ნ. თალაკვაძე, 2013: 74-75).

სამწუხაროდ, ამ დროისათვის საქართველოს ეკლესიაში არსებობდა ორად გაყოფილი სასულიერო იერარქია – კირიონისა და ლეონიდეს მომხრეები.

პროფესორი ს. ვარდოსანიძე წერს: “ქართველ საზოგადოებას,

მორწმუნე მრევლს, ფრიად აწუხებდა ორ დიდ საეკლესიო მოღვაწეს – კირიონსა და ლეონიდეს შორის წარმოშობილი უთანხმოება, მორწმუნეთა დაყოფა “კირიონისტებად” და “ლეონიდისტებად” (ს. ვარდოსანიძე, 2014: 100).

კირიონ კათალიკოსის მკვლევლობის შემდეგ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის დაიწყო ფიზიკური ანგარიშსწორება.

1918 წლის 18 სექტემბერს ქუთაისის სობოროს სამრევლოდან მწუხარების ზარმა ჩამოჰკრა და ამცნო ქუთათურებს თავიანთი მწყემსთავრის უეცარი გარდაცვალება.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მკვლევლობიდან სამი თვის შემდეგ, 1918 წლის 18 სექტემბერს, ნაშუადღევს, 1 საათზე, ქუთაისის საარქიელო სახლში (რომელიც მდებარეობდა ბაგრატიის ტაძრის გალავანში და დაანგრიეს გასული საუკუნის 80-იან წლებში), 52 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე).

ერთი წლით ადრე გაზეთი “საქართველო” მეუფე ანტონს ქუთაისისაკენ მიმავალ გზას ამ სიტყვებით ულოცავდა: “დღეს ქუთაისის მიემგზავრება ქუთათელ მიტროპოლიტად ხელდასმული, ყოვლადსამღვდელო ანტონი. დაქვრივებულს ქუთათურ კათედრას ამიერიდან ეყოლება მამა მწყემსთავარი, ერის ნებით დასმული და მისთა ზრახვათა მსმენელი..” ერთი წლის შემდეგ კვლავ დაქვრივდა ქუთაისის უძველესი სამიტროპოლიტო კათედრა, დაობლდა ქუთაისის სამწყსო.

მიტროპოლიტმა ამბროსიმ (ხელაია) ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ანტონ ქუთათელის ცხედრის წინაშე, ბრძანა: “მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, ძვირფასო მწყემსთავარო!

მეტად მოულოდნელი იყო შენი მიცვალება, მეტად ხანმოკლე იყო შენი ამ სამწყსოში მოღვაწეობა! ამ სამი თვის წინეთ ჩვენ დავკარგეთ მამამთავარი, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II, ახლა შენ გვესალმები სამუდამოდ. ჩვენი მრავალტანჯული ეკლესია თანდათან ღარიბდება...” (სხეც, ამბროსი ხელაიას პირადი არქივი, საქმე №196, ფ.1).

1918 წლის 15 ოქტომბერს საკუთარი სახლის წინ უცნობმა მკვლევებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე, რომელიც თავის დროზე იყო კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II-ის საარქევნო ჯგუფის ხელმძღვანელი პროვინციებში. 1919 წლის 6 ივნისს არმაზის მონასტერში მოკლეს ბერმონაზვნები მირიანი (ბეჟაური) და გერმოგენი (ს. ვარდოსანიძე, 2014: 126-127).

აღნიშნულთან დაკავშირებით დეკანოზი ნიკიტა იგონებს: “საეკლესიო კრების გახსნის წინა ღამით ვერაგულად მოჰკლეს ლეონიდის დიდი მოწინააღმდეგე მღ. ტიმოთე ბაკურაძე, მოჰკლეს იმათ, ვის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. 1919 წ. მოჰკლეს მცხეთაში არმაზის ბერი მირიანი, მოწინააღმდეგე ლეონიდისა და კირიონის ერთგული... ეს მკვლელობაც მიფუჩქიდა... ასე სისხლით მოირწყო ჩვენი ეკლესია... (ნ. თალაკვაძე, 2013: 83-84).

ამ სამწუხარო ამბებმა ათქმევინა ცნობილ ისტორიკოს სარგის კაკაბაძეს შემდეგი სიტყვები: **“საქართველოს ეკლესიის მაღალ სასულიერო წრეებში დამკვიდრდა ერთმანეთის გაუტანლობა და შურისძიება”** (ს. ვარდოსანიძე, 2014: 127). ამ შურისძიების მსხვერლი შეიქმნა 52 წლის მიტროპოლიტი ანტონი, რომელიც ემსხვერპლა ეკლესიის შინაურ თუ გარეულ მტერთა ბოროტ განზრახვას!!!

1918 წლის ქუთაისის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის (სობორის) მეტრიკულ წიგნში ვკითხულობთ: **“მაღალყოვლადუსამღვდელოესი, იმერეთის მიტროპოლიტი ანტონი, 52 წლის, გარდაიცვალა სისხლის წვეთით”**. დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე“ (ქცსა, ფ. №26, ს. 278).

მიტროპოლიტ ანტონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სასულიერო პირთა და საერო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით ქუთაისში გაიმართა რამდენიმე საეპარქიო კრება (18, 19, 21, 22 სექტემბერს), შეიქმნა მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის დამკრძალავი კომისია.

1918 წლის 24 სექტემბერს გაზეთ “საქართველოს” რედაქცია მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძის გარდაცვალებას ვრცელი წერილით გამოეხმაურა:

„ივერიის ეკლესიამ სულ მცირე დროის განმავლობაში დაჰკარგა ორი თვალსაჩინო არქიელი: პატრიარქი კირიონის განსვენების სამი თვის შემდგომ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ჯან-ღონითა და ენერგიით საესე ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი...“

თავისუფალმა ეკლესიამაც ნიშნად მადლობისა და სიყვარულისა მხნე მოღვაწე აღიყვანა უდიდეს ქუთათელის კათედრაზე. მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა არ დააცალა სიცოცხლით აღსავსე ადამიანს განეგრძო “კეთილი მწყემსის” მოვალეობა...“ (გაზ. “საქართველო“, №218, 1918, გვ. 4).

ქართული საერო ჟურნალ-გაზეთებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი წინადადებით შეეხმინა მიტროპოლიტ ანტონის გარდაცვალებას სასულიერო ჟურნალი “ახალი სიტყვა”: განგებთა ღვთისათა 18 ენკენისთვის დღის პირველ საათზე უეცრად მიიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი...“ (ჟურნ. „ახალი სიტყვა“, №13, 1918, გვ. 1).

რა მოხდა 1918 წლის 18 სექტემბერს? ბურუსითაა მოცული... ისევე, როგორც 1918 წლის 27 ივნისის მარტყოფის ტრაგედია და კირიონ კათალიკოსის მკვლელობა.

რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი 52 წლის მღვდელმთავრის, მიტროპოლიტ ანტონის მოულოდნელი სიკვდილისა – **მკვლელობა თუ გარდაცვალება?!**

მიტროპოლიტ ანტონის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები (ერთი დოკუმენტის გამოკლებით, რომელსაც ქვემოთ შევხვებით) არ განიხილავს მიტროპოლიტის მკვლელობის ვერსიას. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გვხვდება: “უეცრად“, “მოულოდნელად“, “უდროოდ“ გარდაცვალება.

განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე თავის ჩანაწერებში, რომელიც დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის

ლიტერატურის მუზეუმში (რედაქტირების გარეშე გამოიცა 2013 წელს).

1918 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები საინტერესოდ აქვს აღწერილი დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს. წერილები მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ მოვლენებში არსებული ზოგიერთი ფაქტი საარქივო მასალითაც დასტურდება. ჩანაწერებში არსებული ერთ-ერთი თავი შემდეგი სათაურითაა მოცემული: **“კირიონის სიკვდილი; ქუთათელის დაღუპვა”**. დეკანოზი ერთად განიხილავს ორი მაღალი იერარქის გარდაცვალების ამბავს.

ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონის (გიორგაძე) დაღუპვასთან დაკავშირებით ის მოგვითხრობს: **„1918 წლის ენკენისთვის დაიღუპა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი. ეს მოაწამლვინეს მისსავე სიძეს, ტომით ფანლიანდიელს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ანტონის ქალი, იმავე წლის 17 აგვისტოს (ძვ. სტილით) გელათიდან შევიარე ქუთაისში, ანტონისთან. დავსხედით სადილად: მიტროპოლიტი, მე და მისი სიძე. ჩვენს გარდა არავინ იყო. მზარეულმა ბერმა რომ სუბი შემოგვიტანა და ჭამას უნდა შევსდგომოდით, მიტროპოლიტი რაღაცას საყვედურებს მეუბნებოდა “ახალი სიტყვის” პუბლიცისტებზე... უცბად ამ პირთა საყვედურებიდან, აი, რაზე გადავიდა: **“მამაო ნიკიტა! იცი, ჩემი მოწამვლა რო უნდათ?! –****

მე გავიკვირვე და ერთნაირი საყვედურიც მოვანსენე: “აბა რასა ბრძანებთ, ვის უნდა უნდოდეს თქვენი მოწამვლა, რატომ ხართ ბერები ასეთი იჭვიანი ხალხი თქო?” ამაზე ისევ სერიოზულად მომიგო: **“მე მართლა გეუბნები, ჩემი მოწამვლა განუზრახავთ!”** მიუბრუნდა სიძეს და ჰკითხა: “აბა, ამ ჩემს ერთგულ კაცთან სიტყვი: რამდენი გაძლიეს ტფილისში, ერთ ოჯახში, ჩემი მოწამვლის სასყიდლად?”

სიძემ წარბმეუხრელად განაცხადა: **“ათი ათასი თუმანი”, äññõðè òñ ññ÷÷-**

ო... მაშინ ეს ფული იყო. მე საყვედური უთხარი ანტონის სიძეს: “როგორ გაგიბედეს, თქვენ, ასეთი საზიზღარი და საშინელი წინადადების მოცემა და თუ გაგიბედეს, თქვენ რატომ იკადრეთ და რად უთხარიტ მიტროპოლიტს, ხომ ჰხედავთ, ეს კაცი თქვენ მოგიწამლავთ კიდევ-თქო!”

აი, ასეთ ლაპარაკს ჰქონდა ადგილი იმ დღეს ჩვენს შორის. ის აღარ თქმულა, თუ ვის ოჯახში იყო ეს ნათქვამი ანუ ვისგან; ამის შემდეგ კი არ გასულა ერთი თვეც, რომ ანტონი მოულოდნელად დაიღუპა... დაიღუპა ერთი რიგიანად მომზადებული ეპისკოპოზთაგანი, ასე უდროოდ, ასე საშინლად! გასჭრეს მიცვალებული, სისხლი ავარდნია თავშიო! ნაწლავები ტფილისში გამოგზავნეს გამოსარკვევად. აქ **ექიმმა ლომოურმა ქიმიურად გამოიკვლია და აღმოჩნდა შიგ ვერცხლის წყალი და თავგის შაქარი-მიშიაკი!** ეს საქმეც მიაფუჩეჩეს; ანტონის სიძე და ქალი, არც ვიცი, სად მიიმალნენ“ (ნ. თალაკვაძე, 2013: 100).

რატომ უნდა მოეწამლა საკუთარ სიძეს მიტროპოლიტი ანტონი?!

1918 წლის 17 აპრილით დათარიღებულ წერილში, რომელიც მიტროპოლიტმა ანტონმა გაუგზავნა თბილისის ნოტარიუსს მაჭავარიანს (რომელიც ეხებოდა სასულიერო ყურნალ “ახალი სიტყვის” რედაქციას და რომელიც გამოაქვეყნა იმავე ყურნალმა), რომ დოკუმენტური მასალების

წაღებ-წამოღებას ანდობდა სიძეს ამ განცხადებისა და მის პირის წარმოდგენას და აგრეთვე ნათხოვარ დამოწმების მიღებას ვანდობ ჩემ სიძეს ანატოლი ნიკოლაევიჩ რიდიგერს“ მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი“ (ჟურნ. „ახალი სიტყვა“, №6, 1918, გვ. 5-6).

მამა ნიკიტას თქმით, „მიტროპოლიტის სიძე მოისყიდეს. ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), მოწამული 1918 წლის 18 სექტემბერს სიძისაგან ვილაცასი შეჩენით“ (ნ. თალაკვაძე, 2013: 80-81).

მიტროპოლიტი ანტონის გვამის გაჭრისა და შემოწმების სურვილით რამდენჯერმე მიმართეს ქუთაისის პროკურორს.

1918 წლის 21 სექტემბერს ქუთაისის საეპარქიო მმართველობამ საოლქო სამმართველოს პროკურორს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ განკარგულება, რომ ქირურგის მიერ დამატებით მოხდეს განსვენებული მიტროპოლიტის, ანტონ ქუთათელის, გვამის შემოწმება, რათა დადგინდეს გარდაცვალების მიზეზი.

აღნიშნულ წერილში რამდენიმე ფრაზა გაუმართავია. ჩვენი ყურადღება მიიქცია დოკუმენტში არსებულმა გადახაზულმა სამმა სიტყვამ:

“გარდაცვლა ხელოვნურად შექმნილა“, რაც, ვფიქრობთ, ნიშნავს შემდეგს: “სიკვდილი ხელოვნურადაა გამოწვეული (!!)“ (ქცსა, ფ. №21, ს. 27215, ფ.12).

პროკურორის სახელზე გაიგზავნა თხოვნა გვამის ხელმეორედ გაჭრისა, რათა დაედგინათ, რამ გამოიწვია **“მიტროპოლიტის თავში სისხლის ავარდნა“** (ქცსა, ფონ. №21, ს. 27215, ფ. 13).

1918 წლის 22 სექტემბერს გაზეთ “კლდეში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგის მიხედვით, მიტროპოლიტი ანტონი **“გულის სიგანივრით“** გარდაიცვალა:

“ქუთაისში, გულის სიგანივრით უეცრად გადაიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი...“ (გაზ. “კლდე“, №2, 1918, გვ. 4).

ერთ-ერთი ექიმი, რომელმაც მიტროპოლიტ ანტონის გვამი გაკვეთა, სტეფანე ალხაზოვი იყო. ამას ერთი საარქივო დოკუმენტი ადასტურებს:

ბატონ ქუთაისის საქალაქო მილიციის უფროსს ქალაქ ქუთაისის მოქალაქის, მცხოვრები პუშკინის ქ., ფელდშერის სტეფანე ალხაზოვის თხოვნა: “მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის გვამის გაკვეთისათვის, რაც ჩემ მიერ იქნა ჩატარებული, თქვენ დამპირდით ანაზღაურება ასორმოცდაათი რუბლის ოდენობით, მაგრამ ამ დრომდე აღნიშნული თანხა არ მიმიღია.

მოგახსენებთ რა ამის თაობაზე, გთხოვთ მიმუხამდგომლოთ, ვისთანაც საჭიროა, ჩემთვის ანაზღაურების მოცემის თაობაზე გვამის გაკვეთისათვის. **ფელდშ. სტეფანე ალხაზოვი“** (ქცსა, ფ. №21, ს. 27215, ფ. 42).

მიტროპოლიტის გვამის გასაჭრელად და შესამოწმებლად ექიმები რამდენჯერმე მოუყვანიათ, ამას მეფაიტონე გიგო გაგომიძის უბრალო ენით დაწერილი (ამჟამად კი საარქივო) დოკუმენტიც ადასტურებს:

“1918 წლის 24 სექტემბერს მივიღე, მეფაიტონემ გიგო გაგომიძემ თქვენი მღვდლის იეროთეოზ ნიკოლაძისაგან, ორჯერ ორ-ორი ფაიტონით და ერთჯერ ერთი ფაიტონით **მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის გვამის გასაჭრელად ექიმების წაყვანისათვის** სამასი მანეთი და

შოფერისათვის ხუთი მანეთი. სულ სამას ორმოცდა ათი მანეთი (350) გიგო გაგოშიძე. რადგან მან წერა არ იცის, მის მაგიერ მისის თხოვნით ხელს ვაწერ გიორგი გურული“ (ქცსა, ფ. №21, ს. 27215, ფ. 48). რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ქუთათელი მიტროპოლიტ ანტონის მკვლელობისა? მეუფე ანტონი ეწინააღმდეგებოდა რუსი ეგზარქოსის ანტიქართულ ქმედებებს... ცნობილი იყო როგორც ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი მღვდელმთავარი... მან სხვებთან ერთად შეადგინა ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, მისი რჩევით ეპისკოპოსმა კირიონმა კენჭი იყარა კათალიკოსობაზე და გაიმარჯვა.

მიტროპოლიტი ანტონი მიუღებელი გახლდათ კათალიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მოწინააღმდეგეთათვის. აქედან გამომდინარე, მისი არსებობა ბევრს აშინებდა...

დეკანოზი ნიკიტა წერს: **“არ დასცალდა უბედურ ანტონს – ის უცნაურად დაიღუპა, როგორც კირიონი; მისი ნაწლავები სპირტით ჩამოიტანეს ქალაქში და ანალიზით აღმოჩნდა შიგ საწამლაგები. ჰქონდა ეს ხელთ ექიმ ლომოურს.** არც კირიონისა და არც ანტონის დაღუპვას მენშევიკურმა მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია; ამათ საზოგადოების აღშფოთება არ უნდოდათ, რომ თავიანთი გაბატონებისა და ეკლესიის დაცემის პროცესი უფრო მარჯვეთ ეწარმოებინათ...” (ნ. თალაკვაძე, 2013: 82). არც ეკლესიის შიგნით, საკათალიკოსოში, განუხილავთ მიტროპოლიტის გარდაცვალების შესაძლო ვერსიები.

1920 წლის 2 იანვარს საკათალიკოსოს საბჭოს მიერ გაიმართა კრება, როგორც დეკანოზი ნიკიტა წერს: “კრებამ საუმჯობესოდ სცნო კირიონ-ანტონის დაღუპვის საქმეს არ შეხებოდა; კომისიამ იასონ აფაქიძის მეთაურობით განიხილა ჩემი დოკუმენტი¹ და შინ ვერა ჰპოვა რა ანტიისოციალური და რაიმე დანაშაული“ (იქვე: 84).

ზემოთ მოყვანილი ვერსიებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს, რომ მიტროპოლიტ ანტონის გარდაცვალება ხელოვნური ჩარევით, მოწამვლით იყო გამოწვეული. ამასვე ადასტურებს გვამის არაერთგზის გაკვეთა და ქირურგიული დათვალიერება.

დეკანოზი ნიკიტა იგონებს: ავედით და დავასაფლავეთ უბედური ანტონი. **ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმა იყო მოწამვლაზე**, ალბათ ის, რაც მე მითხრა ანტონმა, სხვასაც უთხრა; გასჭრეს მიცვალებულის გვამი, სისხლი ავარდნია თავშიო“ – დაასკვნეს. ერთმა **ექიმმა, ლოსაბერიძემ**, ასეთი სისულელეც კი მითხრა: “სისხლჭარბი კაცი იყო იმით მოუვიდაო“... ამაზე საკადრისი პასუხი მივეცე ასეთ მეცნიერს“ (ნ.თალაკვაძე, 2013: 83).

მიტროპოლიტ ანტონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქუთაისის საეპარქიო საბჭოს სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვიდა მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო დეპეშა, რომელთა ავტორები იყვნენ ცნობილი სასულიერო და საერო პირები.

¹ იგულისხმება “საეპარქიო საბჭოს განსაკუთრებული საკითხები კათალიკოს პატრიარქის კირიონის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო“ - ი. ლ.

მოჭირნახულე მამას. მისმა ხანმოკლე მოღვაწეობამ, მჭერმეტყველურმა ქადაგებამ უკვე იწყეს მიძინებული სარწმუნოების გაღვიძება. ერის გულის გათბობა. იმერეთის მიყრუებულ სოფლებში უკვდავი ძეგლი ძვირფას მწყემსთავარს განთავისუფლებულ ერის მტკიცედ მოსიყვარულე გულში.

დეკანოზი კირილე კელენჯერიძე“ (ქცსა, ფონ. №21, ს.27215. ფ.21).

“ტელეგრამა“ ქუთაისის ეპარქიის საბჭოს **მცხეთიდან**: “ვწუხვართ, უდროვით გარდაცვალებისათვის ყოვლადუსამღვდელოესის ქუთათელი მიტროპოლიტისა. მე, დედებითურთ, მხურვალე ლოცვა აღვაგლინეთ მის მეუღეების მოსახსენებლათ. წირვა-პანაშვიდის გადახდით. მცხეთის სამთავროს მონასტრის **ილუმენია ნინა**“ (ქცსა, ფ. №21, ს. 27215, ფ. 28).

გაზეთი “სახალხო საქმე“ იუწყებოდა: “ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონის დაკრძალვა განზრახულია დღეს, სექტემბრის 24-ს ქ. ქუთაისის საკათედრო ტაძარში“ (გაზ. “სახალხო საქმე“, №340, 1918, გვ. 3).

1918 წლის 24 სექტემბერს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე) დაკრძალეს ქუთაისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში (სობორო).

აღნიშნული ტაძარი საბოლოოდ დაანგრეს 1924 წელს და დიდი მღვდელმთავრის განსასვენებელიც დაიკარგა.

damowmebuli literatura

ჟურნ. **"axali sityva"**, 1918 _ Jurnal "axali sityva", #13, #6, 1918.

s. vardosaniZe, 2014 _ s. vardosaniZe, uwmidesi da unetaresi, sruliad saqarTvelos kaTolikos-patriarqi kirion II, Tb., 2014.გაზ.

n. TalakvaZe, 2013 _ n. TalakvaZe, moqalage mRvdliis dRiuridan, 2013.

გაზ. **"klde" 1908** _ gazeTi "klde", #2, 1918.

sxec _ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ambrosi xelaias piradi arqivi, saqme #196.

გაზ. **"saqarTvelo"**, 1918 _ gazeTi "saqarTvelo", #218, #129, #340, 1918.

qcsa, fondi #21 _ quTaisis centraluri saxelmwifo arqivi, fondi #21, saqme 27215; fondi #26, saqme 27215.

ilustraciebis aRwerilobebi

sur. 1. quTaTeli mitropoliti antoni.

sur. 2. mRvdelmonazoni leonidi antoSenko, arqimandriti ambrosi xelaia, mitropoliti anton giorgaZe, dekanozhi kalistrate cincaZe. peterburgi, 1917, 2 agvisto.

sur. 3. quTaisis soboro _ 1923 wlis 8 marti.



sur. 3

IRAKLILORTKIPANIDZE**VERSIONS OF DEATH OF ANTON (GIORGADZE)
METROPOLITAN OF KUTAISI**

In the history of the Orthodox Autocephalous Church of Georgia, the Metropolitan of Kutaisi Anton (Giorgadze) holds a distinct place among high priests. 1918 was a tragic year for the Georgian orthodox church, unexpectedly it lost two high Priest: Catholicos-Patriarch of Georgia Kirion and Metropolitan of Kutaisi Anton.

After 3 months of the murder of the Catholicos-Patriarch of Georgia, on September 18, 1918 in the afternoon at 13:00 pm, in Archdiocese house (which situated in the ring-fence of Bagrati Cathedral which was destructed in the 80s of the previous century) Metropolitan of Kutaisi Anton passed away unexpectedly,

The metric book of 1918 kept in Kutaisi Aleksandre Neveli cathedral (Soboro) says: “highly honorable, Metropolitan of Kutaisi Anton, aged 52.”

Regarding Metropolitan Anton’s death, the representatives of the government and the church held several gatherings of the eparchy, formed a funeral commission of Metropolitan.

What happened on September 18, 1918? The case is blurred... just like the tragedy of Martkopi of June 27, 1918, and the murder of Kirion.

What could be the reason of the decease of 52-year-old Metropolitan Anton - murder or a death?!

This article presents different versions regarding his death on the basis of the archive documents, materials of historiography and periodicals.

მარიამ მარჯანიშვილი

ბიორბი ყიფიანი - მირონცხეაული პოეტი

სამშობლოსათვის სიტყვითა და კალმით მსახურება რჩეულთა ხვედრია, რომელიც თავისთავად დიდი მისიაა ეპოქისა და ისტორიის წინაშე.

ეს მისია იკისრა უცხოეთის ცის ქვეშ მოღვაწე ემიგრანტმა გიორგი ყიფიანმა.

ცნობილია, რომ სამშობლოს ნატვრა უცებ არ წარმოიშვება უცხოეთში ახლად ჩასული ემიგრანტისათვის, რადგან მას თავდაპირველად ჯერ კიდევ შთაბეჭდილება იპყრობს და სამშობლოზე ფიქრისათვის არა სცალია. გარდა ამისა, სამშობლოს ნატვრის აღნიშვნის დაგვიანება იმასაც მიეწერება, რომ თითოეული გრძნობის ფერმეტაცია სადღაც ქვეცნობიერებისა და არაცნობიერების სფეროში სრულიად შეუმჩნეველად მიმდინარეობს. მისი ვითარება ჩვენს თვალთაგან იმდრომდეა დამალული, სანამ ევოლუცია არ დასრულდება. მას მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა იგი სრულიად დამთავრებული და ჩამოყალიბებულია. იგი უცებ იფეთქებს და დაეფულება ცნობიერებას.

ამ აზრის კონსტატაციაა გიორგი ყიფიანის ლექსი „ქუთაისი“, რომელიც პოეტმა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაწერა:

“მე დამავიწყდა მზით ნათელი ჩემი ქვეყანა,
ბურთის ბრუნება წყლის ტალღებზე გულის თამაში,
ამაყი მთები, თეთრი ცხვრები და მწვანე ყანა,
ყვავილთა ბაღში თმა ხუჭუჭა პატარა ბავში.
მე დამავიწყდა ქუთაისის ცელქი მისი,
ბაგრატიონის ტაძარიდან განცხრომით ხედვა,
რიყის ქუჩები ყვავილების ჯარით ავსილი,
და თოფურიძის ჩქერებიდან რიონის ღელვა“.

გიორგი ყიფიანმა უცხოეთში მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად ქართული კულტურის სამსახურს უძღვნა. ემიგრაციაში იგი მირონცხეაულ პოეტად იყო მიჩნეული, სიტყვის უდავო ხელოვნად და აზრის უებრო გამომთქმელად:

“მე დამავიწყდა სასწავლებლის თეთრი კედლები,
დიდი ოცხელი გულმოდგინე მშობლიურ ხმაზე,
წულიესკირი, ჯაფარიძე და სხვა რამდენი,
მუდმივი ფიქრით თავდახრილი სიმონ ხუნდაძე“.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გიორგი ყიფიანის მთელი შემოქმედება სამშობლოდან მოწყვეტით განცდილი უდიდესი და დაუსრულებელი ტანჯვის გამოხატულებაა:

“მე დამავიწყდა მოწამეთა წმინდანის გზებით,
მატარებელი თავს რომ უხვევს დაგრეხილ კლდეებს,

შემდეგ გელათი ხელოვნების ძველი ხელადით,
 აშხურებს მირონს წყალწითელა სისხლიან რიონს.
 ვინ შემითვისოს...! ვინ მიმიღოს, ვინ მანუგეშოს...!
 პარიზის ქუჩებს ფეხით ვთელავ ყვითელი მკვდარი,
 სადა ჰყავს დედა ქარში დამწვარ გაყინულ ნეშოს,
 სიცოცხლის სხივებს ერეკება ცივი ზამთარი.“

გკითხულობთ ამ სტრიქონებს და ჩვენს თვალწინ იხატება გასული საუკუნის 20-იანი წლების ქუთაისის იერ-სახე, მისი სახელოვანი მოღვაწეებით, თვალწარმტაცი ბუნების სურათებითა და ისტორიული ძეგლებით. ეს ისე ცხადად, ნათლად, რეალურად და დეტალური შტრიხებითაა ასახული, რომ მკითხველი უნებურად მის გრძნობათა და მოგონებათა თანამდევ ხდება.

ლექსის (“ქუთაისი“) ფინალში კი პოეტის მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის, სიღუჭირისა და უსამშობლოდ დაკარგული კაცის ფიქრების მძაფრი გამოხატულებაა გამოკვეთილი:

“და სადღაც მთვრალი სენის პირზე გამეღვიძება,
 ქალი მეძავი რკინის თმებით დედობას მიჩენს,
 ნიჩბებს არხევენ ცეცხლიანი ქვეყნის ტალღები
 ცივი ბრალდებით, მივაბიჯებ გადაჭრილ მუხლებს.
 მე და ისინი შორი-შორს ვართ, როგორც უცხოვნის,
 დღიური ბრძოლით დრო მაძულებს ბედის ძიებას,
 ყველასთვის უცნობს თვითმკვლელობაც მეპატიება“.

ერთი შეხედვით, ასეთი დიდი სასოწარკვეთა და უცხოობაში გატარებული სიობლე სულის შემძვრელად გესახება იმ კაცისგან, რომელსაც ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდილ ამ ლექსის გარდა უკვე გამოცემული ჰქონდა მრავალი კრებული.

გიორგი ყიფიანი დაიბადა 1910 წელს ქუთაისში. მას ახლობლები ტუხიას ეძახდნენ. მის დედ-მამას გიორგის გარდა ორი ქალიშვილი და ერთი უმცროსი ვაჟი ჰყავდა. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის ჯერ კიდევ 15 წლის ყმაწვილი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო.

ქუთაისში იგი თავად-აზნაურთა გიმნაზიაში სწავლობდა, რომლის დირექტორი გახლდათ იოსებ ოცხელი. სწორედ პარიზში ჩასული ჭაბუკი ამ გიმნაზიის კურსდამთავრებულ ვიკტორ ნოზაძეს მიეკედლა. მათთან ერთად იყვნენ ისიდორე მანუკავა და ედუარდ პაპავა, რომლებიც პარიზში გამომავალ ჟურნალ “კავკასიონში“ მოღვაწეობდნენ როგორც გამომცემლები. 1930 წლიდან გიორგი ყიფიანი მის პირველ ლექსებს სწორედ ჟურნალ “კავკასიონის“ ფურცლებზე ბეჭდავდა.

ომის შემდეგ კი პოეტის ლექსები თითქმის ყველა ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემაში ინტენსიურად ქვეყნდებოდა.

1935 წელს გიორგი ყიფიანის პირველი კრებული პარიზში ცნობილმა ქუთაისელმა გამომცემელმა დავით ხელაძემ გამოცა, ხოლო მეორე – “რჩეულ შაირთა კრებული“, რომლის წინასიტყვაობა გრიგოლ რობაქიძემ

ჟენევიდან გამოგზავნა, 1951 წელს დაიბეჭდა. პოეტის ორი კრებული კი – “ლექსები 1930-1965“ და “პოეზიისა და სიცოცხლის ვაზი“ 1973 წელს ვიკტორ ნოზაძის რედაქტორობით გამოვიდა.

ამ კრებულებმა გიორგი ყიფიანს ქართულ ემიგრანტულ წრეებში კიდევ ერთხელ დიდი აღიარება და სახელი მოუტანა.

“შეინდე ფიქრი უცხოეთო – უცხო მწერლისა,
ო, უკვდავებავ, შენ იცოდე, – არ გეტმასნები;
მე ნაწილი ვარ საქართველოს ბედისწერისა
და რუსთაველის ფეხთამტვერის მეათასედი.“

ასეთი მოკრძალება და თავმდაბლობა პოეტს ხელს არ უშლის დაუნდობელი იყოს კრიტიკოსების მიმართ, ვისაც არ აქვს პოეზიის სიყვარულის ნიჭი. სწორედ ნამდვილი პოეტის ღირსების გრძნობას უძღვნა გიორგი ყიფიანმა 5-სტრიქონიანი ლექსი-გაფრთხილება “პოეტი და კრიტიკოსი“:

“კრიტიკოსმა დაიწუნა ლექსი,
მას ასე ესმის, მე კი ვიტყვი:
ნუ შეაწუხებთ პოეტს და მწერალს.“

საერთოდ, “ფორმის ოსტატობით, პოეტურ სახეთა სიახლე-ორიგინალობითა და თემატიკური მრავალფეროვნებით გიორგი ყიფიანი რაიმე შეღავათს არ ითხოვს იმის გამო, რომ იგი უცხოეთში მოღვაწეობდა.

მისი პოეზია მხოლოდ ემიგრანტული ქართული პოეზიის კუთვნილებად არ უნდა მივიჩნიოთ, – აღნიშნავდა გაზეთ “ივერიის“ რედაქტორი მიხეილ ქავთარაძე: “პოეტი ყიფიანი უეცარი აფეთქება არ ყოფილა... ჩვენს წინაშე ძლიერი და ორიგინალური ხელოვანია. გიორგი ყიფიანი მართო ემიგრაციის პოეტი აღარ არის. მას ქართულ პოეზიაში თავისი ადგილი აქვს და არა როგორც რიგით საშუალო პოეტს, არამედ როგორც განსაკუთრებულ “მოვლენას“...

თუ ვ. ნოზაძის ღვაწლი ემიგრაციის წვლილია ქართულ მეცნიერებაში, ყიფიანიც ჩვენი წვლილია ქართულ პოეზიაში“ (გაზ. “ივერია“, 1979, გვ.15).

ასევე ყურადსაღებია გიორგი ყიფიანის შემოქმედებაზე გრიგოლ რობაქიძის წინასიტყვაობა პოეტის მეორე კრებულზე “შაირები გიორგი ყიფიანისა“, რომელიც მან 1951 წელს ჟენევაში დაწერა: “თითქმის ყოველი შაირი გიორგი ყიფიანის ამოძრავებულთა ტკივილით სამშობლოს მოწყვეტილისა. ავტორი დაშორებია მშობელ მიწას ყმაწვილობისას. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მის ტკივილს და თანაც: კიდევ უფრო აღრმავებს მის სიყვარულს სამშობლოსადმი. კითხულობ მის შაირებს და გგონია: თითქოს იგი “აქედან“ წვდებოდეს მშობელ წიაღს “იქ“, რომ შეავსოს გენება მადლით სავსე ნაყოფთა დედულისა და მამულის“ (პარიზი, 1951).

გიორგი ყიფიანის მიძღვნილი ხასიათის ლექსებიდან გამოირჩევა ილია ჭავჭავაძისადმი დაწერილი ლექსი, სადაც ერის მესაჭის ტრაგიკული აღსასრულის ახლებური პოეტური განცდაა წარმოდგენილი:

“თავზე დაგვენგრა დიდების დილა,
ლევა ღრუბლები აქსოვს არშისას,

ბაზალეთის ტბას ცრემლებში სძინავს
ოქროს აკვანშიც ქარიშხალია.“

უცხოეთში გარდაცვლილი დიდი ქართველი მეცნიერის მიხაკო
წერეთლის ხსოვნას პოეტი უკვდავყოფს ლექსში “მისი მზე“:

“...მისი მზე – ჩვენი მზე – ჩვენ გვიმზერს,

ერთია – ღმერთია წმინდანი.

უფალო... შეინდე, შეინდე,

საფლავში უმზეოდ მძინარი“.

1964 წელს აქვს დაწერილი პოეტს ლექსი „ვიკტორ ნოზაძეს“,
რომელშიც იგი აფასებს ტიტანურ შრომას შემოქმედების ზენიტში მყოფ
უცხოეთში მოღვაწე დიდი ქართველი მეცნიერ-რუსთველოლოგისას:

“შენი ამ ქვეყნად შენ არ გქონია,

შენი ყოველი ქართულს მიეცი, –

დარჩები დროსთან განუყოფელი,

ვით რუსთაველის უკვდავი ლექსი“...

თავის ბავშვობის მეგობარსა და თანამოკალმეს, გიორგი გამყრელიძის
ხსოვნას უძღვნა გიორგი ყიფიანმა პოეტური სტრიქონები:

“უკვე დამაჭრდა გულში ტკივილი

ცრემლებმა უნდა შესვას ზედაში

ნუთუ განშორდი შაირთა შრიალს,

რომ მიმალულხარ მაღალ ზენაში...

...პოეტო ძმაო, გუგულის გულო.

ხმა უწყინარო პოეტთა შორის,

ისე წახვედი, ისე დამშორდი“

(ჟურნ. “კავკასიონი“, 1981: 42).

1975 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა გიორგი ყიფიანის ლექსების
წიგნი – *In Poete georgien a Paris* “ერთი ქართველი პოეტი პარიზში“, რომელმაც
ფრანგული პოეზიის მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლექსები ფრანგულად თარგმნეს ნოე ჟორდანიას უფროსმა შვილმა
ასმათ ფადავამ, ეროვნულ-დემოკრატიკა ლევან ზურაბიშვილმა და პოეტის
მეორე ცოლმა ირინე დათაშვილმა.

1979 წელს გამოვიდა პოეტის რიგით მეექვსე ლექსთა კრებული
„ირინე და გიორგი ყიფიანი, საზიარო პოეზია“... წიგნი ეძღვნება ვიკტორ
ნოზაძის ხსოვნას. მასში შესულია: “71 ქართული და 6 ფრანგული ლექსი
გიორგი ყიფიანის და 5 ფრანგული პოემა ირინე დათაშვილი-ყიფიანისა.
გარდა ლექსებისა, “წიგნში მოთავსებულია 16 ფოტოსურათი, 1 ნახატი,
16 წერილის ფოტოასლი, 1 ლექსის ავტორისეული ფაქსიმილე და კიდევ
16 წერილი“ (გ. შარაძე, 1991: 282).

გიორგი ყიფიანი იყო მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი ვაჟკაცი,
რომელმაც პირველ ცოლად შეირთო კორსიკის სილამაზის დედოფლად
აღიარებული ფრანგი ქალი. მას პირველი ქორწინებიდან დარჩა ვაჟიშვილი
გივი ყიფიანი. იგი მამამ აღსაზრდელად თავისთან დაიტოვა.

მეორედ გიორგი ყიფიანი დაქორწინდა ირინე დათაშვილზე,
რომელთანაც მას პოეზიის სიყვარული აკავშირებდა.

გიორგი ყიფიანი სიკვდილის წინ შეიღწა 1947 წელს დაწერილი ლექსი ანდერძად დაუტოვა:

“თუ ჩემ სიცოცხლეს, დარღვე ანაგებს,
ელის სამარე უცხო მხარეში,
ასე უამბე მეგობარ ფრანგებს
დროთა იდუმალ სიმწუხარეში.
შენ მამა გყავდა მზე-დაკარგული,
მხოლოდ სიყვარულს ეძებდა ქვეყნად,
შემოაღამდა უცხო მხარეში,
როგორც ფოთოლი წაიღო სეტყვამ“...

გიორგი ყიფიანი ბოლო დროს ძალზე დასნეულებულა. სამშობლო-დაკარგული ადამიანის სევდა-ნოსტალგია – აი, რა ერქვა იმ ავადმყოფობას, რომელიც გახდა მისი სიკვდილის მიზეზი.

“უსიყვარულოდ ის გარდიცვალა,
დედის ბარათი ჩაჰყვა უბეში,
უცხო ბინაში დიდხანს იცადა,
მისთვის სამშობლო იყო ნუგეში“.

პოეტი 1965 წელს გარდაიცვალა ისე, რომ ვერ ეღიბა მშობლიური ადგილების ნახვას. დასაფლავების დღეს გამოვიდა მისი რედაქტორობით შედგენილი ჟურნალ “კავკასიონის“ XXI ნომერი, რომელმაც პოეტი ჭირისუფლებთან ერთად მიაცილა ლევილის ქართველთა სასაფლაომდე.

ქართველთა ამ სამუდამო სასუფეველს შეემატა უცხოეთში გარდაცვლილი ქართველის კიდევ ერთი საფლავი, რომლის ქვაზეც გამოსახულია გრაგნილი კალმითა და წარწერით “ლე პოეტე“.

damowmebuli literatura da wyaroebi

a. nikoleiSvili, 2006 _ a. nikoleiSvili, qarTuli emigrantuli mwerloba, quTaisi, 2006.

g. SaraZe, 1991 _ g. SaraZe, ucxoeTis cis qveS, t. I, Tb., 1991.

გაზ. **"iveria", 1979** _ gazeTi "iveria", #22, 1979.

ჟურნ. **"kavkasioni", 1981** _ JurnalI "kavkasioni", t. XX, parizi, 1981.

MARIAM MARJANISHVILI**GIORGI KIPIANI - A RESTORED POET**

Serving one's homeland with the word and pen is the choice of the chosen ones, which is a great mission to the epoch and history.

This mission was undertaken by immigrant Giorgi Kipiani, who works under the ocean of foreign origin.

The greatest thirst for the homeland is the voiced "Kutaisi" poem written in the 60s of the last century.

Giorgi Kipiani devoted all his life and work to serving the Georgian culture abroad. In emigration, he was considered a poet. The undisputed art of speech and the thoughtless expression of thought.

Giorgi Kipiani was born in 1910 in Kutaisi. His relatives called him Tukia.

He was completely new to the national movement and, after participating in the uprising in 1924 led by Kakutsa Cholokashvili, the 15-year-old boy was forced to move from the homeland.

In Kutaisi, he studied at the gymnasium and, on arrival in Paris, the young man was attached to the graduate of this gymnasium Viktor Nozadze. Among them were Isidore Manzkabava and Eduard Papava, who were working in Paris magazine "Caucasus" as publishers. In 1930, Giorgi Kipiani published his first poems on the pages of the magazine "Caucasus".

In 1935, Giorgi Kipiani's first collection was published in Paris by famous Kutaisi publisher David Kheladze and the second "ChariqSharaThere", whose foreword was sent from Geneva by Grigol Robakidze, was published in 1951.

The poet's two collections "Poems 1930-1965" and "Poetry and Life Vine" - were published in 1973 by Victor Nozadze.

In 1975, the French poet "In Poete Georgien a Paris" was published in the French language by "One of the Georgian Poets in Paris", which was greatly appreciated by French poetry lovers.

Giorgi Kipiani was very sick. Homeland - The lost man's sadness - nostalgia - that was the name of the disease that had caused his death.

The poet died in 1965 so that he could not see his native places. On the day of his cremation, the XXI issue of the magazine "Caucasus" was published. The poorest of the poor poets left the Georgian cemetery of Levi. His grave was added to the graves of other deceased Georgians. His sculpture has an inscription "le poete".

თამარ მილორავა

**ენის სინთეზის გრუნვა და ბაზითი „ქართული“
ქუთაისში 1998-2004 წლებში**

ქართული ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო 1996 წელს დაარსდა პროფესორ ტ. ფუტყარაძის ინიციატივით, 1998 წელს კი მანვე საფუძველი ჩაუყარა სამმართველოსთან არსებულ გაზეთს „ქართული“, რომელიც 2004 წლის ჩათვლით ფუნქციონირებდა, სულ გამოცემულია 39 ნომერი.

ქუთაისის ენის სამმართველო მუშაობდა სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ქალაქის გარეგანფორმების, რეკლამების, აბრების, ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებზე... აკონტროლებდა მათ ენობრივ გამართულობას;

2. ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ წარმოება-დაწესებულებებში საქმისწარმოების ენისა და ტერმინოლოგიის ქართულ სალიტერატურო ენაზე გამართვა-დამკვიდრებაზე;

3. საქართველოს სახელმწიფო ენის სასურველ დონეზე სწავლების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სასწავლო დაწესებულებებთან.

გაზეთი თემატურად მრავალფეროვანი იყო, კერძოდ, ის ეხებოდა ისტორიულ, ლიტერატურულ, ენობრივ (ენის სიწმინდის დაცვა, ტერმინოლოგიის საკითხები) და სხვა სახის პრობლემებს.

რუბრიკაში „Cven, ena da quCa“ საუბარი იყო მშობლიური ენის უგულვებლყოფაზე, კერძოდ, ქუჩებსა და მოედნებზე განთავსებულ ენობრივ თვალსაჩინოებათა უმართებულოდ გამოყენებაზე, მაგალითად, აფთიაქებზე, სავაჭრო ქსელებში, კვების ობიექტებსა თუ სხვა დაწესებულებებში.

საინტერესო რუბრიკა იყო ასევე „sityvebi profilsI anu enis margalitebi“, რომელიც შეეხებოდა სიტყვათქმნადობის პროცესს, სიტყვათა წარმომავლობას, განვითარებასა და შემდგომ ცვლილებებს.

გაზეთი „ქართული“ გამოკვეთილ ადგილს უთმობდა მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხებს, ამის დასტურია ის, რომ გაზეთში თავისი ფუნქციონირების მანძილზე ცალკე სტატიები ეძღვნებოდა რუბრიკას „swormetyveleba“, რომელშიც სხვადასხვა მართლწერის წესი იყო გადმოცემული, მაგალითად: ნაცვალსახელის შემთხვევაში რომელია სწორი – **ჩვენთაგანი** თუ **ჩვენგანი**; **მათმა ააშენეს** თუ **მათ ააშენეს**; **ჩემსკენ** თუ **ჩემკენ**; რიცხვითი სახელის მართლწერისას – **ორთავე წავიდა** თუ **ორივე წავიდა**; **ორთავენი წავიდნენ** თუ **ორივე წავიდა**... ასევე გვხვდება მართლწერის წესები სხვა მეტყველების ნაწილთა შესახებაც.

გამორჩეული ადგილი ეთმობოდა „saqmiswarmoebasa da terminologias“, აქ წარმოდგენილი იყო ის ტექნიკური ტერმინები,

რომლებიც მიუღებელია ქართული სალიტერატურო ენისთვის, რადგან მისი შესატყვისი ქართული ტერმინები ენაში მოიძებნება, ჩვენ კი უპირატესობას მაინც უცხოურ, ზოგჯერ დამახინჯებულ, ზოგჯერ კი კალკირებულ ფორმებს ვანიჭებთ. რუბრიკის საშუალებით მკითხველს მიეწოდებოდა ტექნიკური ტერმინების ქართული შესატყვისი, როგორცაა: **ტორმუზი** – უნდა იყოს: **მუხრუჭი, ცეფი – ჯაჭვი, კარობკა – კოლოფი**. გაანალიზებული იყო აგრეთვე ბარბარიზმები, ე.წ. “პარაზიტი” სიტყვები და კალკირებული ფორმები, მაგალითად: **მუშაობას ატარებს, მოხსენებას ატარებს, გაყიდვას აწარმოებს** და ა. შ.

ენობრივ საკითხს ეთმობოდა კიდევ ერთი რუბრიკა “saxelmwifo ena da Cveni Tanaqalaqelebi”, რომელშიც საუბარი იყო სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაზეთი ირჩევდა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მქონე ადამიანებს, რომლებთანაც მიმდინარეობდა პრობლემებზე მსჯელობა, რესპონდენტთა ნააზრევი საყურადღებო იყო იმ მხრივ, რომ ყველა ერთხმად იზიარებდა ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობას.

საგაზეთო რუბრიკაში “ucxo sityvebi” განმარტებული იყო უცხოური წარმომავლობის ლექსემები და მათი მნიშვნელობები. ასევე, საინტერესოდ იკითხება რუბრიკა “ratom vambobT ase”, სადაც ახსნილი იყო სხვადასხვა სიტყვისა თუ გამოთქმის წარმომავლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნია რუბრიკა “saxelmwifo ena da skola”, რადგან ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობა მოსწავლეს სწორედ სკოლის ასაკიდან უნდა მიეწოდოს. იმ დროს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველომ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად დასვა ქალაქში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში გაცნობოდა ქართული ენის სწავლების მდგომარეობას. ამ მიზნით პირველად ჰუმანიტარულ ლიცეუმს ეწვია, არჩევანი იმით იყო გაპირობებული, რომ ლიცეუმს გაუჭირდა შეეცა ქართული ენისა და ლიტერატურის ერთი ჯგუფიც კი, რადგან მოთხოვნა უცხო ენების სწავლებისა გაცილებით დიდი იყო, რადგან მშობლები და მოსწავლეები უფრო გამოყენებით პროფესიას ირჩევდნენ. გაზეთის სარედაქციო კოლეგია მოუწოდებდა საზოგადოებას, ეროვნული პრინციპებით აღეზარდათ მომავალი თაობები.

ქუთაისის ენის სახელმწიფო პალატა ატარებდა კონკურსს სახელწოდებით “dedaena”, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები და ვლინდებოდა ქართული ენის საუკეთესო მცოდნეები, კონკურსის მონაწილეები აქტიურად მსჯელობდნენ ენობრივ პრობლემებზე გაზეთ “ქართულში”.

სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის არსებობდა კიდევ ერთი საყურადღებო რუბრიკა “მასვალეblა dasaxmareblad”. მასში მასწავლებლებს ეძლეოდათ მეთოდური რჩევები, თუ როგორ უნდა აეხსნათ და მიეწოდებინათ მოსწავლეთათვის ესა თუ ის გრამატიკული წესი და ეს ყველაფერი მორგებული იყო ისე, რომ მოსწავლეს პრაქტიკულ მეცადინეობაზე დაყრდნობით შეძლებოდა გააზრებული ცოდნის მიღება. გრამატიკის გარდა გაზეთში გვხვდება ლიტერატურული საკითხებიც, რომლებიც ერთიანდებოდა

რუბრიკაში "litmcodneoba", სადაც განიხილებოდა ქართველ მწერალთა შემოქმედება. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ინფორმაციას ქართული ისტორიის, გეოგრაფიისა და მართლმადიდებლური თემატიკის შესახებ.

გაზეთი "ქართული" არა მხოლოდ საკუთარი ეროვნული საკითხების თემატიკით შემოიფარგლებოდა, არამედ სხვა ერებისა და ენების წარმომავლობის ისტორიასაც აქტიურად აქვეყნებდა. ამაზე მეტყველებს რუბრიკა "sxva enebi da erebi".

როგორც ვხედავთ, გაზეთ "ქართულის" დაარსება ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. გაზეთის მესვეურთა და საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს ძალისხმევით იხსნებოდა უცხოენოვანი აბრა-რეკლამა და შესაბამისი ქართული ტრანსლიტერაცია ერთვებოდა რეკლამებს, აბრა-ფირნიშები სწორდებოდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით. ქუთაისის ენის სამმართველო ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ ენობრივ თვალსაჩინოებებთან დაკავშირებული პრობლემების უკეთ მოგვარების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობდა იმერეთის სამხარეო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან, საბჭოს ტრადიციულ სხდომებზე ხდებოდა წარმოდგენილ პროექტთა განხილვა და ენობრივად გამართვა, ენის სამმართველო მუშაობდა საქმისწარმოების ენისა და ტერმინოლოგიის დასახვეწად, შექმნილი იყო ორი კომისია, რომელთაგან ერთ-ერთი მუშაობდა ქართულენოვანი ტერმინოლოგიის გამართვა-დანერგვაზე, ხოლო მეორე – სამედიცინო სფეროში ამ მხრივ არსებულ პრობლემებზე. ენის სამმართველო სალიტერატურო ენისა და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით თანამშრომლობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისში გამომავალი გაზეთი "ქართული" იმ პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ტკივილისა თუ სიხარულის მემატიანეა. მისი გაცნობა საერთო სურათს შეგვიქმნის ქალაქის იმდროინდელ ენობრივ მდგომარეობაზე, ხოლო რუბრიკებში წამოდგენილი მასალა დაეხმარება ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით დაინტერესებულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შემდგომი კვლევებისთვის.

damowmebuli wyaroebi

გაზ. "qarTuli", 1998-2004 _ gazeTi "qarTuli", enis saxelmwifo palatis quTaisis sammarTvelosTan arsebuli gazeTi, quTaisi, 1998-2004.

TAMAR MILORAVA
**PROTECTING LANGUAGE PURITY AND THE NEWSPAPER
“KARTULI” IN KUTAISI 1998-2004**

Kutaisi division of the Georgian state chamber of language was founded in 1996. Professor T. Putkaradze initiated the idea and he laid the foundation for the newspaper “Qartuli” in 1998. The newspaper existed from 1998 to 2004 and it published 36 newspapers in total.

Kutaisi Language Division worked in three directions.

1. City outskirts, advertisements, pillars, names of streets and squares. It also controlled their linguistic outlook.

2. The language of handicap and the terminology in the Georgian literary language in the establishment of the township located in the city.

3. With the aim of teaching the state language at the desired level, the academic institutions of the city were actively cooperating.

The newspaper discussed various topics, especially historical, literary, and linguistic ones. Special attention was paid to the protection of language purity and discussion of terminology problems. Their newspaper had several rubrics in this respect.

“We, a language and a street “ in which there was talk about neglecting the native language in case of street and square signs.

“Words in profile or language pearls“ was about the process of creating words, subtraction, development and further changes.

The various rules of spelling were discussed in the “right speech” .

“Case production and terminology”, discussed the technical terms that were unacceptable for literary language.

“State language and our fellow citizens“ were interviewed on issues related to the functioning of the state language.

Rubric “foreign words“ explained lexemes of foreign origin and their values.

Kutaisi state chamber of language was conducting a competition named “Dadiani” It was participated by general educational institutions of the city which demonstrated the excellent knowledge of Georgian. Participants of the contest were actively discussing language problems in the newspaper “Kartuli”.

We should mention one more notable rubric for teachers and school children to help them. Teachers were given methodological advice how to explain grammar rules to students.

Based on the above mentioned, we can state that the existence of the newspaper of “Kartuli” was important for the city. It gives a common picture of the city’s linguistic state of that time. As for the materials presented in the rubrics will help students interested in Georgian literary language for further research.

მაია მიქაუტაძე ეკა დადიანი

მასალები იმერული დიალექტური ლექსიკონისათვის (ქუთაისური მეტყველების მიხედვით)

იმერული დიალექტის შესახებ არაერთი საინტერესო გამოკვლევა არსებობს, სადაც აღნუსხული და გაანალიზებულია იმერული მეტყველებისთვის ნიშანდობლივი სიტყვაფორმები თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმები.

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ქუთაისში მცხოვრებთა მეტყველებაში დაფიქსირებულ დიალექტურ ლექსიკას. საკვლევად ავიღეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (resp. ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) თანამშრომელთა მიერ 1994-2005 წლებში ქალაქ ქუთაისში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის ადამიანებისგან მოპოვებულ თემატურად მრავალფეროვან მასალას.

ქუთაისში ცხოვრობენ იმერეთის სხვადასხვა სოფლებიდან, აგრეთვე მეზობელი კუთხეებიდან (გურია, ლეჩხუმი, სამეგრელო...) სხვადასხვა დროს ჩამოსული ოჯახები. შესაბამისად, ქუთაისურ მეტყველებაში უმთავრესად ასახულია იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები. ამასთან, მსგავსი ფაქტები შეიძლება გამოვლინდეს გურულში, ლეჩხუმურში, მეგრულში ან სხვა არამომიჯნავე კილოებშიც, რაც ასევე ბუნებრივია.

არნ. ჩიქობავა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომში წერს: **“კუთხურ სიტყვასთან აღნიშნულია ის კუთხე, სადაც სიტყვა დადასტურებულია. ეს არ ნიშნავს, რომ ეგვე სიტყვა სხვა კუთხეში არ გვხვდება (დიალექტური სიტყვა არაა ჯერ მთლიანად გამოვლენილი)”** (ქეგლ, 1950: 089).

საანალიზო დიალექტური სიტყვაფორმები შევუდარეთ განმარტებითი, ძველი ქართული ენისა და სხვადასხვა დიალექტური ლექსიკონების მონაცემებს.

მასალა საინტერესოა როგორც ენათმეცნიერული (წარმოება, ფონეტიკური ცვლილებები...), ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც (წეს-ჩვეულებათა თუ თამაშობათა აღწერა, შესაბამისი ტერმინოლოგია..).

განხილული სიტყვაფორმების ნაწილი გამოცემულ ლექსიკონებში არ ფიქსირდება, ნაწილი კი განსხვავებული ფორმით ან სემანტიკით დასტურდება.

sityvaformebi, romlebic gamoqveynebul leqsikonebSi ar figsirdeba.

abaJbaJeben – ზედმეტად, ბაჟეს მსგავსად ნიგვზით კმაზავენ. ლობიო კეთებოდა, მაგალითათ, გასუნებაში ჩუქულბერივი, ამოლესილი ლობიო, ახლა რო ავსებენ თლათ ნიგვზით და **აბაჟბაჟებენ**, ასე კი არ იყო. შდრ. **აბუჟბუჟებს** – სითხით ჟღენტს და აფუებს (პურს...) (ქეგლ).

gverdanebi – გვერდები. ყუელს შიგნით დაიმასიზამ ასე **გტერდანებზე** და გააპრტყელებ, დადოფ ცოტა ხანს.

სიტყვაფორმა მიღებულია **გვერდ-** ფუძეზე **-ან** ელემენტის დართვით. დიალექტებში დასტურდება სხვადასხვა ფორმით:

გვერდალი, კუთხ. (ფშ.) გვერდად დაქანებული ადგილი (ქეგლ).

გვერდალა (ხევს., ფშ.) დამრეცი ადგილი, ყანა (ჭინჭ.); გვერდად დაქანებული ადგილი (ჭყ.); გვერდალა, ფერდობი (დიალ. 590) (ალ. ლლონტი, 1974).

გვერდი, **გვერდობი** (ზ. იმერ.) - დაქანებული ადგილი (ბ. წერეთელი, 1938).

გვერდობი – დაქანებული, დაფერდებული ადგილი, – ფერდობი (ქეგლ).

გვერდო – იგივეა, რაც გვერდა (ქეგლ).

გვერდა – ძალიან დაქანებული ადგილი, – ფერდობი (ქეგლ).

გვერდა (ხევს.) – არათითი (ს. მაკალ.) (ალ. ლლონტი, 1974).

kvature – ღვინის ამოსაღები ჭურჭელი. წეიღებდა წარე კუახს, ღუინის ამოსაღები **კუატურე** რომაა, იმას ამოჭრიდა თლათ და ჩაყრიდა პატარა ტუტას შითე.

nivra – სარეველა მცენარის სახელწოდება. ახლა სარეველები ყანეში, ჩუენ საყანე იმგენში ქუხთება გლერტა, სამყურა, **ნივრა**, გუირილა.

qunqula – ძალიან თეთრი, ქულასავით თეთრი. გააპრიალებდა მერე იმას, კბილის პარაშოკს წაუსობდა და თეთრი იყო, **ქუნქულა**.

შდრ. **ქულა** – 1. გაპენტელი ბამბის ფთილა (ქეგლ).

ქუნქულა ნაწარმოებია **ქულ-** ფუძის გაორკეცვით: **ქულ-ქულა > ქუნქულა** (დისიმილაციის შედეგად **ლ > ნ**).

cruwiwmati – სარეველა მცენარის სახელწოდება. მოლოქა, ქათანაცერა, ოდელია, ქალშავა, **კრუწიწმატი**, პიტნა, ომბალო, ხო, კიდე ის არის სარეველებიდან...

xekiviTaa – ზედმეტად გამხდარია. გამხდარია ერთი ჩემი ნათლული და: რა **ხეკივითა** ხარ, ბიჯოო, და დაერქუა; ახლა: **ხეკი** სადა ხარ? **ხეკის** დოუძახეო! ზურაბი ქუთია კაცო, არავინ არ ამბოფს ზურაბიო, - **ხეკი**.

ზედმეტსახელი **ხეკი** ხაზს უსვამს ადამიანის ფიზიკურ თვისებას, მის სიგამხდრეს. შდრ. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, **ხეკერი** ესე არს დასაცოხნად შეუძლებელი“. დასტურდება მეგრულშიც: **ხეკერე** - სქელკანა, გამომშრალი (ო. ქაჯაია, 2002).

sityvebi, romlebic sxva kiloebis msgavsad imerulSi dasturdeba, თუმცა იმერული დიალექტის ლექსიკონებში არ არის შეტანილი. აღნიშნული ტიპის ლექსიკური ერთეულების აღრიცხვა

აუცილებელია კონკრეტული სიტყვის გავრცელების არეალის დასაზუსტებლად. მაგალითად:

diaCemi – დედაჩემი. გაზარდა **დიაჩემა**, ყუელაფერი და ბებია, დედა ხო ყავდა, **დიაჩემმა** გადმოძლია ქუთაიში და მერე ქე ნანობდა. **დიაჩემი** კომპოზიტური აგებულებისაა: **დია** (<დედა) + **ჩემი**. მსგავსი წარმოება დამახასიათებელია მეგრულისათვის: **დიაჩქიმი** - დედაჩემი. **დიაჩემი**, როგორც იმერული სიტყვაფორმა, ლექსიკონებში არ არის აღნიშნული.

kvercxi ქუთაისურ მეტყველებაში დაფიქსირდა „საზომი, წონის ერთეულის“ მნიშვნელობით. ერთი **კუერცი** ყუელი, ერთი **კუერცი** თუთუნი, თუთუნი იყიდებოდა **კუერცნობით**. **კუერცნ** დადებდენ აქით, აქით თუთუნს, აქეთ **კუერცი** იდო და იმ **კუერცნით**, **კუერცი**, ორი **კუერცი**, სამი **კუერცი** და რამდენიც გინდოდა, ამას არ ქონდა მნიშვნელობა, ოღონ საწყისი იყო **კუერცი**.

შდრ. **კვერცი** – წონა ნახევარ გირვანქისა, სამზ. 152; იმერეთში: 12 მისხალი; დუშეთში: 1/8 გირვანქისა (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

კვერცი – ძვ. წონის ერთეული (დაახლ. 50 გრ.). 5 კვერცი აბრეშუმის ძაფი, 1 კვერცხის საკმელი (ქეგლ).

იდენტური სემანტიკით იხმარება მეგრულშიც: **კვერცი** – წონის ერთეული: ერთი კვერცი უდრის 50 გრამს, 4 მისხალს (ა. ქობალია, 2010).

yuriana – ყურიანი ჭურჭელი. **ყურიანა** არი ოთხკილოიანი, ყური, ხელი მოსაკიდი აქ იმას. მაქ მე ის, ბათმანიც მაქ, **ყურიანაც**; **ყურიანა** არი ოთხკილოიანი, ყური, ხელი მოსაკიდი აქ იმას. მაქ მე ის, ბათმანიც მაქ, **ყურიანაც**.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **ყურიანა** ლეჩხუმური სიტყვაფორმაა: **ყურიანა** – კუთხ. (ლეჩხ.) – ათგირვანქიანი საწყაო (ქეგლ).

ყურიანა (ლეჩხ.) – ბათმანის ნახევარი, წონის ერთეულია, ჭურჭელი (ი.ჭყ. - ალ. ლლონტი, 1974).

ყურიანა იდენტური მნიშვნელობით დადასტურდა ქუთაისურ მეტყველებაში.

sityvebi, romelTac gansxvavebuli semantikuri niuansi aqvs. მაგალითად:

damaSineba – ხორცსაკები მანქანით დამუშავება (ხორცის, ნივთების...). *შიგნით კარგათ მოვშუშავ ხახვს, ჩავჭყუნტავ კარგათ, რო იყოს როგორც ფაფასავით რა, მერე ნივოსს დაამაშინეფ...* ნივოზი **დამაშინებული** იქნება და ნივთზიანს ოურეფ იმაში, ერთმანეთი.

სიტყვისთვის ამოსავალია რუს. **И жѐ ёїà** – მანქანა.

sasule – წყალგამტარი, სადინარი. აქანა **სასულე** არის. რაც მოდიოდა თელი ღუარსადენი, ეგენი ყუელაფერი ახლაც მიდის, უბანში ახლა რაც წყალი იქცევა რამე, მიდის ახლაც. **სასულე** ქუთა, **სასულე** იყო.

შდრ. **სასულე** ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება:

სასულე – ყარყანტო (საყლაპავი) (სულხან-საბა, 1991).

სასულეი (ძვ. ქართ.) – სულიერი სიმტკიცე (ზ. სარჯველაძე, 1995).

სასულე – 1. ანატ. სასუნთქი მილი. 2. გადატ. მიწით გადაგლესილი ქვევრის სარქველში დატანებული ნახვრეტი მაჭრის დუღილის დროს ჰაერის მოძრაობისათვის (ქეგლ).

სასულე (ქართლ.) – სარკმელი (ალ. ლლონტი, 1974).

სასულე (ზ. იმერ.) – ჭუჭრუტანები ჭურჭლის გამოსაწვავ ქურის კედლებში, სადაც არჭობენ რკინის წვრილ სოლებს. ამ უკანასკნელზე ჩამოაცემენ ჭინჭილებს გამოსაწვავად (ბ. წერეთელი, 1938).

სასულე (ლენჩ.) – ჭის მსგავსი ბუნებრივი სიღრმე (შდრ. ჩუბ.) (მ. ალავიძე, 1938).

სასულე – 1. სასუნთქი მილი; 2. ქვევრის საგლეს მიწაში ნახვრეტი მაჭრობის დროს ქვევრში ჰაერის მოძრაობისათვის. ზოგჯერ შიგ ლერწამსაც არჭობენ ხოლმე (პ. გაჩეჩილაძე, 1976).

სასულა (ხევს.) – საყლაპავი მილი პირუტყვისა (ჭინჭ.) (ალ. ლლონტი, 1974).

CuRna – უხეიროდ, ცუდად მოზელა (ლომის..). ღომში ამოიმაღხამდა, ასე კოჭით რო **ამოჩუნნიდა**, ჩაასხამდა ლობიოს შითე.

შდრ. **ჩუნა** – (იმერ.) მიწის უხეიროდ თხრა (ვ. ბერ.) (ალ. ლლონტი, 1974).

xalTa – კალთა. **ხალთა**, ქალები რომ იმას არჩევენ, სიმინც და ლობიოს, **ხალთას** უძახიან იმას, ზოგი **კალთას** უძახიან, **ხალთა**, **ხალთა**, ხო, ფართუების როლს რო ასრულებს.

შდრ. **ხალთა** – 1. ტყავის ტომარა, – გუდა; 2. თოფზე ჩამოსაცემელი ტყავის ბუდე; 3. კუთხ. (ლენჩ.) უსახელო წამოსასხამი თხის ტყავისა (მ. ალავე), 4. იგივეა, რაც მაჩვი (ქეგლ).

fonetikurad saxecvlili leqsika:

kekali – კაკალი, მარცვალი. წეილებდა ლობიოს **კეკალს** და სიმიდის კაკალს... ნიგუზის **კეკალს** ჩაადებდა შითე.

კეკალი < კაკალი (ა-ა) > ე-ა დისიმილაციის საფუძველზე).

stveli – რთველი. ხო, **სტუელს** [უძახიან] ვენახის რთუელს, ხო კრიფავენ ყურძენს.

სთველი. იხ. რთველი – ვენახებში ყურძნის კრეფა; ყურძნის კრეფის დრო (ქეგლ).

tevna-tevna – უხვად, მტევენებად. ჩუნ ეზოში **ტევნა-ტევნა**, შენ ეზოში კუმპლა-კუმპლა, ჯუარი აქა, ხუავი აქა.

fafanika – მამაკაცის თავსახურავი, ქუდი. **ფაფანიკა** ქუდები რომაა, ასეთებიც ეცუათ.

ლექსიკონებში ფიქსირდება **ფაფანაკი** // **ფაფანაკი** ფორმები მეტ-ნაკლებად განსხვავებული სემანტიკით:

ფაფანაკი 1 – ძვ. მომრგვალო, ბრტყელი თავსახურავი (მამაკაცისა); ჩვეულებრივ ნიკაპ-ქვეშ ზონრით ამარგებდნენ. 2 – კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ფაფანაკი; **ფაფანაკი** – კუთხ. (ფშ., ხევს.) ქალის ნაოჭიანი ზედა ჩასაცემელი, – ჩოხა, ქულაჯა (ქეგლ).

ფაფანაკი (მეგრ.) – ფაფანავი, – ტანისამოსია (პ. ჭარ.) (ო.ქაჯაია, 2002).

ფაფანავი (ხევს., ფშ.) – ქალის ჩასაცმელი (ჭინჭ.); ქალის გარეთა მოკლე ჩასაცმელი კაცის ჩოხის მსგავსი, შავი ან ლურჯი შალისა, მოქარგული (დიალ.). ქალების გარედან ცასაცმელი ჩოხა (ი.ჭყ.) (ალ. ლლონტი, 1974).

ფაფანავა (გურ., იმერ.) – კაცის ძველებური თავსახურავი (ი.ჭყ.) (ალ. ლლონტი, 1974).

Wyintva – ჭყლეტა (ხელით). ლობიოს **ვჭყინტავ** რა, **ვჭყინტავ** კარქათ, რო მოიხარშება.

ვჭყლეტ > ვჭყლიტავ > ვჭყინტავ. ფუძედრეკადი ზმნა დაირთავს -ავ სუფიქსს, ფორმაში იკარგება ფუძისეული **ლ** თანხმოვანი, ასევე ჩნდება **ნ** თანხმოვანი.

sityvawarmoebis nimuSebi:

მე-ურ კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობის ფორმა:

me-Tes-ur-i – მთესველი. დილას, რამდი გათენდებოდეს, გუგულმა არ მაჯობოს-თქუა და რაცხა მარილიანი უნდა გასინჯო, ეს არი **მეთესურისთუინ** კაი, **მეთესურისთუინ**.

მსგავსი წარმოების სიტყვები ცნობილია ძველ ქართულში: **მე-სუმ-ურ-ი** – მსმელი; **მე-თევზ-ურ-ი** – მეთევზე, მეზადური (ზ. სარჯველაძე, 1995); **მე-განძ-ურ-ი** – საუნჯის, განძის მოყვარული/პატრონი (ი. აბულაძე, 1973)

ნა- პრეფიქსითა და **-არ** სუფიქსით გაფორმებული მიმღეობა:

na-yofin-ar-i – ნამყოფი. აქანა ტყე იყო, სასულე არის, ჭურების **ნაყოფინარია** შით.

ნა- **-არ** კონფიქსი დაერთვის **-ნ** სუფიქსიან საწყისის ფორმას, **ი** ხმოვანი ფონეტიკურად განვითარებული ჩანს.

სა- **-ო** კონფიქსით ნაწარმოები:

sa-TiTa-ul-o – სათითაო, ცალ-ცალკე. **სპეციალურათ** საღორე გავაკეთეთ იმხელა, კაზარმასავეთ და დავტიხრეთ **სათითაულოთ** სუყუელა, ხოდა, თუთითონვე **სათითაულო** საღორეში თითო ღორი იყო.

სათითაულო ფორმისთვის ამოსავალია თითო: **თითო-ეულ > სა-თითო-ეულ-ო > სა-თითა-ულ-ო.**

ხშირია **-ობა** სუფიქსით გაფორმებული სიტყვები:

mcxikoba – დაცემინება. ადამიანი, რომელიც გაციებულა და **მცხიკობა** აქუს, ხო, ის იმწუჩი უნდა მოხსნა; თუ მერიქიფეს **მცხიკობა** ოუტყდა, ის უნდა გააგდო.

შდრ. **ცხიკვა** – ცხვირცემა. დაცხიკუება – ცხვირ(ი)ს დაცემა (სულხან-საბა, 1993).

იმერ. **მცხიკობა** ფორმაში თავკიდური **მ** თანხმოვანი განვითარებული ჩანს.

tarzanoba – ტარზანის მსგავსად, უხეზად მოქცევა. მაშინ **ტარზანობა** იყო და ტარზანივით დიდი თმები მქონდა მოშუებული.

drax-draxobia – საბავშვო თამაში. ჩვენ ბავშვები ვთამაშობდით ამ თამაშებს: ქორობია, ჯივრანი, კარტი, კიდევ ლაქტა, ლახტი, **დრახ-დრახობია** და კიდევ რაცხა ბევრი რამეებია; მოწინააღმდეგე გუნდი დაიხუჭება და ჩვენ დავიმალებით და მერე ისინი შეტევაზე მოდიან და **დრახ-დრახობია** მიტოვდება, რო ხმარობენ: დრახ, დრახ და ესე იგი, კლავ.

mravlobiT – მრავლად. არ ვიყავით ხალხი **მრავლობით** მაშინ და რო შევიქენით მერე **მრავლობით**, წვევებმარეთ.

kompozituri warmoebis leqsika:

bergazdoba – ასაკოვანი ადამიანები. ძირითადად მაინც ახალგაზრდობას, ეს იქნება სკოლის ასაკი, სტუდენტობა და არა **ბერგაზდობას**, ასე რო ვთქვათ, გაკლიათ და თქვენ ქმნით იუმორის ამინც ქუთაისში.

Taviqali – უფროსი, ხელმძღვანელი ქალი. აგერ ის არის ახლა უფრო **თავქალი** ყუფლავან და ასევეა თავკაციც უფრო; თავიკაციც და **თავქალი** ჭირშიაც და ლხინშიაც თითქმის ერთი და იგივეა.

თავქალი / თავქალი თავკაცი-ს ანალოგიური წარმოების სიტყვაა: თავი + ქალი.

შდრ. მეგრ. **დუდოსური** – უფროსი (თავ-) ქალი, რაიმე შემთხვევის დროს ხელმძღვანელად (უფროსად) დანიშნული (ო. ქაჯაია, 2001).

patronsakvtavi – სალანძღავი სიტყვა. წველო ი **პატრონსაკვტავს** ი ხონხა, რაზე მკლავდა, კაცო, წამაქცია, წვილო, წვეიდა.

Savsioneli – შავ სიაში შეტანილი ადამიანი. დედაჩემი მოყუბობდა, ისო, ქე რო ისა, **შავსიონელების** სიაში დაწერეს თურმე, ვინც იყო კაპიტალისტები, ვაჭრები, ვინც იყო მდიდრები, ვინც იყო ღუღლები და იგენი ჩასწერეს. მამაჩემიც ყოფილა თურმე **შავსიონელების** სიაში, შეუყვანიათ.

saintereso frazebi:

arc kvdars ewia da arc cocxals – იტყვიან უმაქნის, გამოუსადეგარ ადამიანზე. არც სიკუტილი გეეწყო, **კვტარი არ იყო და ცოცხალში აღარ ეწია**; ჩვენ გუთვონა კუტარი, **არც კვტარს ეწია და არც ცოცხალს**.

შდრ.: **არც მკვდრებშია და არც ცოცხლებში** - გამოუსადეგარია, არაფრად მისაჩნევია (თ. სახოკია, 1979).

gulSi uxaWunebda – გულში გაივლებდა, მოიფიქრებდა. მაშუალი, თუკი ეს ვინმეს რამე **გულში უხატუნებდა** და რომ პატივი ეცა მისთვის, რა თქმა უნდა, საჩუქარს მიიღებდა.

ხატუნი – კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც ჩხრიალი (მნიშ. 2) (ქეგლ).

ხატუნი (გურ.) – ფხატუნი, ფხატუნის ხმა (გ.შარაშ.) (ალ. ლლონტი, 1974)

sinaze gadasakidebeli qali - იტყვიან ძალიან გამხდარ ქალზე. ქალია ისეთი, რო **სინაზე არის გადასაკიდებელი**.

Cadris qves rCeba – გლოვობს, დამწუხრებულია. მაგრამ თუ ოჯახში წლისთავი მოხდა, ახალგაზრდის გარდაცულების შემდეგ აქაც, მამასადამე, ოჯახი კულავ **ჩადრის ქუემ რჩება** და, როდესაც მერე,

შემდგომში ის ტკივილი მას საგძნობლათ გაუნელდება, მერე შეილება გაიხსნილოს ეგი.

ჩადრი – იხ თერისტროი – ზეწარი ქალთა მოსაფარებელი (სულხან-საბა, 1993).

ჩადრი (ზ. აჭარ.) – კარავი, ფანჩატური (შ. ნიჟ.). თურქ. (ალ. ლლონტი, 1974).

camparampas iZaxoda – ცეკვა-სიმღერით ერთობოდა, დროს ატარებდა. ხან **ცამპარამპას იძახოდა** და გააყრუებდა თელ ქუეყანას, იმხელა ხმა ქონდა.

დიალექტური ლექსიკა ამოუწურავია, შესაბამისად, მისი შეკრება-შესწავლა მუდმივი პროცესია. ამ მიმართულებით მომავალი კვლევა-ძიება უფრო მეტ საინტერესო მასალას წარმოაჩენს.

damowmebuli literatura da wyaroebi

i. abulaZe, 1973 – i. abulaZe, Zveli qarTuli enis leqsikoni, Tb., 1973.

m. alaviZe, 1938 – m. alaviZe, leCxumuri leqsikoni: qarTvelur enaTa leqsika, I, Tb., 1938.

m. alaviZe, 1955 – m. alaviZe, masalebi leCxumuri leqsikonisaTvis: quTaisi saxelmwifo pedagogiuri institutis Sromebi, XIII, quTaisi, 1955.

v. berize, 1912 – v. berize, sityvis kona imerul da raWul TqmaTa, sankt.-peterburgi, 1912.

p. gaCeCilaZe, 1976 – p. gaCeCilaZe, imeruli saleqsikono masala, Tb., 1976.

k. kublaSvili, 1985 – k. kublaSvili, qarTuli enis qvemoimeruli dialeqti, Tb., 1985.

l. leJava, 1958 – l. leJava, zemoimerulis masalebi erTi soflis mcxovrebtTa metyvelebis mixedviT: ike, 9-10, Tb., 1958.

a. mayaSvili, 1974 – a. mayaSvili, botanikuri leqsikoni, Tb., 1974.

s. JRenti, 1936 – s. JRenti, guruli kilo, Tb., 1936.

s.s. orbeliani, 1991-1993 – s.s. orbeliani, leqsikoni qarTuli, Tb., t. I - 1991, t. II - 1993.

z. sarjvelaZe, 1995 – z. sarjvelaZe, Zveli qarTuli enis leqsikoni (masalebi) Tb., 1995.

T. saxokia, 1979 – T. saxokia, qarTuli xatovani sityva-Tqmani, Tb., 1979.

iv. qavTaraZe, 1963 – iv. qavTaraZe, masalebi imeruli leqsikonisaTvis. wignSi: qarTvelur enaTa struqturis sakiTxebi, t. III, 1963.

qegl - qarTuli enis gammartebiTi leqsikoni, rvatomeuli, am. Ciqobavas saerTo redaqqiiT, Tb., 1950-1964.

al. Rlonti, 1974 - al. Rlonti, qarTul kilo-TqmaTa sityvis kona, Semdgeneli al. Rlonti, Tb., 1974.

o. qajaia, 2001-2009 - o. qajaia, megrul-qarTuli leqsikoni, oTxtomeuli. Tb., t. I - 2001, t. II-III - 2002, t. IV - 2009.

g. SaraSenize, 1938 - g. SaraSenize, guruli leqsikoni. wignSi: qarTvelur enaTa leqsika, I. Tb., 1938.

d. CubinaSvili, 1984 - d. CubinaSvili, qarTul-rusuli leqsikoni, Tb., 1984.

q. Zowenize, 1976 - q. Zowenize, zemoimeruli leqsikoni, Tb., 1976.

b. wereTeli, 1938 - b. wereTeli, zemoimeruli leqsikoni: qarTvelur enaTa leqsika, I. Tb., 1938.

i. Wyonia, 1910 - o. ჰყონია, სიტყვის-კონა, სანკტ-პეტერბურგი, 1910.

p. jajanize, 1950-1951 - p. jajanize, masalebi imeruli leqsikonisaTvis: quTaisis saxelmwifo pedagogiuri institutis Sromebi, quTaisi, t. IX - 1949; t. X - 1950-1951.

imeruli dialeqturi masala (quTaisuri metyvelebis nimuSebi). daculia akaki wereTlis saxelmwifo universitetis qarTvelologiis samecniero-kvleviT centrSi.

**MAIA MIKAUTADZE
EKA DADIANI**

**MATERIALS FOR THE DICTIONARY OF IMERETI DIALECTS
(ACCORDING TO KUTAISI COLLOQUIAL SPEECH)**

The article discusses dialectic word-forms and phrases from the lexis of Kutaisi residents. As an empirical data, we chose dialectic texts recorded in 1994-2005 by the Kartvelology scientific research center (earlier name: scientific research institute of Kartvelian dialectology) of Akaki Tsereteli State University. The data includes diverse materials got from people of different ages, gender, profession.

Kutaisi residents are families settled from different villages, also from different regions (Guria, Letchkhumi, Samegrelo) of Georgia at different times. Accordingly, Kutaisi's speech reflects the language signs characteristic of the Imeretian dialect. Also, similar facts can be revealed in the dialects from Guria, Letchkhumi, Samegrelo or other not adjacent dialects, which is also natural.

Dialectic word-forms taken for analyses are compared to old Georgian language and the data of different dialectic dictionaries.

The material is interesting in terms of linguistic (formation, phonetic changes) as well as ethnographic (description of traditions and games, relevant terms) point of view.

The majority of analyzed words are not mentioned in dictionaries, a part of them are confirmed with a different form of semantics.

რუსულან მიქაუტაძე

ალექსანდრე იობიძე – კოლხური ვაჟის აღორძინების ინიციატორი საქართველოში

ცნობილი აგრონომი ალექსანდრე იობიძე მოღვაწეობდა მე-20 საუკუნის 30-60-იან წლებში. მან განადგურებას გადაარჩინა არაერთი უძველესი ქართული ვენახის ჯიში.

ალექსანდრე (საშა) სამსონის ძე იობიძე დაიბადა 1892 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ საფიჩხიაში, აზნაურ სამსონ (სარდიონ) იობიძის ოჯახში. ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლის დროს მან მიზნად დაისახა უპატრონობით და მოუვლელით გაპარტახებული ქართული ვენახი ფეხზე დაეყენებინა. ამ მიზანმა მიიყვანა ის ყირიმში მაგარაჩის მევენახეობა-მეღვინეობის საიმპერატორო სკოლის ორწლიან უმაღლეს კურსებზე. მისი მასწავლებლები იყვნენ იმ დროსათვის ცნობილი სპეციალისტები: ბარბერონი, ბაგრევი და შჩერბაკოვი. უმაღლესი კურსების დამთავრების შემდეგ ქუთაისს დაუბრუნდა. სწორედ ქართული ვაზის განახლების აუცილებლობას ეხება მისი არაერთი წერილი, რომელსაც ხშირად აქვეყნებდა ქუთაისში გამოქვეყნდებულ “სასოფლო გაზეთში”. 1916 წელს მან მუშაობა დაიწყო ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის ინსტრუქტორ-სპეციალისტად, თუმცა მალე კვლავ ქუთაისში დაბრუნდა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების საქმეს მოჰკიდა ხელი. შემდეგ საკუთარი ინიციატივით გადავიდა გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყში, წინანდლის მამულში. აქ მან 50 ჰექტარზე ამერიკული საძირე ვაზის სადღეე გააშენა, რომელმაც მოგვიანებით, როცა ქართულ ვაზს ავადმყოფობა გაუჩნდა და საფრთხე დაემუქრა მის არსებობას, დიდი როლი შეასრულა კახეთის მევენახეობის აღდგენის საქმეში.

1926 წელს ალექსანდრე იობიძე დაინიშნა სოხუმის მაზრის აგრონომად. ამავე წელს მან გამოაქვეყნა საგაზეთო წერილი “Закультурное виноградарство в Абхазии”, სადაც აფხაზეთის მშრომელებს მოუწოდებდა ხელი მოეკიდათ კულტურული მევენახეობისათვის და დასახა ამ დარგის, აღორძინების კონკრეტული გზები. ამავე წელს მან პირველად შეიტანა აფხაზეთში “ცოლიკოური” და სათავეში ჩაუდგა მისი პლანტაციების გაშენების საქმეს. ბევრი უნდობლად უყურებდა დაბლარი ჯიშის ვენახს, მაგრამ მან დაძლია ეს წინააღმდეგობა. თვითონ არჩევდა ნიადაგს, კოლმეურნეებს ასწავლიდა მცენარის მოვლის აგროწესებს და ნელ-ნელა საქმე წინ მიიწევდა (ი. ხუბუა, 1960).

1927 წელს ალ. იობიძის ინიციატივით სოხუმში შეიქმნა მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილება, თვითონ კი დამტკიცებულ იქნა განყოფილების გამგედ. 1932 წელს ის მონაწილეობდა აფხაზეთის მევენახეობის

განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენაში. მისი ხელმძღვანელობით გაშენებულ იქნა ბომბორის საბჭოთა მეურნეობა გულაუთაში. 1934-1935 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საქარის მევენახეობის საცდელი სადგურის აგროტექნიკის განყოფილებას. მალევე, 1936 წელს, დაბრუნდა აფხაზეთში.

აღ. იობიძემ ზედმიწევნით იცოდა მსოფლიო მევენახეობის ისტორია. ზეპირად ჰქონდა შესწავლილი სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილ მოღვაწეთა და მოგზაურთა აზრი ქართული ვაზის შესახებ, იგი ცდილობდა გაერკვია, კოლხეთის რომელი ვაზის ჯიშები იძლეოდნენ იმ სანაქებო ღვინოებს, რომლებიც აღწერილი იყო ძველ ბერძნებთან, შარდენტან და ა.შ. სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტის სურვილმა მიიყვანა იგი 1936 წელს ბომბორის ტყეში, სადაც 5 წელი მარტო ცხოვრობდა, დადიოდა და შეუპოვრად ეძებდა კოლხური ჯიშის ვაზს. იპოვა და აღადგინა კიდევ საუკუნის წინათ დაკარგული კოლხური სახელგანთქმული “დღუნდღუმის“, “პუმპულას“, “მახვატელის“, “ზედაგის“, “ამლახუს“ პირველი ლერწები. საკუთარ ნაკვეთზე გადმოიტანა ისინი და მიიღო კიდევ ის ტკბილი ღვინოები, რომლებიც ლეგენდებშია მოხსენიებული. მისი მაძიებელი ბუნების დასტურია ერთ-ერთ პოლონურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია: “ამ ღვინოს სვამდა ოდისევსი“, სადაც მითითებულია, თუ როგორ იპოვეს არქეოლოგებმა სოხუმთან ახლოს 22 საუკუნის წინანდელი ქვევრი, შიგნით ყურძნის წიპწიპებით. ეს წიპწიპები ალესანდრემ დათესა და მიიღეს ისეთი ყურძენი, რომელიც შემადგენლობით და არომატით ძალიან ჰგავდა აფხაზურ ჯიშს – “კაჭიჭს“.

1936 წლიდან აღ. იობიძე მუშაობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის, სოხუმის დასაყრდენი პუნქტის მეცნიერ მუშაკად. ამავე დროს, 1939 წლიდან მოღვაწეობდა გულაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მთავარ აგრონომად.

აფხაზურად **აშიცრა** “ბზიანს“ ნიშნავს, **არაშახო** – “თელიანს“. ასე ჰქვია ბომბორის ველის ცალკეულ უბნებს. ეს თვალშეუდგამი ველი გულაუთიდან თეთრწყალამდეა გადაჭიმული. იგი მივარდნილი და უდაბური ადგილი იყო. თუმცა ბზიანში შეხვდებოდათ ალაგ-ალაგ ლაღად გახარებულ გარეული მწარე ვაზის დაღვარჭნილ ტოტებს, თელიანში კი აფხაზურ მაღლარს: **ახარდანს**, **ამლახუსს**“ **აჯშუარას** და **ალიბიჟს** ქარვის მტევნები მოესხა და ფრინველთა გუნდი ჟივილ-ხივილით ეხვეოდა (მ. გვასალია, 1960).

მე-19 საუკუნეში აფხაზეთში ორმოცამდე ადგილობრივი ჯიშის ვაზი ხარობდა. თითქმის ყველა მაღლარი იყო, მაგრამ ვაზს ავადმყოფობა გაუჩნდა და გადაშენდა. გაჩნდა აზრი, რომ თითქოს აფხაზეთში კლიმატური პირობების გამო ვაზის წარმოება არ შეიძლებოდა, ხალხი ამ აზრს ვერ ეგუებოდა, ცდილობდა ძველი ჯიშების აღდგენას, მაგრამ მეფის მთავრობა

* ჟურნალის ეს გვერდი ინახება სტატიის ავტორთან. სამწუხაროდ, არ არის მითითებული ჟურნალის დასახელება. ჟურნალი უნდა იყოს გამოსული დაახლოებით 1961 წელს.

მათ არაფრით ეხმარებოდა. ამიტომ ხალხს შემორჩა მხოლოდ მალლარი ვენახი “იზაბელა“.

30-იანი წლების ბოლოს აფხაზეთში ფეხი მოიკიდეს მთიანი რაჭიდან ჩამოსახლებულმა მცირემიწიანმა რაჭველებმა. რაჭველები არ შეუშინდნენ ბუნებას, მალარიას, გაჩეხეს ჩირგვნარი, ეკალ-ბარდები, “ძალყურძენა“ და ცხოვრება დაიწყო. სოფელს კი ახალსოფელი დაერქვა. სწორედ მაშინ შეესხა ფრთები აგრონომ ალექსანდრე (საშა) იობიძის ოცნებას, აფხაზეთში კულტურული ვენახის ზერები გაეშენებინა.

აგრონომ ალ. იობიძეს ცოტა შრომა როდი დასჭირდა იმისათვის, რომ რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობისათვის დაემტკიცებინა, ამ კოლმეურნეობის თავისებური კლიმატისა და ნიადაგის პირობებისათვის, ნაცვლად ციტრუსების, თამბაქოსა და ევკალიპტისა, მიესადაგებინათ და ფართოდ დაენერგათ ვაზის კულტურა. მაგრამ არავის სურდა დაეჭვებინა, რომ აფხაზეთის მიწაზე ვაზს დიდი პერსპექტივა ჰქონდა.

1933 წელს კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მოეწყო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აფხაზეთის დასაყრდენი პუნქტი. საცდელ ნაკვეთზე ალ. იობიძე წლების განმავლობაში სწავლობდა ვაზის 210-ზე მეტ ჯიშს, ამცნობდა, აღმოჩენებდა, ადგილობრივ პირობებს უხამებდა. მათ შორის 25 აფხაზური ვაზის ჯიშის: “აპარდანი“, “აქმუატა“, “ალბიუი“ და სხვები. მან შეისწავლა ბევრი ჯიშის აგრობიოლოგია, შეიმუშავა მათი ჯიშობრივი აგროტექნიკა. მის სანერგეში გამოყვანილმა ბევრმა ჯიშმა საუკეთესო ნიადაგი ჰპოვა არა მარტო ახალსოფლის მიწაზე, არამედ მთელს აფხაზეთში. მანვე აფხაზეთის ზონისთვის გამოიყვანა “ცოლიკაური“ და “კრახუნა“, აფხაზური ჯიშები: “კაჭიჭი“, “აკასირხვა“, “ახარდანი“, “ამლახუ“ და სხვა. განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა “ჩხავერზე“, რომელიც გადაშენების პირას იყო და რომლისგანაც მიიღება სუფრის ნახევრად ტკბილი ღვინო ხილის არომატით.

“ჩხავერის საბჭოთა მეურნეობა გურიისში, ბახვში, ჰექტარზე 10-15 ცენტნერ ყურძენს იძლეოდა, რაც საზარალოა და ვენახის მოვლად არ ღირს. მე ეს ჩხავერი გურიიდან ბომბორაში უნდა ვადმომეტანა და ჩემს მიერ საცდელ ნაკვეთზე გამომუშავებული თავისებური გასხვილისა და ე.წ. ორსართულიანი შპალერის საშუალებით ყურძნის უხვი მოსავალი მიმეღო... ჩემი გეგმა ბევრს არ მოსწონდა და ვენახს წინ აღუდგნენ. ზოგს ჩაი უნდოდა, ზოგს გერანი, ზოგს ხეხილის ბაღი, მეაბრეშუმეობა და ა.შ. იძულებული ვიყავი საცდელ ნაკვეთზე მოკრეფილი სუფრის ყურძენი პარტიის საოლქო კომიტეტში წარმედგინა. ამ ნიმუშებს ხელმძღვანელთა ნამდვილი აღრთოვანება და გაოცება მოჰყვა. და როგორც იქნა, 1946 წლიდან ნება დამრთეს საქმეს შევდგომოდი. იცოდენ, თუ მოტყუვდი, ახირებულო, შენს თავს “დააბრალო“, გამაფრთხილეს... ახლა კი ჰექტარზე ვკრეფთ 100-120 ცენტნერს“ (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი“, 09.10.1960).

ბევრმა მეცნიერ-მუშაკმა ათეული წელი იმუშვა მალლარი ჩხავერის ველური ჯიშის დაბლარად გაკულტურებაზე, მაგრამ შედეგები არ იყო სასურველი. სწორედ ამ საქმეს შეუდგა ალ. იობიძე. როცა ის გულდაუთის

საყრდენი პუნქტის გამგედ დაინიშნა (1936), მას დახვდა გადაშენების გზაზე მდგარი ჩხავერის 12 ძირი. 1939 წლისათვის მან გამოიყვანა უკვე 100 ძირი და მიეცა შესაძლებლობა უფრო ფართოდ ჩაეტარებინა ცდები და დაკვირვებები. წლები ამუშავებდა ის მისი მოყვანის აგროწესებს და 1948 წელს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩხავერიდან შესაძლებელი იყო უხვი მოსავლის მიღება და იმავე წელს გააშენა ის 1 ჰა-ზე. 1958 წლისათვის უკვე მას 34 ჰა-ზე გადაჭიმული ჩხავერი ჰქონდა და ბოლო 8 წელს ჰა-ზე იღებდნენ 120 ცენტნერს. ასეთი მაღალი მოსავლის მიღების აგროწესები მან შეიმუშავა მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად. ცდის ქვეშ მყოფი მრავალი ფორმიდან საუკეთესო შედეგი გარდამავალი - ნახევრად ველური და ნახევრად კულტურული ფორმამიცემული ვაზიდან მიიღო. შემდეგ სიმძიმის ცენტრი ამ ფორმაზე გადაიტანა და საუკეთესო შედეგიც მიიღო. საგულისხმოა ის შედეგები, რასაც აგრონომმა ალ. იობიძემ მიაღწია სამრეწველო ჯიშის ჩხავერის მოსავლიანობის გადიდებაში. აქ გაშენებულ 10 ჰა-ზე ჩხავერის ზვრებში 1958 წელს საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ასეთი მაღალი მოსავლის მისაღებად მან გამოიყენა ვაზის თითოეული ჯიშის მიმართ მოწინავე აგროტექნიკური ღონისძიებები. მაგალითად, ცოლიკოურის ჯიშზე იგი თავისი ხანგრძლივი დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ჰა-ზე დატოვებულიყო 120-150 ათასი კვირტი, ხოლო ჩხავერისათვის 150-200 ათასი კვირტი. იმავე დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნიადაგის გულდასმით დამუშავებას და მისი ნაყოფიერების გადიდებას, ურომლისოდაც ვაზის ასეთ დატვირთვას გამართლება არ ექნებოდა. აგრონომი მიმართავდა მინერალური სასუქების მცირე დოზით გამოყენებას თითოეულ ჰა-ზე. მას, ნაცვლად 50-60 ტონა ნაკელისა, ყოველ ორ წელიწადში ვენახში შეჰქონდა 12-15 ტ. ნაკელი, რომელსაც თითოეულ ტონაზე უმატებდა 200 კგ სუპერფოსფატს, 100 კგ სულფატამინოლს და 100 კგ კალიუმს. ზოგ ადგილებში ნაკელის ნაცვლად შეჰქონდათ კომპოსტი და ტორფი. ასეთ ნარევეს აბნევენდნენ არა ზედაპირზე, არამედ ვაზის ძირების გარშემო 0.5 მეტრის სიღრმის ვიწრო ზოლებში. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ზედმეტი რაოდენობით აზოტოვანი სასუქების შეტანა აზიანებდა ვაზს, შესაბამისად ღვინის ხარისხს და მასში ცილების რაოდენობის შემცველობას. ამიტომ მან გადაწყვიტა ზაფხულზე ნიადაგში არ შეეტანა ის სასუქი, რომელიც შეიცავდა აზოტს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრონომი მწვანე ოპერაციებს, ვაზის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლას. ვაზის ნაცრის წინააღმდეგ ხდებოდა ვენახის 5-6-ჯერ მოწამვლა “ბორდოს” 1%-იანი ხსნარით. აგრეთვე დაიწყეს შტამბის ამალღება და ლერწების დამაგრება მაღალ შპალერებზე. ვეგეტაციური პერიოდის დროს ზვრები მუშავდებოდა 2-3-ჯერ გოგირდით. ამით თავიდან იცილებდნენ ვაზის დაავადებას “ოიდიუმს”. გარდა ამისა, ვაზის ცრუფარიანას წინააღმდეგ ზაფხულზე ხდებოდა ვაზის დაზიანებული ქერქის გაწმენდა, მისი მოგროვება და დაწვა. ზაფხულში ხდებოდა 0,02 %-იანი ტიოფორის ხსნარით შესხურება (პ. სემიონოვსკი, 1958: 19).

ჩხავერის მაღალი მოსავლის მისაღებად, გაზაფხულის გასხვლისას აგრონომმა გადაწყვიტა დაეტოვებინა ზოგიერთი ლერწი 2-2,5 მ სიგრძეზე, ზემოთ კი გაუმევეს მსხმოიარე ლერწები 8-10 კვირტით. თითო ვაზზე დატოვეს 10-12 ლერწი. ვენახი ორიარუსიანი გახდა. ამაღლეს შტამპი 0,5 მ-დან 1 მ-მდე. ჩხავერი დარგეს უფრო შორიშორს 5 კვ.მ. დაშორებით, ანუ 1 ჰა-ზე 2500 ძირი (თუმცა აღ. იობიძეს ფანქრით აქვს ჩასწორებული 2000 3300-ის მაგიერ).

კოლმეურნეობაში მისი ინიციატივით შეიქმნა სანერგე მეურნეობა, რომელიც 3 ჰა-ზე იყო თავდაპირველად გაშენებული. ამცნობდნენ და ამზადებდნენ ჩხავერის ახალნამყენებს, რითაც ამარაგებდნენ მთელს საქართველოს. აქვე დაიწყო აფხაზური ჯიშების გამოყვანა სამრეწველო მოხმარებისათვის: “იზაბელა“, “კაჭიჭი“, “ამლახუ“, “აჩიკიმი“ და სხვ. 1956 წელს გამოყვანილ იქნა 30000 ნერგი, 1957 წელს კი – 100000. ნამყენებიდან კოლმეურნეობას საკმაო შემოსავალი ჰქონდა. აღ. იობიძე დიდ ზრუნვას იჩენდა როგორც აფხაზეთის, ისე მეზობელი სოჭისა და ადღერის რაიონებში ვაზის სათანადო ჯიშების შერჩევა-დანერგვისათვის. 1956-57 წლებში კოლმეურნეობამ სამტრესტს ჩააბარა 60 ტონა ჩხავერი. შრომადღებზე ღვინის განაწილების დროს ჩხავერის ღვინოს მხოლოდ ჯილდოს ანგარიშში აძლევდნენ.

სასარგებლო მუშაობას ეწეოდა აგრონომი აღ. იობიძე მეღვინეობის ხაზითაც. მან შეიმუშავა “ჩხავერის“ დაყენების ორიგინალური წესი. ამისათვის მან გამოიყენა ისეთი ტექნოლოგია, რომელიც ახლოს იყო შამპანურის დაყენებასთან (პ. სემიონოვსკი, 1958: 22). შამპანური საქართველოში მზადდებოდა ღვინომასალებში დამატებითი სიროფის შეტანით, რაც იწვევდა მეორედ დუღილს და ბოთლებში გაზის დაგროვებას. მის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ “ჩხავერის“ მარცვლებში შაქრის რაოდენობა აღწევდა 24%-ს და მეორადი დუღილი “ჩხავერისა“ შესაძლებელი იყო მარცვლებში შაქრის დონის ამაღლებით. მან შეიმუშავა ახალი ტექნოლოგია; ღვინის დამზადებიდან დაახლოებით 6 თვის შემდეგ, როცა სრულად არ იყო დასრულებული დუღილი, “ჩხავერი“ ჩაასხეს სქელკედლიან ბოთლებში, რომელსაც თავი დაუცეს სპეციალური საცობით, მასზე დამაგრებული იყო მავთულიანი სამაგრები. ბოთლები მოათავსეს სპეციალურ სარდაფში ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მუდმივ ტემპერატურაზე, დაახლოებით 12-15 გრადუსზე. ამ დროს ბოთლებში ნელა მიმდინარეობდა მეორადი დუღილი, რასაც იწვევდა დარჩენილი შაქარი ღვინოში. 8-10 თვის შემდეგ ბოთლებს ათვალეიერებდნენ. მას ანჯღრევდნენ და ამოწმებდნენ დუღილის ხარისხს. გამოცდილი თვალი ატყობდა, დუღილი დასრულებული იყო თუ არა და მიიღო თუ არა ღვინომ სასურველი ხარისხი. თუ პროცესი დასრულებული იყო, ბოთლებს აბრუნებდნენ ყელით ძირს, რომლის შედეგადაც ბოთლში წარმოშობილი ნალექი საცობის თავზე გროვდებოდა. შემდეგ მას ხსნიდნენ მავთულიან გარსაკრავს და გაზის წყალობით, რომელიც რამდენიმე ატმოსფეროს უდრიდა, საცობი ვარდებოდა და თან გამოჰქონდა ნალექი. მას სწრაფად უკრავდნენ თავს და ბოთლს დააბრუნებდნენ ვერტიკალურ მდგომარეობაში, აუცილებლობის შემთხვევაში ბოთლებს ავსებდნენ და ისევ მოუკრავდნენ თავს მავთულით. მცირე

ხნის დაყოვნების შემდეგ ღვინო მზად იყო დასალევად (იქვე: 24).

1955 წელს კოლმეურნეობას ესტუმრნენ მეღვინე-მრეწველები საფრანგეთიდან, რომლებმაც აღფრთოვანება ვერ დამალეს ჩხავერის შუშხუნა ღვინის გასინჯვისას და თხოვეს მასპინძლებს, გაეცნოთ მისი დაყენების წესი, დაეთვალთ იერებინებინათ სარდაფები, სადაც ის ინახებოდა.

1957 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 4 მლნ მანეთს გადააჭარბა, აქედან 3.5 მლნ. მევენახეობიდან იქნა მიღებული. ვენახი უკვე 60 ჰა-ზე იყო გაშენებული, აქედან სრულმოსავლიანი 50 ჰა. არცთუ დიდი ფართობებიდან კოლმეურნობა იღებდა უხვ მოსავალს, 1954 წელს, რომელიც საერთოდ არ გამოირჩეოდა ყურძნის დიდი მოსავლიანობით, 1 ჰა-ზე აიღეს საშუალოდ 153 ცენტნერი ყურძენი, 1958 წელს კი საშუალოდ 211 ცენტნერი, რაც მთელს საბჭოთა კავშირში სანიმუშო შედეგი იყო. 1960 წლისათვის უკვე სანერგე მეურნეობას 8 ჰა ეჭირა, ხოლო ზვრებს - 136 ჰა.

1962 წელს კოლმეურნეობას ესტუმრნენ მევენახეობისა და მეღვინეობის მსოფლიო კონგრესის (რომელიც თბილისში ჩატარდა) მონაწილეები, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს სელექციონერ ალ. იობიძის მუშაობას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის დიდად არ იყო აღფრთოვანელი კონგრესის წევრთა კოლმეურნეობაში ჩამოყვანის განზრახვით, რადგან მიაჩნდა, რომ კოლმეურნეობაში საქმეები ველარ მიდიოდა კარგად და შერცხვებოდნენ ასეთ საპასუხისმგებლო საქმეში. აი რას ვკითხულობთ მის ერთ ერთ წერილში, რომელიც თავის დას გამოუგზავნა (15.12.1961): “აქეთ კოლმეურნეობის საქმეები ძალიან არეულია. ასეთ მდგომარეობაში მოუგონიათ, რომ მევენახეთა მსოფლიო კონგრესის წევრები, რომელიც გაისად სექტემბერში შედგება თბილისში, ჩვენთან ჩამოიყვანონ საკოლმეურნეო ვენახების საჩვენებლად. საქართველოში მარტო ჩვენი კოლმეურნეობაა გამოყოფილი. ეყოფათ სირცხვილად, მაგრამ სადღაა სირცხვილი. ხალხი კი კოლმეურნეობიდან გარბის. პირდაპირ უარს ამბობენ სამუშაოდ გასვლაზე.”

1954 წლიდან ალ. იობიძე ყოველ წელს მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენებში, დაჯილდოებული იყო ოქროსა და ვერცხლის მედლებით, მედლით შრომითი მამაცობისათვის. მიღებული ჰქონდა საჩუქრად მოტოციკლი, შალის ძვირფასი ხალიჩა, რადიომიმღები, ტელევიზორი და სხვ. იგი შესანიშნავად ფლობდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

ალ. იობიძე იყო საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი. დისადმი მიწერილ წერილში (06.11.1960) იგი წერს: “დამიბარეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში იმ მიზნით, რომ თურმე უნდა მომცენ საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება. რაც აფხაზეთმა ჩამიშალა, მოხდება მათ დაუკითხავად, მათი თავსხლავის დასხმით. თურმე ეს საქმე უნდა აღედრა აკაკი ურუშაძეს (ცნობილ აკადემიკოსს), რომელსაც გაეგო აფხაზეთის მიერ ჩემი იუბილეს მიჩქმალვის ამბავი“. თუმცა იმდროინდელ საგაზეთო პუბლიკაციებში მითითებულია, რომ ის იყო აფხაზეთის ასსრ დამსახურებული აგრონომი. ჩვენ ამ შემთხვევაში დავყრდენით მის წერილს.

როგორც ჩანს, კოლმეურნეობაში არსებულმა რთულმა ვითარებამ ძალიან იმოქმედა მოხუცზე და იგი მოულოდნელად, 1962 წლის 11 მაისს, გარდაიცვალა. ცნობილი ქართველი მევენახე-მეღვინე ვაჟა გოცირიძე, ალექსანდრეს მოსწავლე, თავის ინტერვიუში, რომელიც მან მისცა 2008 წლის 13 სექტემბერს ჟურნალისტ ნუგზარ მჭედლიშვილს, შემდეგ იხსენებს: “სამი წლის წინ მშობლიურ სოფელში მომიწია ჩასვლა – აფხაზების უბანში, იქ, სადაც მისი გაშენებული ვენახის ზვრები იყო, ახლაც დგას ალექსანდრე იობიძის ძეგლი” (<http://www.vinoge.com/qarTuli-vazis-genofonds-ganad-gu-re-ba-emu-qreba>).

აღნიშნული ერთხელ კიდევ მეტყველებს იმაზე, თუ როგორ სცემდა პატივს ადგილობრივი მოსახლეობა ალ. იობიძეს, რომელმაც არაერთი აფხაზური ვაზის ჯიში გადაარჩინა განადგურებას და ხელი მიჰყო აფხაზეთის მიწაზე კულტურული ვაზის მოვლა-გაშენებას. მან დაამუშავა აფხაზეთის მიწისთვის ისეთი აგროტექნოლოგია, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დაბლარი ცოლიკაურის გაშენება. ალ. იობიძემ შემოუწინა ქვეყანას ძველი ქართული ჯიში ჩხავერი და შეიმუშავა მისი დაყენების ახალი ტექნოლოგია.

damowmebuli literatura

m. gvasalia, 1960 – m. gvasalia, axal bomborSi (narkvevi): gaz. "sabWoTa afxazeTi", 1960.

i. xubua, 1960 – i. xubua, venaxis mesaidumle: gaz. "sabWoTa afxazeTi", 1960. #119, 17.06.1960.

marani – marani (<http://www.vinoge.com>). 28.03.2019.

П. Семеновский, 1958 - П. Семеновский. Экономика колхозам. Орджоникидзе. Библиотека колхозника Абхазии. вып. 28-29. Сухуми, 1958.

RUSUDAN MIKAUTADZE

**ALEXANDRE IOBIDZE - THE INITIATOR OF THE REVIVAL
OF COLCHIS VITICULTURE IN GEORGIA**

Alexandre Iobidze was born in Kutaisi. While still studying at college, he decided to revive Georgian viticulture which was desolated and absolutely abandoned. His goal was to find free lands and begin cultivating the vineyards.

In 1916 he was appointed as an agronomist in the Sukhumi district of KutaisiGubernia. Soon, he moved to Tsinandali estate in the village Chumlaki of Gurjaani. Here he planted 50 acres of the basis of American vine, which has played a major role in restoring Kakheti viticulture, as the Georgian vine plants were diseased and were under the threat of extinction.

In 1926 he returned to Sukhumi district and urged the population to revive cultural vine in Abkhazia. Alexander convinced the local authorities and started cultivating Tsolikouri in Abkhazia.

For five years, since 1926 he lived alone in the forest of Bombora and was looking for the Colchian vine vigorously. He found and restored the famous Colchian “Dgundgushi”, “Pumpula”, “Makhvateli”, “Zedagi”, “Amlaxu”.

On the experimental plot of Akhalsopeli Iobidze had been studying more than 210 different kinds of vines over the years. Among them were 25 Abkhazian vines / Akhardani, Azhkhkhuata, Aghbidziand others. He studied their agrobiolgy, developed their agrotech. He also cultivated Tsolikouri and Krakhuna for Abkhazian soil, other Abkhazian vines-Akasirvakh, Akhardani, Amlakhu, and others, but special attention paid to Chkhaveri, which was on the verge of extinction. In their collective farm, they were preparing Chkhaveri’s one-year-old vine shoots, thus supplying them throughout Georgia.

He developed the original way for Chkhaveri winemaking, which surprised French winemakers who visited the farm in 1955 and asked him to get acquainted with the rules of his invention.

Al. Iobidze was the honorable agronomist of Georgia, participant, and winner of many soviet and international exhibitions. Al. Iobidze’s merit is great for the survival of the ancient Colchian vines and for the development of Georgian viticulture.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების ისტორიიდან

მიუხედავად იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლისა, რომელსაც ყოველი დროისა და ეპოქის ქუთაისი, საზოგადოდ, მთელი დასავლეთ საქართველო, ასრულებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ლიტერატურული ცხოვრება ამ რეგიონში XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე იმდენად დაბალ დონეზე იდგა, რომ გამორჩეულად ფასეული რამ ხსენებულ პერიოდში აქ მოღვაწე მწერლებს ფაქტობრივად არაფერი შეუქმნიათ.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხსენებული პერიოდის ქუთაისში ლიტერატურული ცხოვრება საერთოდ ყოფილიყოს ჩამკვდარი. რასაკვირველია, არა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწორედ ქუთაისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართული ლიტერატურის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: თეიმურაზ პირველი (1589-1663 წწ.), არჩილი (1647-1713 წწ.), ანტონ პირველი კათოლიკოსი (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი. 1720-1788 წწ.), ბესიკი (1750-1791 წწ.), ტიმოთე გაბაშვილი (?-1764 წწ.), რაფიელ ერისთავი (1824-1901 წწ.)...

თუმცა აქ დასახელებულ მწერალთაგან ქუთაისის, ან, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე რეგიონის მკვიდრი არც ერთი არ ყოფილა და ისინი, გარკვეულ გარემოებათა გამო თბილისიდან და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებიდან დასავლეთში გამოჩნხნულნი, ქუთაისში მხოლოდ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

მიუხედავად იმისა, რომ დაზუსტებით იმის თქმა, კონკრეტულად რომელი ნაწარმოებები შექმნეს მათ ჩვენს ქალაქში ცხოვრების პერიოდში, უმრავლეს შემთხვევაში ვერ ხერხდება, ისიც უდავო ფაქტია, რომ თავიანთი აქ ყოფნით ხსენებულმა მწერლებმა ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე ნამდვილად მოახდინეს კეთილისმყოფელი ზეგავლენა.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ხსენებული პერიოდის ქუთაისსა და, საერთოდ, მთელს დასავლეთ საქართველოში მწერლობას იმდენად უმნიშვნელო ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული, რომ აქ მოღვაწე მწერალთა მიერ იმდროინდელი ჩვენი სულიერი კულტურის ისტორიაში შეტანილი წვლილი ნაკლებად ფასეულია და მეტად მოკრძალებული.

ვითარებას ამ თვალსაზრისით ვერც ის გარემოება ცვლის არსებითად, რომ ქუთაისის მახლობლად მდებარე გელათის სამონასტრო კომპლექსთან დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული აკადემიაც არსებობდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ერის რელიგიური და კულტურულ-

საგანმანათლებლო ცხოვრების დიდმნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ იქაური სასულიერო პირები ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდნენ მეტ-ნაკლები აქტიურობით, მათი ცხოვრების უმთავრესი მიზანი თეოლოგიურ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა იყო.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ხსენებულ პერიოდში დასავლეთ საქართველოში შექმნილი ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც სავსებით მართებულად არის მიჩნეული ძველი ქართული ლიტერატურის დიდად ფასეულ შენაძენად, მოსე ხონელის “ამირანდარეჯანიანია“. მათი აზრით, XII საუკუნეში დაწერილი ამ საგმირო-საფალავნო პროზაული ქმნილების ავტორი, რომლის გვარიც უცნობია, წარმოშობით დაბა ხონიდან უნდა ყოფილიყო და მისი ლიტერატურული ფსევდონიმიც შესაბამისად სწორედ აქედანაა წარმომდგარი.

თუმცა აღნიშნულ თვალსაზრისს მოწინააღმდეგენიც ჰყვანან და შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგზე დაყრდნობით (გავიხსენოთ სტრიქონი: “ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“), ისინი იმის დამტკიცებას ცდილობენ, მოსე ხონელი სინამდვილეში ხონიდან კი არა, სამხრეთ საქართველოში მდებარე სოფელ ხომიდან რომ უნდა ყოფილიყო და “ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ “ამირანდარეჯანიანი“ შემქმნელად მოხსენიებული მოსე რეალურად ხომელია და არა ხონელი. მათი აზრით, ხომელის მაგივრად ხონელის გაჩენა მოგვიანებით უნდა მომხდარიყო.

ამ მოსაზრების დამამტკიცებელ ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად ისინი იმ ფაქტს იყენებენ, რომ რუსთველისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი გარიტმის წესი (სარიტმო ერთეულთა აბსოლუტური სიზუსტე) ეპილოგის დამოწმებულ სტროფში ირღვევა და სამ სტრიქონში სიტყვათა გარიტმული ნაწილი — omelsa მეოთხე სტრიქონში onelsa ფორმით იცვლება, რაც პრინციპულად შეუთავსებელი მოვლენაა რუსთველის ვირტუოზული პოეტური ოსტატობისათვის.

თუ ზემოთქმული თვალსაზრისი სიმართლეა, მაშინ გამოდის, რომ არც “ამირანდარეჯანიანი“ ყოფილა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მწერლის მიერ დაწერილი ნაწარმოები.

ქუთაისში, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით დამკვიდრებული ვითარება არსებითად იცვლება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ დროიდან მოყოლებული, ჩვენს ქალაქში სულიერმა და ინტელექტუალურმა ცხოვრებამ, მათ შორის მწერლობამაც, იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ აქ მოღვაწე მწერალთა შემოქმედებითი მიღწევები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ შესაბამისი პერიოდების მთელი ქართული ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანეს ტენდენციათა თვისებრივი ბუნების არსს.

ზემოთქმული თვალსაზრისით ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ქუთაისის დიდი ლიტერატურული ცხოვრების მესაძირკველობა განგებამ მწერლური სიტყვის ისეთ დიდოსტატს არგუნა ბედად, როგორც აკაკი წერეთელი (1840-1915 წწ.) იყო. უწინარეს ყოვლისა, სწორედ იგი აღმოჩნდა ის პირველი დიდი მწერალი, რომლის შემოქმედებამაც უმაღლესი

სიტყვიერი ხელოვნებით ამოხეთქა ხსენებული რეგიონის მკვიდრთა ცნობიერებაში საუკუნეთა მანძილზე მითვლემილ-მინავლულმა, მაგრამ პოტენციურად უდიდესმა შემოქმედებითმა ენერჯიამ.

აკაკის მიერ სათავედადებული ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობის ამ პროცესის აქტიურ თანამონაწილეებად ქუთაისში მაშინ ჩვენი მწერლობის ისეთი ცნობილი წარმომადგენლებიც მოგვევლინენ, როგორებიც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და კირილე ლორთქიფანიძე. “თერგდალეულთა“ სახელით ცნობილი დიდი ლიტერატურული თაობის ამ შესანიშნავმა წარმომადგენლებმა ქუთაისი ჩვენი მწერლობის იმ მძლავრ ცენტრად აქციეს, რომელიც უშრეტი ენერჯით კვებავდა და ასაზრდოებდა მთელი შემდგომი დროის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას.

იმის გამო, რომ ქუთაისში XIX საუკუნის 80-იან წლებამდე არც რაიმე სახის პერიოდული გამოცემა არსებობდა და წიგნებიც იშვიათად გამოდიოდა, ლიტერატურული ცხოვრების უმთავრეს კერებს ძირითადად ოჯახური სალონები და 1873 წელს ანტონ ლორთქიფანიძის მიერ დაარსებული და 1894 წელს ქალაქის თვითმმართველობის მიერ შექმნილი საქალაქო ბიბლიოთეკები წარმოადგენდნენ, სადაც ცხოველი ინტერესით ეწყობოდა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვები და იმართებოდა ხანგრძლივი საუბრები როგორც იმდროინდელი ჩვენი ყოფის საჭირობოტო პრობლემებზე, ისე ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზეც.

ქუთაისში მწერლობის შესვლა განვითარების ახალ, მომდევნო, სტადიაში იმ ავტორთა შემოქმედებით მოღვაწეობასთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რომლებიც ლიტერატურულ ასპარეზზე XIX საუკუნის 70-90-იან წლებში გამოვიდნენ (მამია გურიელი, გიორგი შარვაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), კიტა აბაშიძე, დავით კლდიაშვილი, შალვა დადიანი, პარმენ ცახელი, ილია ბახტაძე (ხონელი), სიმონ გუგუნიავა, ილია ჭყონია, მეველე (დავით მიქელაძე), ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე) და სხვები).

ასე მოვიდა ქუთაისის მისი ლიტერატურული ცხოვრების ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან და მასშტაბურ პერიოდთან – 1900-1910-იან წლებთან. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იმდროინდელი ქუთაისი ქართული მწერლობის (და არა მარტო მწერლობის!) უმთავრეს ცენტრად იქცა, იმ შემოქმედებით სიახლეთა სათავისდამდებ ქალაქად, რომელთაც არსებითად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც დასახელებული პერიოდის, ისე მთელი შემდგომი ხანის ქართული ლიტერატურისთვის გეზისა და მიმართულების მიმცემ ტენდენციათა დამკვიდრების საქმეში.

ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ხსენებულ პერიოდში შემოქმედებით ასპარეზზე გამოსული ყველა დიდი ქართველი მწერალი (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა), თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით უწინარესად სწორედ ქუთაისთან აღმოჩნდა სისხლხორცეულად დაკავშირებული.

მათ საქმიანობას განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს ისიც სძენდა, რომ ქუთაისში იმხანად ბევრი ისეთი პერიოდული ორგანო გამოდიოდა,

რომლებიც ქართული მხატვრული სიტყვის ავტორიტეტულ გამოცემებს წარმოადგენდნენ. ამ გამოცემათა ლიტერატურულ ავტორიტეტს არსებითად ზრდიდა ის ფაქტი, რომ ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა ნაწარმოებების გარდა, მათ ფურცლებზე ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში მოღვაწე ავტორთა შემოქმედების ნიმუშებიც იბეჭდებოდა შეუზღუდველად.

იმდროინდელი ქართული მწერლობის განვითარებაზე იმჟამინდელმა ევროპულმა ლიტერატურულმა სიახლეებმაც მოახდინეს უაღრესად კეთილისმყოფელი ზეგავლენა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ ლიტერატურული განახლების მესვეურებად მოვლენილ მაშინდელ მწერალთა დიდ ნაწილს განათლება რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში ჰქონდა მიღებული და საფუძვლიანად იყო გაცნობიერებული იმ ახალ შემოქმედებით მიმდინარეობათა არსში, რომელნიც იმჟამინდელი ევროპული მწერლობის სახეს განსაზღვრავდნენ.

ამ სიახლეთა ქართულ რეალობაში გადმოტანა-დამკვიდრებისა და ეროვნულ ლიტერატურულ წიაღთან შერწყმა-შესისხლხორცების მძაფრმა სურვილმა, რაც ქართული მწერლობის ევროპეიზაციის პროცესისათვის ახალი იმპულსის მიძღვემ მძლავრ ძალად იქცა, ქუთაისის იმჟამინდელი შემოქმედებითი ცხოვრება განვითარების სრულიად ახალ სტადიაში შეიყვანა და ჩვენი ქალაქი ქართული მოდერნისტული ხელოვნების აკვნად აქცია.

ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში გამოვლენილი ამ დიდმნიშვნელოვანი შემოქმედებითი სიახლეების როლისა და მასშტაბების შეფასება იმჟამინდელი და მომდევნო პერიოდების ჩვენს მწერლობაში განვითარებულ მოვლენათა კონტექსტში ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გვაძლევს მყარ საფუძველს იმის სათქმელად, 1900-1910-იანი წლების ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება მთელი თავისი არსებობის ისტორიაში აღზევების უმაღლეს საფეხურს რომ აღწევს და ეროვნული სულიერი კულტურის განვითარებისთვის უმთავრესი მიმართულების მიძღვემ ნაკადად არის ქცეული.

სამწუხაროდ, ათიანი წლების ბოლოდან, კერძოდ კი 1918 წლიდან, ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების ისტორიაში დაღმავლობის ხანგრძლივი პერიოდის დადგომას ეძლევა დასაბამი, რაც არსებითად აღმოჩნდა განპირობებული ქუთაისიდან თბილისში ქართველ მწერალთა მასობრივი გადასახლებით (სერგო კლდიაშვილის თქმით, “დიდი გადასახლებით”).

კერძოდ, სწორედ ამ დროისათვის გადასახლდნენ ქუთაისიდან თბილისში გ. ტაბიძე, “ცისფერყანწელთა” დაჯგუფების თითქმის ყველა წარმომადგენელი, უფრო ადრე კი ჩვენი ქალაქიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სასწავლებლად წავიდნენ გ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი... გლობალური მნიშვნელობის მქონე ამ მოვლენის შემდეგ ქუთაისის სულიერი ენერჯია იმდენად შესუსტდა და დაიშრიტა, რომ მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმძლავრეს კულტურულ, ლიტერატურულ და პოლიტიკურ ცენტრად ქცეული ქუთაისი ფაქტობრივად ლოკალური მასშტაბებით შებოჭილ პროვინციულ ქალაქად გადაიქცა.

გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოს ქუთაისში უკვე სტუმრად ჩამოსულმა გალაკტიონმა ჩვენი ქალაქის ისტორიაში მომხდარი ეს სამწუხარო მოვლენა ერთ-ერთ საარქივო ჩანაწერში შემდეგნაირად აღწერა და შეაფასა: “სადგური თითქოს კიდევ უფრო დაპატარავებულა, ვინემ 15-20 წლის წინად... მოედანზე, სადგურის წინ, მგზავრებს უცდის სულ ხუთი თუ ექვსი მეეტლე დანჯღრეული ეტლებითა და გამხდარი ცხენებით. თვითონ მეეტლენი გახვეულნი არიან რაღაც ძონძებში...”

სულ სხვა იყო წინად რიცხვი და ხარისხი ეტლებისა და მეეტლეებისა. მატარებლების მოსვლის დროს სადგურიდან ტფილისის ქუჩის მოსახვევამდე თითქმის ნახევარი ვერსის მანძილზე ჩამწკრივებული იყო გაკრიალებული, სუფთა ეტლები, ლამაზი, ღონიერი ცხენებით, დაბამბული ახალთახალი მალდის ანაფორის მსგავსი ტანთსაცმიანი მეეტლეებით. კონტრასტი ასეთი უსათუოდ სიღარიბის ბრალაია...

მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს ბულვარი, მხოლოდ შიგ ეხლა არავინ დადის. ეს უზარმაზარი ბაღი სავსებით ცარიელია...

ისიღორე (იგულისხმება ი. კვიციანიძე – ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების კანტორის გამგე – ა. ნ.) შემხვდა. აღარავინ არააო ქუთაისში, – სთქვა ისიღორემ, – ინტელიგენცია გაიქცა. სულ სამი კაცი დავრჩით: მე, ივანე კილაძე და ვასო ბეჟანეიშვილი.“

მე მთელი დღე ვათვალიერებდი ქალაქს, მაგრამ არც ერთი ნაცნობი არ შემხვედრია. ეს ძლიერ ცუდია.“

რაგინდ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ათიანი წლების ბოლოს ქუთაისის ისტორიაში მომხდარი ამ სამწუხარო მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იქცა. იმის გამო, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შედეგად თბილისმა, როგორც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქმა, არა მარტო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შეიძინა უდიდესი ფუნქცია, არამედ კულტურულ-შემოქმედებითადაც, იქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ქუთაისიდანაც, აქტიურად დაიწყო ჩვენი ერის დიდი შვილების მასობრივად გადასახლების პერმანენტული პროცესი.

ამ მოვლენის შედეგად “ჭარბად გადასხმულმა ქართულმა სისხლმა“ ეროვნული გადაგვარების საშიშროების წინაშე რეალურად მდგარი დედაქალაქი არა მხოლოდ ეთნიკურად გააქართულა, არამედ ჩვენი სულიერი ცხოვრების უპირველეს და უმძლავრეს ცენტრადაც აქცია. სამწუხარო ამ შემთხვევაში მხოლოდ ის იყო, რომ, განსხვავებით თბილისისაგან, ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების ინტელექტუალურ-კულტურული ცხოვრება ნაკლებად ვითარდებოდა, რაც რეალურად ქმნიდა იმის საფუძველს, საქართველო ფაქტობრივად ერთი კულტურულ-ინტელექტუალური ცენტრის მქონე ქვეყნად რომ ქცეულიყო. ამ პროცესმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბები საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შეიძინა.

ზემოთქმულმა გარემოებამ ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაზეც მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა და მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში ეროვნული კულტურის მძლავრ ცენტრად ქცეული ჩვენი ქალაქი ახალმა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა რეალობამ ნელ-

ნელა და თანდათანობით გარიყა დიდი ლიტერატურული ცხოვრებისაგან.

ამ სამწუხარო პროცესმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბები შეიძინა საქართველოს გასაბჭოების დროიდან და ქუთაისის დიდი ლიტერატურული ტრადიციები ფაქტობრივად მხოლოდ წარსულის კუთვნილებად იქცა. ხსენებული პერიოდის ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ გაზეთ “ლომისის“ 1922 წლის მე-16 ნომერში გამოქვეყნებული ვინმე ისოს წერილიც მინდა გავიხსენო, რომელშიც ჩვენს ქალაქში ამ თვალსაზრისით იმხანად არსებული მდგომარეობა უაღრესად საინტერესოდაა დახასიათებული. პუბლიკაციის ავტორი თავიდანვე უღრმეს გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენათა შედეგად ქუთაისმა, რომელიც “თავის ბუნებრივ-ტოპოგრაფიული მდებარეობით“ ცარიზმის ხანაში მთელი საქართველოს კულტურულ ცენტრად ითვლებოდა, ძველი მიმზიდველი ელფერი იკვალა. კერძოდ, თუ ხსენებული პერიოდის ქუთაისი ინტელიგენტურ განსაზღვრულ ძალებს საქართველოს ცენტრს ტფილისსაც და მის პერიფერიებსაც აწვდიდა, ამ ბოლო დროს იგი თანდათანობით ცარიელდებოდა კულტურულათ მომზადებულ ძალებით“. პუბლიკაციის ავტორის აზრით, ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს მიზეზს ნივთიერ გაჭირვებასთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩამოქვეითება, ანდა მათი საერთოდ მოსპობა წარმოადგენდა.

ასეთ ვითარებაში პუბლიცისტი ქუთაისისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად მიიჩნევდა ჩვენს ქალაქში მწერალთა კავშირის დაარსების ფაქტს. მისი ინფორმაციით, ხსენებული კავშირი ხელისუფლების მიერ მწერლებისთვის გადაცემულ აღფონს თუმანიშვილისეულ სახლში ყოფილა განთავსებული ქალაქის ცენტრში, ბულვარის მარცხენა გვერდზე, “ყველასთვის დასამხარ და მოხდენილ“ ადგილზე.

პუბლიკაციის ავტორის თქმით, “მწერალთა კავშირის პირველმა წევრებმა“ ხელისუფლების მიერ მათთვის გადაცემულ ამ გაპარტახებულ ბინას, რომელიც “უანგარო თანამშრომელ-მოხალისეების“ დახმარებით კეთილმოაწყვეს, მწერალთა სახლი უწოდეს და “დაიწყეს რეფერატებისა და მოხსენებების კითხვა, ლიტერატურული საღამოების მართვა, რომლებსაც, მართალია, ბევრი არავინ ესწრებოდა, მარა მაინც ლიტერატურული, სამწერლო ხასიათი ჰქონდა“.

ამავე ბინაზე ცალკე გამოუყვიათ სარედაქციო-საგამომცემლო ოთახი და დაუწყიათ ჟურნალების: “უქიმერიონისა“ და “კრებულის“ გამოცემა. პუბლიკაციის ავტორი გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ხსენებულ გამოცემათა ინიციატორები ქუთაისის იქით მათ გავრცელებას ვერ ახერხებდნენ.

მწერალთა სახლში ხალხის უფრო მეტად მისაზიდად იქ კაფე-რესტორანიც გაუხსნიათ, სადაც კარგი საოჯახო სადილები კეთდებოდა, თუმცა ამ საქმის თავკაცები მის დღეებსაც დათვლილად თვლიდნენ და რესტორანს მოსპობას უპირებდნენ, რადგან ვერც მან მიიზიდა სათანადო საზოგადოება.

სამწუხაროდ, რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა გვეჩვენოს, ქუთაისში მწერალთა ხსენებული კავშირის შექმნის ფაქტს ნეგატიური შეფასება მისცა ტიციან ტაბიძემ. კერძოდ, გაზეთ “ბახტრიონის” 1922 წლის მე-19 ნომერში ვარამ გაგელის ფსევდონიმით დასტამბულ წერილში – “ხელოვნების მთავარი შტაბი” – იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ 1917 წელს თბილისში შექმნილმა ქართველ მწერალთა კავშირმა ერთიანობის შენარჩუნება ვერ შეძლო და “დღეს მწერალთა კავშირი დაარსდა აჭარისტანში (ამას თავის დროზე განიხილავს ისტორია), მწერალთა კავშირი დაარსდა ქუთაისში, რომელსაც აქვს თავისი გამოცემები და სრულიად ანგარიშს არ უწევს ტფილისს”. ხსენებული მოვლენისადმი ტ. ტაბიძის მკვეთრად ნეგატიური ეს დამოკიდებულება მით უფრო გულსატკეპია, რომ ამგვარ მოსაზრებას “ცისფერყანწელთა” ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი გამოთქვამდა, მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ბევრი სიახლის შემომტანი და დამამკვიდრებელი, იმ შემოქმედებითი მიმდინარეობის ფუძემდებელი, რომლის წარმომადგენელთა მწერლური ბიოგრაფიის პირველი წარმატებები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჩვენს ქალაქთან არის სისხლხორცეულად დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ მოვლენათა შედეგად საბჭოთა პერიოდის ქუთაისში ლიტერატურული ცხოვრება გასული საუკუნის პირველი ოცწლეულისთვის დამახასიათებელი ძალმოსილებით უკვე ვეღარ ვითარდებოდა, ჩვენს ქალაქში დარჩენილი მწერლები კვლავაც ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად ეცადათ აღრინდელი შემოქმედებითი ტრადიციების გაგრძელება.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების პოტენციალზე, გავიხსენოთ ჩვენს ქალაქში იმხანად მოღვაწე მწერლები: ნიკო ლორთქიფანიძე, დია ჩიანელი, ვიქტორ გაბესკირია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ჯაჭუ ჯორჯია, სანდრო ცირეკიძე, თეოფილე ხუსკივაძე, ლადო ასათიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, შაჰრუხ ჩარკვიანი, დომენტი თომაშვილი, სილოვან ხუნდაძე, გიორგი ჯიბლაძე, ნიკა აგიაშვილი, ბონდო კემელავა, ილია ხომტარია, პეტრე ბახტურიძე, ვანიონ დარასელი, ლადო ბზვანელი, ანაზარდი (ჭიჭიკო ნიკოლეიშვილი), მელიტონ კელენჯერიძე, სევერიან ისიანი, გიორგი სამხარაძე, სერგო ფხაკაძე, ანდრია სინაური...

როგორც მკითხველი იმდროინდელ ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა ამ არასრული ჩამონათვალითაც დარწმუნდება, დასახელებულ ავტორთა შემოქმედებითი შესაძლებლობები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მნიშვნელოვნად ჩამორჩება მხატვრული სიტყვის იმ ოსტატთა ლიტერატურულ პოტენციალს, რომლებიც გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის ქუთაისში მოღვაწეობდნენ. აქვე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ ხსენებულ მწერალთა დიდი ნაწილი ქუთაისში მხოლოდ ხანმოკლე დროით მკვიდრობდა, შემდგომ კი თბილისში გადასახლდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა მიერ შექმნილი პირველი შემოქმედებითი გაერთიანება 1916 წელს (ზოგიერთების

აზრით, 1915 წელს) დაარსებული “ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი დაჯგუფება იყო. ამ გაერთიანების შექმნის უმთავრეს საფუძველს ლიტერატურულ შეხედულებათა თანამოაზრეობა წარმოადგენდა და მასში ქუთაისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში (მათ შორის თბილისშიც) მცხოვრები ის მწერლები იყვნენ გაერთიანებულნი, რომლებიც ქართული მწერლობის “ევროპული რადიუსით გამართვის“ ყველაზე მეტად მისაღებ გზად სიმბოლიზმს მიიჩნევდნენ.

რაც შეეხება 1920-იან წლებს, ამ დროისათვის ქუთაისში მწერალთა და ხელოვანთა რამდენიმე შემოქმედებითი გაერთიანება იყო შექმნილი. როგორც ჩვენთვის ცნობილი მასალებითაც ნათლად ჩანს, ეს გაერთიანებები ფორმალურად არ არსებობდა და მათში შემავალი მწერლები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ქუთაისის მინავლული ლიტერატურული ცხოვრების გააქტიურებას. ამ გაერთიანებათა საქმიანობის ამგვარი შეფასება სიმართლეს რომ წარმოადგენს, ამის დასტურად აქ, ვფიქრობ, მათ მიერ გამოცემული პერიოდული ორგანოების გახსენებაც იქნება საკმარისი. ესენია:

1. ქუთაისის ხელოვან მწერალთა წრე, რომელმაც 1921 წლის იანვარში ერთდროული ლიტერატურული გაზეთიც გამოსცა “არმაზის“ სახელწოდებით;

2. ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირი, რომლის ეგიდითაც საქართველოს გასაბჭოების შემდგომ პერიოდში, 1921 წელს, ნიკო ლორთქიფანიძის ფაქტობრივი რედაქტორობით ლიტერატურულ “ალმანახ“ კრებულის ერთი ნომერიც დაისტამბა, 1926 წელს კი ყოველთვიური ჟურნალი “ხელოვნების მოამბე“ (გამოიცა ერთი ნომერი);

3. მხატვრული მწერლობის ქუთაისის კავშირი, რომელმაც 1922 წელს ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველთვიურ ჟურნალ “უქიმერიონის“ ექვსი ნაკვეთი გამოსცა.

4. 1922 წელს ნიკო ლორთქიფანიძის, ვასო გორგაძის, სანდრო ცირეკიძის, ჯაჭუ (კონსტანტინე) ჯორჯიკიასა და იმხანად ქუთაისში მოღვაწე სხვა მწერლების მიერ დაარსებული ქუთაისის მწერალთა კავშირი, რომელმაც ოციან წლებში რამდენიმე დასახელების პერიოდული ორგანო დასტამბა. კერძოდ: ერთდროული ლიტერატურული გაზეთი “პოეზიის დღე“ (1922 წ.), სალიტერატურო ჟურნალი “კოლხეთი“ (1923 წ. გამოვიდა ერთი ნომერი)...

5. ახალი მწერლობის კოლექტივი, რომელმაც 1926 წელს ორკვირეული ლიტერატურული ჟურნალის – “უშბის“ ექვსი ნაკვეთი გამოსცა;

6. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილება, რომელიც 1932-1934 წლებში განყოფილების ყოველთვიურ სალიტერატურო-საინფორმაციო გაზეთს – “საბჭოთა მწერალს“ სცემდა, 1934-1935 წლებში კი ათდღიურ ლიტერატურულ გაზეთს – “სიტყვა და საქმე“.

1926 წელს გამართულ ქართველ მწერალთა პირველმა ყრილობამ, რომელმაც საქართველოში იმხანად არსებული ლიტერატურული დაჯგუფებების (“აკადემიურ მწერალთა ასოციაციის“, “ცისფერყანწელების“, “პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა“ და ფუტურისტების ჯგუფის) გაერთიანებისა და ამის საფუძველზე სრულიად საქართველოს მწერალთა

კავშირის შექმნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, მწერალთა ხსენებულ კავშირის ქუთაისის განყოფილება ც დააფუძნა, რომლის პირველ თავმჯდომარედ დია ჩიანელი იქნა არჩეულ.

ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება, მიუხედავად ამ კავშირის არაერთგზისი რეორგანიზაციისა და საბჭოთა პერიოდში ხელისუფლების მიერ მასზე მუდმივად განხორციელებული მკაცრი იდეოლოგიური კონტროლისა, დღემდე განაგრძობს უწყვეტად არსებობას და შეძლებისდაგვარად ცდილობს ხელი შეუწყოს ჩვენს ქალაქში ლიტერატურულ-მემოქმედებითი ცხოვრების განვითარებას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში ყველაზე მეტ აქტიურობას პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები იჩენდნენ, რომელნიც თავიანთი მემოქმედებითი საქმიანობის უმთავრეს მიზნად იმჟამინდელი ხელისუფლების იდეოლოგიური პოლიტიკის პროპაგანდას ისახავდნენ. ამ გარემოების გამო ისინი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმჟამინდელ ქართულ მწერლობაზე მათი დიქტატორული ძალაუფლების დასამყარებლად. ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ქუთაისში ყველაზე მეტი ლიტერატურული გამოცემა სწორედ პროლეტარულ მწერლებს ჰქონდათ. ესენია: 1923 წელს ქუთაისში კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ბენიტო ბუაჩიძის, დავით რონდელისა და გიორგი მდივნის მიერ შექმნილი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ჟურნალი “დინამიტი” (1924 წელს გამოვიდა ერთი ნომერი), პროლეტარულ მწერალთა ახალი ფრონტის ჟურნალი “ოქტომბრის ზვირთი” (1925 წელს გამოიცა ერთი ნომერი), საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი “რიონი” (1926 წელს გამოვიდა ერთი ნომერი), ყოველთვიური სალიტერატურო, სამხატვრო და სამეცნიერო ჟურნალი “გრდემლი” (1927-1928 წლები; გამოვიდა სულ ოთხი ნომერი), საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ჟურნალი “პროლეტარული მწერლობა” (1928 წელს გამოვიდა ერთი ნომერი), საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი “წითელი აფრა” (1928-1930 წლები. ჟურნალ “პროლეტარული მწერლობის” გაგრძელება. სულ გამოვიდა სამი ნომერი), საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ჟურნალი “ლიტერატურულ ფრონტზე” (1931 წელს გამოიცა ოთხი ნაკვეთი).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებულ პერიოდულ გამოცემათა უდიდესი ნაწილი იმჟამინდელი ხელისუფლების იდეოლოგიურ კონტროლს მკაცრად დაქვემდებარებულ გამოცემებს წარმოადგენდა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ხსენებული ჟურნალ-გაზეთების უმეტესობა არასტაბილურად გამოდიოდა და ბევრი მათგანის მხოლოდ თითო-ორჯერა ნომერია გამოცემული.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან პერიოდული ორგანოების

არარსებობით გაჩენილი ვაკუუმის შევსებას ხელისუფლება სხვადასხვა სახის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით დასტამბული ერთდროული გაზეთების მეშვეობით ცდილობდა. კერძოდ, 1930 წელს გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილებისა და მეხუთე ქართული მსროლელი ლეგიონის ერთობლივი გაზეთი “ლიტერატურული ფრონტი”; 1931 წელს, საქართველოს გასაბჭოების ათი წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთები: “ათი წელი” და “მწერლობის დამკვრელი”, 1932 წელს – “ჩვენი მწერლობა”, 1940 წელს, ა. წერეთლის დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით, – “აკაკი”, 1961 წელს – “ვაჟა” (დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად), 1966 წელს, შოთა რუსთაველის დაბადებიდან რვაასი წლისთავის საიუბილეოდ, – “რუსთაველი”, 1967 წელს – ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისადმი მიძღვნილი გაზეთი “50 წელი,” 1968 წელს – “ბარათაშვილი” (მიეძღვნა მწერლის დაბადებიდან 150 წლისთავს), 1971 წელს – საქართველოს გასაბჭოების 50 წლისთავისადმი, ხოლო 1972 წელს სსრკ ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ერთდროული გაზეთები, 1973 წელს – “გალაქტიონი“. გარდა დასახელებული გაზეთებისა, 1969, 1970 და 1971 წლებში ასევე გამოვიდა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ერთდროული გამოცემები სახელწოდებით “ლიტერატურული ქუთაისი“.

ქუთაისში გამომავალ ლიტერატურულ პერიოდიკაზე საუბრის დროს აქ კიდევ ერთი გამოცემაც უნდა გავიხსენოთ – ალმანახი “რიონი“. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ ალმანახის პირველი ნომერი 1926 წელს გამოვიდა და მისი გამოცემა მხოლოდ 31 წლის შემდეგ, 1957 წელს, განახლდა. სამწუხაროდ, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ყოველწლიურ ლიტერატურულ გამოცემად ჩაფიქრებული ეს პერიოდული ორგანო ამ დროიდან მოყოლებული მხოლოდ რვაჯერ დაისტამბა – 1957, 1958, 1959, 1961, 1963, 1965, 1966 და 1968 წლებში, შემდეგ კი არსებობა შეწყვიტა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ 1975 წლამდე ქუთაისში ლიტერატურული ხასიათის სხვა პერიოდული ორგანო აღარ გამოცემულა და აქ მცხოვრები მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში თუ გამოაქვეყნებდნენ ძალზე იშვიათად, დიდ წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად. ამ საქმეში მათ გაცილებით მეტ თანადგომას ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური ბეჭდური ორგანო — გაზეთი “ქუთაისი“ (სხვადასხვა დროს გამოდიოდა “სტალინელის“ სახელითაც) უწევდათ, რომლის ფურცლებზეც მათი მხატვრული ნაწარმოებებიც (უპირატესწილად იდეოლოგიური ხასიათისა) ისტამბებოდა დროდადრო.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჩვენს ქალაქში ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით არსებული არასასურველი ვითარების სასიკეთოდ შეცვლის პროცესის დაწყებას საფუძველი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ეყრება, რაც სამოღვაწეო ასპარეზზე მწერალთა ახალი ნიჭიერი თაობის გამოსვლასთან ერთად ქუთაისისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის

მქონე ორმა მოვლენამაც განსაზღვრა არსებითად – გამომცემლობა “საბჭოთა საქართველოს” ქუთაისის ფილიალისა (1973 წ.) და სოლიდური ლიტერატურული ჟურნალის (პირველ ეტაპზე – ალმანახის) – “განთიადის” (1975 წ.) დაარსებამ.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გამომცემლობის მიერ წლიურად გამოსაცემი წიგნების ოდენობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მინიმალურად მცირე იყო (მხოლოდ 40 საავტორო თაბახი), ამ შეზღუდული ლიმიტის პირობებშიც კი მან მაინც წარმატებით შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და ქუთაისში მოღვაწე მწერლები თავიანთი წიგნების გამოცემით პირველად სწორედ აღნიშნულმა გამომცემლობამ გამოიყვანა დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე.

იგივე უნდა ითქვას “განთიადზეც“, რომლის პირველმა რედაქტორმა გურამ ფანჯიკიძემ იმთავითვე სწორად განსაზღვრა ამ პერიოდული ლიტერატურული გამოცემის მაგისტრალური მიმართულება, როცა იგი მარტო ქუთაისური მასშტაბებით შემოსაზღვრულ ჟურნალად კი არ აქცია, არამედ – მთელი ქართული მწერლობის დიდ ტრიბუნად. აქაურ ავტორებს მასში რაიმეს დაბეჭდვის დროს არავითარ შეღავათს არ აძლევდათ ის ფაქტი, რომ ისინი ქუთაისელები იყვნენ.

ხანგრძლივი დროის შემდეგ ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში მომხდარმა ზემოთქმულმა მოვლენებმა წარმატებით მოუშადადეს საფუძველი ჩვენს ქალაქში ათწლეულობით მიმცხრალ-მინავლული ტრადიციების გამოცოცხლებისა და აღმავლობის პროცესის დაწყებას. ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პერიფერიებში მცხოვრები ავტორების შემოქმედება, ადრინდელისაგან განსხვავებით, მათი თბილისელი კოლეგების ინტერესის საგანიც გახდა.

70-იან წლებში დაწყებულმა ლიტერატურული აღმავლობის პროცესმა ახალი შემოქმედებითი ენერჯია 80-90-იან წლებშიც შეიძინა სამწერლო ასპარეზზე ახალი თაობის ნიჭიერ წარმომადგენელთა გამოსვლით. მიუხედავად იმ რთული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვლენებისა, რითაც იმ პერიოდისა და მომდევნო ხანის ჩვენი ყოველდღიური ყოფითი სინამდვილე ხასიათდება, ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება მაინც აშკარად სასიკეთო ცვლილებებს განიცდის, წინ მიდის და ვითარდება. მართალია, დღევანდელი ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მწერლობისადმი ადრინდელ ინტერესს უკვე ნაკლებად გამოხატავს და მწერალი ბევრი ძნელად გადასალახავი სირთულის წინაშე აღმოჩნდა დამდგარი, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ლიტერატურული აზროვნება მაინც ვითარდება და თვისებრივი განახლების სულ სხვა სტადიაში შედის.

საბჭოთა პერიოდის ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი საგამომცემლო და ცენზურულ-იდეოლოგიური შეზღუდვების მოშლამ შესაძლებელი გახადა ახალ-ახალი პერიოდული გამოცემებისა და გამომცემლობების დაარსება. მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, ქვეყანაში დამკვიდრებულმა ახალმა ყოფითმა რეალობამ ბევრ ნიჭიერ მწერალს მაინც მისცა იმის შესაძლებლობა, თავისი ნაწარმოებები მზის სინათლეზე რომ გამოეტანა. მართალია, ამ გამოცემებისადმი ფართო მკითხველი საზოგადოება

დღესდღეობით გაცილებით ნაკლებ დაინტერესებას იჩენს, ვიდრე ამას ადრე ჰქონდა ადგილი, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ეს კი არაა, არამედ ის ფაქტი, რომ ჩვენს ლიტერატურას ბოლო წლებშიც შეემატა მხატვრულად ფასეული არაერთი საინტერესო ნაწარმოები. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზემოთქმული თვალსაზრისით არც ქუთაისი გამოდგა გამონაკლისი.

ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობის პროცესისთვის ხელშემწყობ ფაქტორად იქცა ისიც, რომ ქვეყანაში ბოლო ხანს განვითარებულ ზემოთ მოხსენიებულ მოვლენათა შედეგად ქუთაისში მცხოვრები მწერლები, ისევე როგორც სულიერი (და არა მარტო სულიერი) კულტურის სხვა დარგების წარმომადგენლები, აქტიურად ცდილობენ თავი დააღწიონ სტერეოტიპებსა და თავისუფალი აზროვნების შემზღვეველ ჩაკეტილ სივრცეებს და თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობები უფრო ენერგიულად მოსინჯონ როგორც ჩვენი ქვეყნის ასპარეზზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

მხატვრულ-შემოქმედებითი სიახლეების დამკვიდრებისაკენ სწრაფვის იმ ტენდენციებს, რომელთაც ბოლო პერიოდის ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა შემოქმედებაში იჩინეს თავი განსაკუთრებული ძალით, მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი წიგნის გამოცემის საქმეში საბჭოთა პერიოდში არსებული ლამის გადაულახავი ბარიერების მოშლამ. ჟურნალ “განთიადთან” ერთად, ლიტერატურული პროცესის გააქტიურებას გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სხვადასხვა პერიოდულობით გამომავალმა ახალმა გამოცემებმაც ნიშნელოვანწილად შეუწყვეს ხელი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობ, დაბეჯითებით და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე კიდევ ერთხელ შეიძლება გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ დღევანდელი ქუთაისის მწერლური ცხოვრება თვისებრივი განახლების ახალ სტადიაში შედის და მძლავრ შემოქმედებით ნაკადად შეერთვის თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის დიდ მდინარეს.

AVTANDIL NIKOLEISHVILI**FROM THE HISTORY OF KUTAISI LITERARY LIFE**

Despite the important role which Kutaisi and generally whole west Georgia used to have in our history in terms of politics, culture, and education, the level of literary life in this region were quite low until the second half of the XIX century. This condition significantly changes from the 60s of the XIX century. From this time literary life of Kutaisi acquires so huge scopes that the professional achievements of local writers define the essence of the most important tendencies of the development of Georgian literature during the given periods.

The first writer who gave the fundament of this important occasion is Akaki Tsereteli. The new developmental stage of Kutaisi writers was connected to the creative activity of those authors who emerged in the literary arena from the 70-90s of the XIX century. That's how Kutaisi approached the most important period of its literary life - the years of 1900-1910. At that period Kutaisi became the main center of the Georgian literature.

Unfortunately, the end of 1910 is the starting point of the long descending period in the history of Kutaisi literary life. This undesirable situation starts to change for the better from the 70s of the last century which together with emerging the new generation of the writers on the was significantly defined by the two occasions: the foundation of Kutaisi branch of the publication "Soviet Georgia" (1973) and the journal "Gantiadi" (1975).

The literary life of present-day Kutaisi is going through a new stage of ascension and adds as a strong creative wave to the large river of the modern Georgian literary process.

ოთარ ნიკოლეიშვილი

ერთი ზრანბული წყარო ქუთაისის შესახებ

ქუთაისის ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ადგილი ეჭირა საქართველოს ისტორიაში. სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ არაერთ გამოჩენილ უცხოელს უმოგზაურია ჩვენს ქალაქში და ძალზე ფასეული ჩანაწერებიც დაუტოვებია აქ მიღებულ შთაბეჭდილებებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი ცნობილი პიროვნება იყო ფრანგი დიპლომატი, ორიენტალისტი, სამოგზაურო ჟანრის ნაშრომთა ავტორი, ფილანტროპისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი გრაფი მარი-ეუჟენ მელქიორ დე ვოგი (1848-1910). იგი 1875-1882 წლებში სანკტ-პეტერბურგში მსახურობდა საფრანგეთის საელჩოს მდივნად. აღნიშნულ პერიოდში მან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში, მათ შორის კავკასიისა და ჩვენს ქვეყანაშიც, იმოგზაურა.

დიპლომატიური კარიერის დასრულების შემდეგ, 1888 წელს, მარი-ეუჟენ მელქიორ დე ვოგი საფრანგეთის აკადემიის წევრი გახდა. თავის კალამს სამოგზაურო ჟანრის ბევრი ნაშრომი ეკუთვნის, რომლებშიც მის მოგზაურობასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებებია გადმოცემული. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს “კავკასიაში“. ეს არის პირველი ნაწილი წიგნისა “მეფე და მისი ხალხი, ანუ სოციალური ცხოვრება რუსეთში“, რომელიც 1891 წელს გამოიცა ნიუ-იორკში. ხსენებული წიგნისადმი ქართველი მკითხველის ინტერესს არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასში ბევრი საინტერესო ინფორმაციაა მოცემული XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის, კულტურის, ტრადიციებისა და მოსახლეობის სოციალური ყოფის შესახებ.

კავკასიაში ექვსი კვირის განმავლობაში ყოფნის პერიოდში მარი-ეუჟენ მელქიორ დე ვოგს ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქი და კუთხე მოუწახლულებია; მათ შორის, თბილისი, საქართველოს მთიანეთი, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონები და სხვა. წინამდებარე ნაშრომში ამჯერად ყურადღება გვინდა ხსენებული წიგნის იმ მონაკვეთზე გავამახვილოთ, რომელიც ქუთაისს ეხება. როგორც ხსენებული ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, ქუთაისს ფრანგ დიპლომატზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და აქაურების მიმართ ისეთი პატივისცემითა და სიყვარულით განმსჭვალულა, რომ ყველაფერ ამას მეტად აღმატებული ეპითეტებით იხსენიებს. მაგალითად:

“სხვა სამყარო – ამქვეყნიური სამოთხე! მე ჩამოვედი ქუთაისში და ავუყევი რიონის, უძველესი ფაზისის, ნაპირს; ნაპირს იმ მდინარისას, რომელშიც ცხვრის ტყავს დებდნენ ოქროს მისაღებად... ქუთაისი იმერეთის სამეფოს დედაქალაქი გახლდათ. იგი ამჟამად, თავისი დატვირთვით,

ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, კავკასიაში კი ყველაზე თვალწარმტაც ქალაქს წარმოადგენს...

ყვავილნარის ფონზე ადამიანები ღმერთებს და ქალღმერთებს გვანან. აქ მათ შენარჩუნებული აქვთ ყველა ის სრულყოფილება და კეთილშობილება, რასაც სხვაგან ვეღარ ნახავთ. სილამაზე აქ გამონაკლისს არ წარმოადგენს, არამედ ჩვეულებრივ ნორმას. უბრალო ქვის მუშაც კი იუპიტერის ჩამომავალ უძველეს პრინცს მოგაგონებთ... ქართველთაგან უმეტესობას ქერა თმები, ლურჯი თვალები, არწივისებური ცხვირი და სწორი შუბლი აქვს. სიტყვები ვერ აღწერს მათი სილამაზის ცეცხლსა და ღირსების გრძობას, თუნდაც ძონძებში იყვნენ გახვეულნი. კვირაობით ქუთაისის სახალხო ბაღში ლამაზად ჩაცმული საზოგადოება იყრის თავს, რომლებიც მოძრავი ქანდაკებებით მიმოდიან და რომელთა ყურებითაც არასოდეს დავიღლები“ (მ. ვოგი, 1891: 130-131).

აღსანიშნავია, რომ ქუთაისისადმი მარი-ეუჟენ მელქიორ დე ვოგის ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ ქალაქში იმუქამად არსებული სიტუაციით არ იყო განპირობებული და ფრანგი დიპლომატი მის უდიდეს ისტორიულ წარსულზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფრანგი მოგზაურის ვიზიტის დროს ბაგრატიის ტაძრისგან შემორჩენილი ნანგრევებიც კი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მის ნახვას მასში ისეთივე აღფრთოვანება გამოუწვევია, როგორც გელათის მონასტრისას. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, მოვიყვან შესაბამის ადგილს წიგნიდან:

“როგორ შეგვიძლია ჩვენ ამ ქვეყნის მაღალ ინტელექტუალურ და კულტურულ წარსულში შევიტანოთ ეჭვი, როდესაც ვუყურებთ ნანგრევებს დიდებული კათედრალისა, რომელიც მეცხრე საუკუნეში იქნა აგებული? ეს ძეგლი შეგვიძლია ქრისტიანული დასავლეთის ნებისმიერ სალოცავს შევადაროთ...”

მე ასევე მოვინახულე გელათის მონასტერი, რომელიც ოცდახუთი ვერსითაა დაცილებული ქუთაისს. იგი მთელი ქვეყნისთვის სათაყვანებელი ძეგლია, რომელთანაც ბევრი რამ არის დაკავშირებული. გელათი მეთორმეტე საუკუნეში იქნა აგებული დავით მეფის მიერ და ბევრ რამეს ინახავს საქართველოს ისტორიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანს, მათ შორის ფრესკებს... როგორც ამბობენ, მათზე გამოსახული თამარ დედოფლის, დავით აღმაშენებლისა და მეფეთ-მეფე ბაგრატის სახეები ავთენტური უნდა იყოს“ (მ. ვოგი, 1891: 136, 138).

მიუხედავად ფრანგი დიპლომატის მიერ ცალკეულ შემთხვევებში დაშვებული უზუსტობებისა, არ შეგვიძლია, თუ ვიტყვით, რომ ავტორის მიერ გაკეთებულ ამ და ანალოგიურ შეფასებებში გადაჭარბებული და მცდარი არაფერია. ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ საქართველოს სხვა ქალაქებსა და კუთხეებზე საუბრის დროს ავტორი არც ნაკლოვანებებზე ხუჭავს თვალს და ხაზგასმით მიუთითებს მათზე. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ წიგნის იმ ეპიზოდს, რომელშიც თბილისსა და იქ არსებულ სიტუაციაზეა საუბარი:

“თბილისში მცხოვრები ასი ათასი მოსახლიდან ქართველი ოცდაორ,

ხოლო სომეხი ოცდაჩვიდმეტ პროცენტს შეადგენს. ქალაქში ქართველები უმცირესობას წარმოადგენენ და ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობას ეწევიან, რადგან ვაჭრობაში გაუწავდები არიან... თითქმის ყველა წარმოჩენილი ადამიანი ქვეყანაში ქართველია. ისინი ძალიან ამაყოფენ თავიანთი სისხლით. ამიტომ ყველა ქართველი, მათ შორის ისინიც, ვისი ყოფითი მდგომარეობაც ძალზე დაბალია, ხშირად თავადის ტიტულს ატარებს... მიუხედავად იმისა, რომ ეს არისტოკრატია რუსულ არმიაში მსახურობს, მაინც სულ იმაზე საუბრობს, თუ როგორ შეიცვალა წარსული დიდება, როდესაც ისინი იყვნენ ქვეყნის ბატონ-პატრონები და ცდილობენ შეინარჩუნონ უსაქმურობისა და ფუფუნების ძველი ტრადიციები, მაგრამ ჩვენს რეინის ეპოქაში ეს ძალზე ძნელია...

ქართული არისტოკრატისგან განსხვავებით, სომეხები ძალიან გონებაგამჭრიახები არიან ყველანაირ ბიზნესში და შეადგენენ, რასაც ჩვენ ვეძახით, საშუალო კლასს; როგორც ანდაზა ამბობს, ერთი სომეხი ორ ებრაელს უდრის... თბილისში მათ ნებისმიერი პროფესიისას ნახავთ – მაღაზიის გამყიდველიდან დაწყებული, ბანკის დირექტორით დამთავრებული. კაპიტალი მათ ხელშია კონცენტრირებული“ (მ. ვოგი, 1891; 116-120).

საბოლოოდ, დასკვნის სახით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მარი-ეუჟენ მელქიორ დე ვოგის ზემოთ ნახსენები ნაშრომი, მასში არსებული მცირე უზუსტობათა მიუხედავად, ნამდვილად წარმოადგენს მკვლევართათვის უთუოდ საინტერესო წერილობით წყაროს ქუთაისისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

damowmebuli literatura

Vogüé M-E-M, 1891 _ Vogüé M-E-M, *The Tsar and his People: or, Social Life in Russia*, New York, 1891.

R. Wilbraham, 1839 _ R. Wilbraham, *Travels in the Trans-Caucasian Provinces of Russia, and along the southern shore of the lakes of Van and Urumiah, in the autumn and winter of 1837*, London, 1839.

OTAR NIKOLEISHVILI**ONE FRENCH SOURCE ABOUT KUTAISI**

Among the many famous foreign travelers visited Kutaisi and the whole Georgia in the XIX century, we should undoubtedly mention French diplomat, orientalist, travel writer, archaeologist, philanthropist and literary critic Vicomte Marie-Eugène-Melchior de Vogüé (1848-1910). In 1875-1882 he worked as a secretary at the French embassy in Saint Petersburg. During this period, he traveled around the Russian Empire, including our country. In 1882 Marie-Eugène-Melchior de Vogüé quit his diplomatic career. After that in 1888, he became a member of French Academy. He had many books and works about his traveling impressions and experiences. One of the most important works of Marie-Eugène-Melchior de Vogüé is "Through the Caucasus". It is one of the parts of the book called "The Tsar and his People: or, Social Life in Russia", which was published in 1891 in New York. Our interest in this book mainly was evoked by the fact that it contains much interesting information about Georgian history, culture, traditions and social life of the population in the second half of the XIX century.

Conclusively, it will not be an exaggeration if we say that Marie-Eugène-Melchior de Vogüé's above-mentioned work, despite certain inaccuracies, should be considered as a significant material for researchers studying the events of Tbilisi and Georgia generally of that period.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ბაგრატიის ტაძრის სამშენებლო წარწერების ენობრივ-კალენდრული თავისებურებანი

როგორც წყაროებში აღნიშნულია, ქალაქი ქუთაისი ლეგენდარული ისტორიით გამოირჩევა. ლევან (ლეონ) მეფემ საქართველოს დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოიტანა, მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი ლეონის გამეფებამდე იყო. მეშვიდე საუკუნის 20-იანი წლებიდან ქუთაისი დედაქალაქია ციხეგოჯთან ერთად, ხოლო შემდგომ, მერვე საუკუნის დასასრულიდან – ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქი.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს თავის შრომაში: “რიონის გაღმა-გამოღმა ადგილი, რომელიც აღაშენა მეფემან ლევან და ჰყო ტახტი, არს ციხე, და ციხიდან ხიდი რიონსა ზედა (ვახუშტი, 1987: 158).

ასეთი აღწევების ჟამს საჭირო იყო სიმბოლური ძეგლი, რომელიც შეიქმნა კიდევ აღნიშნულ ეპოქაში და ეს არის ბაგრატის ტაძარი, რომელიც ერთი გამორჩეული ხუროთმოძღვრული ძეგლია.

ბაგრატის ტაძრის წარწერები და ქუთაისის შემოგარენის ეპიგრაფიკა ერთი ნათელი ფურცელია ამ ეპოქის დახასიათებისათვის. იგი საერთო ქართულის მძლავრ ნაკადშია ჩართული, რომელიც ძირითადად არქაიზმებით არის გამორჩეული. ამ ეპოქის ძეგლების ენა ძველისა და ახალი ქართულის ნარევის წარმოადგენს და ნაკლებად შესწავლილი უბანია. მართალია, დღეს მოგვეპოვება მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მაგრამ საკვლევი და საძიებო კვლავ ბევრია.

მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში შექმნილი წარწერები, ხელნაწერები, საისტორიო დოკუმენტები სხვადასხვა სტრუქტურით გამოირჩევა. ამ ეპოქაშია შექმნილი ბაგრატის ტაძარი, რომლის ასომთავრული წარწერები ძველი და ახალი ფორმების შერევა-შერწყმის ნათელი მაგალითია. ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია ახალი ლექსიკური ფორმების დანერგვა, რაც ნათლად ჩანს ზემოხსენებულ წარწერებში. ამ დროისათვის არის დაწყებული ორთოგრაფიული ტრადიციის რღვევა, რაც დამახასიათებელია საერთოქართული ენისათვის. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული ასო-ბგერები დიდხანს შემორჩა ქართულ ორთოგრაფიას. ასეა ბაგრატის ტაძრის წარწერებშიც.

ბაგრატის ტაძარზე გამოქვეყნებულია რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის: ვ. ცინცაძე, ბაგრატის ტაძარი, 1964; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, 1997, სადაც ბაგრატის ტაძრის წარწერებია მოყვანილი. აღსანიშნავია ცნობილი პალეოგრაფის ვალერი სილოგავას ნაშრომი: “ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან“, რომელიც ეხება ეპიგრაფიკული მასალის

მოპოვების ისტორიას, არქეოლოგიური გათხრების შედეგებს. ნაშრომი დაბეჭდილია ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბეში, №4, 1995 წელი.

ბაგრატის ტაძრის წარწერების ენობრივი საკითხების შესწავლა-შედარება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს არა მარტო ენათმეცნიერული თვალსაზრისით. წარწერების ძველი და ახალი ფორმების შერწყმით გზას იკაფავს საერთო ეროვნული ენის ელემენტები, რაც ჩანს როგორც ფორმებში, ლექსიკაში, ისე ორთოგრაფიაში.

ამ დროიდან და შემდგომ დაიწყო ორთოგრაფიის ტრადიციის რღვევა. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული ასო-ბგერები ტრადიციით დიდხანს შემორჩნენ როგორც საერთო სალიტერატურო ქართულს, ისე დიალექტებს.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, ბაგრატის ტაძრის კედლებზე მოთავსებული წარწერებიდან სამი – სამშენებლო, იატაკის დაგების თარიღის აღმნიშვნელი და ბაგრატ მესამის მემორიალური წარწერა, – ქართული ეპიგრაფიკის კლასიკურ ძეგლებს განეკუთვნება (ვ. სილოგავა, 1995: 55).

სამშენებლო წარწერა: “შეწენითა ღმრთისადთა ბაგრატისაგან – ნებითა ღმრთისადთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კუროპალატისა და დედისა მათისა გურანდუხტ დედოფლისა აღეშენა წმიდაჲ ესე საყდარი ელითა...”

აღნიშნულ წარწერაში გვხვდება დამავალი difTongi: ღმრთისადთა, წმიდაჲ. ასეთი ფონეტიკური მოვლენა კი ძველი ქართულისათვისაა დამახასიათებელი. დამავალ დიფთონგს ქმნის *ჲ* (იოტი) ხმოვნებთან ერთად. მოცემულ მაგალითებში პირველი ნაწილი სრული ხმოვანია და მარცვალს ქმნის, მეორე კი (*ჲ*) ამ უნარს მოკლებულია.

წარწერაში *jarისა* და *xanის* დაპირისპირება ჩანს, პირველი მათგანი გვხვდება სიტყვის დასაწყისში: ელითა. შემდეგ წარწერა ნაკლულია.

წარწერებში რელიეფურად არის წარმოდგენილი *umarcvlo u*, რომელსაც ანბანში საკუთარი ნიშანი არ ჰქონდა და იწერებოდა როგორც *u*. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, უმარცვლო უ *ვ*-ს სახით არის წარმოდგენილი (რ. სალინაძე, 2008: 34). აღნიშნული ბგერა აშკარად წარმოდგენილია ბაგრატ მეფის სიგელში “ოპიზარ და მიჯნაძორელ მამებისადმი”: “მოვიდეს ჩუენ წინაშე ქუთათის სახლისა სამკუიდრებელისა ჩუენისა ესე მამანი მიჯნაძორელნი და მამანი ოპიზარნი... და ჩუენ ესე მათი შფოთი გუიმძიმა რავდენ იგი წმინდანი უდაბნონი მშუიდობისა და დაწყნარებისა და ჩუენ მეფეთა ლოცვისათვის აშენებულნი არიან და გულსა მიდგინა ღმერთმან და მადლმან მათ წმინდათამან და ელვყავ...” (ზ. სარჯველაძე, 1997: 371). უმარცვლო უ არ დასტურდება სიტყვის თავში და ძირითადად გვხვდება თანხმოვნის შემდეგ პოზიციაში, მაგ.: ჩუენისა, მკუიდრებელსა და სხვა.

მეორე წარწერა: “ქ. მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კუროპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე თანა: მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამენ”.

– ეი, იგივე “ე მერვე“ გვხვდება, როცა მოსალოდნელია ე-მ ჯგუფი. იგი ჩვეულებრივ გამოიყენება ე-ზე გათავებული ფუძეების სახელობითში. როგორც აკ. შანიძე შენიშნავს, საშუალო ქართულში მეთერთმეტე საუკუნიდან ნუსხურად ნაწერ წიგნებში ხშირად ე ნიშნის ადგილას არის ნახმარი, განსაკუთრებით უნის შემდეგ, მაგალითად, ჩუ ნ (აკ. შანიძე, 1975: 11).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება ქარაგმის შემთხვევები, რომელიც აღნიშნულია კლაკნილი (-) ან სწორი (—) პორიზონტალური ხაზით (რომელსაც “პატივსაც“ უწოდებენ). ძირითადად საკუთარ და ბიბლიურ სახელებს დაესმით. ზემოხსენებულ წარწერაში რამდენჯერმე გვხვდება **სოფ-ვათაო**, ნიშნავს: სუფევათაო; **მ-ით**, ნიშნავს: მათით.

წარწერებში რამდენიმე ადგილას გვხვდება სიტყვები გავრცობილი ფორმით: “მეფისა და კუროპალატისა, დედისა მათისა გურანდუხტ დედოფლისა“...

ამასთან დაკავშირებით აკ. შანიძე წერს: “ემფატიკური ა მსაზღვრელი ნაწილაკია, ამდენად, იგი ფუნქციით ევროპულ ენებში ხმარებულ განმსაზღვრელი ნაწევრის საბადლოა (აკ. შანიძე, 1942: 24).

ქ. ძოწენიძის აზრით, “ემფატიკური ა დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს. მაშინაც კი, როცა ემფატიკური ხმოვანი არ გვხვდება, ძველი ქართულის მოქმედ წესთან გვაქვს საქმე და არა ამა თუ იმ ძეგლის თავისებურებასთან“ (ქ. ძოწენიძე, 1956: 218).

წარწერებში გვხვდება როგორც ძველი, ისე გამარტივებული ზმნისწინები, რომლებიც ორიენტაციას გამოხატავენ.

ახალქართულისებური: შეიწყალე, ადიდე...

ძველი სახით: აღეშენა, განმტკიცნა...

სხვა წარწერებიდან აღსანიშნავია 1984 წელს და შემდგომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც დაკავშირებულია ბაგრატის ტაძართან, ნაწილი კი – უქიმერიონზე აღმოჩენილ სხვა ძეგლებთან.

ეპიგრაფიკულ ძეგლში, რომელიც ასომთავრულით არის შესრულებული, ასე იკითხება: “ქრისტე ადიდე მეფე გიორგი“, ხოლო ორ დანარჩენ ფრაგმენტზე: “ქრისტე ადიდე“, რომლის გაგრძელებას არ მოუღწევია ჩვენამდე, რასაც გულისტკივილით აღნიშნავს ვ. სილოგავა.

სხვა ასომთავრული წარწერებიდან აღსანიშნავია 1989 წელს ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთით, ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ერთ სტრიქონად ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა: “წმიდაჲ, ეკატერინა, წმიდაჲ, ბარბარა, წმიდაჲ, მარინა“. აქაც გვაქვს დამავალი დიფთონგები, რომელიც იმ დროისათვის ნორმა იყო. მსგავსი ფაქტები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ასომთავრულ წარწერებშიც.

ბაგრატის ტაძრის წარწერები შესრულებულია კიდურწაისრული ასომთავრული გრაფიკით, რომელიც ასეთი დამწერლობის ერთ-ერთი დეკორატიული სახეა.

ქარაგმის ხაზებში ისრის მოყვანილობის პატარა წაწვეტებული სამკუთხედებია დასმული. ასეთი ხაზებით დამშვენებულია სხვა ძეგლებიც, მაგალითად, თიღვის ტაძრის წარწერები.

წარწერებში გვხვდება კვადრატული ფრჩხილები, რაც აზრის სიცხადისა და დაზუსტების მიზნით არის შესრულებული.

ბაგრატის ტაძრის წარწერები ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ქართული კულტურისა, რომელმაც ახალი მიმართულება მისცა სამწერლობო ენის განვითარებას.

damowmebuli literatura

z. sarjvelaZe, 1997 – z. sarjvelaZe, Zveli qarTuli ena, Tb., 1997.

r. saRinaZe, 2008 – r. saRinaZe, Zveli qarTuli ena (V-XI saukuneebi), Tb., 2008.

v. silogava, 1995 – v. silogava, epigrafikuli masala bagratis taZridan da misi midamoebis argeologiuri gaTxrebidan: quTaisis universitetis moambe, #4, 1995.

ak. SaniZe, 1942 – ak. SaniZe, qarTuli gramatikis safuZvlebi, Tb., 1942.

ak. SaniZe, 1975 – ak. SaniZe, Zveli qarTuli ena (mokle mimoxilva), Tb., 1975.

q. ZoweniZe, 1956 – q. ZoweniZe, emfatikuri xmovani Zvel qarTulSi: saxelis brunebis istoriisaTvis qarTvelur enebSi, Tb., 1956.

NIKOLAZ OTINASHVILI

**LINGUISTIC-PALEOGRAPHIC PECULIARITIES
OF BAGRATI CATHEDRAL INSCRIPTIONS**

From the 20th of the 7th century, Kutaisi is the capital together with Tsikhe-Goji, from the 8th century it's the capital of Egris-Abkhazeti. Bagrati Cathedral was built in this uprisal period, which is a distinguished monument worldwide. Bagrati cathedral inscriptions and epigraphic of Kutaisi surroundings in one of the clear pictures for describing that epoche, it is generally made with old Georgian graphics, as for the language it's a mix of old and middle period Georgian (Asomtavruli and Nuskhuri).

Inscriptions, manuscripts, historical documents of X-XI have different structures. A close relationship with colloquial speech leads to establishing new lexical forms, which is vividly shown in the inscriptions of Bagrati Cathedral and its surroundings. The decomposition of Georgian orthographic tradition starts from this time, which is characteristic of the common Georgian language. Despite this, old Georgian letters retained in Georgian orthography for a long time. The same refers to the Bagrati Cathedral inscriptions. Three from the inscriptions of Bagrati Cathedral - building, denoting the date of the floor, and memorial inscription of Bagrat III belonged to the classical strength of Georgian epigraphics.

Inscriptions of Bagrati Cathedral gave new directions of the writing language development.

რუსუდან სალინაძე

საქართველოს სახელმწიფო ენა და საზოგადოება

(მასალა XX საუკუნის 90-იანი წლების

ქუთაისის სინამდვილიდან)

საქართველოს სახელმწიფო ენისადმი ქუთაისის საზოგადოების დამოკიდებულება ყოველთვის განსაკუთრებული იყო. ქალაქმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში არა მხოლოდ მაშინ, როცა ის საქართველოს დედაქალაქი იყო, არამედ შემდგომ საუკუნეებშიც. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, 1899-1900 წლებში, სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხების პრობლემებზე მუშაობის მიზნით პირველად სწორედ აქ შეიქმნა საგანგებო წრე. ასეთი წრე შემდგომ ჩამოყალიბდა თბილისშიც. XX საუკუნის დასაწყისში, როცა არ არსებობდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ოფიციალური ორგანო, მწერლები, ცალკეული პიროვნებები ცდილობდნენ ენის სიწმინდის დაცვას, გარკვეული კონტროლის დაწესებას. ამ დროს ქუთაისში მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერ-გრამატიკოსი სილოვან ხუნდაძე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავებაში (ლ. ლეჟავა, 1998: 9).

XX საუკუნის 80-90-იან წლებში, როცა ქვეყანაში კვლავ შეფერხდა სალიტერატურო ენის დაცვა და კონტროლი, ქუთაისში მოქმედებდა ენის საქალაქო კომისია, რომელშიც ჩართული იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს, ძირითადად სამეცნიერო წრეების, წარმომადგენლები. 1996 წელს ქუთაისში შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი კომისია და ენის სამსახური (შემდგომში – ენის სამმართველო), ცოტა მოგვიანებით კი, 1997 წელს, თბილისში დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ენის პალატა (ქართული ენის ისტორია, 2006: 260).

ქუთაისში საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელ კომისიაში შექმნილი იყო დარგობრივი (მუდმივი) კომისიები და ქვეკომისიები, აგრეთვე, წარმოება-დაწესებულებათა საქმისწარმოების ენის შემმოწმებელი სპეციალისტთა დროებითი ჯგუფები, რომელთაც ევალუბოდან სახელმწიფო ენის ვითარების შემოწმება-მესწავლა სასამართლოსა და პროკურატურაში, “საქართველოს ელექტროკავშირის“ ქუთაისის ფილიალში, ტელევიზიასა და პრესაში, საავადმყოფოებში, პოლიციასა და კომისარიატში... გათვალისწინებული იყო, ასევე, რეკლამებისა და აფიშების ენაც. “ენის კომისიის“ სხდომებზე სპეციალისტები მსჯელობდნენ სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ისმენდნენ კომისიებისა და ქვეკომისიების, სპეციალისტთა დროებითი ჯგუფების მიერ გაწეული მუშაობის, წარმოება-დაწესებულებათა შემოწმების

ანგარიშს.

ჩვენს ხელთ არის ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტი, სწორედ ამ ვითარების ამსახველი (დოკუმენტი (24.09.1996, 17:00 სთ), რომელშიც მოცემულია საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი კომისიის მე-2 სხდომის დღის წესრიგი“:

1. “ენის კომისიის“ პირველ სხდომაზე წარმოება-დაწესებულებების საქმისწარმოების ენის შემმოწმებელი სპეციალისტთა დროებითი ჯგუფების ანგარიშები სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ:

- ა) სასამართლოსა და პროკურატურაში (აკად. მ. ქურდიანი, დოც. ი. ვარლამიშვილი, ი. იარლანაშვილი)
- ბ) “საქართველოს ელექტროკავშირის“ ქუთაისის ფილიალში (დოც. რ. სალინაძე, ვ. დათაშვილი)
- გ) ტელევიზიისა და პრესაში (თ. ამყოლაძე, დოც. გ. ქობალიანი)
- დ) საავადმყოფოებში (დოც. მ. ქაცარავა, ლ. კობრიძე)
- ე) პოლიციასა და კომისარიატში (ზ. კუხიანიძე, დოც. ტ. ფუტყარაძე)
- ვ) რეკლამებისა და აფიშების ენა (დოც. ზ. კიკვიძე)

2. დარგობრივი (მუდმივი) კომისიების მუშაობის დაგეგმვა; ქვეკომისიათა თავმჯდომარეების პროგრამების განხილვა:

ზოგადი მიმოხილვა — თ. შაშიაშვილი

- ა) პრესის, ტელევიზიისა და მხატვრული ლიტერატურის ენის ქვეკომისია (ზ. კუხიანიძე, მ. ქურდიანი)
- ბ) რეკლამების, აბრების, ლოზუნგების ენის ქვეკომისია (ზ. კიკვიძე, გ. ქობალიანი)
- გ) წარმოება-დაწესებულებათა საქმისწარმოების ენის ქვეკომისია (ჟ. ფეიჭრიშვილი, რ. სალინაძე)
- დ) საქართველოს სახელმწიფო ენის — ქართული სალიტერატურო ენის სწავლების ორგანიზების ქვეკომისია (მ. ქაცარავა, ლ. კობრიძე)
- ე) საკუთარ სახელთა და სხვა ონომასტიკურ ერთეულთა მანორმირებელი ქვეკომისია (ა. ნიკოლეიშვილი, ც. პატარაძე)
- ვ) მთარგმნელობითი ქვეკომისია (ი. ასათიანი)

3. სატელევიზიო პროგრამის “საქართველოს სახელმწიფო ენა“ მომზადებისათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების განხილვა (ტ. ფუტყარაძე, ბ. ბარდაველიძე, ლ. გრიგალაშვილი)

4. “ენის კომისიის“ ტექნიკური ჯგუფისა და დარგობრივ ქვეკომისიებთან სპეციალისტების ხელშეკრულებით აყვანის მექანიზმის შემუშავება (ტ. ფუტყარაძე)

5. “ენის კომისიის“ ბიუჯეტის მომზადება მერიის სხდომისათვის (ტ. ფუტყარაძე, ა. ლოლაძე, ც. პატარაძე)

6. სხვადასხვა.

24.09
17.00 L.

საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების
მაკონტროლებელი კომისიის მე-2 სხდომის დღის წესრიგი

I. "ენის კომისიის" პირველ სხდომაზე წარმოება-დაწესებულებების საქმის-
წარმოების ენის შემოწმებელი სპეციალისტთა დროებითი ჯგუფების ანგარიშები
სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ:

- ა) სასამართლოსა და პროკურატურაში (აკაფ მ. ქურდიანი, ლუც. ი. ვარ-
ლამიშვილი, ი. იანდანიშვილი)
- ბ) "საქართველოს ელექტროკავშირის" ქუთაისის ფილიალში (ლუც. რ. სა-
ლინაძე, ვ. დამაშვილი)
- გ) ტელევიზიისა და პრესაში (თ. ამყობაძე, გ. ქობალიანი)
- დ) საავტომობილოში (ლუც. მ. ქაცარავა, ლ. კობრიძე)
- ე) პოლიციაში და კომისარიატში (ზ. კუხიანიძე, ლუც. ტ. ფუტყარაძე)
- ვ) რეკლამებისა და აფიშების ენა (ლუც. ზ. კიკვიძე)

2. ღარგობრივი (მუღმივი) კომისიების მუშაობის დაგეგმვა; ქვეკომისია-
თა თავმჯდომარეების პროგრამების განხილვა:

- ზოგადი მიზნობრივად - თ. შამიაშვილი
- ა) პრესის, ტელევიზიისა და მხატვრული ლიტერატურის ენის ქვეკომისი-
სია (ზ. კუხიანიძე, მ. ქურდიანი)
- ბ) რეკლამების, აზრების, ლოზუნგების ენის ქვეკომისია (ზ. კიკვი-
ძე, გ. ქობალიანი)
- გ) წარმოება-დაწესებულებათა საქმისწარმოების ენის ქვეკომისია
(შ. ფიქრიშვილი, რ. სალინაძე)

- დ) საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული სალიტერატურო ენის
სწავლების ორგანიზების ქვეკომისია (მ. ქაცარავა, ლ. კობრიძე)
- ე) საკუთარ სახელთა და სხვა ონომასტიკურ ერთეულთა მანომირებელი
ქვეკომისია (ა. ნიკოლეიშვილი, ც. პატარიძე)
- ვ) მთარგმნელობითი ქვეკომისია (ი. ასათიანი)

3. საბტელევიზიო პროგრამის "საქართველოს სახელმწიფო ენა" მომზადები-
სათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების განხილვა (ტ. ფუტყარაძე,
ბ. ბარდაველიძე, ლ. გრიგალაშვილი)

4. "ენის კომისიის" ტექნიკური ჯგუფისა და ღარგობრივ ქვეკომისიებთან
სპეციალისტების ხელშეკრულებით აყვანის მექანიზმის შემუშავება (ფ. ჯუჭუაძე, რ.)

- 5. "ენის კომისიის" ბიუჯეტის მომზადება მერიის სახლმისაფის
(ტ. ფუტყარაძე, ა. ლობაძე, ც. პატარიძე)
- 6. სხვადასხვა

“ენის კომისიაში“ წარმოდგენილ ანგარიშებში ჩანს ქართული ენის ვითარება XX საუკუნის 90-იანი წლების ქუთაისის წარმოება-დაწესებულებებში. ამის საილუსტრაციოდ განვიხილავთ ჩვენს ხელთ არსებულ მასალას, რომელშიც ასახულია ანგარიში ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა საქმისწარმოებისა და ტერმინოლოგიის ქვეკომისიის ანგარიშს.

(ხელმძღვანელი რ. სალინაძე, ჯგუფის წევრი ვ. დათაშვილი) მიერ 1996 წლის 11 ივლისს შ.პ.ს. “საქართველოს ელექტროკავშირის“ ქუთაისის ფილიალის (მმართველი პ. გიორგობიანი) შემოწმების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას რუსეთთან კავშირი აღარ ჰქონდა, საქმისწარმოებისათვის განკუთვნილი ფორმები იყო ძირითადად რუსულენოვანი ან რუსულ-ქართული, იშვიათად – ქართული. კერძოდ:

rusulenovani: ყველა ჟურნალ-ორდერი: სალაროს ოპერაციები (ფორმა №1), ბანკის (№3), შემოსავლის (№6), შედეგების (№7), ძირითადი საშუალებების (№8), სხვადასხვა დებიუტორ-კრედიტების ოპერაციები (№9), ხარჯების (№10), მომსახურების (ასე უწოდებენ) (№13), ანგარიშვალდებული პირების (№14);

საბანკო ოპერაციებისთვის განკუთვნილი: ანგარიშ-ფაქტურა (ჩაბ-ბაბი), სავადასახადო დავალება, ხელფასის უწყისი, პირადი ბარათი და ტაბელი, ტელეგრაფისტთა საქალაქთაშორისო სტატისტიკური ანგარიშები (№12), ანგარიში ქალაქის სატელეფონო ქსელის მუშაობის ხარისხის შესახებ (№19), დამხმარე ფურცელი (№1-ა).

rusul-qarTuli: საწყობის ოპერაციებისთვის განკუთვნილი ფორმები: ზედნადები მასალების სხვაზე გაცემაზე, მინდობილობა (1982 წ.), ზედნადები... სანომენკლატურო ნომერი, მოსახვევი ხაზი (ბეჩეჩიბაჭა), რვიდან თორმეტმამდე ოდენობამდე, რადიოსატრანსლიაციაო || რადიომუწყებლობა... ქართული ფორმა ძირითადად რუსულის პირდაპირი თარგმანია. ამდენად, იგი ენობრივად გაუმართავია.

დაწესებულებას აღმოაჩნდა ქართულ ენაზე შედგენილი ფორმებიც: საბანკო ოპერაციებისთვის განკუთვნილი ფორმა – სავადასახადო მოთხოვნა, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები, სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება (6 ფორმა: №65, №11, №1-შგ, №13, №1-შ, №12). ზოგიერთი ფორმა გამოგზავნილია სამინისტროდან, ზოგი კი ადგილზეა გაქართულებული. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში არის ენობრივი შეცდომები: ტიბიური (ტიბური), ბულალტერი (ბუხპალტერი), გაეცეს (მიეცეს ან გაიცეს), დაზიანებათა რიცხვი (რაოდ.), მომქმედი კავშირგაბმულობის ტარიფები, ტრამვა, ეგზემპლიარი...

SeniSvna: ფორმათა უმრავლესობა დამტკიცებულია გაცილებით ადრე, მაგალითად, სალაროს გასავლის ორდერი დამტკიცებულია სსრკ სახბანკთან და სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით 1973 წ. 12/X, ამასთან, თვით ფორმაში შეტანილია ცვლილებები, რაც არ შეესაბამება აღნიშნულ თარიღს. მითითებულია, რომ სალაროს ოპერაციები წარმოებს ლარებსა და თეთრებში.

შემოწმების შედეგად ისიც გაირკვა, რომ სამინისტროდან ბოლო

დროს გამოგზავნილი ფორმები ქართულ ენაზეა შედგენილი, მაგრამ გაუმართავია ენობრივად, აზრი ბუნდოვანია, არის კორექტურაც. მაგალითად, “სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება – ფორმა 1-ტრ (გზატკეცილი)”; “წარუდგენენ ყველა დამოუკიდებელი ბალანსის მქონე, არ არენდით აღებული ავტომობილების, ავტომისაბმელების, ავტონახევარმისაბმელების მქონე საწარმოები... დამატებული (უნდა იყოს: დამატებითი) ღირებულების გადასახადი”; შ.პ.ს. საქართველოს ელექტროკავშირი“-ს (სამინისტროს ინსტრუქცია საწარმოთა გადასახადების შესახებ)”; “ძირითადი ფონდების აფასებით გამოწვეულმა საამორტიზაციო ანარიცხების ზრდამ... კავშირგაბმულობის მომსახურების ტარიფების ცვლილების შესახებ (საქს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს ბრძანება - 1996წ. 14/II №01/24“; “მრავალპროგრამულ გადაცემების რადიოწერტის დადგმა... ყველა სტრუქტურებისათვის, სადისპეჩერო პუნქტი, დამატებითი მომსახურებები, პრეს-ცენტრებში, მოქმედ ტარიფით, სატელეფონო ლაპარაკები“; “დარღვეული იქნა (კონტრაქტი), მუშათა სობრივო რიცხოვნობის განაწილება, წარუდგენენ თავის ზემდგომ ორგანიზაციას“...

განსაკუთრებით ბუნდოვანია და არავითარ სტანდარტს არ ემორჩილება პირადი ბარათის (ანკეტა) ენობრივი მხარე. აქ გვხვდება: ალფავიტი, მამისახელი, დასახელება და დამთავრების თარიღი სასწავლებლის პროფეს-ლურ ტექნიკურ საგანმანათლებლო სკოლისა, სწავლის სახე, ოჯახის თვითეულ წევრზე... დაცული არაა პუნქტუაცია და შემოკლების წესები. საერთო ჯამში, ფორმა მთლიანადაა შესაცვლელი, რადგან მოძველებულიცაა, რასაც მოწმობს მოთხოვნა მითითებისა, არის თუ არა ალკა წევრი.

ერთიანი ნორმა არ არსებობს ტერმინოლოგიის სფეროშიც. ამის მაგალითია:

- 1) ერთი და იმავე სახელწოდების ორგვარი შემოკლების არსებობა:
 - ავტომატური სატელეფონო სადგური ატს
 - ავტომატური სატელეფონო სადგური ასს

2) პარალელური ფორმები: **ელსმენი || ტელეფონი**. საწარმოს ბეჭედზე მითითებულია **ელსმენი** და დაბეჭდილ ფორმაზე – **ტელეფონი** (ფორმა თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ“); იწერება **მეელსმენე**. პარალელურად არსებობდა ტერმინი **ტელეფონისტი**, თუმცა სასაუბრო ენაში გავრცელებული იყო ბარბარიზმი **ტელეფონისტკა**. დღეს არავინ აღარ ამბობს არც **ელსმენსა** და არც **მეელსმენეს**; ზოგ შემთხვევაში პარალელიზმი იქმნება როგორც ქართულ ტერმინებთან: **შემოსავლები || შემოსულობანი, გასავალები || გასავლები, რადიოწერტი || რადიოწერტილი/ები, იჯარა || არენდა...** ისე უცხოურთანაც: **ა/ო: ტაქსაფონი || ტაქსოფონი...** ორივე შემთხვევაში უგულებელყოფილია ქართული ორთოგრაფიის წესები.

საანალიზო მასალაში დადასტურდა სხვა ტერმინებიც: **ობტიკური არხი** (შდრ. დღევანდელი **ობტიკური ინტერნეტი**). **ობტიკური** (<□□□□□□□□) (ტექნიკური ტერმინოლოგია, 1982: 568); **ტელეფონების გაბლოკება** (= ბლოკის მოხსნა, ერთ ნომერზე გადაყვანა) (აღრე იყო

ტერმინი განბლოკირება); **დეკადურ-ბიჯური** (დეკადურ-ბიჯური სისტემის სატელეფონო სადგურები საქართველოში მწყობრში ჩადგა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში: <https://howlingpixel.com/i-ka/>); **საინკასო დავალება** (= საგადახადო დავალება); აგრეთვე: ტელეფონიზირებული ბინა (შენობა); ტელეფონების აპარატები; საქალაქთაშორისო საუბრები, სატელეფონო ლაპარაკები, ლაპარაკი ყოველთვიური (ფორმა №1), თვიური სარგოები მოგების წილიდან გაცემული, გაცემები რაიონული კოეფიციენტებით, ტელეგრაფის საამქრო, ფინანსური დირექტორი, განწესი/ები (< ႁံၵ်ႉႁိၵ်ႉ)... ამათგან ზოგი ტერმინი, გამოთქმა დღესაც არის შემორჩენილი კავშირგაბმულობის სისტემაში, ზოგი კი არქაიზმად იქცა.

როგორც უ.პ.ს. “საქართველოს ელექტროკავშირის“ ქუთაისის ფილიალის საქმისწარმოების ამსახველი მასალიდან ჩანს, დაწესებულებაში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მხრივ სრული განუკითხაობაა, არ არსებობს არავითარი ენობრივი ნორმა და სტანდარტი. ცნობილია, რომ თბილისში ტელეგრაფმა მუშაობა დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რამაც დასაბამი მისცა საქართველოში ელექტროკავშირგაბმულობის განვითარებას. 1990 წლის 19 იანვარს კი სატელეგრაფო ქსელში, პირველად საბჭოთა კავშირში, დაინერგა ეროვნული (ქართულენოვანი) შრიფტი (<https://howlingpixel.com/i-ka/>). ამდენად, ჩვენს საანალიზო მასალაში არსებული ვითარება შედეგია რუსული ენის გავლენისა, ანუ იმ პოლიტიკისა, რისი კვალიც შემორჩა საქართველოში 90-იანი წლების წარმოება-დაწესებულებათა, განსაკუთრებით ტექნიკური სფეროს, საქმისწარმოების ენაში.

ამგვარ საკითხებზე ყურადღების გამახვილება და ზრუნვა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის გვიჩვენებს 90-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო ენისადმი ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას.

damowmebuli literatura

1. leJava, 1998 – ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, თბ., 1998.

RUSUDAN SAGINADZE**STATE LANGUAGE OF GEORGIA AND SOCIETY
(MATERIALS FROM THE REALITY OF KUTAISI OF 1990S)**

The attitude of Kutaisi society toward the state language of Georgia was always special. The city played an important role in developing Georgian literary language not only when it was the capital of Georgia, but also in the following centuries.

In the 1980-90s, when there were great difficulties in saving the literal language in our country, there was a city commission of a language in Kutaisi, where the members of the scientific field and representatives of other fields of society were involved. In 1969 the commission of controlling the state language of Georgia and the language department was founded. In that commission, there were continuing commissions and sub-commissions, also, temporary groups of controlling and testing language specialists of different resources. It was their duty to test and study the conditions in court and legislation office, in the branch office of “Telecommunication of Georgia”, in Television station and Press, in hospitals, Police and commission’s office... The language of advertisements and posters were also considered.

The document (24.09.1996, 17:00) is given in the article, in which “The agenda of the second meeting of the commission of controlling the state language of Georgia” is discussed according to the instructions of continuing commissions, sub-commissions and groups of specialists. There is also the document of a sub-commission, in which the terminology of different producing companies is discussed. In this document, the condition of Georgian language of 1990s is described. The material reveals that there is a real ruthlessness in producing companies and several institutions in terms of functioning the state language, there is no language standard, that is caused by the influence of Russian language, or the politics which is still remained in the language of institutions and several producing companies of Georgia of 90s of the 20 century.

მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე

აბრეშუმის მანუფაქტურული წარმოების ისტორიისთვის ქუთაისში

მაღალი ხარისხის აბრეშუმი საქართველოში უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ძველ კოლხეთში მზადდებოდა, რასაც ადასტურებს ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები. აბრეშუმი საქართველოში ჩინეთიდან შემოვიდა. მისი წარმოება ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და პერსპექტიულ დარგად ითვლებოდა. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, XVII საუკუნეში თურქეთიდან შემოტანილ საქონელს დასავლეთ საქართველოში აბრეშუმზე ცვლიდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ქართული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა. ირანი, თურქეთი და რუსეთი იმ დროს აბრეშუმის ბაზარზე მსოფლიო მონოპოლიას ფლობდნენ, არადა ქართული აბრეშუმი არანაკლები ხარისხის იყო და ისინი ხარკის სახით სწორედ აბრეშუმს ითხოვდნენ ქართველებისაგან. ყველაზე მაღალხარისხიანი, მოთხოვნილი ქართული აბრეშუმის ქსოვილებიდან იყო ჯეჯიმი, თავთა და დარაია.

ისტორიული მეხსიერებიდან მოყოლებული ვიდრე გვიან ფეოდალურ ეპოქამდე აბრეშუმის წარმოება საქართველოში არ შეწყვეტილა. ის არსებობდა საოჯახო შინამრეწველობის სახით, ანუ მწარმოებელი თავად ამზადებდა ნედლეულს და პროდუქტსაც თავად ჰყიდდა.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, თვითმპყრობლობამ, რა თქმა უნდა, ხელში აიღო წარმოების ყველა სადავე. კარგად იცოდნენ რა ქართული აბრეშუმის ხარისხისა და გაყიდვის მომგებიან პირობებზე, რუსეთი ყოველნაირად შეეცადა შეეზღუდა ქართველი ხელოსნების დამოუკიდებლობა (პ. გუგუშვილი, 1939: 31) საქართველო გახდა კოლონია, ანუ ნედლეულის წყარო და რუსული მანუფაქტურული წარმოების გასაღების ბაზარი.

XVIII საუკუნიდან საქართველოს მოაკლდა თავისუფალი განვითარების საშუალება, რადგან რუსული ხელისუფლება ხელს უშლიდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ქართული აბრეშუმის ცნობილმა ხარისხმა აფიქრებინა რუსეთს, უფრო აქტიურად გამოეყენებინა მაღალხარისხიანი ქართული ნედლეული.

სავაჭრო ურთიერთობების ახალი ფორმულა თავისთავად ითხოვდა ცვლილებებს. ხელოსნები ზრდიდნენ წარმოებას. ყალიბდებოდა შინამრეწველობის ახალი ტიპი – მანუფაქტურული წარმოება. აბრეშუმის წარმოება უფრო განვითარებული იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც პირველი ადგილი ეჭირა ქუთაისის მაზრას – 42,1% (ვ. კაკაბაძე, 1926: 193).

მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული რუსეთის იმპერია ზრუნავდა განვითარებინა აბრეშუმის ძაფის მხოლოდ ამოხვევა და დართვა, მაშინ როცა საკუთრივ მეაბრეშუმეობის განვითარებაზე ნაკლებად ზრუნავდა, რადგან მისთვის მხოლოდ ნედლეული წარმოადგენდა ინტერესის საგანს.

ქუთაისის გუბერნიაში წარმოებული აბრეშუმის პარკი ძალიან ხარისხიანი იყო და შესაბამისი დამუშავების პირობებში კარგ შედეგს იძლეოდა, ამიტომ აქაურ პარკს აგზავნიდნენ ოდესასა და მოსკოვში, სადაც ძაფის ამოხვევა ევროპული წესით ხდებოდა. პარკი შედარებით მცირე რაოდენობით გაჰქონდათ თურქეთში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო დარჩენილი ნაწილი ადგილობრივად მუშავდებოდა და გამოიყენებოდა კიდევ. რაფიელ ერისთავი თავის ნარკვევში წერს: ქუთაისის გუბერნიაში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებნი უპირატესად დარაიასგან შეკერილ თეთრეულს ატარებენო.

საქართველოში ნელ-ნელა დაიწყო ე.წ. “ფაბრიკების” მოწყობა უფრო დახვეწილი და ხარისხიანი პროდუქციის მისაღებად. ყოველივე ამას იმპერია დათანხმდა იმიტომ, რომ ნედლეულის ტრანსპორტირება უფრო ძვირი იყო. იმერელმა თავადმა ნიკო ჩიჯავაძემ იმერეთში, თავის მამულში, მოაწყო აბრეშუმის ძაფსახვევი სახელოსნო და უკეთესი მეთოდების დასანერგად 1851 წელს “სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ” თავისი წარმომადგენელი ემირიხი მოავლინა.

1885 წელს ქუთაისელმა ვაჭარმა არტემ ანჯაფარიძემ მოხსენებითი ბარათი მისწერა რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრს, სადაც წერდა, რომ უკანასკნელ 5 წელიწადში ახალი ძალით აღორძინდა მეაბრეშუმეობა და ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთისა და ზუგდიდის მოსახლეობა ხალისით ეწევა აბრეშუმის ჭრის გამოკვებას და ითხოვს იმპერიისგან ტექნიკურ დახმარებას.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დიუფურმა ქუთაისში გახსნა აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა. საგადასახადო ინსპექტორი ი. ჩიქოვანი აღნიშნავდა, რომ მეაბრეშუმეობა ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობისათვის გადაიქცა ფულადი შემოსავლის თითქმის ერთადერთ წყაროდ და იქვე მიუთითებდა: “მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის შინამრეწველობის სარეწავთა განვითარება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ქუთაისის გუბერნიისთვის”.

1889 წელს ქუთაისის გუბერნიაში, საქართველოში ყველაზე ადრე უკვე ფუნქციონირებდა ორი პატარა ძაფსახვევი ფაბრიკა, რომლებიც იმ დროს “ძაფსახვევი ქარხნის” სახელით იყო ცნობილი. იქ წარმოებული საქონლის ღირებულება 75000 მანეთს შეადგენდა და 120 მუშა იყო დასაქმებული.

აბრეშუმის ქსოვილს ყველაზე დიდი რაოდენობით ქუთაისსა და ოზურგეთის მაზრაში ამზადებდნენ და უმთავრესად იყიდებოდა ხონის, ლანჩხუთის, სენაკის, ზუგდიდის, აბაშის, დიდი ჯიხაშის და ქუთაისის ბაზრობებზე. თუმცა ქარხანა ერქვა, სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა შინამრეწველური წესით და მარტივი სამუშაო დაზგებით – “მანჯანიკი” და “ქუთაისი” (ნ. აბესაძე, 1957: 70). მათზე თანაბარი სისქის ძაფის ამოხვევა შეუძლებელი იყო. ეს ამცირებდა ქსოვილის ხარისხს, მაგრამ

მანც მოთხოვნადი და ძვირადღირებული იყო ქუთაისის პროდუქცია, რაც ადგილობრივი ფეიქრების დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს.

1889 წელს ივლისში, გაზეთ “კურიერის“ ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის სავაჭრო სახლი “А Илин с сыновьями“ დაინტერესდა ქუთაისის აბრეშუმით, როგორც ნედლეულის ერთ-ერთი მიმწოდებლით და განიზრახა აქ ძაფსაღები ფაბრიკის მოწყობა. ის ჩამოვიდა ქუთაისში მებაბრეშუმების სადგურის ინსტრუქტორის ქუთათელაძის თანხლებით. საბოლოოდ გადაწყვიტა ხონში აეგო საწარმო, მაგრამ თავად წულუკიძესთან ვერ შეთანხმდა მიწის ნაკვეთის თაობაზე და საბოლოოდ სამტრედიიაში ააგო აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა.

ქართულ აბრეშუმს XIX საუკუნის 50-იან წლებში ყველაზე დიდი დარტყმა ევროპიდან შემოჭრილმა აბრეშუმის ჭიის ეპიდემიამ – პეპრინმა მიაყენა, ჩაკვდა წარმოება ქუთაისში. ამ მდგომარეობის შესასწავლად და გამოსასწორებლად რუსეთიდან მოავლინეს ნიკოლოზ შავროვი, შეილი ინჟინერ შავროვისა, რომელმაც დააპროექტა და ააგო ფოთის პორტი ნიკო ნიკოლაძესთან ერთად. შავროვმა თბილისში, მუშტაიდის ბაღში, გახსნა საქართველოს მებაბრეშუმების სადგური და მისი წყალობით ააღორძინა ქართული აბრეშუმი. ისევ გაჩაღდა აბრეშუმის წარმოება, რითაც ისარგებლეს ვაჭარ-შემსყიდველებმა, რომლებიც ჩალის ფასად ყიდულობდნენ მზა პროდუქციას, რაც მათთვის დიდი მოგება, მაგრამ დარგის განვითარებისთვის და კონკრეტულად ხელოსნებისთვის დამლუბველი იყო. აუცილებელი გახდა აბრეშუმის რეალიზაციის მოწესრიგება. ვაჭარ-შემსყიდველების მძარცველობითი საქმიანობის აღსაკვეთად საქართველოში მოქმედება დაიწყო ე.წ. “ამხანაგობებმა“. პირველი ამხანაგობა 1895 წლის 3 თებერვალს ნუგზარ წერეთლის თაოსნობით დაარსდა ქუთაისში და მან 1913 წლამდე იარსება.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისსა და მის შემოგარენში აბრეშუმის წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, მან ბოლომდე ორგანიზებული, მოწესრიგებული, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოს სახე ვერ მიიღო, ყველგან იდგა პრიმიტიული დაზგები, მუშაობდა ადგილობრივი, იაფი მუშახელი მცირე ანაზღაურებით.

მეფის რუსეთის დროს აბრეშუმის წარმოება ქუთაისში, ზოგადად საქართველოში, ჩამოქვეითდა ერთ საფეხურამდე – გამოიყვანონ აბრეშუმის პარკი. შეწყდა ქსოვილების შინაწარმოება, რადგან რუსეთიდან და ევროპიდან შემოტანილმა იაფმა ფაბრიკატმა მას დიდი კონკურენცია გაუწია.

ქარხნები რეალურად წარმოადგენდნენ მანუფაქტურული ტიპის წვრილ საწარმოებს და მეტწილად მოკლებული იყვნენ მანქანა-დანადგარებს.

რუსეთის იმპერიამ მანუფაქტურული წარმოება ერთ დონეზე გაყინა. მას არ სურდა დარგის განვითარება, რადგან რუსეთის იმპერიას კოლონიებიდან სჭირდებოდა მხოლოდ ნედლეული და არა მანუფაქტურული წარმოება. მე-19 საუკუნიდან რუსეთის ცარიზმის ორბიტაში მოქცეული საქართველო გადაიქცა რუსეთისა და ევროპის ავანტურისტული და კოლონიურ-მძარცველური მოღვაწეობის ასპარეზად.

damowmebuli literatura

n. abesaZe, 1957 – ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957.

p. guguSvili, 1939 – პ. გუგუშვილი, მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის კავკასიაში, კრებული: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვეთი III, ტფ., 1939.

v. kakabaZe, 1926 – ვ. კაკაბაძე, შინამრეწველობა საქართველოში, ტფ., 1926.

arqanjelo lamberti, 1937 – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, ტფ., 1937.

P. Эристави, 1976 - P. Эристави, Очерки Империи в сельскохозяйственном отношении, Тифлис, 1876.

MADINA UGLAVA-JINJIKHADZE**ON THE HISTORY OF SILK MANUFACTURE IN KUTAISI**

In XVII-XVIII centuries Georgian silk enjoyed positive publicity. Iran, Turkey, and Russia used to be monopolists on the world silk market, at that time Georgian silk had great quality, thus they demanded silk from Georgia as a tribute. The most required and high-graded were Jejim, Tavta, and Daraia. In Kutaisi province, silk filature was high quality and in terms of relevant manufacturing it gave a great result, that's why local filature was sent in Odessa and Moscow, where a thread tensioning was done in European style. Filature was sent in European countries and Turkey in smaller amounts, as for the remains it was manufactured and used locally.

Georgian silk was destroyed by the epidemic of small worm invasion from Europe which deterred silk manufacturing in Kutaisi. Manufacturing in Kutaisi suspended. To study and correct this situation the government invited Nikoloz Savrov from Russia. Savrov established the station for silk manufacturing in Mushtaidi garden and restored Georgian silk. Managing silk realization became necessary. Partnership groups were founded to control the illegal trade of the silk. The first group was founded on February 3, 1895, with the supervision of Nugzar Tsereteli and it operated until 1913.

In the time of Tsaristic Russia, silk manufacturing declined to one stage - only the filature was produced. Home manufacturing stopped as the cheap fabricates took from Russia won the competition. Factories used to be small manufacturing type firms and mostly they had no machinery.

Russian Empire froze Georgian manufacturing in one place. It didn't want the development of the fields, as it needed only the raw materials and not the manufacturing.

ლალი ურდულაშვილი

**სისურყანწელთა უსიქოლოგიურ-შემოქმედაბითი
პორტრეტები ნინო ჩხიკვიშვილის
ორი რომანის მიხედვით
("უკანასკნელი სისურყანწელი" ღა "მე პაოლო ვარ")**

ნინო ჩხიკვიშვილის წიგნი "უკანასკნელი ცისფერყანწელი" კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანია. "ცისფერი ორდენის ამაცი რაინდი", – ასე იხსენიებს წიგნის დასასრულს ავტორი კოლაუს, თუმცა აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კოლაუზე შექმნილი რომანის მთავარი თანაპერსონაჟი უდავოდ არის პაოლოც, კოლაუს უსაცვარლესი ძმა და ერთგული მეგობარი. მწერლის მიერ კოლაუზე მოთხრობილ თითოეულ პასაჟში, კოლაუსთან ერთად, თითქმის ყველგან უკლებლად ჩანს პაოლოს პიროვნება, მისი შეუცვლელი როლი და მნიშვნელობა უკანასკნელი ცისფერყანწელის ცხოვრებაში, ზოგადად, სიმბოლისტ პოეტთა ლიტერატურულ სივრცეში, თუნდაც ეპოქის საზოგადოებრივ ყოფაში.

რომანი კომპოზიციურად ისეა აგებული და იმდენად საინტერესოდ ვითარდება მოვლენები, რომ მკითხველს უჩნდება სურვილი სულმოუთქმელად ჩაიკითხოს ბოლომდე. ერთი ამბავი ცვლის მეორეს, მოვლენები უკავშირდება ქართული მწერლობისა და კულტურის თვალსაჩინო პიროვნებებს, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს ხელოვნების სხვადასხვა დარგში. კოლაუს პიროვნება შთამბეჭდავად ჩანს თითოეულ მოვლენასა თუ ცალკეულ ეპიზოდში. ზოგჯერ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ლირიკული წიაღსვლებით გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოეტის მიმართ, მსუბუქი მინიშნებებით წარმოაჩინოს ის განწყობა, რაც ნათელ ზოლად გასდევს რომანს. უფრო ხშირად კი თხრობისას გადმოგვცემს ნოველის მსგავს ეპიზოდებს და მკითხველის განსჯის საგნად ტოვებს მონათხრობს. ყოველი სტრიქონი განმსჭვალულია ყანწელის უდიდესი სიყვარულით. ეს განცდა ავსებს და ალამაზებს წიგნის თითოეულ ფურცელს. წერის მანერა, მწერლის სტილი სადა, გამჭვირვალე და უბრალოა, – ამ უბრალოებაში ცნაურდება ის რიდი და მოკრძალება, რითიც აღვსილია ავტორის "მე". შინაგანი დინამიზმი, ძალზე გაწონასწორებული, არისტოკრატიულად დახვეწილი ემოციური ინტელექტი იგრძნობა თხრობის მდინარებაში. ავტორისთვის სიტყვა არ არის ოდენ აზრის გამოთქმის ვერბალური საშუალება, არამედ გამოსახვის უნივერსალური სიმბოლო, სადაც განცდა და აზრი ერთმანეთს თანხვდება.

საუბრობს რა მწერალი კოლაუ ნადირაძეზე, ის ნებსით თუ უნებლიეთ ასახავს იმ ქარტეხილებით აღსავსე ეპოქას, რომელსაც სასწაულებრივად გადაურჩა პოეტი. თავად მწერლისთვის პასუხგაუცემელ შეკითხვად რჩება: რამ გადაარჩინა კოლაუ? იქნებ იმან, – მსჯელობს ავტორი, – რომ პოეტს

არ უყვარდა ხმაურიანი გამოსვლები, ყოველთვის ჩრდილში დგომას ამჯობინებდა, ანდა, როგორც მწერალი მიუთითებს, ის ბერიას ხელს არაფერში უშლიდა. სასიამოვნო ფაქტად კი რჩება, რომ ცისფერყანწელთა უკანასკნელმა მოპიკანმა თითქმის საუკუნე განვლო და, თუმცა თვალისჩინდაკარგული, შინაგანი ღირსების უმაღლესი შეგნებით აღესრულა.

ვფიქრობთ, ძალზე ოსტატურად იხსენებს ავტორი ვანო ჩხიკვაძის ერთ-ერთი მოთხრობის პასაჟს, სადაც ფსიქოლოგიური სიზუსტით წარმოჩნდება უკვე მოხუცი ყანწელის კვლავაც ჰაბუკური შინაგანი სამყარო. რომანს მრავლისმეტყველ და სრულყოფილ სახეს სძენს პოეტის მეუღლის, ქალბატონი ნორას მოგონებები, ვალერიან მიზანდარის ბარათები, მიქელ პატარიდისა და ყანწელის მიმოწერა, კოლაუს შეხვედრა ჯონ სტიანბეკთან, სერგო კლდიაშვილისა და შალვა კაშმაძის წერილები... წიგნის ნარატივი აცოცხლებს ეპოქის სულსა და მაჯისცემას. თითოეული დეტალი პოეტის ცხოვრებისა მწერლის მიერ საინტერესოდ და ამომწურავად არის გაშუქებული, რაც ავტორის ღირსებაზე მეტყველებს.

ვგრძობდით მიმოიხილავს ნინო ჩხიკვიშვილი იმ ლექსის შექმნის ისტორიას, რომელმაც პოეტი “ფარზე აზიდა“. ეს არის “1921 წლის 25 თებერვალი“. ლექსი დაიწერა მანამდე ბევრად ადრე, ვიდრე საზოგადოება მას გაიცნობდა. 60-იან წლებში შექმნილი ეს ლირიკული შედევრი ბედის ირონიით ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა. წიგნში ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს და გვაცნობს მწერალთა კავშირში ჩატარებული იმ საგანგებო სხდომის შესახებ, რომელზედაც “დაგმეს“ კოლაუს ეს ბრწყინვალე, პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღერებული ლექსი. აქვე ჩანს მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობის პატივისცემით სავსე დამოკიდებულება უკვე მსცოვანი პოეტის მიმართ. მათ, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნებისაგან იხსნეს პოეტი.

გვინდა მოკრძალებით შევნიშნოთ, რომ მწერალი თითქოს ნაკლებ ყურადღებას უთმობს კოლაუს შემოქმედებითი პროცესის მიმოხილვას, როგორ იქმნებოდა მისი პოეზია. თუმცა, როგორც პოეტის ქალიშვილი აღნიშნავს, კოლაუს უზომოდ უყვარდა კლასიკური მუსიკა და ასეთ მუსიკაში განსაკუთრებული ჩაღრმავების შემდეგ აუცილებლად იბადებოდა რაღაც ახალი. თავად კოლაუს კი ღრმად სწამდა, რომ პოეტად უნდა დაიბადო, არ არსებობს ლექსის კეთების ხელოვნება. ყველაფრის კეთება შეიძლება, გარდა ლექსის კეთებისაო. კოლაუს, როგორც ცისფერყანწელთა ორდენის ყველა წევრს, მიაჩნდა, რომ ქართული პოეზია ევროპული რადიუსით უნდა გამართულიყო.

ნინო ჩხიკვიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტერმინი ფუნაგორია სწორედ კოლაუ ნადირაძემ დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურაში და ასახელებს არაერთ ფუნაგორიას კოლაუს მიერ შეთხზულს.

საგულისხმოა სერგო კლდიაშვილის კოლაუსადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილის სტრიქონები. იქნებ ზოგადად სიმბოლისტური პოეზიის, კონკრეტულად კი კოლაუ ნადირაძის ლირიკის ოქროს გასაღებად გამოდგეს ეს სიტყვები: “ძალიან ხშირად ვერ განმარტავ, თუ რაშია ნამდვილი

ლექსის ასეთი ძალა, ვერ იტყვი, რატომ შეგიტრიალებენ სულსა და გულს, მაგრამ ისინი მუდამ აგამლელვარებენ და რაღაცნაირი ზეობით ავივსებენ სულს“ (ა. ნიკოლეიშვილი, 2002: 115).

კლდიაშვილის ეს წერილი მართლაც სულის ამაფორიაქებელი შეხმანიებაა მეგობართან. თავად მწერალიც მართებულად შენიშნავს: “სიყრმის მეგობარი, კოლაუს პიროვნულ პორტრეტთან ერთად, შემოქმედებით პორტრეტსაც ხატავს“ (იქვე: 117).

კოლაუს გამოჩენას ლიტერატურულ ასპარეზზე იმთავითვე მოწონებით შეეგება სიმბოლისტური პოეზიით აღფრთოვანებული საზოგადოება., თუმცა, სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ მათი რიცხვი დიდი არ იყო. განსაკუთრებით თბილად მიიღეს კოლაუს კრებული “ბალდახინი.“ ნინო ჩხიკვიშვილი მისთვის ჩვეული გულისხმიერებით გვამცნობს სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენელთა (ვ. გაფრინდაშვილი, შალვა კარმელი) მაღალ შეფასებას აღნიშნული კრებულისა. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ მწერლის იმ მოსაზრებას, რომელიც კრებულის სათაურს უკავშირდება. იქნებ “ბალდახინიც“ იმიტომ უწოდა პოეტმა თავის პირველ კრებულს, რომ უნდა დაესამარებინათ პროვინციული პოეზიაო. იქნებ ეს სათაური პოეტის სულიერი მდგომარეობის გამომხატველიაო, – განაგრძობს რიტორიკული შეკითხვით მსჯელობას ავტორი.

კოლაუ განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებდა ქუთაისში გატარებულ წლებს, კლასიკურ გიმნაზიას, სადაც ქართულ ენას ასწავლიდა მისთვის საყვარელი პედაგოგი მელიტონ ჩოგოვაძე. ყანწელი თავად იყო მხილველი იმ საოცარი ფაქტისა, როცა აკაკის იუბილეს გამო ეტლში შებმული ცხენები გამოხსნეს გიმნაზიელებმა და თავად მიაბრძანეს მგოსანი თეატრის შენობამდე.

ავტორი რომანტიკული ფერებით აღწერს პოეტის მგზნებარე სიყვარულს მესამე მეუღლის – ნორას მიმართ. ეს სიყვარული მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

მწერალი საკუთარი აზრის დასტურად მოიხმობს თამაზ ჩხენკელის მოსაზრებას კოლაუს პატრიოტული ლირიკის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სამშობლოს ესოდენ მტკივნეული და მტანჯველი განცდა გამორჩეულად შთამბეჭდავია ცისფერყანწელი მოპიკანის შემოქმედებაში. ეს განცდა ყველაზე მძაფრად იგრძნობა კოლაუს ლექსში “ოცნება საქართველოზე,“ რომელიც, შესაძლოა, გალაკტიონის “მამულსაც“ კი გაუთანაბრდესო.

ნინო ჩხიკვიშვილი საგანგებოდ საუბრობს მიქელ პატარიძისა და კოლაუს მიმოწერაზე. მათივე იდეის მიხედვით, ეს წერილები წიგნად უნდა აკინძულიყო “დიალოგების“ სახით, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მათ ჩანაფიქრს ხორცშესხმა არ ეწერა. მიმოწერიდან ირკვევა, რომ ეს მეგობრობა ორივესთვის ძვირფასი იყო.

მრავალმნიშვნელოვნად იხსენებს მწერალი მიქელ პატარიძის ვაჟის, ბატონი რამაზ პატარიძის შეფასებას მამისა და მისი მეგობრის ცხოვრებისეული ხედვის შესახებ; “მიქელი პროტესტის ნიშნად სამუდამოდ გამორდა თბილისს, ხოლო კოლაუ – წარსულში გამოიკეტა.“ წარსულში გამოკეტვას თავად ავტორი ყანწელის შინაგან ემიგრაციაში მყოფობას უწოდებს.

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნში მკაფიოდ არეკლილია ის დაწვრილებითი ცოდნა და ანალიზი ცისფერყანწელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, რასაც იძლევა მათი თანამედროვე თუ შემდგომი დროის სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურა. ამ მხრივ ნინო ჩხიკვიშვილი დაუცხრომელ მკვლევრად გვევლინება სიმბოლისტური პოეზიის წარმომადგენელთა შემოქმედებისა. ის გამოწვლილვით სწავლობს თითოეულ დოკუმენტურ ფურცელს და მწერლის ოსტატობით იყენებს თავის რომანებში.

ნინო ჩხიკვიშვილი საგანგებო ყურადღებას უთმობს ყანწელის – როგორც ჭეშმარიტად ნიჭიერი პროზაიკოსის – უნარსა და შესაძლებლობებს, რაც თავად მიხეილ ჯავახიშვილს არ დარჩენია შეუნიშნავი. მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს კოლაუს ავტობიოგრაფიულ ნარკვევს, რომელშიც გამოვლინდა ყანწელის მიმზიდველი, რომანტიკული წერის მანერა და რომელიც თავისთავად წარმოადგენს პოეტის “სულიერ პორტრეტს.” როგორც კოლაუს შემოქმედების უბადლო მცოდნე და “მჩხრეკელი”, ნინო ჩხიკვიშვილი საგანგებოდ ხაზს უსვამს პოეტის მთარგმნელობით საქმიანობას. ცისფერყანწელთა უკანასკნელი მოჰიკანი ფლობდა გერმანულ და ფრანგულ ენებს, რუსულს – შესანიშნავად. ძირითადად თარგმნიდა რუსულიდან. მიუხედავად იმისა, რომ მას სასტიკად სძულდა რუსეთი, როგორც დამპყრობელი, დიდ პატივს მიაგებდა რუსულ ლიტერატურას და თარგმნიდა რუს კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

ამაღლევებელი და ფაქიზი მხატვრული ფერებით ხატავს მწერალი ყანწელის უკანასკნელ დაბადების დღეს, თბილისურ საღამოსა და იმ მისტიურ იდუმალებას, რომელიც აცოცხლებდა უკვე შორეულ წარსულში ჩარჩენილ, იმქვეყნად გარდასულ დაუვიწყარ, ძვირფას სახეებს, ცისფერყანწელთა ძმობას.

ნინო ჩხიკვიშვილი რომანში წარმოაჩენს გრიგოლ რობაქიძის პიროვნებას, როგორც ქართული სიმბოლიზმის სულის ჩამდგმელსა და იდეურ მედროშეს. თუმცა, ვფიქრობთ, უფრო მკვეთრი შტრიხებით შეიძლება გამოკვეთილიყო გრიგოლ რობაქიძის ზეგავლენა და როლი ცისფერყანწელთა ორდენის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. მით უმეტეს, არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თავად სახელწოდება “ცისფერი ყანწების” შექმნა გრიგოლ რობაქიძეს მიეწერება.

გვერდს ვერ ავუვლით ქართული სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენელთა ლიტერატურული ნაღვაწის კოლაუსეულ შეფასებას: “ჩვენ შევქმენით ლიტერატურული სკოლა, ჩვენ დღევანდელ პოეზიას ვუანდერძეთ ის, რაც ახლა აქვს – ისტორიულად ჩვენი მისია შესრულებულია.”

თუ აკაკისთვის ხატი იყო სამშობლო, ხოლო სახატე – მთელი ქვეყანა, კოლაუსთვის ეს ხატი იყო ლექსი, ხოლო სახატე – პოეზია, რა თქმა უნდა, სახისმეტყველური მნიშვნელობით. ნინო ჩხიკვიშვილის მეორე წიგნი სახელწოდებით “მე პაოლო ვარ” უშუალოდ პაოლო იაშვილს ეძღვნება. იგი თითქოს ლოგიკური გაგრძელებაა რომანისა “უკანასკნელი ცისფერყანწელი.” მწერალი მისტიფიკაციას უწოდებს პაოლოზე შექმნილ რომანს. იყენებს რა სიზმრისეული ხილვის ხერხს, ავტორი ხატავს სასამართლო სხდომის მიმდინარეობას, რომელზეც წარმოდგენილია იმ

პერიოდის ლიტერატურულ მოღვაწეთა სრული სპექტრი. დაკითხვის პროცესში აშკარად წარმოჩნდება თითოეული მათგანის პიროვნული სახე. მოგონებები პაოლოზე, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის ბოლო დღეების გახსენება მიანიშნებს არა მხოლოდ პაოლოს პირად ტრაგიკულ ბედზე, არამედ იმ საბედისწერო ეპოქაზე, რომელმაც შეიწირა თითქმის ყველა ცისფერყანწელის ფიზიკური არსებობა. მოსამართლისა და პროკურორის რეპლიკებში, მათს ცალკეულ ქმედებასა თუ შესტებში, შესანიშნავად ირეკლება კომუნისტური დიქტატურის, როგორც “წითელი ურჩხულის”, შემზარავი არსი. ეჭვი, სიძულვილი, შიში, დასმენა, ურთიერთდაპირისპირება, სხვისი გაწირვა საკუთარი თავის გადასარჩენად – აი, უზნეობის დიდი ჭაობი, რომელშიც იყო ჩაფლული კომუნისტების ავანგარდში მდგარი ცალკეული მოხელე თუ ჩინოვნიკი. ისინი ამ პოლიტიკურ ჭაობში ძირადდნენ მთელ წარჩინებულ, ღირსებით სავსე საზოგადოებას პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. მწერალი რეალისტური ფერებით, დოკუმენტური მასალის ღრმა ცოდნითა და ანალიზით, ინდივიდუალიზმის ღრმა შეგრძნებით იმდენად დამაჯერებლად გადმოგვცემს იმიტირებულ სასამართლო პროცესს, რომ მკითხველს გაოცების გრძნობა ეუფლება, როდესაც სერგო კლდიაშვილისა და კოლაუს სატელეფონო საუბრით იგებს მის არანამდვილობას.

სიზმრის ელემენტი იჭრება თხრობაში შემდეგაც, როცა კოლაუს პერსონაჟი აგრძელებს სიზმრად ხილული ამბის მოყოლას. კოლაუს მფარველი ანგელოზი მიუძღვება საიქიოში, იქ, სადაც ყველა ცისფერყანწელს დაუვანებია. პირველად მას ეგებება პაოლო, აქვე არიან შალვა კარმელი, სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, ვალერიანი... ამ რომანსაც გრიგოლ რობაქიძის აჩრდილი თან სდევს, როგორც იდეური მასაზრდოებლისა. და ისევ პაოლო... ყველგან პაოლო... თითოეულ ეპიზოდში ნიშნულად ჩანს პაოლოს სულიერი პორტრეტი, განსაკუთრებით კი შვილისადმი მიწერილ წერილში კანთიელად გამოსჭვივის მისი შინაგანი “მე“, ესოდენ ამაღლებული, მგრძობიარე და უმაღლესი სულიერი ფასეულობებით გამორჩეული. შეუძლებელია ემოციის გარეშე წაიკითხო მისი ხილვით აღტაცებული მარო მაყაშვილის დღიურის ჩანაწერი, შემდეგ კი მწერლის მდიდარი ფანტაზიით ხორცშესხმული და რეალობასთან წილნაყარი პაოლოს ტრაგიკული აღსასრული... პოეტის სულის წარმოსახვითი მოგზაურობა პარიზში, ქუთაისის გიმნაზიაში, კაფე “ქიმერიონში.“ წყალწითელას წისქვილში, გოგლას ოჯახში, დიალოგი ვაჟასთან, ახლობლებთან...

საბჭოთა ხელისუფლებამ პაოლოს თვითმკვლელობა რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად მონათლა. ეს საუკუნის გასროლა იყო.. ამ ტყვეით პაოლომ მხოლოდ თავის თავს არ ესროლა... თავად ყანწელებმა პაოლოს ეს ნაბიჯი მათსავე გადასარჩენად გამიზნულ გმირულ ქმედებად მიიჩნიეს. ბერიაშვილმა სასტიკად აუკრძალა ყველას გამოეხატათ თანადგომა ოჯახის მიმართ და პატივი მიეგოთ პაოლოს ხსოვნისათვის. მხოლოდ კოლაუს არ შეუშინდა ხელისუფლის რისხვას და გაპყვავა უკანასკნელ გზაზე ძვირფას ცხედარს.

პერსონაჟის ფსიქიკის ნიუანსური წვდომით წარმოგვიდგენს

გარდაცვლილი პაოლოს სულის მოძრაობას ნინო ჩხიკვიშვილი. მკითხველში ეჭვის ნატამალსაც არ იწვევს მწერლური სიმართლე. მას ბოლომდე შესისხლხორცებული და გასიგრძეგანებული აქვს ემოციათა სიმძაფრე და უტყუარობა, რასაც ასეთი სიფაქიზითა და სისათუთით გადმოგვცემს ავტორი. ზოგი დეტალი რომანში მეორდება. მაგ., პაოლოს მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილი, კოლაუს შეხვედრა ჯონ სტაინბეკთან, როდინ ქორქიას ჩანაწერი, ქაიანური... კინოკადრებად იშლება მკითხველის წარმოდგენაში მწერლის მიერ დრამატურგის ნიჭიერებით გადმოცემული თითოეული პასაჟი, ხელშესახებად ცოცხლდებიან “საფირონისფერ ნისლში” ჩადირულ მშფოთვარე პოეტთა ლანდები და მათ შორის “ანტიკური ღმერთკაცის დარი” ნამდვილი დენდი – პაოლო, სამშობლოსა და პოეზიის მზით გულდამწვარი.

ნინო ჩხიკვიშვილმა თავისი რომანებით ხელთუქმნელი ძეგლი აუგო ცისფერყანწელთა სამოსს, რომელთაც ფიცი დადეს ქუთაისში, ბალახვანის ქუჩის ერთ მყუდრო სადარბაზოში, კუბოს კარამდე შეუბღალავად მიეტანათ ეს სიყვარული და ვაჟკაცურად აღასრულეს კიდეც ეს ფიცი.

“სამშობლოს ცაზე პოეზიით მილურსმულები“, – ასე განსაზღვრა ნიკოლო მიწიშვილმა ცისფერყანწელთა როლი და მისია. ეს შეფასება მათ უდავოდ დაიმსახურეს.

damowmebuli literatura

- l. avaliani, 1992** – ლ. ავალიანი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1992.
- p. iaSvili, 2006** – პ. იაშვილი, 100 ლექსი, თბ., 2006.
- k. nadiraZe, 2010** – კ. ნადირაძე, 100 ლექსი, თბ., 2010.
- a. nikoleiSvili, 2002** – ა. ნიკოლეიშვილი, ქართული ლიტერატურა, ქუთაისი, 2002.
- a. nikoleiSvili, 2012** – ა. ნიკოლეიშვილი, ქართული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 2012.
- n. CxikviSvili, 2015** – ნ. ჩხიკვიშვილი, უკანასკნელი ცისფერყანწელი, თბ., 2015.
- n. CxikviSvili, 2018** – ნ. ჩხიკვიშვილი, მე პაოლო ვარ, თბ., 2018.

LALI URDULASHVILI**PSYCHOLOGICAL-CREATIVE PORTRAITS OF THE
TSISPERKHANTSELEBI BASED ON TWO NOVELS
BY NINO CHKHIKVISHVILI
(I'M THE LAST TSISPERKHANTSELI AND "I AM PAOLO")**

Nino Chkhikvishvili's works reflect in-depth knowledge and analysis of the life and work of the Tsisperkhantselebi, which is provided by the scientific and publicist literature of their modern and later times. In this regard, Nino Chkhikvishvili is a tireless researcher of the works of representatives of symbolic poetry. She studies each documentary by diligence and uses them in her novels with her writing mastery.

Nino Chkhikvishvili's book "The Last Tsisperkhantselebi" is a biographical novel dedicated to Kolau Nadiradze. "The Proud Knight of the Blue Order," that's how the author mentions Collau at the end of the book. We should also note that the life of the last tsisperkhantselebi vividly shows Paolo's personality, together with Collau, his indispensable role and meaning in literary space of symbolic poets, even at the public presence of the epoch. Memories relate to prominent personalities of Georgian literature and culture who have said their words in various fields of art. Nino Chkhikvishvili highlights the history of the creation of the poem which rose the poet "on the shield". This is "February 25, 1921".

Kolau fondly recalled the years spent in Kutaisi, a classical gymnasium where his beloved teacher, Meliton Chogovadze, taught Georgian. Kantseli himself was the witness of the amazing fact regarding Akaki's jubilee when gymnasium students freed horses from the carriage and drove it by themselves to take the writer to the theatre.

Nino Chkhikvishvili emphasizes that the term Funagoria is precisely the one that was coined by Colau Nadiradze in our literature and names many of them. Nino Chkhikvishvili's second book, "I'm Paolo," is dedicated to Paolo Iashvili. It seems like a logical continuation of the novel "The Last Tsisperkhantselebi".

Nino Chkhikvishvili erected a monument with her novels to the Tsisperkhantselebi Brotherhood.

ტარიელ ფუტკარაძე

ქუთაისის გამორჩეული როლის ბანაპირობებელი მიზეზებისათვის საქართველოს ენობრივ-კულტურულ-სახელმწიფოებრივ ისტორიაში

ქუთაისი ოდითგანვე იყო და არის ქართული კულტურისა და სულიერების ცენტრი. ქართველი ერის ისტორიაში ასეთი როლი და ფუნქცია განსაზღვრა ერთმა მთავარმა ფაქტორმა: ქუთაისის ქვეყანა (ძველი შიდა ეგრისი, მოხირისი; იმერეთი) ყოველმხრივ დაცული იყო სხვა ქართული განაპირა მხარეებით:

- ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთაგრებილით, რომლის გადმოსასვლელებს აკონტროლებდნენ სვანეთისა თუ რაჭა-ლეჩხუმის ქართველები;

- სამხრეთიდან მეციხოვნეობდნენ ისტორიული მესხეთის ქართველები;

- აღმოსავლეთიდან - ქართლები;

- დასავლეთიდან - ზღვა.

შესაბამისად, ცენტრალური საქართველოს ამ ნაწილში მცხოვრებ ნიჭიერ ქართველებს მეტი დრო და განწყობა ჰქონდათ შემოქმედებითი აზროვნებისა და კულტურის განვითარებისათვის. ასეთმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ქუთაისის განსაკუთრებული როლი. ქუთაისის განსაკუთრებული ისტორიული როლის მაჩვენებელი რამდენიმე ფაქტი:

1. *we1TaRricxvaTa mijnaze berZnul-bizantiuri samyarosaTvis 15 saukuniT adre arsebuli kolxuri samyaro _ aias mefe aietis saxelmwifo _ asocirdeba quTaisTan:*

შდრ.:

ჰეროდოტეს მიხედვით, აია “კოლხიდის” უძველესი სახელია. ზოგადად, ანტიკური ტრადიციის მიხედვით (ეგსტათი თესალონიკელი; XII ს. და სხვ.) “ილიადასა” და “ოდისეას” აია “კოლხიკეს” ადგილობრივი სახელია. იხ., ასევე, აპოლონიოს როდოსელი: “კოლხეთ-აია ხომ კიდეშია, სადაც თავდება ზღვა და ხმელეთი“. ამავე ავტორთან პირველადაა მოხსენიებული კვტაიისი [კოტაისი, კუტაია, კვტადა] “ქუთაისი“. ბერძენ ავტორთა წინააღმდეგობრივი ცნობების საფუძველზე დანამდვილებით შეუძლებელია ითქვას, აიეტის ქალაქი ჭოროხის ხეობაში იყო თუ რიონის ხეობაში, მაგრამ ფაქტია, რომ ძვ. წ. III საუკუნეში შექმნილი აპოლონიოს როდოსელის “არგონავტიკის” შემდეგ აიეტისა და ოქროს საწმისის ისტორია მჭიდროდ დაუკავშირდა ქალაქ ქუთაისს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ანტიკური სამყაროსათვის კოლხური ცივილიზაციის ცენტრი ქუთაისის ქვეყანაა. ამას ადასტურებს არიანეს ცნობის მიხედვით შექმნილი V საუკუნის ანონიმი ავტორის ნაშრომი: “მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო” და პროკოპი კესარიელის “გუთებთან ბრძოლა“, სადაც ქუთაისთანაა გაიგივებული

ძველი კოლხა თუ უფრო გვიანდელი კოლხიკე. ამ პერიოდში პროკოპის მიერ “ქუთაისის ქვეყანა” მოხირისად¹ იწოდება; ლაზიკისა თუ მოხირისის მთავარი ქალაქი კი არის ქუთათისი; კერძოდ:

პროკოპი კესარიელი (VI ს.): “მოხირისის მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და მათი აზრით ადვილად მისასვლელი იყო. მაშინ ამ ციხეს kotaions uwodebdnen elinur eniT, amJamad ki mas lazebi quTaTiss eZaxian; berZnuli enis ucodinarobiT mosdiT, rom am saxelwodebis namdvili saxe Seryvnes. ase aqvs es moTxrobili arianes. სხვები კი ამბობენ, ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ, კოლხიდის ქვეყანას კი კვიტატიდსო“ (Georgika 2, 1965: 195-197. prokopi kesarieli, "goTebTan brZola"; http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3326/1/Georgika_1965_tomi_II.pdf) .

აქვე იხ., მერი ინაძე:

“კოლხთა ძირითადი ბირთვის ხელში, ამ დროს აღმოჩნდა ქვეყნის ყველაზე ნოციერი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მიწები, სახელდობრ, მდ. რიონის გაყოლებით და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, qalaq quTaisis sanaxebidan zRvamde (ეს ტერიტორია მოიცავდა პროკოპი კესარიელთან მოხსენიებულ მოხირისის დიდ ნაწილს)... ამ მდიდარი მფლობელობის საფუძველზე, აღმოცენდა კოლხეთის მეფის ხელისუფლება (ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან). აქედანვე უნდა მომხდარიყო ამ ქვეყნის გარშემო მდებარე მიწების, ეთნო-ტერიტორიული და სამეურნეო ერთეულების შემომტკიცება-შემოკრება და შემდეგ მათი კოლხეთის სამეფოს საგამგეო ოლქებად ჩამოყალიბება. მდინარე რიონის ქვემო და ზემო წელით შემოსაზღვრული მხარე რომ კოლხთა სამეფო სახლის ძირითადი და უძველესი საკუთრება უნდა ყოფილიყო, ამის დასტურია ლეონტი მროველთან (“ფარნავაზის ცხოვრებაში”) დაცული ის ცნობაც, რომ ფარნავაზის მიერ დასავლეთ საქართველოზე ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელების შემდეგ, როცა ქუჯის შემოეცალნენ ქვეყნის საგამგეო-ადმინისტრაციული ოლქები, მას საერისთაოდ დარჩა მხოლოდ მდ. რიონიდან ეგრისწყლამდე და ზღვამდე მდებარე მიწა-წყალი. ჭუჯის es egrisad wodebuli "saerisTavo" teritoriulad emTxveva winaantikuri xanis kolxTa wamyvani satomo birTvis adgilsacxovriss – “კუტაის მიწას“. აქ მდებარეობდა ამ ქვეყნის მთავარი ქალაქი “კუტაია“ და აქვე, ამ მიწა-წყლის შუაგულში, მდინარე

¹ moxirisis sazRvrebi bizantiuri wyaroebis mixedviT: dasavleTiT cxeniswyali, aRmosavleTiT skanda-Sorapnis sasazRvro xazi, samxreTiT - rioni, CrdiloeTiT - xvamlis mTisa da nageralas qedis ferdobebis ZirSi gamavali xazi (o. lanCava, 1996: 68).

ტეხურის ნაპირზე ქუჯიმ ააგო ციხე-გოჯი არქეოპოლისი, კოლხთა სამეფოს მეორე დედაქალაქი... ეჭვი არ არის, რომ მიწა, რომელსაც ფარნავაზი უტოვებს ქუჯის და სადაც ქუჯი თვითონ აგებს ციხეს – პოლიტიკური ძალაუფლების ამ სიმბოლოს, მისი საკუთრებაა, მისი მამაპაპისეული მამულია და ამდენად, სამეფო დომენიც აქ არის“ (მ. ინაძე, 1994).

2. "qarTlis cxovrebi" avtorTa mixedviT, umetes SemTxvevaSi, egrisi aris qarTlis saxelmwifos erT-erTi Bevi /kuTxe/saerisTavo (თუმცა, ზოგ შემთხვევაში, არაბობის დროს თუ შემდეგ, ქართლის სემანტიკა უკვე დავიწროებულია); "egrisi" gvxdeba 17-jer; umetes SemTxvevebSi aRniSnavs saerisTavos²; kerZod:

2.1. azonis mefobis wina perodSi xunani, Sida qarTli da egrisi erT rangSi ganixileba (leonti mroveli, 1955 <http://www.amsi.ge/istoria/qc/>):

“ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვ ხაზართა, წარტყუნეს ქუეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოსანი. და დაურჩეს ციხე-ქალაქნი: თუხარისი, სამშულდე და მტუერის-ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი /ლიხს იქეთ დასავლეთ საქართველოს ყუბანის შესართავამდე/.

2.2. farnavazis dros qarTlis saxelmwifos erT-erTi saerisTavo egrisi, romlis sazRvrebi aq Semcirebulia da moicavs rionis marjvena sanapirodan egriswylamde:

“მაშინ ფარნავაზ მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერის-თავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (iqve).

Sdr.: egrisis meore nawili _ rionis marcxena sanapiro mesxeTis sazRvramde da zRvamde _ ukve iwodeba margveTad:

“ერთი გაგზავნა მარგვს ერის-თავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ. და ამან-ვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“ (iqve).

2.3. farnavazis qarTlis saxelmwifos mxareebi/saerisTavoebi:„

“მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თმსთგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მკედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერის-თავნი რვანი და სპასპეტი.

² Sdr.: berZnebis, maSindeli dampyoblebis, mixedviT, "lazika" da "iberia" sxvadasxva saxelmwifoebia (ix. mag., straboni); kerZod, "lazika" berZnebs daqvemdebarebuli qarTuli provinciaa, xolo "egrisi" - qarTlis saerisTavo; "qarTli" qarTul wyareobSi metwilad moicavs sruliad saqarTvelos (arabobamde!); xolo strabonis mier gamoyenebulი qoronimi: "iberia" mxolod aRmosavleT saqarTvelos moicavs; vrceli msjelobisaTvis ix., t. futkaraZe, qarTvelebi, Tb., 2005.

ერთი გაგზავნა მარგვს ერის-თავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ. და ამან-ვე ფარნავაზ ალაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერის-თავად, და მისცა არავგვგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ზუნანისა ერის-თავად, და მისცა ბერდუჯის მდინარიტგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშულდის ერის-თავად, და მისცა სკვრეთისა მდინარიტგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერის-თავად, და მისცა ფანვარიტგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი.

მეექვსე გაგზავნა ოძრჯის ერის-თავად, და მისცა ტასისკარიტგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიტგან ზღუადმდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად, და მისცა არსიანიტგან ზღუადმდე. და *merve, quji, iyo eris-Tavi egrisisa*.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისიტგან და არავგვგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომად-ვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერის-თავთა ზედა. ხოლო ამათ ერის-თავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინა სპასალარნი და ათასის-თავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო.

ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ (*leonti mroveli, 1955 <http://www.amsi.ge/istoria/qc/>*).

2.4. klarjeTis, windisa da egrisis erisTavebi, rogorc qarTlis saxelmwifos erisTavebi, erT rangSi ganixileba:

“მაშინ განდგეს ერის-თავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერის-თავნი ეგრისისანი, ერთი ოძრჯისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დის-წული იყო ამაზასპისი. მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა ქართლად, და მოირთო ძალი საბერძნეთით-ცა. და ეზრახნეს ოვსთა-ცა, ხოლო ოვსნი სიხარულითა წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო ამაზასპ მათი. და გარდამოვლეს გზა თაკურისა, და მოვიდეს ერის-თავთა თანა ეგრისათა“ (იქვე).

2.5. vaxtang gorgasali 10 wlis roca iyo, osebma gaanadgures qarTlis saxelmwifo garda ramdenime kuTxisa/xevisa _ egrisisa, kaxeTisa da klarjeTisa:

“მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავიტგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჯრნეს ველნი არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დავახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი. *romel daurces warutyuenvlad Bevni qarTlisani, kaxeTi da klarjeTi da egrisi*, ჩავლეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგი-ცა და განვლეს კარი

დარუბანდისა, რამეთუ თვთ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი“ (leonti mroveli, 1955 <http://www.amsi.ge/istoria/qc/>).

2.6. vaxtang gorgaslis Svilis _ daCis _ drosac qarTlis saxelmwifos erT-erTi kuTxed, xevad, kaxeTis rangis saerisTavod, ganixileba egrisi:

“ხოლო ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოჯრებულ იყვნეს ყოველნი ჳევნი ქართლისანი, თვნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა. და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“ (იქვე).

2.7. arCilisa da miris dros (arabebis agresiiis dros) egrisi (svaneTTan, TakuverTan da guriasTan erTad) qarTlis mefeebis Svilebs Soris ufrosis piradi samflobeloa:

“ხოლო მირ დამძიმდა წყლოლებისა მისგან მოსიკუდიდ, და რქუა ძმასა თვსსა არჩილს: “მე ესე-რა წარვალ, ძმაო, მამათა ჩუენთა თანა; არამედ წარმეც და დამვალ საფლავსა მამათა-ვე ჩუენთა თანა და შენ გაუწყო აღგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალევეთა სადა არს. და არა მივის ძე-წულიშვილი მკვდრად, არამედ მისხენ შვდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკვდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა, მირიან მეფისა. და შენ თვთ უწყი, ვითარმედ ქალი, შვილი ჩუენი, არა მივსცით ერის-თავთა ჩუენთა ცოლად. ანუ მივსცით მეფეთა, ანუ მო-ვინ-მე-ვიდის სპარსთავან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან, ასული მისი ცოლად. და ჩუენ შემციირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო. აწ რათვან მოიყვანნიან მამათა ჩუენთა ცოლნი ასულნი ერის-თავთა ჩუენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკურთი, არგუეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუამთიულოეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა“¹ (იქვე).

2.8. arabobis dros egrisis mTavari qalaqi qarTlis mefeebis saZvalea:

“და მამა-ცა ჩუენი მოკულდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეციოთ იგი მცხეთას, წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებელად სამკვდროსა ჩუენისა, და შენ დაადგერა და ემოყურებოდი ბერძენთა, ვიდრემდის განქარდეს ბნელი ესე“ (leonti mroveli, 1955 <http://www.amsi.ge/istoria/qc/>).

2.9. arabobis dros quTaisiis qveyanaSi (mxareSi) _ moxerisSi, rogorc egrisis yvelaze dacul adgilas, arCili da miri inaxaven saxelisuflebo ganZs:

“და შენ წარიხუენ ორნი იგი გვრგვნი, ოქროსა და ანთრაკისანი: ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი, რომელი მოუძღუნა სპარსთა მეფემან ვახტანგს, ყოველსა თანა ოქროსა და ვერცხლსა, რომელი აჰკიდა ხუთასსა და მკვრცხლსა ორიათასსა; და შენ და მამამან ჩუენმან dasdeviT

igi quTaTiss da cixe-gojs".

დავძენთ:

ამავე ცნობებს ადასტურებს გიორგი მერჩულეც, რომელიც აფხაზეთს, იმავე ეგრისს, ქართლის ერთ-ერთ მხარეს განიხილავს ცნობილ ფორმულაში; კერძოდ, მისი აზრით, ქართლია ფრიადი (მრავალი) მხარე (კუთხე), სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღესრულება.

3. saqarTvelos aRorZineba tao-klarjeTidan ki daiwyo, magram afxazeTis/egrisis centri - quTaisi, rogorc qarTuli mxareebis centrebs Soris yvelaze daculi centri, 978 wels gaxda bagrat III-is mier axladgaerTianebuli saqarTvelos dedaqalaqi (ბაგრატის მეფობის დროს აიგო ბაგრატის ტაძარი).

საქართველოს გაერთიანების პროცესში განსაკუთრებული წვლილი აქვს დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთა სამეფოში, ცენტრით ქუთაისი) მოღვაწე ფეოდალს იოვანე მარუშისძეს (მარუშიანს), რომელიც იყო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფის – თეოდოსის – ერისთავი ქართლში (გ. გაბუნია, 1996: 71-74).

ქუთაისიდან მართავდნენ სრულიად საქართველოს ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II და დავით IV აღმაშენებელი, რომელიც ქუთაისში ავიდა ტახტზე 1089 წელს³. ქუთაისი დედაქალაქი იყო 1122 წლამდე. დავით აღმაშენებელმა 1106-1125 წლებში ქუთაისთან ახლოს ააგო გელათის ტაძარი და უმაღლესი სასწავლებელი – აკადემია, რომელიც “მეორე იერუსალიმად” და “სხუად ათინად” იწოდებოდა. ამ პერიოდის “ქუთათის ქვეყანას” უკავშირდება ისეთი დიდი ქართველი მოღვაწეების სახელები, როგორცაა: გიორგი ჰყონდიდელი და იოანე პეტრიწი.

4. dedaqalaqis TbilisSi gadatanis Semdeg mcirdeba quTaisis zogadqarTuli roli. quTaisi knindeba osmaleTis agresiiisa Tu TurqTa quTaisSi yofnis periodSi (1510-1770 ww.).

სიმბოლურია ისიც, რომ ბაგრატის ტაძარი მეტად ზიანდება 1770 წელს თურქეთის სამხდრო შენაერთებისა და ტოტლებენის დაპირისპირების დროს (a. nikoleiSvili, o. nikoleiSvili, 2012: 24-29).

5. quTaisSi arsebuli imereTis samefos samefo karis, kerZod, solomon meoris survili iyo saqarTvelos gaerTianeba, რაზედაც ერეკლე მეორემ უარი თქვა. იმერეთის მეფის ინციატივა და სწორი ორიენტირები განდა საფუძველი 1790 წლის “იბერიელთა ერთობის ტრაქტატისა”...

³ vrclad ix.: g. gabunia, quTaisi, "qutaisi samoqalaqosa" da quTaTisis queynis" (Sida egrisi) istoriuli funqciis, misi adgilis, rolisa da mniSvelobis sakiTxisaTvis saqarTvelos istoriasa da kulturaSi, "didi quTaisi" (akaki wereTlis saxelmwifo universitetis samecniero Sromebis krebuli), quTaisi, 2010: 25-54; quTaisi istoriis Sesaxeb ix., agreTve: v. CakvetaZe, quTaisi istoridan, Tb., 1960; v. jaoSvili, quTaisi, ekonomikur-geografiul gamokvleva, Tb., 1989.

6. XIX saukunis meore naxevarsa da XX saukunis dasawyisSi saqarTvelos inteleqtualuri elitis ZiriTad nawils quTaisSi aRzrdili pirovnebebi Seadgendnen.

ქუთაისის ინტელიგენცია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან: დიმიტრი ყიფიანი, სერგეი მესხი, აკაკი წერეთელი, ანტონ ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოსი, გიორგი შერვაშიძე, მამია გურიელი, კიტა აბაშიძე, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სილოვან ხუნდაძე, იოსებ ოცხელი, ზაქარია ფალიაშვილი, კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, კოტე მესხი (თეატრი), მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძე და სხვ. ქუთაისში გამოდიოდა ათეულობით გაზეთი (g. gabunia, 2010: 48-50; r. saRinaZe, 2011: 5).

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებს აღარ შეეხებები (ამ თემებზე სხვა მოხსენებებიცაა); **აღვნიშნავ მხოლოდ ერთს:**

გასული საუკუნის ბნელ 90-იან წლებში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ქართველური დიპლომატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დაარსებული ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “quTaisuri saubrebi“ გადაიქცა პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერული აზრის აღორძინების ცენტრად. ამ სიმპოზიუმების ფარგლებში ჩაისახა და დღემდე უწყვეტად გამოდის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი “qarTveluri memkvidreoba“.

ბოლო პერიოდში ქუთაისის როლის აღორძინების მცდელობად უნდა მივიჩნიოთ პარლამენტის გადატანა ქუთაისში, თუმცა ეს პროცესი ახლა შეჩერებულია.

დღეს ქუთაისს არა აქვს თავისი კუთვნილი გამორჩეული ადგილი საქართველოს პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ, ვფიქრობ, ასეთი პასიური პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდება; ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ქუთაისში მოღვაწე ეროვნული მასშტაბის ადამიანების სიმრავლე; სანიმუშოდ დავასახელებ ჩემთვის ახლობელ ადამიანებს, მხატვრებს: ოთარ ქანდარას, არსენ ფოჩხუას, თემურ თადუმაძეს, ვიტალი კაპანაძეს, ჯავა ჭეიშვილს, არჩილ და სოსო ჩოგოვაძეებს, დიმიტრი შანიძეს, ვალერი მემშარიაშვილს; გობელენის დიდოსტატებს: თამარ (ბაილა) ჭეიშვილს, მერაბ ვალიკოვს; ცნობილ მეცნიერებს: ავთანდილ ნიკოლეიშვილს, მერაბ კეზევაძეს, თემურ სურგულაძეს, გიორგი ონიანს, დავით ნიშნიანიძეს; მწერლებს: რეზო ჭეიშვილს, ოტია იოსელიანს, ზურაბ კუხიანიძეს, ლილი ნუცუბიძეს, ზაალ ებანოიძეს, ელგუჯა თავბერიძეს, გიზო თავაძეს, თორნიკე ერისთავს, გია ხოფერიას, ომარ გვეტაძეს, სოსო იარღანაშვილს, ცირა ყურაშვილს, სერგო წურწუმიას, ნანა გასვიანს; ჟურნალ “განთიადის“ გამომცემლებს ავთანდილ ყურაშვილსა და თემურ ამყოლაძეს; ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ამბიციურ პროექტს – ქართველოლოგთა (და ბიბლიოთეკათმცოდნეთა) ყოველწლიურ სიმპოზიუმს და სამეცნიერო ჟურნალ “წელიწდეულს“ და სხვ.

ამრიგად,

ქუთაისი საუკუნეების მანძილზე იყო საქართველოს სასულიერო და

სამეფო ცენტრი; შესაბამისად, აქ თავს იყრიდა ქართული ინტელექტუალური ელიტა. საქართველოს ეს მხარე იშვიათად იყო დაპყრობილი გარეშე მტრისაგან, რამაც განაპირობა სამწიგნობრო კულტურის, ზოგადად, ქართული კულტურის უწყვეტი და შეუქცევადი განვითარება.

თანამედროვე დემოგრაფიული და ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როცა ქუთაისიდანაც გაედინება ნიჭიერი ახალგაზრდობა, ქუთაისის უდიდესი გამოწვევაა ეროვნული მასშტაბის ქართულენოვანი ცენტრობის შენარჩუნება. ამ გამოწვევას ნამდვილად არ წაადგება 60 000 უცხოენოვან სტუდენტზე გათვლილი უნივერსიტეტის მშენებლობა და ქუთაისში უცხოენოვანი ანკლავების გაჩენა. თუ სწორად არ დაგვემავთ ქუთაისის მომავალს, თანამედროვე გლობალისტურ სამყაროში მალევე დავშრეტთ “ქუთაისის ქვეყანას“, როგორც ქართული ცნობიერებისა და ქართული კულტურის ანკარა წყაროს; *wyaros, romelmac dRemde SeinarCuna TavisTavadoba bunebrivi geografiuli daculobis gamo.*

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი ზღუდეები (კავკასიონი, ზღვა, გარშემო ქართული მხარეები...) აღარ მუშაობს: ინტერნეტისა და რაკეტების ეპოქაში ბუნებრივ დამცავ ბარიერს აღარ წარმოადგენს მეზობელთა მეციხოვნეობა თუ კავკასიონის მთაგრეხილი; თანამედროვე პირობებში დამცავი “ზღუდე“ უნდა იყოს ქართულენოვანი მეცნიერება, ქართულენოვანი კულტურა, ზოგადად, ქართულენოვანი ცნობიერება. შესაბამისად, აუცილებელია, როგორც საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ასევე, ქუთაისში მოქმედმა პოლიტიკურმა სპექტრმა ნათლად გააცნობიეროს ქუთაისისათვის ტრადიციული და შეუცვლელი როლი ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურისათვის. გამომდინარე აქედან, ქუთაისის ისტორიული ფუნქციის გათვალისწინებით დაგეგმოს ქალაქის კულტურული და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცხოვრება.

damowmebuli literatura

- g. gabunia, 1996** – გ. გაბუნია, ასე იწყებოდა დიდი საქართველო, ქუთაისი, 1996.
- g. gabunia, 2010** – გ. გაბუნია, ქუთაისის, “ქუთაისის სამოქალაქოსა“ და ქუთათისის ქუეყნის (შიდა ეგრისი) ისტორიული ფუნქციის, მისი ადგილის, როლისა და მნიშვნელობის საკითხისათვის საქართველოს ისტორიასა და კულტურაში, დიდი ქუთაისი“: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ქუთაისი, 2010.
- georgika, 1965** – გეორგია 2, 1965 (პროკოპი კესარიელი, “გოთებთან ბრძოლა“); http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3326/1/Georgika_1965_tomi_II.pdf. 10.02.2019.
- o. lanCava, 1996** – ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი, 1996.
- leonti mroveli, 1955** – ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტომი I, თბ., 1955; <http://www.amsi.ge/istoria/qc/>
- a. nikoleiSvili, o. nikoleiSvili, 2012** – ა. ნიკოლეიშვილი, ო. ნიკოლეიშვილი, ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX საუკუნეები), ქუთაისი, 2012.
- r. saRinaZe, 2011** – რ. საღინაძე, ქართული პერიოდიკისა და პრესის ენის ისტორიიდან, თბ., 2011.
- t. futkaraZe, 2005** – ტ. ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2005.
- v. CakvetaZe, 1960** – ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960.
- v. jaoSvili, 1989** – ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989.

TARIEL PUTKARADZE

ABOUT THE REASONS FOR THE DISTINCTIVE ROLE OF KUTAISI IN THE LINGUISTIC-CULTURAL STATE IN THE HISTORY OF GEORGIA

Kutaisi has been the center of Georgian culture and spirituality from ancient times. Such a role and function was determined by several factors in the history of the Georgian nation: The country of Kutaisi (Old Ingrid, Mokhris; Imereti) was fully protected by outer Georgian parts:

- To the north by the Caucasus Mountains, whose passages were controlled by Georgians from Svaneti or Racha-Lechkhumi;
- In the south, Georgian Meskhetians guarded the territory;
- To the east - Kartlians;
- From the west - the sea.

Accordingly, gifted Georgians living in this part of central Georgia had more time and disposition for the development of creative thinking and culture. Such geographical location defined the special role of Kutaisi, and many facts emphasizing Kutaisi's unique historical role. For centuries Kutaisi has been the theological and royal center of Georgia; Consequently, the Georgian intellectual elite gathered here. This part of Georgia was rarely conquered by a foreign enemy, which defined the continuous and irreversible development of literary culture, and

culture in general. In the modern demographic and economic crisis, when talented youth are flowing out of Kutaisi, the greatest challenge for Kutaisi is to maintain a national-level Georgian-language center. Building a university for 60,000 foreign-language students and opening foreign-language enclaves in Kutaisi will certainly not be a benefit for the city. If we do not plan the future of Kutaisi, we will soon drain the "country of Kutaisi" in the modern global world, As a pure source of Georgian consciousness and Georgian culture; **a source that has survived to this day for its natural geographical protection.**

In modern conditions, the natural barriers (the Caucasus, the sea, the surrounding Georgian parts) no longer work: in the age of the Internet and missiles, guarding of neighbors or the Caucasus range can no longer be considered as the natural protective barrier; In modern conditions, the protective "edge" should be Georgian-language science, Georgian-language culture, and generally Georgian-language consciousness. Accordingly, it is necessary for both the central government of Georgia and the political spectrum in Kutaisi to clearly understand the traditional and indispensable role of Kutaisi for the Georgian state and Georgian culture, Accordingly, take into account the historical function of Kutaisi, plan the cultural and educational-scientific life of the city.

**ლეილა ქველიძე
ნათია სვინტრაძე
მოჰსენ ჰეიდარნია**

**ქართულ-აღმოსავლური ასტრონომიული ტერმინოლოგია
ქუთაისის ნ. ბერკენიშვილის სახელობის სახელმწიფო
ისტორიულ მუზეუმში ღაცული ხელნაწერის მიხედვით**

ქართული, სპარსული და არაბული ასტრონომიული ხელნაწერები დიდი რაოდენობითაა დაცული საქართველოს სიძველეთსაცავებში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი და მუზეუმები). ძირითადად ეს არის ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები, რომლებიც ხშირად ჩართულია საერო თუ სასულიერო შინაარსის ტექსტებში. მათში ასახულია ძველი კოსმოლოგიური წარმოდგენები, თეორიები, მოდელები. თითქმის მეთექვსმეტე საუკუნემდე სამყაროს აგებულების გეოცენტრული სისტემა მიჩნეული იყო ჭეშმარიტებად. აღნიშნული სისტემის ბაზაზე შეიქმნა პლანეტების, მზისა და მთვარის ხილული მოძრაობის მათემატიკური თეორია. მას დასრულებული სახე მისცა ცნობილმა ალექსანდრიელმა ასტრონომმა კლაუდიუს პტოლომემ. პოლონელმა ნიკოლოზ კოპერნიკმა სამყაროს გეოცენტრული სისტემის ნაცვლად მზის სისტემის აგებულების მეცნიერულად დასაბუთებული სურათი მოგვცა – ჰელიოცენტრული სისტემა. რაც შეეხება აღმოსავლურ სამყაროს, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბირუნის, ნასირ ედ-დინ თუსელის, ულუგბეგისა და სხვათა თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა. დროთა განმავლობაში პროგრესი განიცადა ასტრონომიული დაკვირვებებისათვის გამოყენებულმა ტექნიკამაც.

საქართველოში ასტრონომიის ჩასახვისა და განვითარების შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემონახული, რაც ძირითადად განპირობებული იყო ქვეყნის განვითარების ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით. ამ დარგის განვითარება კი გარკვეულწილად დაკავშირებულია აღმოსავლურ სამყაროსთან. საინტერესოა, რომ მერვე საუკუნის ბოლოს თბილისში, ნარიყალაზე, არაბების მიერ აგებული ასტრონომიული ობსერვატორია არსებობდა, სადაც მუშაობდნენ ისა არ რაკი ათ თიფლისი (X ს.), ჰუბაიშ ათ თიფლისი (XII ს.), ფახრ ედ დინ ალ ხილათი (XIII ს.). ობსერვატორია და თანამშრომლები მაჰმადიანური სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ისინი გარკვეულწილად დაკავშირებული იყვნენ ქართულ გარემოსთან. ასევე ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი დაინტერესებული ყოფილა ქართველ მეცნიერთა კადრების აღზრდით და მუსლიმ მეცნიერთაგან ასტრონომიული ცოდნის მიღებასაც ცდილობდა. პროტებისა და სუფიებისათვის ცალკე სახლი აუგია, მათთვის საზეიმო

მიღებებსაც მართავდა და ეკონომიურადაც ეხმარებოდა. სწორედ დავითს მიეწერება გელათის აკადემიის გვერდით ობსერვატორიის აგება და ასტრონომიული დაკვირვებების წარმოება, ასევე კუთხმზომი ასტრონომიული ხელსაწყო – ასტროლაბის პრაქტიკულად გამოყენება და სხვა (ქსე, I: 650). შემდგომში საქართველოში ასტრონომიული ცოდნის გარკვეულ დონეზე მიუთითებს მთელი რიგი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ძეგლების არსებობა, რომლებშიც ასევე განხილულია ასტრონომიის საკითხები. სწორედ ამ რიგის თხზულებათა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერი №598 (ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი), საფილოსოფოსო წიგნი. 1764 წ.: 116 ფ.: ქალაქი; 20*16; ხელი: მხედრულით; გადამწერი: სიონის დეკანოზი ნიკოლოზი (ქიემ, ხელნაწერთა აღწერილობა 1964; 228). ხელნაწერში წარმოდგენილია ასტრონომიული და ასტროლოგიური შინაარსის მასალა, ასევე ნახაზები, პირობითი ნიშნები და ნახატები; შესავლის მიხედვით ხელნაწერს “ხირომენტია“ ეწოდება და შედგება 30 თავისგან. მასში მოცემულია მთვარისა და პლანეტების სიდიდეები, მზისა და მთვარის დაბნელების აღწერილობები, კალენდრები, ცის სარტყელები. ტექსტში პარალელურად ვხვდებით ლათინურ, არაბულ-სპარსულ, ქართულ დასახელებებს. სწორედ ტერმინოლოგიის მრავალფეროვნების გამო მიიპყრო აღნიშნულმა ხელნაწერმა ჩვენი ყურადღება. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება არაბულ-სპარსული ტერმინები, ძირითადად ვარსკვლავების, პლანეტების, ზოდიაქოს ნიშნების დასახელება. პარალელურად გამოყენებულია ქართული ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინებიც.

აღმოსავლური ტერმინოლოგიის შესწავლა არაერთი თვალსაზრისითაა საინტერესო, რაც მათი სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვით არის განპირობებული. დიდი რაოდენობით სპარსულ, არაბულ, თურქულ ტერმინოლოგიას ვხვდებით როგორც შუა საუკუნეების აღმოსავლურ, ისე ქართულ წყაროებში, ნარატიულსა თუ დოკუმენტურ, მხატვრულ ნაწარმოებებში (“ვეფხისტყაოსანი“, “ვისრამიანი“, “თამარიანი“). სხვადასხვა დროსა და ეპოქაში მათ დადასტურებას აღნიშნულ წყაროებში თავისი მიზეზები ჰქონდა. აღმოსავლური ტერმინების კვლევისას საკითხი პირველ რიგში ასე უნდა დაისვას, რამდენად სწორად ხდება მათი გააზრება და გაგება, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო ძიებისას. საქართველოში აღმოსავლური ტერმინოლოგიის სხვადასხვა დროს გავრცელება აღმოსავლეთთან ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობის ერთ-ერთი შედეგია. აღმოსავლური ტერმინები ქართულ საბუთებში X-XI საუკუნეებიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო ხშირდება. XIII-XIV საუკუნეებიდან, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე არაბულისა და სპარსული ტერმინების გვერდით თურქული წარმოშობის ტერმინები ვრცელდება და მათი რაოდენობა იზრდება XVI-XVII სს. სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის ზეგავლენის შედეგად (მ. გაბაშვილი, 2017: 45).

არანაკლებ მნიშვნელოვანია აღმოსავლური ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემა. გასარკვევია, რამდენად მართებულადაა ამ თარგმანებში აღმოსავლური ტერმინოლოგია გადატანილი და რამდენადაა შენარჩუნებული

რეალური შინაარსი და მნიშვნელობა. ზოგ შემთხვევაში თარგმნილ ტექსტში აღმოსავლური ტერმინი უცვლელი სახით რჩება, რაც მართებულია, მაგრამ ზოგჯერ, ერთსა და იმავე კონტექსტში ტერმინები ხან ითარგმნება, ხანაც პირდაპირ არის გადმოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე.

ასტროლოგიურ-ასტრონომიული აღმოსავლური ტერმინოლოგიის თარგმანთან დაკავშირებით ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წმინდა ასტრონომიული შინაარსის ქართულენოვან შრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია და საქართველოს მუზეუმებში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და არქივში დაცულ ასტრონომიულ დაკვირვებებზე დაფუძნებული კალენდარული ტრაქტატები, ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ძეგლები, რომლებშიც ასტრონომიისა და ასტროლოგიის საკითხებია განხილული, გვიდასტურებენ, რომ სხვადასხვა დროს საქართველოში მოქმედ უმაღლეს რიტორიკულ სკოლასა (III-IV სს.) და გელათისა და იყალთოს აკადემიებში ერთ-ერთი სასწავლო დისციპლინა ასტრონომიაც იყო. ამ დროს კი ასტროლოგიურ-ასტრონომიული ტერმინოლოგია ფაქტობრივად ქართულ ენაზე არ არსებობდა.

საქართველოში მოგვიანებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ასტრონომიული თხზულებების თარგმნა. უმთავრესი ყურადღება ექცევა უცხო წარმოშობის სპეციფიკურ ტერმინთა ზუსტი ქართული ეკვივალენტის მოძებნას. ამასთანავე, გვხვდება უცხოენოვანი ტრადიციიდან უცვლელად შემოტანილი აღმოსავლური ტერმინები. ამ პირობებში ვახტანგ მეექვსე ცდილობს შექმნას თარგმანები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აღადგენდა პრაქტიკულ ჩვევებს, მისცემდა ქართველ მკითხველს გარკვეულ თეორიულ ცოდნას ასტრონომიაში და დაამკვიდრებდა ქართულენოვან სამეცნიერო ტერმინოლოგიას. ვახტანგის მეცნიერული თარგმანები უმდიდრეს მასალას იძლევა მათში წარმოდგენილი ლექსიკა-ტერმინოლოგიის მხრივ. ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერი წიგნი შეიცავს ზოგიერთ ისეთ ტერმინს, რომლებსაც ვახტანგი სისტემატურად იყენებს თარგმნისას. მაგალითად:

burji (არ.: **برج** – **بروج**) “ზოდია გინა ეტლი” (“ზიჯის” ლექსიკონი).

ამ ასტროლოგიურ ტერმინს ჯერ კიდევ ბიბლიურ წიგნებში ვხვდებით: “ტყუბისა ბურჯი ოტერიდისა სახლი არის“. იგი “ეტლის” მნიშვნელობითაა ნახმარი XII ს-ის ხსენებულ თხზულებაში. “ესე ბურჯი (ლომისა) ქრისტიანეთა არს“. იგი მყარადაა დამკვიდრებული აღორძინების ხანის სალიტერატურო ენაშიც ეტლის პარალელურად: მაგალითად, თეიმურაზის “ლეილმაჯუნიაში” კვითხულობთ: “ეტლები რომელს ბურჯზე დგას, ქნიან ამისი ცილობა“. ცთომილთა ბურჯებში განლაგება, მათი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა საფუძვლად უდევს ასტროლოგიური განგების ცნებას.

ქართულში ეს ტერმინი არაბულიდან გავრცელდა. იგი ბერძნულ-რომაული სამყაროდან მოდის; მას უკავშირებენ ლათინურ **burgus** (ნოელკიდე). სულხან-საბას განმარტებით, ბურჯი “სხუათა ენაა ჟამთავან მოსული, ვარსკვლავთა ათორმეტთა ზოდიაქოთა უწოდებენ.“

ვახტანგი თავის ასტრონომიულ თარგმანებში **burjs** ძირითადად **etliT** ცვლის. გამონაკლისს წარმოადგენს “თალა მასალა“ სადაც ეს

ტერმინი ყველგან უცვლელადაა მოტანილი. საბა ეტლს ასე განმარტავს: “ეტლად აღუწერიათ 12 ზოდიაქი და შვიდნი ცთომილნი ვარსკვლავ(ნ) იცა“. როგორც აღვნიშნეთ, ამ არაბულ ტერმინს ხშირად ვხვდებით ხელნაწერ წიგნში, თუმცა გვაქვს მისი ქართული შესატყვისიც. აღნიშნული ტერმინი გვხვდება შედგენილ ტერმინში “ბურჯთა ცა“. “ბურჯთა ცა არის წრე, რომელსაც შემოწერს მზე თავისი სვლის დროს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ერთ წელიწადში“.

ბურჯი უცვლელადაა მეორე შედგენილ ასტრონომიულ ტერმინშიც – “ბურჯი ზაიდი“ – ბურჯი გამადიდებელი. ეს ტერმინი გულისხმობს ცთომილის იმ მდებარეობას, როდესაც იგი შუქს, ნათელს “იმატებს“ იმისდა მიხედვით, თუ რა მანძილზე იმყოფება იგი დედამიწიდან. ამრიგად,

ზაიდ **زاي (زائيد)** აღმოსავლურ ასტრონომიულ წყაროებში შედიოდა სხვადასხვა შედგენილი ტერმინის შემადგენლობაში და აღნიშნავდა “შუქის მომატებას“ ასევე განიმარტება იგი ვახტანგთანაც.

ასევე არაბულ-სპარსული Tayvimi / TaRvimi (არ. **تفويم** - ცხრილი, კალენდარი, აღმანახი) – სადაობა (ქართული განმარტება ვახტანგისეულ “ზიჯის“ ლექსიკონში). ამ ტერმინს არაბულში სხვა მნიშვნელობებთან ერთად აქვს “აღმანახის“ მნიშვნელობაც, სადაც მოცემულია ასტრონომიული და ასტროლოგიური წინასწარმეტყველებანი, აღნიშნულია “ავი“ და “ბედნიერი“ დღეები და ა. შ. კალენდრის, “სამკითხაო წიგნის“ მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ქართულშიც; მისი საშუალებით ხდებოდა მნათობთა და ვარსკვლავთა მდებარეობის მიხედვით ადამიანთა ბედის წინასწარმეტყველება. “აბდულმესიანში“ ვკითხულობთ: “იკითხვენ, სწერენ, თაყუმას სჩხრევენ, რამღს ჰკვრენ, არჩევენ ბედთა მათთაგან“ (თ. აბულაძე, 1990: 48). აღნიშნულ ასტროლოგიურ ტერმინს ვხვდებით თარგმანებში მერყევი ტრანსკრიფციით. თალუმს ვახტანგი უძებნის პირდაპირ შესატყვისს – “სადაობა“ და განმარტავს: “წლითი-წლად გამოარჩევენ რომელი მასკვლავი რას ეტლში არის...“ (“ზიჯის“ ლექსიკონი); ან წლითი-წლად გამოარჩევენ ვარსკვლავებსა ყოველ დღით რომელ ბურჯშია და იმ წელიწადს, რაც მოხდება, ამაებს დასწერენ, იმას სპარსნი Tayvims ეტყვიან“. “სადა“, “sadoba“, როგორც ლექსიკური ერთეული, შეტანილია სულხან-საბას ლექსიკონის ყველა რედაქციაში: “...სადაობისა შესმენანი არიან განყოფილებისაებრ ადგილისა: “ზემო, ქვემო, მარჯულ...“ “სადაობა“ ვახტანგთან უშუალოდ მნათობთა და ვარსკვლავთა მდებარეობას, ე. ი. წრიულ მოძრაობას უკავშირდება. მოტანილი ტერმინი ამავე მნიშვნელობით იხმარება იოანე დამასკელის “დიალექტიკის“ როგორც ეფრემ მცირის, ისე არსენ იყალთოელის თარგმანებში: “სადაობასა (შინა არს) მრგულივ ყვანებაი, რომელსაცა ეწოდების გარე-მოვლა.“ (ეფრემი). ტერმინი “სადაობა“, რითაც ვახტანგი განმარტავს თავის თარგმანებში გამოყენებულ სპარსულ ლექსიკურ ერთეულს თაყვიმი (**تفويم**), გარკვეულად უკავშირდება “დიალექტიკის“ ქართულ თარგმანებს.

ვახტანგ მეექვსის სახელს უკავშირდება ქართულში ისეთი ასტრონომიული ტერმინის შემოტანა, როგორცაა, მაგალითად, არაბული daraja (არ. – درجات – ხარისხი, გრადუსი, ნაწილი...) – “მენაკი“, რომელიც ასე განმარტება: “მენაკი გინა ხარისხი: ცა გაუყვიათ, ერთის წლისთვის მენაკი დაურქმევიათ. ულუღბეგის მიხედვით: ბურჯთა ცა გაყოფილია 12 ნაწილად და ეს არის ბურჯი... და თითოეული ბურჯის შემოწერილობა არის 30 დარაჯა (და) ყოველი დარაჯი არის 60 დაყიყი (და) ყოველი დაყიყი არის 60 სანია, (და) ყოველი სანია არის 60 სალისა“. ამ განმარტებაში არაბულ darajas ქართული მენაკი შესატყვისება, dayiyas – წუთი, sanias – წამი.

დარაჯას სხვა ძეგლებშიც ვხვდებით: მაგალითად, XII ს-ის ხსენებულ ასტროლოგიურ თხზულებაში “ეტლთ და შვიდთ მნათოთათვის“ კვითხულობთ: “თუითო დარაჯა“ “სამოცი დაყიყა“ არს. ეს არაბული ტერმინი ვახტანგამდე გაცილებით ადრე იყო დამკვიდრებული ქართულ მწიგნობრულ ენაში სხვა აღმოსავლურენოვან სპეციფიურ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინთა შორის.

ასტრონომიულ თარგმანთაგან განსხვავებით, დარაჯას ვახტანგი “ქილილა და დამანაში“ უცვლელად ხმარობს “ნაწილის“ მნიშვნელობით, მაგალითად: “მთვარე ახალი თოთხმეტი დღის მოარულობით გალეული სიმგურგლეობის დარაჯაზე მივა“ (თ. აბულაძე, 1990: 59).

manzili (არაბულად – ბინა, სადგომი...), muyimi (არ. مقام – ადგილი, მდებარეობა...), zamiri (არ. ضمير – ადგილი). ასტროლოგიაში ყოველ ცთომილს, რომელიც მოხეტიალეა თავისი ბუნებით (პლანეტეს ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან – მოხეტიალე, მოგზაური), აქვს თავისი სახლი (სავანე, სადგომი). ეს ცთომილთა პირველადი სადგომებია, სადაც ისინი იყვნენ დავანებულნი საყოველთაო მოძრაობის დაწყებამდე. სწორედ ამ კერებში გამოვლინდება მაქსიმალურად მნათობთა კეთილი თუ ბოროტი თვისებები. არაბულ ასტრონომიაში პლანეტათა სადგომებს ჩამოთვლილი ტერმინებით აღნიშნავენ. ამ ტერმინებს სისტემატურად ვხვდებით ქართულენოვან ასტრონომიულ თარგმანებში, თუმცა იგი ხშირად შეცვლილია მათი ქართული შესატყვისებით.

მანზილ ტერმინი შინაარსობრივად უკავშირდება მთვარის ფაზებს. თანამედროვე არაბულში ამ ტერმინის ერთ-ერთი სპეციფიკური მნიშვნელობა სწორედ მთვარის ფაზაა. “ქილილა და დამანაშიც“ ვხვდებით მანძილს/მანზილს ასტრონომიული გაგებით. მაგალითად: “მთვარესავით მანზილსა და მანზილს მიდგებოდა“. აქვე აღნიშნული ტერმინი ზოგადად “სახლის, ადგილის სადგომის“ მნიშვნელობითაც არის გამოყენებული.

ამრიგად, ქართული ასტრონომიული აზროვნება იკვებებოდა არაბული და ბერძნული ასტრონომიით; ამავე დროს მას ახასიათებდა გარკვეული დამოუკიდებლობა. ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა ასტრონომიული შინაარსის მდიდარ და მრავალფეროვან ქართულ ხელნაწერთა არსებობა, რომელთა შორის განსაკუთრებით მრავალადაა პრაქტიკული კალენდარული თხზულებები; მათი გარკვეული ნაწილი ქართულია, ორიგინალური, თუმცა

ისინიც განიცდიან ბერძნული და არაბული ასტროლოგიის ძლიერ გავლენას. პოპულარული იყო საქართველოში ზოდიაქური ქრონოლოგია და, საერთოდ, ასევე ზოგადასტრონომიული შინაარსის თარგმნილ შრომებსაც, სადაც მოძღვრება ზოდიაქოს შესახებ. მოგვეპოვება მრავალი ასეთი ქართული ხელნაწერი, რომელთაგან ზოგიერთი X-XI სს. მიეკუთვნება. ვხვდებით

არცთუ უმნიშვნელოა ქართველ მთარგმნელთა წვლილი უცხოური ტერმინების გარკვეული სახით შესწორებებისა და შევსება-დამატებათა კუთხით. ქართულ ასტრონომიულ თხზულებებში წარმოდგენილ სპეციფიკურ ტერმინთაგან ზოგიერთი, როგორცაა: კვირის დღეების, თვეების, პლანეტათა სფეროების სახელწოდებები, უძველესია თავისი წარმოშობით.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ იოანე დამასკელის “წყაროი ცოდნისაის” ქართული თარგმანები, შესრულებული ეფრემ მცირის და არსენ ვაჩესძის მიერ, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ასტრონომიული, გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური და სხვა სახის ტერმინოლოგია. შუა საუკუნეებში ასტრონომიული მეცნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული ასტროლოგიასთან. აღმოსავლური ასტროლოგია უაღრესად რთული სისტემაა: იგი ჩამოყალიბდა ბერძნული მემკვიდრეობის (არისტოტელე, პტოლომე) და აღმოსავლურ აღმოჩენათა სინთეზის ბაზაზე, შემდგომ განვითარდა როგორც თვითმყოფადი აზროვნება და შუა საუკუნეებში უკვე ასტრონომიულ მეცნიერებასთან განუყოფელი კავშირი ჰქონდა. წამყვანი როლი კი მიენიჭა ცოცხალ, დაკვირვებით ასტრონომიას.

მეცნიერულ ნაშრომთა თარგმნისას უმთავრესი ყურადღება ექცევა უცხო წარმოშობის სპეციფიკურ ტერმინთა ზუსტი ქართული ექვივალენტის მოძებნას, თუმცა გვხვდება უცხოენოვანი ტრადიციიდან უცვლელად შემოტანილი აღმოსავლური ტერმინებიც. შუა საუკუნეებში საქართველოში ქართულ ასტრონომიულ ტერმინთა დიდი ნაწილი დაკარგული ან შეცვლილი იყო უცხოენოვანი შესატყვისებით და ამ პირობებში ქართულში ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინთა შემოტანა ხშირად ვახტანგ მეექვსის სახელს უკავშირდება. ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერი წიგნი შეიცავს ზოგიერთ ისეთ ტერმინს, რომლებსაც ვახტანგი სისტემატურად იყენებს თარგმნისას დედნისეული მასალის შესაბამისად. ასეთია, მაგალითად: ბურჯი, თაყვიმი, დარაჯა, მანზილი. ქართულ ასტრონომიულ თხზულებებში წარმოდგენილ სპეციფიკურ ტერმინთაგან ზოგიერთი (კვირის დღეების, თვეების, პლანეტათა სფეროების სახელწოდებები) უძველესი წარმომავლობისაა.

damowmebuli literatura da wyaroebi

T. abulaZe, 1990 – თ. აბულაძე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბ., 1990.

T. abulaZe, 2015 – თ. აბულაძე, სამეცნიერო შინაარსის ქართული ხელნაწერები და აღმოსავლური კულტურული ტრადიცია, მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2015.

m. gabaSvili, 2017 – მ. გაბაშვილი, აღმოსავლური ტერმინოლოგიის სწორი გაგების მნიშვნელობა ისტორიული კვლევებისათვის, კსუ-ს საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომები, თბ., 2017.

r. Cagunava, 1990 – რ. ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა, თბ., 1990.

a. Sanize, 1975 – ა. შანიძე, ეტლთა და შვიდთა მნათობათათვის, თხზულება გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1975.

astronomiuli xelnawerebi saqarTveloSi, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი (გრანტი №11/20) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

sparsul xelnawerTa katalogi, 1977 – სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, (C კოლექცია), შეადგინა მ. მამაცაშვილმა, თბ., 1977.

xelnawerTa arweriloba, 1964 – ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბ., 1964.

**LEILA KVELIDZE
NATIA SVINTRADZE
MOHSEN HEIDARNIA**

**GEORGIAN TERMS OF EASTERN ASTRONOMY
ACCORDING TO MANUSCRIPTS HELD IN KUTAISI
N. BERDZENISHVILI STATE HISTORICAL MUSEUM**

Georgian, Persian and Arab astronomical manuscripts are in large amounts in Georgian Antiquities repository. Basically, they are fundamental scientific works, guide books and instructions, which are often involved in secular and ecclesiastical texts. They describe old cosmological views, theories, models.

Information about starting and developing astronomy in Georgia is very scarce. The development of this field is connected to the oriental world in some respect. Existing astrological knowledge in ancient Georgia is proved by a number of philosophical and theological materials, which also review astronomical issues.

The manuscript ¹ 598 kept in Kutaisi Public Library belongs to this kind of material (Kutaisi N.Berdzenishvili state museum). This is a philosophical book, 1764, 116 p, paper; 20*16, handwriting: Mkhedruli, copyist Deacon of Sioni cathedral, Nikoloz.(manuscript description, 1964; 228). The manuscript presents astronomical and astrological materials, graphics, conditional signs, and paintings. According to the introduction, the manuscript is called “palmistry” and consists of 30 chapters. You also encounter Latin, Arab-Persian, Georgian astrological terms. Generally, these are the names of stars, planets, zodiac signs.

Studying orientan terms in interesting in different respects, as they hold different meanings. Oriental and Georgian sources of different centuries contain numerous Persian and Arab terminology. Spreading oriental terms in georgian language can be explained by close communication with the eastern world.

Georgian researchers paid attention and started studying them a long time ago. We should emphasize the translation problem of oriental terms, how right their meanings are interpreted and translated.

დავით შავიანიძე

„ქუთაისური საუბრები“ -
ქართველოლოგთა დიდი სამეცნიერო შორეში
XX საუკუნის 90-იან წლებში

საქართველოს ისტორიაში ტრადიციულ ფურცლებად ჩაწერილ XX საუკუნის 90-იან წლებში, 1992 წლის დეკემბერში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა დიალექტოლოგიის „სახელგასმენილი“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შემდგომში „ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, დღეს კი „ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“.

ქართული სახელმწიფოს ნგრევის, ეროვნული ხელისუფლების დევნის, ქართველური ფასეულობების უგულვებელყოფის, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული კატასტროფის, „გამყიდველ-მძარცველთა“ სათარეშოდ გამხდარ საქართველოში დიალექტოლოგიის ინსტიტუტმა დაიწყო ბევრთათვის „გასაკვირი“ („საეჭვოც“ კი) დიალექტოლოგიურ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მოძიება და კვლევითი სამუშაოები. აღნიშნულ პერიოდში „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თუ სამეცნიერო საქმის წამოწყება“ „შემოქმედი საზოგადოების კეთილსინდისიერი ნაწილის დიდი შინაგანი ეროვნული ენერჯის გამოვლენა“ იყო. ინსტიტუტის მიერ „ველზე ცხოვრების“ პრინციპით, ინსტიტუტშივე შემუშავებული „კითხვარის“¹ საფუძველზე მოძიებული მასალა ქართველოლოგიური მეცნიერების დარგებისთვის კვლევის ერთ-ერთი სანდო პირველწყაროა. პროფ. რ. თოფჩიშვილი წერდა: „...იწერება ტექსტები, რომლის გამოყენება ყველა ეთნოგრაფს შეუძლია; მე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ისინი ყოველმხრივ სანდოა. ამიტომ კიდევ ვიმეორებ, გაკეთებულია საშვილიშვილო საქმე არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ ეთნოგრაფებისთვისაც. ვფიქრობ, მიზანი მიღწეულია“².

¹ ინსტიტუტს აქვს თავისი, დირექციის მიერ შემუშავებული პროგრამა-ინსტრუქცია, რომელიც განკუთვნილია საკვლევ სოფლებში „შეკრული წრის პრინციპით“ ხანგრძლივი დროით მომუშავე ჯგუფებისათვის. მომძიებელთა ჯგუფი სამ თვეში ერთხელ წარადგენს ჩაწერილ მასალას (დიალოგებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ბალადებს, გადმოცემებს, ხალხურ ლექსებს, სიმღერებს, წყევლისა და ლოცვის ნიმუშებს...); ამავე დროს ავსებს სხვადასხვა სახის დარგობრივ კითხვარებს.

² დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და „ქუთაისური საუბრების“ შესახებ სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი წარმოდგენილია საიუბილეო კრებულში: „ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი“ 20, ქუთაისი, 2013.

ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის "დიდმნიშვნელოვანი" საქმიანობის შედეგია ის, რომ აქვს თავისი პერიოდული სამეცნიერო ორგანო – ყოველწლიური რეფერირებადი ჟურნალი **"ქართველური მემკვიდრეობა"**³; სადაც იბეჭდება მომძიებელთა ჯგუფების მიერ ჩაწერილი "ერის სიცოცხლის", ეთნიკურ-კულტურული ისტორიის ამსახველი, ქართული დიალექტური მეტყველების ნიმუშები, **"ქუთაისური საუბრების"** მასალები. ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი და შთამბეჭდავი წახნაგი სწორედ 90-იან წლებში ერთადერთი ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმი – **"ქუთაისური საუბრები"** – ქართველოლოგთა არაკომერციული, ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ- კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმი იყო. XX საუკუნის 90-იანი წლების "ჩაბნელებულ, გათომილ, გავერანებულ, ყაჩაღების ასპარეზად ქცეულ საქართველოში ანთებული იმედის ნათურის" – "ქუთაისური საუბრების"⁴ – მეცნიერული პროდუქტი სიცოცხლისუნარიანად პასუხობდა ქვეყნის საჭიროებას (ნ. ბარათაია). მთავარ ღირსებად აღიარებულ იქნა შინაარსობრივი მრავალფეროვნება და ლინგვისტთა, ეთნოლოგთა, ფოლკლორისტთა და ისტორიკოსთა კომპლექსური ჩართულობით ქართველოლოგიაში მიღებული შედეგები (თ. გვანცელაძე).

ქართველოლოგიური მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ⁵ სიმპოზიუმებზე განხილული საკითხები: ქართველური დიალექტური მასალის მოძიების, ზანურ-სვანური დიალექტური ტექსტების ქართულ სალიტერატურო ენაზე თარგმანებისა და მათი გამოცემის პრინციპები; ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოლოგიისა და ფოლკლორის საკითხები; ადამიანთა ერთობა (ეთნოსი, ერი, ტომი, თემი, გვარი) – ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული ასპექტები; სამეტყველო კოდების შერევისა და მოზაიკური კულტურის საკითხები; ენობრივ-კულტურული სიტუაციის დინამიკა საქართველოში; ღვთისმსახურება: ენობრივი და კულტურული ასპექტები; საქართველო ისტორიულ ევრაზიულ სივრცეში (დიალექტოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტები); დიალექტი, ენა, კულტურა: ენობრივი (კულტურული) სისტემისა და ქვესისტემის გამიჯვნის ზოგადთეორიული პრობლემა; დიალექტი, ენა, კულტურა:

³ Jurnalisi mTavari redaqtori - prof. tariel futkaraZe, pasuxismgebeli redaqtori - asoc. prof. eka dadiani, redaqtori - prof. avTandil nikoleiSvili. Journals hyavs saredaqcio sabWo, romlis SemadgenlobaSi Sedian sxvadasxva dargis cnobili specialistebi. "qarTveluri memkvidreobis" pirveli tomi daibeWda 1997 wels.

⁴ simpoziumebi qalaq quTaisis maSindeli meris, batoni Teimuraz SaSiaSvilis xelSewyobiT finansdeboda.

⁵ "quTaisuri saubrebis" monawileebi iyvnen: giuli alasia, avTandil arabuli, irine da lili asaTianebi, nomadi barTaia, jondo bardaveliZe, guram bedoSvili, Tamaz beriZe, merab beriZe, Teimuraz gvancelaZe, grigol giorgaZe, giorgi gociriZe, korneli danelia, roland TofCiSvili, janri kaSia, otia kaxaZe, zurab kiknaZe, amiran lomTaZe, tristan maxauri, damana meliqiSvili, nunu mindaZe, nikoloz oTinaSvili, alegsandre oniani, TinaTin oCiauri, julieta ruxaZe, qeTevan sixaruliZe, Tedo uTurgaiZe, SuSana futkaraZe, naTela quTelia, mixeil qurdiani, rusudan SamelaSvili-zeqalaSvili, revaz Serozia, iza da greta CantlaZeebi, paata cxadaia, alesi WinWarauli, zurab WumburiZe, nana xazaraZe da sxvebi.

ქართველოლოგიური პრობლემები. სიმპოზიუმი სხვადასხვა დროს მიედგნა ბაგრატიის ტაძრის 1000 წლის იუბილეს, სტამბოლის ქართულ სავანეში პირველი წიგნის გამოცემიდან 130 წლისთავს, საქართველოში მოციქულთა შემობრძანებასა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას...

აქტუალობიდან გამომდინარე, მოკლედ შევეხებით “ქუთაისურ საუბრებზე” განხილულ საკითხს **ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დაშლის მიზნით შექმნილი თეორიების** შესახებ. პრობლემის ნაწილია თემა – **დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ენის საკითხისათვის VI-VII საუკუნეებში და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში; ეთნოლინგვისტურ ტერმინთა (“ტომი”, “ეთნიკური ერთეული”, “ეთნიკურ-ტერიტორიული თუ ტომობრივი ჯგუფი”, “ეთნიკური ჯგუფი”, “სუბეთნოსი”, “ეთნიკური ერთობა”, “ენა”, “ეთნონიმი”...)** არასწორ გამოყენება და ამის გამო სინამდვილის არაადეკვატურად წარმოჩენა. გავაყდრეთ მეცნიერთაგან მიღებული ჩვენი მოსაზრებანი: 1. ქართველთა ეთნოსის ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნა ეფუძნებოდა საერთო ტერიტორიის, საერთო დედაენის, საერთო კულტურის, რელიგიური ერთობისა და საერთო ქართული თვითშეგნების ქონას. ქართული სახელმწიფოს არაერთგზის დაშლის, მისი სამეურნეო-პოლიტიკური დაცემის პერიოდშიც კი სხვადასხვა კუთხეებად დაშლილ, პოლიტიკურ “საქართველოებში” ქართველური ერთიანობის თვითშეგნების, ეთნიკური კულტურის, ქართველთა ერთობის სახელმწიფოებრივი აზროვნების შენარჩუნებას ხელი შეუწყო საერთო ქართულმა თვითშეგნებამ, საერთო სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო დედაენამ და ქრისტიანობამ⁷; 2. აუცილებელია ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგიის სწორად გაგება, საჭიროებისამებრ გამოყენება (მაგ., გაუმართლებელია, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის აღსანიშნავად **ეთნიკური ჯგუფის, სუბეთნოსის, ტომის...** გამოყენება). ოფიციალურ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში არ უნდა დაფუძვთ საქართველოს სხვადასხვა თემის მკვიდრთა ეთნიკურ უმცირესობებად, ხოლო მათი საოჯახო-სალაპარაკო კილოების უმცირესობის ენებად კვალიფიცირება (დ. შავიანიძე, რ. კაშია, 2010: 18); 3. ეკლესიური ერთობა განაპირობებდა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთობას. ასე რომ, მტრის (ბიზანტია, ირანი...) სურვილის მიუხედავად, საქართველოს ისტორიის არც ერთ მონაკვეთში არ ყოფილა დასავლურ-ქართული ეკლესია მცხეთის საყდრიდან რელიგიური გათიშულობის საფუძველზე გამოყოფილი არაქართული ეთნიკურ-კულტურული ერთობა. ლაზიკის სამიტროპოლიტოსა და აბაზგიის საარქიეპისკოპოსოში არასდროს არ ყოფილა ენად ბერძნული და, შესაბამისად, ქართული ენაც იყო ყოველთა ქართველთა საერთო ეროვნულ-სარწმუნოებრივი ენა.

⁷ sakiTxTan dakavSirebiT vrclad ixile: t. futkaraZe, qarTvelebi, 2005; t. futkaraZe, e. dadiani, r. Serozia, "evropuli qartia regionuli anu umciresobis enis" Sesaxeb da saqarTvelo, 2010; t. futkaraZe, qarTvelTa dedaena da dialeqtobi, 2008; e. dadiani, t. futkaraZe, qarTveluri dialeqtologia, 2018; d. SavianiZe, samegrelo, 2015; d. SavianiZe, r. kaSia, r. xaWapuriZe, eTnoistoriuli kvlevebi, 2010.

ჩვენი არგუმენტები: ქართული წყაროების დაბეჭილებული მტკიცება, რომ დასავლეთი საქართველო მუდამ ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო. ასეთი მოსაზრება არსებობდა უძველესი ხანიდან XX ს-ის 30-იან წლებამდე; შუა საუკუნეებში საქართველოში რელიგია ეთნიკურობის განმსაზღვრელი იყო. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სალიტურატურო ენის განვითარება-განმტკიცებით ხელს უწყობდა ქართველი ერის კონსოლიდაციას. საქართველოში ქრისტიანობის არსებობის ჩვიდმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველი იყო ყველა (ეთნიკურად არაქართველიც - დ.შ.), ვინც ქრისტიანობას აღიარებდა შესაბამისი საღვთისმეტყველო ენით; ისტორიული გამოცდილება, რომ ქართველთა ეროვნული და "ენოვნური" "განცდის განუყოფლობის" შესახებ; V-IX საუკუნეებში საეკლესიო ქართულით შექმნილი ჰიმნოგრაფიული, ჰაგიოგრაფიული, ლიტურგიკული, ეპიგრაფიკული ძეგლები და სიგელ-გუჯრები; აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერები: მოქვი, ბეღია, ილორი, ლიხნი, წებელდა, წარჩე და ა.შ., სადაც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრები, წიგნთსაცავები, იწერებოდა ორიგინალური ქართული თხზულებები, ბერძნულიდან ითარგმნებოდა სასულიერო ხასიათის წიგნები, იქმნებოდა ხელნაწერები; შუა საუკუნეების ქართული დამწერლობის ნიმუშები, ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები). სულ აღრიცხულია VII-IX სს-ების ასზე მეტი ქართული ძეგლი, გვხვდება 22 ბერძნული და 6 თურქული წარწერა. ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი ნაწილი აღმოჩენილია ისტორიული ეგრისისა და თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებს (სამეგრელო, ქართლი, იმერეთი, ჯავახეთი) გარეთ. მნიშვნელოვანია, რომ თითქმის ყველა წარწერა შესრულებულია ქართული ასომთავრული დამწერლობით და ამოკვეთილია ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშებზე, ტაძრებსა და საეკლესიო ნივთებზე; ბიჭვინთელი ქტიტორის წარწერა VIII საუკუნის ტაძარზე: "აღუშენე ტაძარსა ამას "ცაშდუდარაი", ტბელი ჰიმნოგრაფების სიტყვაკაზმული ქართული: "აიღვთისსახლა", "აცისკრისფერა ბნელი"... (დ. შავიანიძე, ლ. ხაჭაპურიძე, 2013).

memorandumi: 2002 წლის 11-12 მაისს გამართულ ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმზე "ქუთაისური საუბრები" ენათმეცნიერთა, ეთნოლოგთა, არქეოლოგთა, ისტორიკოსთა და ფოლკლორისტთა მონაწილეობით შედგა საქართველოს, ქართველი ერისა და ქართული ენობრივი სისტემის მიმართ დადასტურებული "ორმაგი სტანდარტის გამანეიტრალებელი" "მემორანდუმი".

ქართველთა ენობრივ-კულტურული ერთიანობის საშიშროების მოხსნის სახელმძღვანელო "მემორანდუმის" შინაარსი: 1. ჰუმანიტარულ დარგებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა პოზიციების შეჯერება და საერთო თვალსაზრისის გამომუშავება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; 2. წარმოდგენილი პრობლემატიკის შესახებ საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზება; 3. საქართველოს ეთნოლინგვისტურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული უცხოური პუბლიკაციების მუდმივი

მონიტორინგი; 4. სპეციალური ვებგვერდის შექმნა, მისი სისტემატური განახლება; 5. მრავალენოვანი სამეცნიერო ჟურნალის საინტერნეტო ვარიანტის მომზადება, სადაც ასახული იქნება ქართველოლოგთა სიმპოზიუმის მუშაობის შედეგები. წარმოდგენილი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია გაფართოვდეს, სათანადო დაფინანსებითა და აპარატურით აღიჭურვოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (კრებული, 2013: 343-344).

qarTvelologTa Sefasebebi: tariel futkaraZe: “ჩვენი სიმპოზიუმი არის საქართველოს გაერთიანების, ქართველოლოგიის მომიჯნავე დარგების ურთიერთთანამშრომლობისა და სხვადასხვა თაობების ერთად მუშაობის მოდელი...“; **nomadi barTaia:** “ჩატარებული მუშაობით დიალექტოლოგიის ინსტიტუტი ნამდვილად ახალ ფურცლებს შლის ქართველური დიალექტოლოგიის ისტორიაში“ (კრებული, 2013: 177); **Teimuraz gvancelaZe:** “ქართველოლოგიაში მომუშავე მეცნიერებს კარგად ახსოვთ, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ქართველი ერის ისტორიული ფასეულობების – სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის – კვლევა მკაცრ ჩარჩოებში იყო მოქცეული, რაც იმას გულისხმობდა, რომ იზღუდებოდა იმგვარ საკითხთა კვლევა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ეროვნული ღირსების გრძნობის განმტკიცებას და შეაფერხებდნენ ქართველი ერის შემდგომ დაშლა-დაქუცმაცებას, მის დენაციონალიზებას. იმპერია ცდილობდა ქართველთა მოწყვეტა-იზოლირებას მშობლიური იბერიულ-კავკასიური სამყაროსგან, ტრადიციული ისტორიული ფესვების ამოძიკვას... რუსული იმპერიული პოლიტიკა XIX საუკუნიდან დღემდე ნერგავს თვალსაზრისს, თითქოს რაკი ქართველები ლაპარაკობენ სამ თუ ოთხ “ენაზე“, ეს იმას ნიშნავდეს, რომ მეგრელები, ლაზები (ჭანები) და სვანები ქართველები არ იყვნენ. საბჭოთა პერიოდში გაბატონდა მოსაზრება სამი თუ ოთხი “ქართველური ენის“ არსებობის შესახებ. დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ფუნქციონირების უმთავრეს პოზიტიურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ სწორედ ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ტ. ფუტყარაძემ თითქმის ერთი საუკუნის შუალედის შემდეგ კვლავ წამოიწყო პოლემიკა ქართველური ენობრივი სამყაროს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე სტრუქტურის შესახებ. სწორედ ტ. ფუტყარაძისა და დიალექტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა, აგრეთვე, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენელთა ჯგუფის დამსახურებაა იმ თვალსაზრისის აღორძინება, რომლის მიხედვითაც არსებობს არა სამი ან ოთხი “ქართველური ენა“, არამედ ერთადერთი ქართველური ენა“ (იქვე: 156-159).

დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტზე, მის მიერ დაარსებულ სამეცნიერო ფორუმზე საუბარს დავასრულებთ პროფესორ **paata cxadaias** მოსაზრებით: “კარგახანია, რაც ეს სიმპოზიუმები ტარდება. ყოველთვის ჩამოვდივარ და უზომოდ კმაყოფილი ვარ. ხშირად მონაწილეობენ საზღვარგარეთელი მეცნიერებიც. ეს კი მეტყველებს სიმპოზიუმის დიდ მნიშვნელობასა და მაღალ დონეზე. წლების მანძილზე გამოიკვეთა

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სახე. უნდა აღვნიშნო, თუ წინა წლებში ისინი ჩვენგან სწავლობდნენ, დღეს ჩვენ ვსწავლობთ მათგან. აქ დიდი საქმე კეთდება...“.

ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მემკვიდრე ქართველოლოგიის სამეცნიერ-კვლევითი ცენტრი ღირსეულად აგრძელებს დანერგილ ტრადიციებს.

damowmebuli literatura

krebuli, 2013 _ qarTveluri dialeqtologiis instituti, 20, saibuleo krebuli. redaqtoebi: d. SavianiZe, l. xaWapuriZe, m. TevdoraZe, guTaisi, 2013.

t. futkaraZe, 2005 _ t. futkaraZe, qarTvelebi, nawili I, Tb., 2005.

DAVIT SHAVIANIDZE**“KUTAISI CONVERSATIONS“ - BIG SCIENTIFIC FORUM
OF KARTVELOLOGISTS
OF THE 90S OF XX CENTURY**

The result of the important work of the famous scientific-research institution of dialectology founded during the 90s of the XX century, a period considered as a tragic page of the Georgian history, in the late December of 1992 is that it has its scientific organ - periodic annual referenced journal “Kartvelian heritage” - which publishes the **materials of Kutaisi conversations**, the samples of Georgian language-dialects depicting the livelihood of the nation and its ethnocultural history, prepared by the various research groups.

One of the most important and impressive details of the Dialectology institute is the only and annual international symposium founded in the 90s - Kutaisi conversations, noncommercial, linguistic-ethnological-cultural scientific forum. “As the main honor of the Kutaisi conversations was mentioned content diversity and linguistics, ethnology, folk studies and the results in Kartvelology contributed by the complex involvement of participants.” (T. Gvantseladze).

The subject matters of the symposium were important and problematic issues of the ethnic, linguistic-cultural history of the country discussed by the representatives of Kartvelological sciences. For example: issues of Kartvelian dialectology, ethnology and folk; unity of people (ethnos, nation, tribe, community, surname) linguistic, ethnic, folk aspects; “Issues of mixing speech codes and mosaic culture”; “Dynamics of linguistic-cultural situation in Georgia”, “Liturgy: linguistic and cultural aspects”.

Memorandum: on the IX symposium of Kartvelologists held on May 11-12, 2002 - Kutaisi Conversations - participated by linguistics, ethnologists, archaeologists, historians, and folklorists, launched the memorandum neutralizing double standards towards Georgia, Georgian

nation and Georgian language system. (Kartvelian dialectology institute, 2013 - editors: D. Svanidze, L. Khatchapuridze, M. Tedoradze, 2013: 342-344).

We have ambitious plans! We will survive the Georgian treasure in the future!

შალვა შარაშენიძე

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და ქუთაისი

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას ბევრი მნიშვნელოვანი თარიღი ახსოვს, რომელთა შორის თავისი ტრაგიკულობით უდავოდ გამოირჩევა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მიმდინარე მოვლენები.

წინამდებარე შრომის მიზანია, ჩვენს ხელთ არსებული მასალების, კერძოდ, აღნიშნული პერიოდის ადგილობრივი მასმედიისა და ქ. ქუთაისის საკრებულოს საგანგებო სხდომათა ოქმების საფუძველზე აღვადგინოთ 1991-1992 წლების ქუთაისში მიმდინარე მოვლენათა რეალური სურათი.

როგორც 1991 წლის 24 დეკემბერს გამოცემულ გაზეთ “ქუთაისის“ ფურცლებიდან ვგებულობთ, ქალაქის პრეფექტურისა და საკრებულოს შენობასთან (დავით აღმაშენებლის მოედანზე) მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც იგრძნობოდა ერთობის, გონიერებისა და სიყვარულის სულისკვეთება.

იმავე გაზეთში დაიბეჭდა ქ. ქუთაისის პრეფექტის არჩილ კოსტავას ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქში არსებული სტრატეგიული ობიექტების დამატებით დაცვით ღონისძიებებს. ამასთან, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ეკრძალებოდათ ქალაქის უნებართვოდ დატოვება. ბრძანებულების ტექსტი გადაიცა ადგილობრივი რადიოთი და გამოქვეყნდა პრესაში.

როგორც იმდროინდელი პრესის მასალებიდან ირკვევა, 1991 წლის დეკემბრის მიწურულისათვის თანდათანობით გაძნელდა, შემდგომ კი საერთოდ შეწყდა საკომუნიკაციო კავშირი რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან, აქედან გამომდინარე, ადგილობრივ პრესაში არ ქვეყნდებოდა დედაქალაქში მიმდინარე პროცესების შესახებ არსებული ინფორმაცია. იგი ძირითადად ეყრდნობოდა თბილისიდან ჩამოსულ მოქალაქეთა პირად მონათხრობს. რაც არც საკმარისი გახლდათ და არც სუბიექტურობისაგან იყო დაზღვეული.

ინფორმაციული ვაკუუმის გასარღვევად და იმერეთის (ქ. ქუთაისი) მცხოვრებთა ფართო მასების საქმის კურსში ჩასაყენებლად ქალაქის ხელმძღვანელობა ხშირად მიმართავდა მასიურ მანიფესტაციებს.

როგორც 1991 წლის 3 იანვარს გამართული ქუთაისის საკრებულოს საგანგებო სხდომის ოქმიდან ირკვევა (სხდომას საკრებულოს დეპუტატთა გარდა ესწრებოდნენ ადგილობრივი გაზეთისა და რადიორედაქციათა წარმომადგენლები: დ. გაბუნია და მ. ჭონიშვილი), დედაქალაქში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი შესაძლებლობის ფარგლებში და არეგულაროს კრიმინოგენური ვითარება, დაიცვას ქალაქში

არსებული მნიშვნელოვანი ობიექტები.

ზემოთ ხსენებული მასალები (ადგილობრივი პრესა, საკრებულოს საგანგებო სხდომათა ოქმები) აშკარად იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ 1992 წლის დასაწყისისათვის, მაშინ როცა ქალაქის ხელისუფლება ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენს რესპუბლიკის დედაქალაქში მიმდინარე სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორთა მიმართ, საზოგადოებრივი აზრი ამ უკანასკნელთან მიმართებით გაცილებით მკაცრია და აქტიურ ქმედებაზე გადასვლას მოითხოვს. ქალაქში თითქმის უწყვეტ რეჟიმში იმართება რესპუბლიკის ძალადობრივი გზით დამხობილი კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი დემონსტრაციები, მანიფესტაციები და ა.შ.

როგორც აღნიშნული პერიოდის ადგილობრივი პრესისა და თვითმხილველთა მონათხრობიდან ირკვევა, 1992 წლის 7 იანვარს სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბული ჩანს. პოზიციის მომხრენი დილიდანვე მიდიან პრეფექტურის შენობასთან, რომელშიც ოპოზიციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. შუადღისას მათი რაოდენობა მკვეთრად იზრდება, ყველა ერთად სკანდირებდა პრეზიდენტის მხარდამჭერ ლოზუნგს, თვითონ აღელვებულნი ერთმანეთს ამწვიდებდნენ, სისხლი არ დაიღვაროსო. შენობიდან არავინ გამოხმაურებიათ, ფანჯრებიდან იყურებოდნენ მხოლოდ. მოგვიანებით შეკრებილთა შორის გამოვიდა საკრებულოს მდივანი ომარ ნიშნიანიძე, მან იქ მყოფთ განუმარტა: მოვილაპარაკეთ და ოპოზიცია პრეფექტურის შენობას დატოვებსო. მაგრამ მათ შენობა არ დატოვეს. 8 იანვარს უფრო ორგანიზებული გახდა პოზიციის მოქმედება, ხალხის რაოდენობა გაორმაგდა, მოეწყო მანიფესტაცია. მსვლელობა აღმაშენებლის მოედნიდან რუსთაველის პროსპექტის გავლით ჯავახიშვილის ქუჩაზე შეჩერდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სადაც მეგაფონი მოითხოვეს. მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. აქ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ვაჟებმა გაისროლეს, ხალხი ამ ფაქტს ტაშით შეხვდა, თუმცა მიმოიფანტა და შემდეგ კვლავ შექუჩდა. სხვა მნიშვნელოვანი ინციდენტი არ ყოფილა. ანალოგიური ქმედებით ხასიათდება შემდეგი დღეებიც, კერძოდ, 1992 წლის 9 იანვარს გაზეთ “ქუთაისში” დაცული ცნობით, ქ. ქუთაისის მართვის მიზნით შეიქმნა დროებითი შტაბი საქართველოს რესპუბლიკის სახედრო საბჭოს რწმუნებულის ბრძანებით, რომელსაც დაევა ქალაქში არსებულ პრობლემურ საკითხთა შესწავლა და მათ მოსაგერიებლად შესაბამის ქმედებათა განხორციელება.

საბედნიეროდ, მიუხედავად ქალაქში შექმნილი მძიმე სიტუაციისა და მოქალაქეთა შორის აზრთა მკვეთრი პოლარიზაციისა, ქუთაისი სისხლისღვრას გადაურჩა. ქალაქის მაშინდელი ხელისუფლების დამსახურებად შესაძლებელია მივიჩნიოთ სამხედრო გადატრიალების მომხრეთა მიმართ გამოვლენილი ზემოთ აღნიშნული ლოიალური დამოკიდებულება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ხსენებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ ქ. ქუთაისში დანიშნული კომენდანტურა, ქალაქში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს ქალაქის სამართალდამცავ ორგანოებთან.

ამდენად, გაანალიზებული პრესის მასალებიდან ნათლად ირკვევა, რომ 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მიმდინარეობისას იმერეთის, კერძოდ, ქ. ქუთაისის საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა კანონიერ ხელისუფლებას და საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. ამასთან თვლიდა, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მიმდინარე პროცესი თავისი არსით გახლდათ სამხედრო გადატრიალება და რომ ამ გადატრიალების მომხრეებმა იარაღის ძალით ხელთ აიღეს ქვეყანაში ძალაუფლება.

რაც შეეხება ქ. ქუთაისის იმდროინდელ ადგილობრივ ხელისუფლებას, ის პოლიტიკურად სწორად მოტივირებულია, რადგან მან თავი აარიდა დედაქალაქში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ მკვეთრი პოზიციის გამოხატვას და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველ ღონეს მიმართა რესპუბლიკის სიდიდით მეორე ქალაქში თავიდან აეცილებინა სამოქალაქო დაპირისპირება.

ფრიად საინტერესოა ქ. ქუთაისის საკრებულოს 1992 წლის 13 იანვრის საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილ მწვავე პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით საკრებულოთა უფლებამოსილების განხორციელების, ქ. ქუთაისის საკრებულოს პოზიციის განსაზღვრის საკითხი. აღნიშნულ საკითხზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. დეპუტატმა ზ. ქაჯაიამ დააყენა წინადადება, თუ ვინ ცნობდა უზენაეს საბჭოს, როგორც კანონიერ არჩეულ ხელისუფლებას, ვინ სამხედრო საბჭოსა და დროებით მთავრობას. ხმათა უმრავლესობით საკრებულომ სცნო მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭო. მიღწეული გარემოების მიუხედავად, საკრებულოს უნდა განესაზღვრა ქ. ქუთაისის საკრებულოს ქმედითუნარიანობის საკითხი. დეპუტატ ნ. უგულავას აზრით, „ვინაიდან ყოფილი პრეფექტურის სამსახურები სამეურნეო საქმიანობაში აღმასრულებელ ფუნქციას ასრულებდნენ, განხორციელებინათ მუშაობა “საკრებულოს უშუალო ხელმძღვანელობით“, ყოველივე გადაწყვეტილიყო კენჭისყრით. დეპუტატ ქ. ჩხობაძის აზრით, “მაშინ, როდესაც სამხედრო საბჭოს გაუქმებული აქვს პრეფექტურის ინსტიტუტი, თუკი საკრებულო ხელში აიღებს აღმასრულებელ ფუნქციას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ალიანსში შედის ხუნტასთან. მე მივიჩნევ, რომ ზეწოლაა დეპუტატზე, თითოეული დეპუტატი ერთ პოზიციაზე უნდა ვიდგეთ.“ აქვე აზრს გამოხატავს ვ. ბაღდავაძე: “მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები იმათ მხარეზეა, ვისაც ხელში იარაღის ძალა აქვს, მართვის რეგულირება საკმაოდ რთულად წარმოსადგენია.“ მ. სანიკიძის აზრით, საკრებულოს უნდა აღედგინა მუშაობა და მას დაექვემდებარებოდა პრეფექტურის განყოფილებები. ფიროსმანიშვილის აზრით, „ისე, როგორც უზენაესი საბჭო, ჩვენც ვიმყოფებით თანაბარ სიტუაციაში, ე.ი. იარაღის ქვეშ, ვიდრე უზენაესი საბჭო არ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, ამ ეტაპზე ჩვენც შევწყვიტოთ საქმიანობა“.

დეპუტატთა ზემოთ გამოთქმული ნააზრევებიდან გამომდინარე, საკრებულო არ გახლდათ ერთიანი ქმედითუნარიანობის აღდგენის საკითხში. ნაწილი მიიჩნევდა, რომ საკრებულოს უნდა ემუშავა ჩვეულ რეჟიმში შესაძლებლობის გათვალისწინებით, ხოლო მეორე ნაწილი საკრებულოს

მუშაობის პროცესში ჩართვას ოპოზიციურ მთავრობასთან თანხმობად აღიქვამდა.

საბოლოოდ კენჭისყრით ოცი დეპუტატის მხარდაჭერით, მიღებულ იქნა დეპუტატ კ. ჩახუნაშვილის შემდეგი წინადადება: “ქუთაისის საკრებულო ცნობს მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას, იგი გააგრძელებს მუშაობას არსებული კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში პრეფექტურასა და მის სამსახურებთან ერთად. ამასთან, მოვითხოვთ ქალაქი დატოვონ შეიარაღებულმა ძალებმა.“ შესაბამის ოქმს თან ერთვის ქ. ქუთაისის საკრებულოს მიმართვა ქალაქის მოსახლეობისადმი.

ქუთაისის საკრებულო მხარს უჭერს რა ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს და უზენაეს საბჭოს, გმობს შეიარაღებული გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობას.

საკრებულო არ ცნობს არავითარ სხვა ძალას, გარდა კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლებისა და ე.წ. ოპოზიციის მიერ სამხედრო საბჭოს შექმნისა და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების მცდელობა მიაჩნია თვითმარქვია პოლიტიკოსების ავანტურად.

დეპუტატთა კორპუსი მიმართავს ქუთაისის მოსახლეობას, რათა არ წამოეგოს სახელმწიფო დამნაშავეთა პროვოკაციებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე და მტკიცედ დაუდგეს გვერდით კანონიერ პრეზიდენტსა და უზენაეს საბჭოს“.

იმავე საკითხს რესპუბლიკაში შექმნილ მწვავე პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით, საკრებულოთა უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე, ქ. ქუთაისის საკრებულოს პოზიციის განსაზღვრის შესახებ დაეთმო 1992 წლის 15 იანვარს ქ. ქუთაისის საკრებულოს მეორე სესიის მერვე საგანგებო სხდომა.

სესია გაიმართა ტექნიკის სახლის შენობაში, წმინდა ნინოს ქუჩაზე. სხდომის მუშაობაში საკრებულოს წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი გაზეთებისა და რადიორედაქციათა წარმომადგენლები: დ. გაბუნია და მ. ჭონიშვილი, ქ. ქუთაისის სამხედრო საბჭოს რწმუნებული მ. დვალიშვილი.

სესიის სხდომა გახსნა საკრებულოს მდივანმა, დეპუტატმა ო. ნიშნიანიძემ, სამხედრო საბჭოს რწმუნებული მ. დვალიშვილი ცდილობს ქუთაისის საკრებულომ განაგრძოს ქმედითი უფლებამოსილების განხორციელება. იგი აღნიშნულ სესიაზე მიმართავს საკრებულოს: “გთხოვთ დროულად გადაწყვიტოთ ქ. ქუთაისში მმართველობითი სისტემის ფუნქციონირების საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქუთაისს ეყოლება რესპუბლიკური რწმუნებული, ვისი მმართველობაც გაცილებით წინააღმდეგობრივი იქნება ქალაქში, ვიდრე თქვენი.

აუცილებელია საკრებულოს დეპუტატებმა გაიაზრონ ქალაქის მოსახლეობის აზრი და მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მათ დღეს ვერ ემსახურება ტრანსპორტი, არ არის წყალი, გაზი, ელექტროენერჯია, რომ არაფერი ვთქვათ სხვა აუცილებელ პროდუქტებზე, ხალხის დიდი რიგებია პურზე, ისინი ყველანი თითოეული თქვენგანის ამომრჩევლები არიან. არის ფაქტები იმისა, რომ შედიან ქალაქის საწარმოო დაწესებულებებში

და შრომით კოლექტივებს მოუწოდებდნენ უმუშევრობისაკენ. “ყოველივე ეს დესტაბილიზაციას შექმნის ქალაქში, რასაც არავითარ შემთხვევაში არავის ვაპატიებთ. ქ. ქუთაისში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან მიღწეულია შეთანხმება ქალაქში მმართველობითი ფუნქციების აღდგენისა და სტაბილური გარემოს შექმნის თაობაზე, გთხოვთ მიიღოთ დროულად გადაწყვეტილება და მაცნობოთ დღეს 6 საათზე“.

ბატონ მ. დვალიშვილს კითხვით მიმართავს დეპუტატი მ. ლორთქიფანიძე: რამდენჯერ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ თქვენ დათანხმდეთ? რეგლამენტით განმეორებით საკითხის დასმას თავისი წესი და კანონი გააჩნია, როცა საქართველოს უჭირს, ცოტა რეგლამენტსაც უნდა გადაუხვიოთ, – პასუხობს რწმუნებული.

მ. ლორთქიფანიძე: თბილისი თავის საჯავრებელს – დანგრეულ რუსთაველის პროსპექტს ჯავრობს, ქუთაისი – უტრანსპორტობას, უდენობას, უგზობას, უპურობას და სხვა რამეს უჩივის. მე კი მგონია, ასე ცალ-ცალკე კი არა, ერთიანი საქართველოს ბედი ერთ კონტექსტში უნდა გადაწყდეს.

ამის შემდეგ მ. დვალიშვილი ტოვებს სხდომას და რბაზს, რადგან კვლავ აზრთა სხვადასხვაობაა, “შემოვდივარ წინადადებით განმეორებით დაისვას საკითხი და პერსონალურად ეყაროს კენჭი, ვინ როგორ წინადადებას უჭერს მხარს. მე მგონია, რომ დეპუტატებზე ხდება დაწოლა და ვილაციის შეგავლენის ქვეშ ექცევიან“ – აღნიშნავს დეპუტატი გ. ბახტაძე.

მ. სანიკიძის აზრით, “ეს დაწოლა არ არის, ჩვენ უნდა გამოვიდეთ დღევანდელი რეალობიდან, რადგან დღეს ქალაქში რთული სიტუაციაა, უნდა დაისახოს გზები, რათა ქალაქმა ნორმალურად იმუშაოს, პოლიტიკური საკითხები კი სხვა მიმართულებით უნდა გადაწყვიტოს საკრებულომ, რომ დაიქვემდებაროს პრეფექტურის განყოფილებები და ერთობლივად იმუშაონ. ამ წინადადებას ეთანხმება რამდენიმე დეპუტატი. თუ 13 იანვარს მიღებული წინადადება ძალაში დარჩება, იგი ქალაქს სტაბილიზაციისაკენ არ მოუწოდებს და ამ შემთხვევაში მე ვტოვებ თანამდებობას და ვრჩები რიგით დეპუტატად, ამასთან ჩემი პოზიციით ბოლომდე ვიბრძოლებ“.

კ. ჩახუნაშვილი: “ჩვენ გვემუქრებიან რესპუბლიკური მმართველობით, თუ საკრებულომ ხელში მიმართველობითი ფუნქცია არ აიღო. ფსიქოლოგიური მომენტია, მათ ქუთაისის მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა ამით წელში გატყდება მთელი დასავლეთ საქართველო“.

მ. კობრეიძე: მეორდება იგივე მომენტები ისევე, როგორც მაშინ, ახლაც მშვიდობიან მომენტებებს იარაღით უპირისპირდებიან და არბევენ, მე ვფიქრობ, ხალხი რესპუბლიკურ რწმუნებულს არ მიიღებს.

ქალაქის საკრებულო სცნობს კანონიერ ხელისუფლებას და არა დროებით მთავრობას და სამხედრო საბჭოს. საკრებულო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღადგენს მუშაობას, როცა ადმინისტრაციული ორგანოები და აღმასრულებელი სამსახურები (ე.ი. ყოფილი პრეფექტურის განყოფილებები) შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, – აღნიშნა სხდომაზე საკრებულოს მდივანმა, ომარ ნიშნიანიძემ.

1992 წლის 15 იანვარს შემდგარ ქ. ქუთაისის საკრებულოს მეორე

სესიის საგანგებო სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით (მიუხედავად მწვავე დებატებისა), ძალაში დატოვეს იმავე წლის 13 იანვარს ქ. ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილება რესპუბლიკაში შექმნილ მწვავე პოლიტიკურ სიტუაციებთან დაკავშირებით, საკრებულოს უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე, ამასთან დაგმეს კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგებისა და მანიფესტაციების დარბევა, მომიტინგეების წინააღმდეგ ავტომატური და სხვა იარაღის გამოყენება ე.წ. სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობისადმი დაქვემდებარებული ძალების მხრიდან, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც დედაქალაქში, ასევე ქუთაისში.

მაღე, 1992 წლის 18 იანვარს, გაზეთ “ქუთაისში“ გამოქვეყნდა ქუთაისის სამხედრო საბჭოს განკარგულება და ქუთაისის სამხედრო კომენდანტის ბრძანება, რომლის ძალითაც 1992 წლის 18 იანვარს 23:00 საათიდან შეწყდა ადგილობრივი მართვის სამოქალაქო ორგანოების საქმიანობა და ყველა ფუნქციის შესრულება სამხედრო საბჭოს დაევა.

ამდენად, 1991-1992 წლებში საქართველოში მიმდინარე ტრაგიკული პროცესების, საკუთრივ ამ პერიოდის ქ. ქუთაისში განვითარებული მოვლენების შესახებ ადგილობრივი პრესისა და ქ. ქუთაისის საკრებულოს სხდომათა ოქმების შესწავლამ ცხადყო, რომ ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ, მიუხედავად რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სიტუაციისა, ამასთან, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით, შეძლო ქალაქისა და, ზოგადად, რეგიონისათვის თავიდან აეცილებინა სიტუაციის შემდგომი ესკალაცია და ძმათა შორის სისხლისმღვრელი დაპირისპირება.

damowmebuli wyaroebi

q. quTaisis sakrebulos gadawyvetileba, №16; №17, 1991-1992.

q. quTaisis sakrebulos sagangebo sxdomaTa oqmebi: ოქმი №5 – 28.12.1991; ოქმი №6 – 03.-1.1991; ოქმი №7 – 13.01.1992; ოქმი №8 – 15.01.1992.

SHALVA SHARASHENIDZE**THE EVENTS OF
1991-1992 DECEMBER-JANUARY AND KUTAISI**

The subject matter of the article is to restore the events that took part in Kutaisi in 1991-1992 based on the materials of the local press and Kutaisi City Council Extraordinary Sessions.

According to the newspaper Kutaisi, edition of December 24, 1991 huge protest rally took place at Davit Agmashenebeli square near the local authority building. From the last days of December communication with the central government thoroughly suspended. Thus, the local press was unable to publish the recent affairs held in the central part of the state. It generally relied on the verbal stories told by people travelled from Tbilisi.

The local authority of the Imereti region often held mass manifestations to destroy the informational vacuum and give information to Imereti residents. Fortunately, despite the difficult situation of Kutaisi and different civil positions among the population, Kutaisi survived from bloody battle.

Kutaisi's local authority of that time showed political correctness in its motivation since it managed to prevent the distinct positioning towards the events held in the capital of the country. It took the right measures to avoid the armed conflict in Kutaisi.

Thus, studying the tragic affairs of 1991-1992 on the base of the materials of local press and Kutaisi City Council Extraordinary Sessions clarifies that despite the hard socio-economic and

political situation in the country and influence of the civil positions Imereti local government managed to avoid the escalation of the situation and armed con-

რევაზ შეროზია

ბრიბოლ ხანძელი და ქუთაისი

ქრისტეს აქეთ VI-X საუკუნეების ქართველთა ეროვნულ-ენობრივი, კულტურული და შიდაპოლიტიკური ვითარების აღწერა არაერთი ხარვეზით ხასიათდება. საღად მოაზროვნე ყველა ქართველისთვის ფასდაუდებელია ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა, ენათმეცნიერთა, ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეთა ღვაწლი. თუმცა მათ მიმართ პატივისცემა ხელის შეშლელი არ უნდა იყოს, როცა თანამედროვე მეცნიერები წინაპართა განვლილ გზებს იკვლევენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველოლოგთა ერთმა ნაწილმა წამოაყენა თეორია, რომლის თანახმად VI-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველო თითქოს ბერძნულენოვანი იყო, ხოლო აქაური ეკლესია კონსტანტინოპოლს ექვემდებარებოდა იურიდიულად და ენობრივადაც. ეს მოსაზრება 1993 წელს უკრიტიკოდ გაიზიარა დ. მუსხელიშვილმა (იხ. მისი “ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის“, კრებულში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია). ახლახან გამოცემულ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის მეორე ტომშიც მისი ეს ნაშრომი შესული.

ზანურ-სვანური მეტყველებები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ბერძნულენოვანი ელემენტები აქ არ მეტობენ, ვიდრე ეს გვაქვს ძველ და ახალ სალიტერატურო ენასა თუ აღმოსავლეთ ქართველურ მეტყველებებში. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ბერძნულენოვნურობაზე მოსაუბრეთ ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, არც რაიმე არგუმენტი წარმოუდგენიათ აღნიშნული თეორიის დასამტკიცებლად.

მკვლევარებს ორი მნიშვნელოვანი გარემოება გამოჩნდა: 1. ზანურ-სვანურ მეტყველებაში ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ტერმინები ქართველურია და არა – ბერძნული (შობა : ქირსე; აღდგომა : თანაფა...); 2. არც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიღებამდე და არც მერე არ ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში იყო ჩვენი ეკლესია თუნდაც ორმეფობის დროს. 1057 წელს ანტიოქიის კრებაზე ბერძნებს არ დაუყენებიათ საკითხი პროზელიტიზმის შესახებ. ისინი მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის მათდამი დაქვემდებარებას იმ აბსურდული მოტივით, რომ თითქოს ჩვენში არც ერთ მოციქულს არ უქადაგია (ცნობილია გიორგი მთაწმინდელის პასუხი კრებაზე). ცხადია, კონსტანტინოპოლს ეგრის-აფხაზეთის ეკლესიას მცხეთა თუ ჩამოართმევდა, ამას სათანადო რეაგირება მოჰყვებოდა. ამ მხრივ ყურადღების მიღმა არ იყო დასატოვებელი, რომ გრიგოლ ხანძელი ანტიოქიის კრებამდე ორი საუკუნით ადრე დასავლეთ საქართველოში ეკლესიას აგებს და იქ თავის წარმომადგენელს

ნიშნავს წინამძღვრად.

“ქართლის ცხოვრებამ“ არაერთი ცნობა შემოგვინახა ერთიანი საქართველოს ძალისხმევაზე სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ ჩვენ სრული ანალოგია გვაქვს ქუჯი-ფარნავაზის ეპოქასთან. მემატთანეთა მონათხრობიდან ორიოდ ფაქტის დასახელებაც იკმარებდა: ლეონ პირველისა და არჩილ მეფის ბრძოლა მურვან ყრუს წინააღმდეგ; თეოდოსისა და აშოტ კურაპალატის ერთობლივი ლაშქრობა; იმავე თეოდოსის ბრძოლა ბულა თურქის წინააღმდეგ; კახეთის ქორეპისკოპოსისა და კონსტანტი მეფის ლაშქრობა და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ნათესაური კავშირები, რომ აღარაფერი ვთქვათ ქუჯი-ფარნავაზის ურთიერთობაზე. VIII-IX საუკუნეებში, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს და მერეც, ხშირი იყო ბაგრატიონთა სახლისა და აფხაზეთის სამეფო კარის დამოყვრების შემთხვევები: ლეონ პირველს ცოლად ჰყავდა არჩილის ძმისწული. თეოდოსი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა; ასევე: “მოჰუარა მეფემან იოანე ძესა თვსსა აღარნასეს ცოლი, ასული გუარამ აშოტის ძისა“; ხოლო ესე ბაგრატი (უმრწემესი ძე კონსტანტისა) სიძე იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა“; ცნობილია აგრეთვე, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ბაგრატი მესამის დედა გიორგი აფხაზთა მეფის ასული იყო.

გიორგი მერჩულეს ცნობით, ნერსე ერისთავის ცოლი ქართლიდან იყო. თუმცა არ ვიცით მისი ძმის, გრიგოლ ხანძთელის მამის ვინაობა. ასევე უცნობია გრიგოლის დედის წარმომავლობა. არ ვიცით მიზეზი, თუ რატომ იშვილეს გრიგოლი ნერსემ და მისმა ცოლმა. მერჩულე მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ გრიგოლი ერისთავის ოჯახში გაიზარდა და იქვე მიიღო განათლება.

იოანე საბანისძე ნერსე ერისთავთან დაახლოებული იყო, როგორც პავლე ინგოროყვა მიიჩნევდა. საფიქრებელია, რომ იოანე ჰაბოს მასწავლებელიც იყო. შესაბამისად, ჰაბოს წამების დამსწრეც. როგორც ჩანს, სამოელ კათალიკოსმა ამიტომაც დააგალა მას წამების აღწერა. საინტერესოა იოანეს ფრაზა: “მაშინ იწყო... სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძველისა და ახლისა შჯულისათა... და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენ წმიდათა სახარებათაგან...” აქ ხოლმეობითის ფორმა “მოვიდის“ ნიშნავს “მოდიოდა ხოლმე“. მოდიოდა იმ ეკლესიაში, სადაც იოანე იყო... ჰაბოს ნერსეს ოჯახში გრიგოლიც დახვდა. ორივე ახალგაზრდა იყო, 17 წლისა. ცხადია, ჰაბოს იოანეს გარდა გრიგოლიც ჰყავდა მისაბაძ პიროვნებად. არაბებთან ბრძოლაში დამარცხებული ნერსე ხაზარეთში მიდის და თან მიჰყავს ჰაბოც. მანამდე კი მან ოჯახი ლეონ მეორესთან გაგზავნა ქუთაისში. აქ კითხვა დაისმის: შეიძლებოდა კი, რომ ნერსეს გრიგოლი, შვილობილი დაეტოვებინა არაბების პირისპირ და ოჯახთან ერთად არ გაეხიზნა აფხაზეთში?! ცხადია, ეს შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც საფიქრებელია, რომ გრიგოლი პირველად ქუთაისს 778-781 წლებში უნდა სტუმრებოდა. ის და ჰაბო 781 წლის შემდეგ

ბრუნდებიან თბილისში, მას შემდეგ, რაც ნერსეს აპატიეს არაბებმა. ამის შემდეგ აღიკვეცება გრიგოლი ბერად, საფიქრებელია, ჰაბოს წამების მერე. თუ ეს ასე იყო, ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ არც იოანე საბანისძე ამბობს არაფერს გრიგოლზე და არც გიორგი მერჩულე ახსენებს ჰაბოს?!

იოანე საბანისძის შემთხვევაში პასუხი რთული არ უნდა იყოს: გრიგოლი ამ დროს ჯერ კიდევ არ არის ბერი. იგი ჯერ არ შესდგომია საელესიო მოღვაწეობას და მისი სახელი არც უნდა ყოფილიყო ნახსენები. გიორგი მერჩულე კი გრიგოლის წარმომავლობასა და განათლებაზე მცირე ცნობების მერე თხრობას იწყებს გრიგოლის ბერად აღკვეცასა და შემდეგ მეგობრებთან ერთად სასახლიდან გაპარვაზე. ამდენად, ჰაბოზე საუბრის ადგილი აღარ დაუტოვებოდა. მით უმეტეს, რომ გიორგისთვის, ცხადია, ცნობილი იყო იოანე საბანისძის თხზულება.

საინტერესოა გრიგოლ ხანძთელის მეორე სტუმრობა ქუთაისში. თევდორეს, ქრისტეფორესა და ილარიონის არჩევანი აფხაზეთში მოღვაწეობისა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, „კრძალულ იყო ქვეყანად იგი შიშისგან სარკინოზთაჲს“. მეორეცაა-და, კულტურულ-ენობრივი, ეროვნული, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უწყვეტი ურთიერთობა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოსი მათთვის ბუნებრივი იყო. რაც შეეხება გრიგოლს, იგი მიდის დემეტრე აფხაზეთა მეფესთან და მის ძმებთან, რომელთაც ჰაბუკობის დროიდან იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა წლების განმავლობაში. აქ ყურადღების მიღმა ვერ დარჩება ადარნესესა და ანასტასია-ბუერეულის ამბავიც. გრიგოლის მიერ დალოცვილ აშოტ კურაპალატის შვილთაგან ადარნესეს ცოლად ჰყავდა აფხაზეთის სამეფო კარის ასული, ბაგრატ კურაპალატის უფლისწულის შვილი, რომელიც ცილისწამების გამო ადარნესემ მოიშორა. სწორედ გრიგოლმა დაისვა იგი და ადარნესეს მძიმე სენი უწინაწარმეტყველა ცოდვის მოუნანიებლობის შემთხვევაში.

თევდორესა და ქრისტეფორეს წასვლა აფხაზეთში და შემდეგ გრიგოლის სტუმრობა დემეტრე მეფესთან შემთხვევითი რომ არ იყო, ამაზე უნდა მიანიშნებდეს მერჩულეს ფრაზა: “და რამეთუ იყვნეს ბუნებით მომლოდინებელ წმიდისა და მის ძმანი იგი, მათცა უხაროდა ურთიერთაში იგი შეკრებაჲ თვისი“. ასევე ყურადღებას იქცევს ნაწყენი მეფის სიტყვები, რითაც დემეტრე კიდევაც საყვედურობს და კიდევაც ავალდებულებს გრიგოლს, მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის აგებაში: “არა სამართალ არს კეთილთა თქვენთაგან უნაწილობა ამის ქვეყნისაჲ“.

საფიქრებელია, რომ გრიგოლ ხანძთელი სულაც არ იყო უცხო და “უნაწილო“ ქუთაისის (აფხაზეთის) სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიაში. რაც შეეხება ენას, გრიგოლმა, როგორც ჩანს, იცოდა ბერძნული, მაგრამ ქუთაისელ მეგობრებთან მას ენა არ სჭირდებოდა, რადგან საქართველოს ეკლესიის დაარსების დროისთვის საეკლესიო სახელმწიფო-სამწერლო ენა უკვე ჩამოყალიბებულ-განმტკიცებული იყო იმ ფორმით, რასაც ჩვენ ვხედავთ “ვეფხისტყაოსნამდელ“ ტექსტებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე. შესაბამისად, საუბარი X საუკუნემდელ დასავლეთ

საქართველოს ბერძნულენოვანობაზე საფუძველს მოკლებულია და მიუღებელია როგორც მეცნიერული, ისე ეროვნული თვალსაზრისით.

დამოწმებული ლიტერატურა

b. diasamize, 2002 – b. diasamize, qristianoba dasavleT saqarTveloSi, Tb., 2002.

p. ingoroyva, 1954 – p. ingoroyva, giorgi merCule, Tb., 1954.

giorgi merCule, 1987 – giorgi merCule, grigol xanZTelis cxovreba, qarTuli mwerloba, I, Tb., 1987.

d. musxeliSvili, 1993 – d. musxeliSvili, qarTvelTa TviTsaxelwodebis istoriisaTvis: saqarTvelosa da qarTvelebis aRmniSvneli ucxouri da qarTuli terminologia, Tb., 1993.

ioane sabanisZe, 1987 – ioane sabanisZe, habos wameba: qarTuli mwerloba, I, Tb., 1987.

sulxan-saba orbeliani, 1966 – sulxan-saba orbeliani, leqsikoni qarTuli, Tb., 1966.

saqarTvelos istoria, 2012 – saqarTvelos istoria, oTx tomad, t. II, Tb., 2012.

qarTlis cxovreba, 1996 – qarTlis cxovreba; gamosacemad moamzades i. anTelavam da n. SoSiaSvilma, Tb., 1996.

REVAZ SHEROZIA**GRIGOL KHANDZTELI AND KUTAISI**

The article presents the situation in Georgia of the VIII-X centuries in terms of linguistic, religious and domestic politics. The unity of the Georgian nation in all these components is emphasized. Historical-ecclesiastical and literary materials have rejected the notion that the Church of Western Georgia was Greek-speaking and was abandoned after the 10th century.

The article also presents a new attempt to cover Grigol Khandzteli's life and activities. In particular, from the time of his youth, his connection with the princes of Western Georgia and the care for United Georgia and the United Church.

Grigol Khandzteli's visit to Kutaisi provokes special interest. The choice of Tevdor, Christopher and Hilarion in Abkhazia could not be accidental. Continuous cultural-linguistic, national, state-political relations with East-West Georgia was natural for them.

Grigol Khandzteli was not a stranger to the history of socio-political and cultural life in Kutaisi (Abkhazia). As for the language, Grigol seems to know Greek, but he did not need the language to communicate with his Kutaisi friends, since church-state-script language had already been established and consolidated in the form we see on "pre- The Knight in the Panther's Skin" texts and epigraphic sites by the time the Church was founded. Accordingly, the talk as if the spoken language of Western Georgia was Greek in the 10th century is groundless and unacceptable, both scientifically and nationally.

ნანული ცხვედიანი

ეპრაქლები ქუთაისში

ქუთაისის ცენტრში, მართლმადიდებლური ტაძრების მოპირდაპირედ, მე-19 საუკუნეში (1815, 1863, 1887 წწ.) აშენებული და დღემდე მყარად მდგარი სამი ებრაული სინაგოგა იმის დასტურია, რომ ტრადიციული მოსახლეობის თანაცხოვრებაში მუდამ იყო მშვიდობა, კეთილმეზობლობა, ურთიერთობის ჰარმონია.

pirveli dokumentebi quTaiseli ebraelebis Sesaxeb

უცნობია, თუ როდის დაფუძნდა ქუთაისში პირველი ებრაული ოჯახი. უძველესი ოფიციალური საბუთი კი, აქაურ ებრაელს რომ მოიხსენიებს, 1644 წლით თარიღდება. კერძოდ, გელათელი მიტროპოლიტი ზაქარია ქვარია გელათის საყდრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში მიუთითებს, რომ მწვანეყვავილას ტერიტორია მისი მამისა და თავად მის მიერ იქნა გაშენებული, როგორც სოფელი; იქვე ჩამოთვლის საეკლესიო მიწაზე დასაქმებულ ყმებს და მათ შორის მოიხსენიებს: “ფიჩხაძე დანიელა ურიას კომლი ერთი.”

“დანიელა ურია“, ცხადია, ერთადერთი მცხოვრები არ იქნებოდა მე-17 საუკუნის ქუთაისში. ამას მოწმობს საკათალიკოსო გლეხების ნუსხა, რომელიც, კაკაბაძის აზრით, შედგენილი უნდა იყოს 1650 წელს. ნუსხის მიხედვით, ქუთაისში საეკლესიო მიწის ერთი ნაწილი (პარტახი) დაკავებული ჰქონია ვინმე “მოძღვარასა ურიასა“ (დ. ხანანაშვილი, 2009: 17).

ისტორიული დოკუმენტები არ არსებობს მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ქუთაისში მცხოვრებ ებრაელთა რაოდენობისა და მათი ვინაობის შესახებაც, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, რომლის შესახებაც მკვლევარი დანიელ ხანანაშვილი აღნიშნავს: “არაპირდაპირი გზით შეიძლება გავმიფროთ ამ პერიოდის ქალაქში მოსახლე ერთი ოჯახისა და მათი შთამომავლობის ვინაობა. 1809 წ. იმერეთის დედოფალმა მარიამმა გრ. წერეთელს შესწირა მის საკუთრებაში მყოფი სამი ძმა-თეთრუაშვილები: ხახამი მოშა, ხახამი ისხაკა და არონა. როგორც მათი განცხადებებიდან ჩანს, მანამდე ისინი ქუთაისში ცხოვრობდნენ და რალაც გზით (ეტყობა, არცთუ თავიანთი ნებით) გრ. წერეთელს ქუთაისიდან საჩხერეში გადაუყვანია. თეთრუაშვილები ვერ შერიგებთან წერეთლის ყმობას და მე-19 ს. 30-იან წლებში საკმაოდ მწვავედ და აქტიურად უბრძოლიათ წერეთლის ყმობიდან გამოსვლისა და სახაზინო ყმობაში ჩარიცხვისათვის. განცხადება-საჩივრებში ისინი მიუთითებენ, რომ ამ მხარეში მათი წინაპრები დიდი ხნიდან არიან გადმოსულნი კონსტანტინეპოლიდან, ყოველთვის ცხოვრობდნენ ქუთაისში და სამეფო საკუთრებას წარმოადგენდნენ. გამოდის, რომ თეთრუაშვილების ქუთაისში დასახლება მე-18 საუკუნის პირველ ნახევარსა და მის იქით პერიოდშიც კი არის საგულისხმებელი.“ (დ. ხანანაშვილი, 2009: 19).

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა

მკვლევარი და გეოლოგი, პროფესორი დიუბუა დე მონპერე (1798-1850), რომელიც ქუთაისში იმყოფებოდა 1833წელს, აღწერა ქალაქის გეგმა და გამოკვეთილად მიუთითა დასახლება “ებრაელთა უბანი”: “ებრაელები ასწელზე მეტია, რაც მოვიდნენ იმერეთში. ისინი აფხაზეთიდან მოიყვანეს მეფეებმა, რომლებიც მათ მფარველობდნენ. ქუთაისის ეკლესიამ დაუთმო მათ მიწის ფართობი გუბერნიის მმართველის სახლის მახლობლად და ყოველწლიურად ეგზარხოსს იჯარას უხდიან. აქვთ ღარიბი სინაგოგა...” (დიუბუა დე მონპერე, 1839: 386). იგი აღნიშნავს: “ისინი მეტწილად ვაჭრობენ ძველმანებით, სცვლიან მათ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე; მძიმე სამუშაო და მინდვრის შრომა არ უყვართ. ფეხმორთხმულნი თავიანთ ღარიბ ძველმან საქონლის შუა, კითხულობენ ბიბლიას, ასწავლიან ბავშვებს ძველ ებრაულ ენას. თუმცა ერთმანეთში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ. ებრაელებს უჭირავთ ქუთაისის ბაზრის თითქმის მთელი უბანი, სადაც ევროპელი, მიჩვეული პოლონელ ებრაელების ყვირილს, სიხარბეს, აჩქარებულობას და სისწრაფეს... განცვიფრებულია, რომ ისინი თითქმის არ განსხვავდებიან სხვა ვაჭრებისაგან” (იქვე).

კუთვნილების თვალსაზრისით, ქართველი ებრაელები იყვნენ: სამეფო-სადედოფლო, საეკლესიო-სამონასტრო, სათავადაზნაურო ყმები, ხოლო ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში ებრაელები უმთავრესად სამეფო ყმები იყვნენ. გარკვეულ პერიოდებში გვხვდებიან საბატონო ებრაელი ყმებიც, - წერს მკვლევარი ა. კრიხელი, - რაც შეეხება ებრაელ საეკლესიო-სამონასტრო ყმებს, შეიძლება ითქვას, რომ, საქართველოს გარდა, ისინი თითქმის არსად გვხვდებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ევროპის სახელმწიფოებში ეკლესია უფრო სასტიკად იბრძოდა იუდაიზმის წინააღმდეგ, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა საქართველოში...” (ა. კრიხელი, 1945: 274-275).

1850 წლის ისტორიულ დოკუმენტებში (ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) წარმოდგენილია სია ქუთაისში, საეკლესიო მიწაზე მცხოვრები საეკლესიო-სამონასტრო, სახელმწიფო და საბატონო ებრაელებისა, სულ 74 კომლი, შემდეგი გვარებით: იაყობიშვილი, ელიგულაშვილი, ბინიაურიშვილი, იაკობიშვილი, ხანანაშვილი, ჩახუაშვილი, შავლიკაშვილი, ფიჩხაძე, თოფჩიაშვილი, მოშიაშვილი, თეთრუაშვილი, ციციამშვილი, ბინიაშვილი, დავითიაშვილი, ჭილაშვილი, ჭუტიაშვილი, ყუტიაშვილი, ბალუაშვილი, თავდიდიშვილი, ენუქაშვილი, მოწონაშვილი, ცხვირაშვილი, თარუნიშვილი... (ისტ. დოკ., 1850, №26: 315-328). ეს სია სწორედ ა. კრიხელის მიერ მოცემული თვალსაზრისითაა დაყოფილი.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია იმერეთის მეფე სოლომონ პირველისა და მისი მეუღლის მარიაშვილის შეწირულების წიგნი“, რომლის თანახმადაც, 1764 წელს მეფე-დედოფალს გელათის მონასტრისათვის დაუმორჩილებია ყმობის სიიდან ამოვარდნილი ჩახვაშვილი დავითი და მისი ძმა ისხაკა (ქუთ. ისტ. საბუთები, 1995: 29-30). ეს ებრაელი ძმებიც შეიძლება მოვიხაროთ ქუთაისის ძველ მცხოვრებლებად.

მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან ისტორიულ დოკუმენტებში მკაფიოდ შეინიშნება ებრაელთა ჯგუფების არსებობა და მათი საქმიანობის

პრიორიტეტული მიმართულება - ვაჭრობა.

მე-19 საუკუნიდან, როცა ქუთაისში ეკონომიკური და სავაჭრო-სახელოსნო ცხოვრება ფართოდ ვითარდება, უკვე მრავლად არიან ჩამოსახლებულნი ახალციხელი, ონელი, ლაილაშელი, ქართლელი და სხვა კუთხის ებრაელები.

40-იანი წლებისთვის ქუთაისში 840 ებრაელი იყო, 50-იანი წლებისათვის - 1290. 1852 წელს საგუბერნიო ქალაქში 1105 ებრაელი ცხოვრობდა, 1885 წ. - 2488, 1897 წ. - 3464 ებრაელი.

ეს რიცხვი აღმავალია მეოცე საუკუნეშიც. 1903 წელს ქუთაისში 4034 ებრაელი იყო, 1912 წ. - 9553, 1926წ. - 4738, 1939 წ. - 6906. 70-იან წლებში, კონკრეტულად, 1970 წელს, სანამ ისრაელში დიდი ალია დაიწყო, 8941 ებრაელი იყო აღრიცხული, ანუ მთელი მოსახლეობის (135 659 კაცი) 5,5% (რიცხვები ამოღებულია დ. ხანანაშვილის, ი. პაპისიმედოვის, ვ. ჯაოშვილის, გ. მჭედლიძის ნაშრომებიდან).

ებრაულმა ოჯახებმა არა მარტო შეითვისეს და შეისისხლხორცეს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურა და ტრადიციები, არამედ საკუთარი, თვითმყოფადი ფერებიც იმთავითვე შემატეს ქალაქს.

ebraelTa sarwmunoebriv-eTnikuri tradiciebi quTaisSi

მეოცე საუკუნის მანძილზე ებრაელები კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით - ვაკესა და მწვანეყვავილას ბორცვებზე. შაუმიანის (დღეს ბორის გაპონოვის) ქუჩა და მიმდებარე დასახლება “ებრაელების უბნის“ სახელით იყო ცნობილი. აქ ერთმანეთზე მიჯრილ, თითქმის უეზოო, დამახასიათებელი არქიტექტურის სახლებში მცხოვრებ ოჯახებში მთლიანად შენარჩუნებული იყო ეთნიკური და სარწმუნოებრივი ტრადიციები, რაც ოდესღაც ჩამოიტანეს ქართულ ქალაქში და რასაც ჯერ ცარისტული, შემდეგ კი საბჭოური რეჟიმი გამუდმებით ებრძოდა.

ქუთაისის ებრაელთა დედაენა ქართულია. - მეოცე საუკუნის დასაწყისში წერდა მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931), - ყოველის მხრით ქართველობის ნაწილს წარმოადგენენ. ცხოვრება მათი ვაჭრულია, ე. ი. ადებ-მიცემას მისდევენ. მეურნეობასაც განათლებულ კაცთა რიცხვი მათში ერთობ მცირეა. იმედი კი უნდა ვიქონიოთ, რომ რომ იგინი მალე შესდგამენ ფეხს განათლების ასპარეზზე. ებრაელნი მოსახლეობენ რიონის ახლოს. როგორც ძველად დასახლებულან ერთ ალაგას, ასევე დღესაც ერთ ალაგას სცხოვრობენ. როგორც შეძლებულთა, ასევე ღარიბთა რიცხვი მათში საშუალოა. აქვთ ორი თორა, კარგის თლილის ქვით აღშენებული... მე-19 საუკუნის ნახევრამდე ლოცვა ებრაულს ენაზედ აქვთ და ქადაგება კი საყოველთაოდ ქართულად. თორასა, ოჯახში და კარში სახმარებელ დედა ენას ქართული შეადგენს... ქუთაისის ებრაელნი შენობითა და შინაგანი მოწყობილობით გვარიანათ არიან, უმეტეს ხის სახლები აქვსთ. საზოგადოთ, იმერეთის ურიების ცხოვრება ერთნაირს სურათს წარმოადგენს, ერთს გეგმას. ძველად ზოგნი იმერეთის მეფის ყმანი იყვნენ, ზოგიც თავადიშვილები. ქუთაისის ებრაელთა სასულიერო გამგეობის უფროსი რაბინი ითვლება მთელის ქუთაისის გუბერნიის ებრაელთა რაბინად“ (ზ. ჭიჭინაძე, 1904: 63-64).

საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის ივანე პურადაშვილისა და მამამისის - ისააკ პურადაშვილის მოგონებებში მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლებისა და მე-20 საუკუნის დამდეგის ქუთაისის საზოგადოების, მათ შორის ებრაელების ყოფაცხოვრების შესახებ არაერთი საინტერესო ფაქტია დაცული. განსაკუთრებით საყურადღებოა ქალაქის თვითმმართველობის 1914 წლის არჩევნებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მოგონება. როგორც ივანე პურადაშვილი წერს, ქუთაისის მკვიდრი მცხოვრებლების ნაწილს აპყარეს უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ქართველი ებრაელები გაათანასწორეს უფლებრივად რუსეთის ებრაელებთან, ქალაქის დებულების ძალით, ისინი არჩევნების უფლებას მოკლებულნი იყვნენ. ამისდა მიხედვით, მთელი ებრაელთა უბანი გამოთიშული შეიქნა. ებრაელები აღაპარაკდნენ, გაასაჩივრეს გუბერნატორთან, შემდეგ მთავარმართებელთან... ბოლოს საჩივარი გაგზავნეს სენატში. თავიანთ საჩივარს ასაბუთებდნენ იმით, რომ ქართველი ებრაელები ისტორიულად ცნობილი არიან როგორც ქართველები, ებრაელთა სარწმუნოების მიმდევარნი; რომ ისინი მთელი საუკუნეები საქართველოში ცხოვრობდნენ და სარგებლობდნენ ყოველივე უფლებებით, როგორც ქართველი მოსახლე და რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ებრაელებთან, არც კი იციან ებრაელთა ენა, წერა-კითხვა და ითხოვდნენ, რომ მათ დაბრუნებოდათ ძველი უფლებები. ხერხმა გაჭრა. ქუთაისელმა ებრაელებმა სენატში რუსეთის მაშინდელ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საქმე მოიგეს, აღდგენილ იქნენ და მიიღეს არჩევნების უფლება. ორი ათეული წლის შემდეგ კი, საქართველოს გასაბჭოებისთანავე, უფრო ხელსაყრელად ცნეს და თავიანთი თავი აღარ აღიარეს ქართველად, არამედ - ნაცუმცირესობად (ი. და ი. პურადაშვილები, 2009: 106-108).

ქართველებთან ახლო კავშირისა და ერთ კულტურულ-ეკონომიკურ სივრცეში თანაცხოვრების მიუხედავად, ებრაულმა მოსახლეობამ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ეთნიკური და რელიგიური წესები. ქუთათური ებრაელები, განურჩევლად ქონებრივი მდგომარეობისა, განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ: როშაშანას (ახალ წელს - აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის პირველ რიცხვებში), ქიფურს, სუქოთს, ოშაყანას, სიმხათთორას, ხანუქას, ფურიმს, აგადას, ყომერს, შაბუყოთს, ფესახსა თუ სხვა დღესასწაულებს. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ბევრი ყოფითი ტრადიცია. მაგალითად, ასეთი იყო “გომელი” - გასაჭირიდან გადარჩენის, გზიდან მშვიდობით დაბრუნების აღნიშვნა სალოცავში; “რეფუა” - ჯამაათის ლოცვა ავადმყოფის განკურნებისათვის; “გეთის” დაწერა-განქორწინების სპეციფიკური რიტუალი; “ქონობიდან დახსნა” - უფროსი ვაჟიშვილის კურთხევა; “თეფილინის დადება” - 13 წელს მიღწეული ყრმისათვის სრულწლოვანების აღსანიშნავად ტყავის შემოსაკრავის საზეიმოდ მიკუთვნება; “თორაზე დაჯდომა” - რაბინთან (მასწავლებელთან) 5-6 წლის ვაჟის მიბარება თორას შესასწავლად და მრავალი სხვა (რ. თავდიდიშვილი, 1940: 66-89). ეთნოგრაფ როზა თავდიდიშვილის (1886-1967) ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ წიგნში დამოწმებულია “ჭაბუკობის” ტრადიცია, რომელიც მე-19 საუკუნის დასასრულამდე იყო შემორჩენილი და მხოლოდ სამ გვარში: ფიჩხაძეებში,

ბუზიაშვილებსა და იაყობაშვილებში აღინიშნებოდა. ამ გვარის წარმომადგენლებს, ოჯახის თავკაცებს, ევალეზობდათ შეკვეთილის-ნედერის შესრულება, ანუ სნეულებას გადარჩენილი ახლო ნათესავისათვის თავზე შემოვლება მოზრდილი ყვინჩილისა თუ მოზვრისა (რ. თავდიდიშვილი, 1940: 56-57). მორწმუნე ებრაელები განსაკუთრებულად ზვდებოდნენ შაბათს. პარასკევ საღამოს, მზის ჩასვლამდე, კეთდებოდა საშაბათო კერძები, რეცხავდნენ სარეცხს, დიდიან-პატარიანად ბანაობდნენ, იცვლიდნენ სამოსს. სალოცავიდან დაბრუნებული ოჯახის უფროსი წარმოთქვამდა: “შაბათ შალომ!” (შაბათ მშვიდობისა) და ყველანი გალობით გაემართებოდნენ შინ შესასვლელად, ყველა მიესალმებოდა მეზუზას - კარზე გაკეთებულ ნიშანს, წაღმა შებრუნდებოდნენ და სუფრას შემოუსხდებოდნენ. (იქვე: 77-78).

ჯამაათში უაღრესი პატივისცემით სარგებლობდა ხახამი (ბრძენი), რომელსაც ღრმად ჰქონდა შეთვისებული თორა - “ალეფ-ბეთიდან” უმაღლეს სწავლამდე და ერთდროულად რამდენიმე საქმეს ფლობდა: ის იყო ხახანი (მლოცველი), მოელი (მომნათლავი, წინადამცვეთი), შოხეტი (ფრინველ-საქონლის დამკვლელი) და სხვა. ხახამს ეძახდნენ ყველა ოჯახური საკითხის გადასაწყვეტად: უთანხმოების, სათხოვარ-გასათხოვრის, ოჯახის გაყოფის, ნათლობისა თუ სხვა საქმეების მოსაგვარებლად (იქვე: 77 -78). ხანგრძლივი და მრავალი სავალდებულო წესით იყო გაჯერებული ებრაული ნიშნობა და ქორწილი, რომლის პიკს წარმოადგენდა ქეთუბას კითხვა.

აი, სალოცავიდან მოტანილი საქორწინო ხუფა (ოთხ ჯოხზე კარვის მსგავსად გადაკრული ულამაზესი ფარჩა) ხელთ უპყრია ოთხ ღონიერ ისრაელ ვაჟკაცს, ხუფას ქვეშ კი, დიდ ბალიშზე, შემდგარა ხათან-ქალა (სიძე-დედოფალი). ახალ სამოსში კოხტად გამოწყობილ ხათანს ვერცხლის ბეჭედი და ასეთივე ძეწკვიანი საათი შვენის, ქალას - “ხუთთითებიანი” ნაწნავი და თეთრი კაბა. რაბინი გაშლის დაწერილსა და დახატულ ქეთუბას, რომლის ერთი კუთხე ხათანმა უნდა დაიჭიროს, მეორე - ქალამ, დანარჩენები-შოშბინმა (სიძის ხელისმომკიდემ) და დადემ (ქალას ხელისმომკიდემ). რაბინი ჯერ ებრაულ ენაზე თავიდან ბოლომდე წაიკითხავს ქეთუბას, შემდეგ ქართულად თარგმნის, ყველას გასაგონად, თუ რა ვალდებულებას იღებს ხათანი ქალას წინაშე. ქეთუბას დასრულების შემდეგ რაბინი ღვინოს აკურთხებს, ჯერ თვითონ მოსვამს, შემდეგ ხათანს მიაწოდებს, ხათანი - ქალას, ხელისმომკიდებს, მშობლებს და ყველა მსურველს. ყველა ცდილობს, ნაკურთხი ღვინის წვეთი მაინც შეიხვედროს. კიდემის - ღვინის რიტუალის - დასრულების შემდეგ სიძემ ერთი დარტყმით უნდა დაამსხვრიოს ჭიქა და ამით, სიმბოლურად, მომავალი ცხოვრებისეული სიძნელეები სძლიოს (რ. თავდიდიშვილი, 1940: 27-33).

ქუთაისის ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონის ამაღლება “მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში აყვანილი ანტირელიგიური კამპანიის ფონზე, როცა აშკარა იყო ებრაელთა “გაინტერნაციონალებისა” და მათში თვითშემეცნების ჩაკვლის სურვილი. ამ მიზნის აღსრულების

გზაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ კულტის მსახურნი. ამიტომაც 20-30-იანმა წლებმა და შემდგომმა პერიოდმაც მძაფრი რეპრესიებით ჩაიარა. დევნის მთავარი მიზეზი იყო ბავშვებისათვის ებრაული ენისა და თორის სწავლება. ქუთაისელი რაბები და ხახამები არ უშინდებოდნენ აშკარა საფრთხეს და არალეგალურად თუ სხვადასხვა ფორმით განაგრძობდნენ ბავშვებთან მუშაობას. მეტიც, 20-30-იან წლებში ქუთაისში თითქმის არალეგალური ფორმით არსებობდა იეშიბაც კი - სპეციალური სასწავლებელი, სადაც ამზადდებდნენ მომავალ ხახმებს დასავლეთ საქართველოს ებრაული ჯამაათებისათვის. პარალელურად ქუთაისის ყველა სალოცავთან არსებობდა პირველდაწყებითი ჯგუფები ებრაული ენისა და თორის შესასწავლად. თალმიდ-ხახმები საკუთარ სახლებშიც ამზადდებდნენ ბავშვებს, ან ოჯახებში დადიოდნენ და ასე ფრთხილად, შიშის ქვეშ მიმდინარეობდა სწავლება (დ. ხახანაშვილი, 2009: 66-67). ხელისუფლება სისხლიან რეპრესიებზეც გადავიდა. ისე, როგორც მართლმადიდებლური ტაძრების მსახურნი, ამ რეპრესიებს შეეწირა არაერთი ებრაელი რაბი და ხახამიც. მხოლოდ 1953 წლის დასაწყისიდან, სტალინის გარდაცვალების შემდგომ, შეწყდა რაბებსა და თალმიდ-ხახმებზე ნადირობა, საბჭოთა ხელისუფლებამ იდეოლოგიური ბრძოლის შედარებით ლოიალური ფორმები ირჩია.

vaWroba da aReb-micemoba

გადახედოთ ისტორიას, თუ რამდენად დამოკიდებული იყო ებრაელებზე მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისისა და მთელ დასავლეთ საქართველოში ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარება.

1866 წელს საზღვარგარეთ სავაჭროდ წასვლის ნებართვა აუღია საქართველოში მცხოვრებ 62 ებრაელს, ხოლო 1867 წელს — 44-ს. შემორჩენილი დოკუმენტების მიხედვით, ამ სიებში ყველაზე მრავალრიცხოვანნი ქუთაისელები ყოფილან. პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებს შორის გამოირჩეოდნენ: იაყობიშვილები, ელიგულაშვილები, ენუქაშვილები, თავდიდიშვილები, ხანანაშვილები, რომელთაც მრავალგზის ჰქონიათ მოვლილი: სტამბოლი, ტრაპიზონი, მოსკოვი, ნიჟნი ნოვგოროდი, ოდესა, ხარკოვი, როსტოვი, ვარშავა, ლოდი და სხვა დიდი ქალაქები (ი. პაპისიმედოვი, 1946.: 17-30). საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელს მათგან ნაღდი ანგარიშით ან კრედიტით ყიდულობდნენ ადგილობრივი საშუალო და წვრილი ვაჭრები. ქუთაისელ ებრაელებს საექსპორტოდ დასავლეთ საქართველოდან დიდი პარტიობით გაჰქონდათ: დაუმუშავებელი აბრეშუმი, ღორის ჯაგარი, ქალის თმა, ბეწვეული; ყოველწლიურად აგზავნიდნენ დაახლოებით 50-60 ვაგონ კვერცხს (ვაგონში თავსდებოდა 14400 კვერცხი), 15-20 ვაგონ ბუმბულს (“ბურღლას“), 3-4 ვაგონ ძველ კალოშს, 2-3 ათას ცალამდე ძველ ხალიჩას, დიდი რაოდენობით ხილს, ჩირს. ამ ვაჭართაგან რამდენიმე კაცი ვაჭრობდა ხელით ნაქსოვი “იმერული შალით“, რომელიც ამ სახელწოდებით კი იყო ცნობილი, მაგრამ უმთავრესად სამეგრელოში მზადდებოდა. ნაწარმის ნაწილი საქართველოშივე იყიდებოდა, ნაწილი კი - რუსეთის ბაზრობებზე და, მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მას უკვე დიდ კონკურენციას უწევდა რუსეთის ფაბრიკებში

შექმნილი, იაფფასიანი შალი, თავისი მაღალი ხარისხის გამო მყიდველი არ აკლდა. (ი. პაპისიმედოვი, 1946: 17-30).

იმუჰამინდელი პრესა წერს: “ნაცნობ მოშას ეყიდნა აუარებელი შალი (ათიათასი მანეთის ვიყიდეო, გვითხრა. მგონი, არცა სტყუოდა), და, სხვათაშორის, გვაჩვენა ერთი შესანიშნავი ნახელავი შალი, რომელშიც 6 მან. მიეცა: “15 მან. მაინც გავეყიდო.“ ამის სიმართლეში ყველა ადვილად დარწმუნდება, ვისაც კი გაუვლია ქუთაისში შალით სავაჭრო ურეების მაღაზიაში: იქვე რომ 10-15 მანეთად შალი იყიდება, ის მეტ ნაწილად მეგრელი ქალებისაგან 3-6 მანეთად შეძენილი შალებია“ (გაზ. “ცნობის ფურცელი“, 1903, №2031).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმე ებრაელმა ვაჭარმა უდიდესი კაპიტალი დააგროვა და თითქმის მთელი შინაური ვაჭრობა ხელში ჩაიგდო. ამათგან ზოგიერთი დიდ სამრეწველო წამოწყებებში და საბანკო საქმეებშიც ჩაება. ზოგი მათგანი ბანკების ხმოსნად ითვლებოდა, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში მსხვილი ბანკების დაარსებაშიც მონაწილეობდა. 60-ზე მეტი ებრაელი კომერსანტის გვარ-სახელი და მისამართი რეგულარულად ქვეყნდებოდა იმდროინდელ პრესაში, ზოგიერთი ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნადაც იყო არჩეული (ი. პაპისიმედოვი, 1946, გვ. 30-32).

ამ ოჯახების კუთვნილი თეთრი ქვის სახლების, ძვირფასი სამოსისა და სამკაულების, საარაკო ფუფუნების, განსაკუთრებული საზოგადოებრივი მდგომარეობის ფონზე, უმძიმეს სოციალურ პირობებში უწევდათ თავის რჩენა მეწვრილმანე ებრაელ ვაჭრებს, მათი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს. ორშაბათობით, დილაუთენია გამოეფინებოდნენ ქალაქის ქუჩებში ზურგზე აბგააკიდებული, ხელკალათიანი მეფართლეები, მეღვინეები (საგალანტერიო ნაწარმის გამყიდველები), ნავით, მარილით, საპნით, წამლებით, ჭურჭლით მოვაჭრენი. უკეთეს შემთხვევაში, ვიღაცას ცხენი ჰყავდა, ან სახედარი, ზედ დადგმული გოდრით, ხურჯინითა თუ სალენგრე იაშვიკით“ (ხის დიდი ყუთით), რათა შორეულ სოფლებში წაეღო საქონელი, თუ არადა, ფეხდაფეხ უნდა ეტარებინა. რამდენიმე დღე ყოვნდებოდნენ საქმეზე და დალილ-დაქანცულნი, მშვიერი, დაკონკილნი, საშაბათოდ ბრუნდებოდნენ ოჯახებში, რომ ორშაბათს კვლავ თავიდან დაეწყოთ ყველაფერი. (ნ. ცხვედიანი, 2016: 140).

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ებრაელებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების გვერდით დაცულია საინტერესო საბუთი ერთი ქუთაისელი ებრაელი მოვაჭრის შესახებ. ესაა 1832 წლით დათარიღებული “დათხოვების ფურცელი“, რომლის თანახმადაც მებატონე-პროპორშიკი თავადი გიორგი კაციას ძე წულუკიძე ქალაქ თფილისს სამი დღით სავაჭროდ წასვლის ნებას რთავს “დანიელა მოშიაშვილ ურიას“ (ისტ. საბუთები ქუთ. მუზეუმიდან, 1995: 29).

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობისადმი ინტერესი ქუთაისელმა ებრაელებმა საბჭოთა პერიოდშიც შეინარჩუნეს. ებრაელთა მჭიდროდ დასახლებულ უბანში, განსაკუთრებით შალუმიანის (ახლანდელი გაპონოვის) ქუჩაზე, არალეგალური, “იატაკქვემა“ ბაზრობა იყო გაჩაღებული, რასაც იმდროინდელი

სამართალდამცველები და პრესა “სპეკულაციის“ სახელით მოიხსენიებდნენ. სამაგიეროდ, უბანს არასდროს აკლდა ქალაქისა და მეზობელი რეგიონების მოსახლეობის აქტიური ყურადღება. ებრაელებისაგან იძენდნენ იმპორტულ საქონელს: ქსოვილებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჭურჭელს, პროდუქტებს, სიგარეტებს, ფუფუნების საგნებს - ყველაფერს, რაც საბჭოურ მაღაზიებში არ იშოვებოდა, ებრაულ ოჯახებს კი საკუთარი არხებითა და ნაცნობობით შორიდან ჩამოჰქონდათ.

quTaisel ebraelTa "saidumlo savaWro ena"

სწორედ აღებ-მიცემობისა და სავაჭრო ურთიერთობის პირობებში შეიქმნა ქუთაისელ ებრაელთა “საიდუმლო-სავაჭრო ენა“. ამ თავისებური, პირობითი ენის დანიშნულებას, უმთავრესად, კლიენტებისაგან ვაჭრობის საიდუმლოს დაცვა წარმოადგენდა. თვით ებრაელები ამ ჟარგონულ მეტყველებას “ყივრულს“ უწოდებდნენ, რაც დაკავშირებულია სიტყვასთან “ყიბრი“ (ი. პაპისიმედოვი, 1946: 69-74). მე-19 ს. ბოლოსა და მე-20 ს. დასაწყისში მას დიდი გამოყენება ჰქონდა ვაჭართა შორის. იგი, უმთავრესად, შეამხანაგებელი ებრაელი ვაჭრების მიერ საჯარო ბაზრობებზე იხმარებოდა, ზოგადად ებრაელთა საყოფაცხოვრებო მეტყველებაში კი შედარებით მცირე, თუმცა გარკვეული ადგილი ეჭირა. ამ ენიდან ზოგიერთ სიტყვას ქართული მოსახლეობის ვიწრო წრეც ხმარობდა, განსაკუთრებით - დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში. (იქვე). რას წარმოადგენდა ეს “საიდუმლო-სავაჭრო ენა?“ ეს იყო ძველ ებრაული სიტყვების ძირებზე ქართული პრეფიქს-სუფიქსების დართვით მიღებული ლექსიკური ერთეულები.

ილია პაპისიმედოვს მაგალითად მოჰყავს “ვისოხარე.“ ქართული გაგებით ეს სიტყვა ნიშნავს: “ვივაჭრე.“ მკვლევრის თქმით, ის წარმოებული უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვისაგან სოხერ “ვაჭარი“. ამ შემთხვევაში, ი.პაპისიმედოვის აზრით, სიტყვის ძველებრაულ ძირს დაერთვის “ვი“ და “ე“ ქართული აფიქსები. ასეთივე ფორმითაა გადმოცემული სიტყვა “გავხრიდე“, რაც ქართული გაგებით ნიშნავს: “გავყიდე“. სიტყვა “მოვატოვე“ ნიშნავს: “მოვატყუე.“ გარდა ამისა, ზოგიერთი სიტყვა გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობითაც. მაგ. სიტყვა “დაუადე“ ქართული გაგებით ნიშნავს: “მიეცი“. ის წარმოებული უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვისაგან “იად“, რაც ნიშნავს “ხელს“.

მკვლევარ ილია პაპისიმედოვს 107 ასეთი სიტყვა და მისი ქართული შესატყვისი მოჰყავს თავის ნაშრომში. მათ შორის: აამსევგრე (აიღე, აიყვანე), გაამსევგრე (გაატანე), გამეყვრდა (გადაიფიქრა), დააფანეგრე (დამალე), დააგანაბა (მოიპარა), დალენდა (წავიდა), დავაქამე (მოვატყუე), დავლაილავდეთ (დავბინავდეთ, ღამე გავათიოთ), დაჩიმმე (გასინჯე, შეხედე), ეთომარე (ელაპარაკე), ლევანი (თუმანი), მამონი (საქონელი, ქონება), მოუბრიდე (მოუხიე, მოუჭერი), სათონლავი (საჭმელი), სეფფი (სავაჭრო მოწმობა, პირადობა), ქელედი (ძალი. გადატ. მნიშვნელობით-პოლიციელი, სააქციზოს ჩინოვნიკი), შეკერი (ტყუილი), ქესეფი (ფული), ქონაქი (ცული, უვარგისი), მოუგადლოე (მოუგე), მოსატოვებელი (მიამიტი, იოლად მოსატყუებელი მუშტარი) და სხვ. (ი. პაპისიმედოვი, 1946: 70-73).

მკვლევარი მიუთითებს, რომ აღნიშნული სიტყვებისაგან შედგებოდა

მთელი რიგი მარტივი და რთული წინადადებანი. ზოგიერთ წინადადებაში წევრებად ჩართული იყო ქართული სიტყვებიც (იქვე: 74). ამ ლექსიკას ბოლო პერიოდამდე იყენებდნენ მოვაჭრე ებრაელები.

ასე რომ, ქუთაისის არალეგარულ ბაზრობებზე, შაუმიანსა და სხვა ქუჩებში ბოლო პერიოდამდე გაისმოდა ეს ნართაული ფრაზები:

- **ყატონი არ დაუქამო!** (კაპიკი არ დაუკლო!)
- **შენს მამონს მე მივხრიდი და, რასაც მოუგადოლებ, სავახეზო იყოს!** (შენს საქონელს მე მივიყიდი და, რასაც მოუგებ, სანახევრო იყოს!)
- **ჩემი მუშტარი გამიშეყერა და ვერც თითონ მიხრიდა** (ჩემი მუშტარი ჩამომაცალა... გადაიბირა და ვერც თვითონ მიჰყიდა).
- **დღეს ტობათ ვისოხარე, მაგრამ სეფერი არ მიეშამდა და ქელებმა შოხადი წამართვა** (დღეს კარგად ვივაჭრე, მაგრამ პატენტი არ მქონდა და ძაღლმა (მილიციელმა) ქრთამი წამართვა)(იქვე).

ქართულ-ებრაული სიტყვებისაგან მიღებული სლენგი განსაკუთრებით პოპულარული იყო მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლების ქუთაისელი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში, მეტადრე - ვაჟებში. ისინი ისე სრულყოფილად ფლობდნენ ოდესღაც “საიდუმლო - სავაჭრო“ ენის ნიმუშებს, რომ სოციუმის ყველა ფენაში, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში თამამად გაისმოდა. თავიანთ პრიორიტეტულობას, ასე ვთქვათ, “გამოსულობას“ ახალგაზრდობის ეს ნაწილი სწორედ ამ ლექსიკის გამოყენებით და ჟარგონზე თავისუფლად მეტყველებით უსვამდა ხაზს. ასე რომ, **ნაშა, გიმელი, განაბი, მიაშეყერე, დაბრიდე, ჩათოხლა, ეთომარე, დავიადე** და მსგავსი სიტყვები ის სლენგი იყო, რომელსაც ქუთაისელი ახალგაზრდობის ამ ნაწილის ყოველდღიურ მეტყველებაში თარგმნა არ სჭირდებოდა.

ებრაელთა დიდი ალიის, ანუ ქალაქში ებრაული მოსახლეობის შემცირების, შემდეგ თაობებში იკლო ამ ლექსიკის გამოყენებამ. ახლა იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება შემორჩენილი ყივრულ-ქართული ლექსიკური ერთეულები.

ვფიქრობთ, ეს თემა ენათმეცნიერთა შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს-სლენგში დაცული ფონეტიკური მოვლენებისა და სხვა საინტერესო ენობრივი მონაცემების გამო.

ebrauli inteligencia quTaisidan

მეოცე საუკუნეში ქუთაისის საზოგადოებას ებრაული ინტელიგენციის სახით შეუერთდა მრავალი ექიმი, პედაგოგი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ხელოვნების მუშაკი, სხვადასხვა დარგის საუკეთესო სპეციალისტი. მათ თავიანთი სიტყვა თქვეს ქალაქის შემდგომ განვითარებასა და კულტურულ წინსვლაში. ბევრი მათგანი კი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოღვაწე გახდა.

ქუთაისში წლების მანძილზე ცხოვრობდა ბორის გაპონოვი (1934-1972), რომლის მიერ ივრითზე გენიალურად თარგმნილი “ვეფხისტყაოსანი“ საქართველოსა და ისრაელში საუკუნის ლიტერატურულ მოვლენად იქცა. ქუთაისელები არიან: ეთნოგრაფი როზა თავდიდიშვილი, ენათმეცნიერი რაფიელ შამელაშვილი, მწერლები: უშანგი რიჟინაშვილი, იაკობ პაპიაშვილი, მრავალი ევროპული ქვეყნის აკადემიებისა და აშშ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შალვა მარდი (მარდახიაშვილი), ჟურნალისტი მიხეილ

დავითაშვილი, მკვლევარი ლეილა თეთრუაშვილი, მხატვრები: მაყვალა და მერი ფიჩხაძეები, პოლიტიკური მიმომხილველი აბონ ციციაშვილი, ისტორიკოსი დანიელ ხანანაშვილი, მათემატიკოსი, დოქტორი ალექსანდრე ელიგულაშვილი (იგივე მუსიკოსი ალ. პელეგი), პირველი ებრაელი მსახიობი-მეთოჯინე ქალი რუთი თავდიდიშვილი და მრავალი სხვა. დემოკრატიული საქართველოს პირველი პარლამენტის დეპუტატი და რელიგიის მინისტრი იყო ქუთაისელი რაბი მოშე დავარაშვილი. გრძელია ეს სია, მაგრამ ილია ხახიაშვილს, ქუთათურთა საყვარელ ილო ფოტოგრაფს, მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მრავალი მწერლისა და მხატვრის მუზა და, საყოველთაო შეფასებით, მსოფლიოში ერთადერთი ფოტოგრაფია, ვისაც სიკვდილის შემდეგ ქალაქმა ძეგლი დაუდგა.

"mezuza" quTaisSi

“მეზუზა“ ებრაელთა სახლის მფარველია, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი. ამავე დროს, მეზუზა - ოთხკუთხა, თავდახურული, თხელი კოლოფია, რომელშიც ჩასვენებულია სოფერის (წმინდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქაღალდზე ნაწერი თორიდან “მეორე სჯულის“ ფრაგმენტი და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. ოჯახის ყველა წევრი შინიდან გასვლისას და დაბრუნებისას ასრულებს გარკვეულ რიტუალს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს (ჩვილ - ენც. ლექსიკ..). ქუთაისშიც ყველა ებრაულ სახლს ჰქონდა “მეზუზა“. ისინი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ქალაქში, რომლის მოსახლეობასაც ძველთაგანვე კეთილმეზობლური დამოკიდებულება გააჩნდა ებრაელებისადმი. იშვიათი ყოფითი შემთხვევის გარდა, ძირძველ ქართულ ქალაქში თითქმის არასოდეს ყოფილა ანტისემიტური გამოხატომები. სამაგიეროდ, ისტორიას ახსოვს პერმანენტული ხანძრიანობა ებრაელთა უბანში - 1896, 1908, 1928 წლებისა, როცა ცეცხლში დაინთქა უამრავი საცხოვრებელი სახლი და ქონება (მაგალითად 1928 წლის 10-11 მაისს მომხდარმა ხანძარმა იმსხვერპლა 366 ხის სახლი. ვ. ჯაოშვილი, 1989: 341) და ებრაელთა მწუხარება ქალაქის მთელმა მოსახლეობამ გაიზიარა, მრავალი ფორმით გამოიხატა სახალხო თანადგომა და მწუხარება.

ისტორიამ ასევე შემოინახა 1901 წელს რუს შოვინისტთა მოხეტიალე დასის მიერ ქუთაისის თეატრში საგასტროლოდ ჩამოტანილი, ანტიებრაული შინაარსის სპექტაკლის — “შვილი ისრაელისა“ — გამო აღმფოთებული ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძისა და მისი მეგობრების მძაფრი პროტესტი. ქალაქს ახსოვს გერცელ ბააზოვისა და გურამ ბათიაშვილის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების სრული ანშლაგიც, ვინაიდან ამ წარმოდგენებში ქართულ-ებრაული ურთიერთობის რეალური სურათი იყო დახატული. (ნ. ცხვედიანი, 2016: 61-63).

1972 წლიდან, როცა ებრაულმა ოჯახებმა მასობრივად დატოვეს ქუთაისი, თითქოს განსაკუთრებული ფერები დააკლდა ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას. დღემდე ახსოვთ ქუთაისელებს ის ცრემლიანი სიხარული, ისრაელიდან მოსული, საბჭოთა ცენზურაგამოვლილი და უხეიროდ დაწებებული პირველი კონვერტების გამოჩენას რომ მოჰყვა. სიყვარულითა და სევდით სავსე ბარათებს აგზავნიდნენ ძველ სამეზობლოში: ფიჩხაძეები,

იაკობაშვილები, ელიგულაშვილები, სეფიაშვილები, ბინიაშვილები, პაპიაშვილები, ჯინჯინაშვილები, თავდიდიშვილები, მეგრელიშვილები, ხახიაშვილები, აჯიაშვილები, ბუზიაშვილები... იწერებოდნენ, რომ სათუთად ინახავენ ქუთაისზე — მეორე დედაზე — მოგონებას, უფროხილდებიან აქ ნასწავლ და შეთვისებულ ტრადიციებს, ისრაელში დაბადებულ შვილებს ქართულ ენასა და ცეკვა-სიმღერას ასწავლიან (ნ. ცხვედიანი, 2016: 65).

თუ ისრაელმა ბინა გამოიცვალა და მის ყოფილ ბინაში ისევ ისრაელი იცხოვრებს, არც ერთ კარზე მეზუზას არ მოაშორებს, ისევ დატოვებს, ხოლო თუ მის ნადგომ ბინაში არაისრაელი იცხოვრებს, იმ შემთხვევაში, არც ერთ კარზე მეზუზას არ დატოვებს.“- ასეთია ქუთაისელ მორწმუნე ისრაელთა წესი (რ. თავდიდიშვილი, 1940: 88).

ცხადია, დღეს მეზუზა აღარ არის ებრაელთა სახლების კარებზე, მაგრამ ამ სახლების ჭერქვეშ ამჟამად მცხოვრებმა ქართულმა ოჯახებმა კარგად იციან - მეზუზის ნაცვლად, დიდი, ტკივილიანი სიყვარული დატოვებს ქუთაისელმა ებრაელებმა.

damowmebuli literatura da wyaroebi

- r. TavdidiSvili, 1940** - რ. თავდიდიშვილი, ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1940.
- a. krixeli, 1945** - ა. კრიხელი, ქართველი ებრაელები ფეოდალური ურთიერთობის ხანაში: საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 3, თბ., 1945.
- diubua de monpere, 1839** - დიუბუა დე მონპერე, მოგზაურობა კავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა ფატი გოკიელმა, პარიზი, ტ. 1, 1839.
- g. mWedliZe, 1993** - გ. მჭედლიძე, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921), ქუთაი, 1993.
- i. papisimedovi, 1946** - ი. პაპისიმედოვი, საქართველოს ებრაელთა აღებ-მაცემის ისტორიისათვის: საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 3, თბ., 1946..
- i. da iv. puradaSvilebi, 2009** - ი. და ივ. პურადაშვილები, მოგონებები, ქუთ., 2009.
- n. cxvediani, 2016** - ნ. ცხვედიანი, შალომ, ჩემო ქუთაისო, “კულტურა პლუს“, №1(3), 2016.
- z. WiWinaZe, 1904** - ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, ტფ., 1904.
- d. xananaSvili, 2009** - დ. ხანანაშვილი, ქუთაისის ებრაელთა ისტორია (ლოცვის კარები), თელ-ავივი, 2009.
- istoriuli dokumenti, 1850** - ისტორიული დოკუმენტი №26, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1850.
- v. jaoSvili, 1989** - ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1989.

istoriuli sabuTebi, 1995 - ისტორიული საბუთები ქუთაისის მუზეუმიდან: "დათხოვების ფურცელი," ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, ქუთაისი, 1995.

Документы о Кутаисских евреях 140 г., 1840 - Документы о Кутаисских евреях 140 г. (1840 г. мая 22. Прошение Кутаисских "казенных и церковных евреев" ген. Головину о "дозволении ходить с товарами по деревням" для торговли), საქართველოს ებრაელთა ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 2, თბ., 1941.

sia quTaisSi saeklesio miwaze mcxovre ebraelTa: საეკლესიო უწყების ებრაელთა, სახელმწიფო ებრაელების, საბატონო ებრაელების, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 3, თბ., 1945.

გაზ. "**cnobis furceli**", 1903 - გაზეთი "ცნობის ფურცელი", №2031, 1903.

saqarTvelos ebraelTa msolfio kongresis (semk) saiti
<http://www.georgianjews.org/stat.php?id=176&lang=gr17-65> 12.03.2019.

civil - enciklopediuri leqsikoni
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=15823> 12.03.2019.

NANULI TSKHVEDIANI**JEWS IN KUTAISI**

There are no ancient notes about immigration of Jews in Kutaisi, the first informational document mentioning Jews living on Mtsvanekvavila territory is the book donated to Gelati cathedral by Gelati Metropolitan Zakaria Kvariani in 1644. It reads “Pitchkhadze Daniel a jew”. Important notes regarding the population of the next period can be found in documents kept in the state historical museum of Kutaisi, also in the work of Swiss traveler and researcher, Prof. Diubua de Monpere “travel in the Caucasus”.

In terms of social belonging, the first jews from Kutaisi were: the pheasants of king and church. From XIX when economic and trading and craftsmanship became widespread in the city, jews from Akhaltsikhe, Oni, Lailashi, Kartli immigrated with large numbers. The main field of their occupation was trading. Unlike the poor traders residing in Kutaisi and its surroundings, the rich merchants had good connections with European states, they used to sell a large number of local goods outside the country and import the foreign goods.

In terms of trading relations, from the end of the XIX century “secret trading language” was born among Kutaisi Jews. The function of this conditional language was keeping the trading secret. This slang based language called “Kivruli” was used by the Jew population of Kutaisi as well as non-Jew part, in particular, certain circles of youngsters from the middle of the XX century. Slang was produced by adding Georgian prefix on the old Jewish root.

Rising socio-economic and cultural levels of Kutaisi resident Jews started from the 20-30s of the XX century on the background of the antireligious campaign held by the communist party and soviet state, when the intention of the internalization of Jews and killing creative mind among them was vivid. Instead, the old population of the city always had goodwill and a wish for auspicious relations.

Despite good relations with Georgians and living with the same cultural surroundings, Jews retained their ethnic-religious traditions. Celebrations of Kutaisi Jews were the following: Rossana, Kifuri, Osayana, Simkhattora, Khanuka, Furimi, Agata, Komori, Sabuioti, Fesakhi. From their habits, we must remark: gomeli, refua, writing “geti,” Surviving from “koenoba”, “sitting on tora,” tradition of “adolescence”, etc.

Until the 70s of the XX century, before big Jewish Alia, Shaumiani street (present day Gaponovi street) and its surrounding districts were compactly resided by Jews.

მაგდა ჭიქაბერიძე

ქუთაისი ნიკო ნიკოლაძის მოგონებების მიხედვით

გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის მოგონებებმა ქალაქ ქუთაისის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა შემოგვინახა. მწერალმა ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში “წარსულიდან” (დაიწერა 1927 წელს) ქუთაისში გატარებული თავისი ყმაწვილობის წლები გააცოცხლა.

დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ დიდმა მწერალმა რეზო ჭეიშვილმა ნიკო ნიკოლაძის მოგონებებით მიღებული შთაბეჭდილება შემდეგნაირად გადმოსცა: “წუხელის და დღესაც ნ. ნიკოლაძის ნაწერების I ტომს ვკითხულობდი. რა მშვენივრად აქვს აღწერილი ადრინდელი ქუთაისი. ძვირფასი ეთნოგრაფიული და რაც გინდათ, ის დავარქვათ, მასალა პირადად ჩემთვის. მომაკვდავი ბაბუა რომ მოყავთ მოსალოცად, როგორ მოაჭრიალებენ ღონიერი კამეჩები დიდ ურემს... წინ ჭარმაგი მეურმე, უკან დედაკაცი (მამიდა) და ბავშვი, ორლობები, შუკები. როგორ ნათლად ვხედავ თითქოს ყველაფერს... შემდეგ ახალი კადრი – მწვანეყვავილას სასაფლაო, სიცხე, ჭრიჭინობელები“ (რ. ჭეიშვილი, 2018, 31).

მართლაც, შთამბეჭდავია ნიკო ნიკოლაძის მიერ აღწერილი ქუთაისი. XIX საუკუნის ქუთაისის ასეთი თვალსაჩინო, ძალზე საყურადღებო ცნობებით გაჯერებული აღწერა თითქმის არც ერთ ქართველ მწერალთან არ გვხვდება. მემუარისტი ქალაქის ისტორიას 1820-იანი წლებიდან აცოცხლებს, როცა იმერეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა და იქ რუსული მმართველობა დამყარდა; ხოლო იმერეთის მეფე სოლომონ II ერთგულთა ამალით იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. ამ ტრაგიკულმა ისტორიულმა მოვლენამ პარადოქსულად სასიკეთოდ შეცვალა ნიკო ნიკოლაძის ოჯახის ბედი: მებატონისაგან გაქცეული და ქართლში გახიზნული მამუკა ნიკოლაძე – მწერლის ბაბუა – იმერეთში დაბრუნდა და ქუთაისის თავისუფალი მოქალაქე გახდა, ვინაიდან იმერეთის მეფობასთან ერთად აბაშიძეების ბატონობაც შეიმუსრა“ (ნ. ნიკოლაძე, 2009: 273).

მემუარისტის გადმოცემით, “იმ დროს ქუთაისი სულ სხვა ყოფილა“ (იქვე). მხოლოდ ძველი ქალაქი გორაზე, ბაგრატიის ტაძრისა და დანგრეული ციხის გარშემო, იყო მჭიდროდ დასახლებული. იქ შენობა შენობას ეკვროდა, ეზო – ეზოს, ხოლო რიონის მარცხენა ნაპირი თითქმის დაუსახლებელი და ტყიანი იყო“.

ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის მცხოვრებთა შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის. მისი თქმით, ქალაქის მოსახლეობა შედგებოდა საკუთრივ ქუთათელების, იმერელი აზნაურებისა და უცხოელებისაგან. მათ ბინა სხვადასხვა ადგილას ჰქონდათ; მაგალითად, ძველ ქალაქში, გორაზე, ქუთათელები სახლობდნენ: იმერეთის მიტროპოლიტი დავითი თავისი ხალხით, ასევე, სოლომონ მეორის მსახურთა და მოხელეთა შთამომავლები:

ხელთუფლისშვილები, მანჯეიშვილები (მარჯანოვები), ღულაძეები, ჩარკვიანები და სხვა... მწერალი ხელთუფლისშვილთა წარმომავლობას ასე განმარტავს: მათი წინაპრები იმერეთის მეფეების იურისკონსულტები (ხელთუფალნი) იყვნენო. გორის მეორე წვერზე, წმიდა გიორგის ეკლესიის ირგვლივ პოეტ **ბესარიონ გაბაშვილის** შთამომავლები ცხოვრობდნენ, მათ გვერდით კი, ცაცხვებქვეშ – **ლორთქიფანიძეები**. ასეთი იყო ძველი ქუთაისის მოსახლეობა.

ნიკო ნიკოლაძის გადმოცემით, ძველი ქალაქი, როგორც ყველა ძველი ციხე, ყოველმხრივ მიუღღამელი იყო. **აღმოსავლეთიდან** გორაზე ასვლა მხოლოდ ფარული გვირაბით შეიძლებოდა. იგი ციხიდან წყარომდე, აღმართის შუაგულამდე იყო გაყვანილი. **დასავლეთით, რიონის მარჯვენა ნაპირზე**, მთის კიდეზე კლდეში გამოკვეთილ ვიწრო ბილიკზე ორი იმერული ჯორი ძლივს აუვლიდა მხარს ერთმანეთს... “საზარელი იყო რიონის ჯურღმულის ზემოდან დანახვა“ (ნ. ნიკოლაძე, 2009: 234). მემუარისტის თქმით, 1859-1860 წლებში მთელი ფერდობი ლაღმებით ჩათალეს და თეთრი ხიდიდან ძველ ჩანგრეულ ხიდამდე გზატკეცილი გაიყვანეს. **სამხრეთიდან, რიონის მარცხენა ნაპირიდან** ფეხით მოსიარულეთათვის სიბ კლდეში ვიწრო კიბე იყო ამოჭრილი, **ჩრდილოეთიდან** კი გორას კავკასიონის მთავარი ქედი ეფარებოდა.

უცხოელები რიონის მარცხენა სანაპიროზე სახლობდნენ; კერძოდ: **მწვანეყვავილას** ძირში, მდინარის პირას – **ებრაელები**, უფრო დაბლა, აგრეთვე რიონის პირას – **ფრანგები** (კათოლიკეები), მათგან მოშორებით კი, ტყის პირას – **სომხები**, სულ ორმოცი ოჯახი. ამ უცხოელების ჩვენში ცხოვრება რამდენიმე საუკუნის საქმეა, – წერს მემუარისტი, – მათგან არავის, სამღვდელოების გარდა, ქართულის მეტი სხვა ენა აღარ სცოდნია. ყველას ჩვენებური ტანისამოსი ეცვა, კაცსაც და ქალსაც. ებრაელს კიდევ გაარჩევდა ადამიანი იმერლისაგან, მოუპარსავ წვერით და კავებით (კიკინებით), სხვებს კი ადგილობრივ ხალხისაგან გარჩევა აღარ ჰქონდათ“ (იქვე: 289).

მემუარისტის გადმოცემით, საკუთრივ **იმერლები** უფრო ქუთაისის გარშემო ერთმანეთს დაშორებულ პატარა სოფლებში ცხოვრობდნენ: “აბულაძეები – ჭომას, ასათიანები – ქვიტირს, ავალიანები – გუმათს, მესხები – რიონს, ქვარიანები – მწვანეყვავილზე და სხვა“ (იქვე: 275).

1830-იან წლებში ქუთაისში ძირითადად დაბალი, უიატაკო და უბუხრო სახლები იდგა. მათ დახეთქილი მუხის ფიცრებისგან აშენებდნენ. ეს სახლები ისლით იყო გადახურული, იატაკი კი დატკეპნილი თიხისა ჰქონდა. სახლის კერიიდან კვამლი სახურავში გადიოდა. იმ დროს ქუთაისში ოღა ძალიან ცოტას ედგა. ოდებს წაბლის ან ძელქვის ერთი ზომისა და სისქის დახეობილი ფიცრებისაგან სულ სხვა ოსტატები აგებდნენ. სახლების აშენების დროს ლურსმანს არ იყენებდნენ, ფიცრებს კი ნიშნავდნენ, რათა საჭიროების შემთხვევაში სახლის დაშლა და სხვა ადგილას გადატანა გაადვილებულიყო. ნიკო ნიკოლაძის თქმით, იმერელთაგან ხუროს ხელობა არავინ იცოდა. ამ საქმეს ლაზები ასრულებდნენ. იმერეთში პირველი რაჭველი ღურგალი – ბესარიონ დათეშიძე – მამამისმა თბილისიდან

წამოიყვანა. იგი აქ დაფუძნდა, შემდგომ კი ბევრი ღურგალი და ოსტატი გამოზარდა. საზოგადოდ, მამუკა ნიკოლაძის ოჯახმა ქართლიდან ბევრი ისეთი ხელსაქმე, ჩვეულება და იარაღი ჩამოიტანა, რომლებიც აქაურთათვის მანამდე უცნობი იყო.

მწერალი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ქუთაისელთა საქმიანობის შესახებ. მისი თქმით, ქუთაისის გარშემო მცხოვრები თითქმის ყველა იმერელი აზნაური უყმო და მცირე მიწა-წყლის მქონე იყო. ისინი თავს თვითონ ირჩენდნენ: ზოგს წისქვილი ჰქონდა გამართული, ზოგი მეაბრეშუმეობას მისდევდა, ზოგიც ვენახს უვლიდა და სიმინდი მოჰყავდა. უცხოელთა მთავარი საქმიანობა კი ვაჭრობა და მეწვრილმანეობა იყო. იმერეთის მეფეებს ისინი თავის დროზე აქ, ცალკეულ უბნებში, სწორედ ამ მიზნით დაესახლებინათ. დანარჩენ ადგილას მათ მხოლოდ დანიშნულ დღეებში შეედლოთ საქონლის გამოფენა-გაყიდვა.

ნიკო ნიკოლაძის თქმით, ქართველებს ვაჭრობა სათაკილო საქმედ მიაჩნდათ: “რა გინდა ღარიბი ყოფილიყო იმერელი კაცი, ვაჭრობას მაინც არ კადრულობდა, გლენიკაცის ცოლი ბაზარში ქათამს ან გოჭს გასაყიდათ რომ გამოიყვანდა, პირისახეს თათრის ქალივით აიხვევდა; არავინ წამესწროს ასეთ საზიზღარ საქმეზეო“ (ნ. ნიკოლაძე, 2009: 289). ამ მხრივ გამონაკლისი მწერლის ბაბუა მამუკა ნიკოლაძე იყო. იგი იმერეთში და, შესაძლოა, საქართველოშიც, პირველი ქართველი იყო, რომელმაც ვაჭრობა დაიწყო. ეს საქმე მისმა შვილებმაც გააგრძელეს. “იმ დროს ქუთაისიდან რუსეთში სავაჭროდ მარტო სამი კაცი დაიარებოდა: გორიდან გადმოსახლებული სომეხი მღვდელი პეტრე მღებროვი, აგრეთვე გორელი ფრანგი გაბრიელი ენდრონიკაშვილი და მამაჩემი, – წერს ნიკო ნიკოლაძე, – გაზაფხულზე ისინი შეკაზმავდნენ ცხენებს, დაიბარებდნენ წინ: მღებროვი – ტერტერას, ენდრონიკაშვილი – პატრს, მამაჩემი – დეკანოზს, გადაახდევინებდნენ მთელი ნათესაობის თანდასწრებით პარაკლისს, ტირილით დაჰკოცნიდნენ ცოლ-შვილს და მიდიოდნენ რუსეთში ტფილისის და კავკავის გზით“ (იქვე: 292). მწერლის მამა, იაკობი, ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობებისა და რუსეთის სხვა ქალაქების ხშირი სტუმარი იყო, მამუკას უფროსი შვილი, გრიგოლი, და მამაჩემი იმ ხანებში საქსონიაშიც ყოფილან ლეიპციგის იარმუკაში, სანამ კიდევ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან რუსეთში საქონლის შემოტანაო“ (იქვე).

მწერლის გადმოცემით, იმერეთში სამეგრელოსთან შედარებით ბევრი საშუალო შეძლების ოჯახი იყო. იგი მამის აზრს იმოწმებს: “სამეგრელოში რამდენიმე, ძლიერ ცოტა, მეტად მდიდარი მებატონე იყო, ვისაც შეძლებით ვერც ერთი იმერელი თავადიშვილი ვერ შეედრებოდა. მაგიერათ მთელი ხალხი ბევრად უფრო ღარიბი იყო, ვინემ იმერეთში. იმერეთშიო, იტყოდა მამაჩემი, ბევრი შუათანა შეძლების მოსახლეებია ჩინებულად მოწყობილი და დამოუკიდებელი. სამეგრელოში კი ასეთები ძლიერ იშვიათად შეხვდება კაცს“ (იქვე: 300).

მწერალი აღწერს ქუთაისის შემოგარენში გამართულ დღეობებსა და სახალხო დღესასწაულებს, რომლებზეც იმერეთის მოსახლეობის მეოთხედი მაინც იკრიბებოდა. იქ თავს იყრიდა როგორც თავადაზნაურობა, ისე

გლახკაცობა. ახალკვირაობას დღეობას **კულაში** იხდიდა, აღდგომის შემდეგ, მეორე კვირას, **დიდი ჯიხაის ქაშვეთობა** იყო, მესამე კვირას – **გეგუთობა**, 7 მაისს – **კონინჯრობა ქვიტირში... გიორგობა ხონში** 23 აპრილს გრანდიოზულად აღინიშნებოდა. ასე რომ, თითქმის ყველა კვირადღეს ქვემო იმერეთის რომელიმე სოფელი სადღეობოდ ნათესავებსა და მეგობრებს ეპატიჟებოდა. ასეთ შეკრებებზე ხალხი დროს მხიარულად ატარებდა. იმართებოდა დოდი. ყველაზე პოპულარული კი მაინც ქართული სპორტის უძველესი სახეობა – ბურთაობა იყო. მასში ყველა წოდება მონაწილეობდა. ბურთი ყოველთვის შემოსილ მღვდელს, ზოგჯერ არქიელსაც გამოჰქონდა მინდორზე მოოქროვილი ვერცხლის სინით. ნიკო ნიკოლაძის აზრით, ასეთ შეკრებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: “ვერც ერთი მიტინგი ვერ აჯობებდა ხალხისთვის იმ უგაზეთო დროში ამ ძველებურ ყრილობებს, დღეს სულ გადავარდნილებს. ადამიანი ამ კრებაზე წარმოუდგენელი სისწრაფით ტყობილობდა ახალ ცნობებს“ (ნ. ნიკოლაძე, 2009: 288).

მწერალი აღწერს ქუთაისის გიმნაზიას 1850-იან წლებში. ბუნებრივია, იქაც, ისევე როგორც მთელ იმპერიაში, სწავლების მთავარი მეთოდები ზუთხვა და “როზგი“ იყო, ხოლო მიზანი – რუსეთის ერთგული მსახურების აღზრდა. ნიკო ნიკოლაძე ერთგვარად აგრძელებს ქართველ მწერალთა (ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სოფრომ მგალობლიშვილი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი...) ტრადიციებს და ხატავს გარემოს, რომელიც დამთრგუნველად მოქმედებდა ყრმის ფსიქოლოგიაზე. “არც ერთ სასწავლებელში დედა-მიწაზე არ უნახავს კაცს ისეთი დაშორება და გულგრილობა მასწავლებლებს და მოსწავლეთ შუა, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში იმ დროს, როცა ჩვენ იქ ვსწავლობდით. – წერს იგი, – უფროსებიდან არც ერთი ტკბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედობდნენ... ისინი ჩვენ ნიადაგ გვიღრენდნენ, ჩვენ კი მათ ვერიდებოდით და ყველაფერს ვუმალავდით“ (იქვე: 313).

მწერალი საინტერესოდ მოგვითხრობს ყირიმის ომის დროს (1853-1856) დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ ქუთაისში, მიმდინარე მოვლენების შესახებ. 1854 წელს ბრძოლა გურიამიც იყო. გურულებმა მაშინ თავი ძალიან გამოიჩინეს და შემოსეული მტერი რუსის ჯარის დაუხმარებლად საზღვრებიდან გარეკეს. ქუთაისში მოიტანეს და მთელ ქალაქს აჩვენეს ხასან-ბეგ თავდგირიძის მოკვეთილი თავი, რომელიც შემდეგ თბილისში გაგზავნეს. მოგვიანებით, როცა ომის ბედი შეიცვალა და მთელი სამეგრელო თურქებმა დაიკავეს, ქალაქი მთლიანად დაცარიელდა, ხალხი ახლომანლო სოფლებში გაიხიზნა. გიმნაზია და სხვა სასწავლებლები დაიხურა. იმ წლებში ჩვენ ყველანი დიდი პატრიოტები ვიყავით“, – წერს მემუარისტი (იქვე: 308).

ასეთია ნიკო ნიკოლაძის თვალთ დანახული და გაცოცხლებული ქუთაისი. მოგონებებიდან ჩანს, რომ ქალაქმა მწერლის თვალწინ, მის სიცოცხლეშივე იცვალა სახე. ამრიგად, ჩვენთვის ფასდაუდებელია ნიკო ნიკოლაძის ეს მოგონებები, რათა გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ XIX საუკუნის I ნახევრის ქუთაისზე, მის გეოგრაფიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე,

სასწავლო გარემოზე – ქუთაისის გიმნაზიაზე, რომელშიც იზრდებოდნენ ქართველი გიმნაზიელები, მათ შორის, მომავალი დიდი მწერლები, მოღვაწეები.

damowmebuli literatura

n. nikolaZe, 2009 – n. nikolaZe, XIX saukunis qarTveli moRvaweni, saojaxo biblioTeka 25 tomad, biografiuli proza, Tb., 2009.

r. WeiSvili, 2018 – r. WeiSvili, gadanaxuli Canawerebi: JurnalI "mwvaneyvavila", #2, quTaisi, 2018.

MAGDA TCHIKABERIDZE

KUTAISI ACCORDING TO THE MEMORIES OF NIKO NIKOLADZE

Memories of the Georgian public man and thinker, publicist and critic Niko Nikoladze kept lots of interesting notes about Kutaisi. Memoirist depicts the history of the city since 1820 when the Kingdom of Imereti stopped its existence and the Russian government took control over it, as for the king of Imereti Solomon II was forced to exile in Turkey.

Niko Nikoladze gives important notes about the population of the city. According to him, the city residents were the locals, foreigners and Imeretian noble people. They resided in different parts of the city. For instance, the locals used to live in Gora, Jews and catholic people resided on

the left part of a bank of the river, apart from them, along the forest there was the Armenian community. All of them were the owners of the small lands and had no pheasants. They made a living by themselves: some of them had mills, some of them followed silk manufacturing, some of them had vineyards and cultivated corn. The main job of foreigners was trade. Kings of Imereti had settled them in this region for that very reason. Generally, most of Kutaisi residents were well of families with good living conditions.

According to Niko Nikoladze, Georgians used to consider trading as a shameful job. In his words” no matter how poor was the local man he wouldn’t consider trading”. In this respect, the grandfather of the writer –Mamuka Nikoladze was a special exception, he was the first Georgian merchant. The job was followed by his sons, father, and uncle of Niko Nikoladze.

Generally, the memories of Niko Nikoladze gives us a clear view about the I half of the XIX century Kutaisi, about its geography, lifestyle, studying conditions – Kutaisi gymnasium, which was the school of Georgian students, including writers and famous public men.

ლოლიტა ჭოლაძე

ქრისტინე შარაშიძე – „ქალი წარსულიდან“, მოთაველისათვის თავბანწირული

ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში სამართლიანად იკავებს განსაკუთრებულ ადგილს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე ეპოქა. მრავალი შეცდომის მიუხედავად, მაშინდელმა ლიდერებმა მოახერხეს პროგრესული კონსტიტუციის შემუშავება, დემოკრატიული სტანდარტებისა თუ სოციალური სამართლიანობის პირველადი პრინციპების დამკვიდრება და საყოველთაო თანასწორი არჩევნების ჩატარება.

“მენშევიკური“ მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა, ჩემი აზრით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ღია მხარდაჭერაა.

როგორც ისტორიკოსები ამბობენ, მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობა ჯერ კიდევ იშვიათი მოვლენა იყო, ქართველმა მანდილოსნებმა მოახერხეს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, არჩევნების პირველსავე ეტაპზე, დეპუტატები გახდნენ. მათ დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ, უმრავლესობა 1905 წლის რევოლუციის მონაწილე და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი ორგანიზაციების აქტიური ლიდერი იყო.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, საკმაოდ ტრადიციულ საქართველოში, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ქალის უფლებები საკანონმდებლო დონემდე იყო აყვანილი. ისტორიამ შემოგვინახა არაერთი უნიკალური ფოტო და დოკუმენტური მასალა, სადაც არჩევნებზე ორივე სქესის წარმომადგენელთა თანაბარი უფლებების შესახებ არის მოთხრობილი.

1921 წელს მიღებული საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 39-ე მუხლში ხაზგასმით წერია: “ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია – როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო, ეკონომიური და საოჯახო უფლებით“. მანამდე კი, ჯერ კიდევ 1919 წელს, საქართველოს ტერიტორიაზე დამფუძნებელი კრების არჩევნები შედგა, რომელიც საყოველთაო, პარტიტული პრინციპით ჩატარდა. სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიაში 20-ზე მეტი ქალი იყო, მათგან ხუთი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს: ელისაბედ ბოლქვაძე, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ელენორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე და ანა სოლოლაშვილი.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, დამფუძნებელი კრების სხვა წევრებთან ერთად, კრების წევრი ქალები მუდმივ დევნას განიცდიდნენ. 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლნენ ანა სოლოლაშვილი და ელისაბედ ბოლქვაძე.

მინადორა ტოროშელიძის თითქმის მთელი ოჯახი შეეწირა რეპრესიებს, თვითონ მხოლოდ იმიტომ გადაარჩა, რომ სამედიცინო განათლება ჰქონდა და ის სჭირდებოდათ შორეულ აღმოსავლეთში საავადმყოფოში სამუშაოდ. “ამ ქალების ღვაწლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის განუზომელია“, – აღნიშნა გამოფენის – “დამფუძნებელი კრების წევრი ქალები: 1919-1921“ – გახსნაზე ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის – IDFI საარქივო და საბჭოთა კვლევების მიმართულების ხელმძღვანელმა ანტონ ვაჭარაძემ. <http://liberali.ge/news/view/15481/gamofena-damfudznebeli-krebis-tsevri-qalebi19191921>

ახლახან კი საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარმა ირაკლი ხვადაგიანმა საზოგადოებას პირველმა მიაწოდა სრული ინფორმაცია საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ხუთი დეპუტატი ქალის – მინადორა ტოროშელიძის, ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძის, ოლა სოლოლაშვილის, ელენორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის და ელისაბედ ბოლქვაძის შესახებ. ხსენებულ კვლევამდე მათზე ინფორმაცია თითქმის არ არსებობდა.

დამფუძნებელი კრების (საყოველთაო თავისუფალი არჩევნებით არჩეული საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც ქვეყნის კონსტიტუცია შეიმუშავა) წევრად ხუთი ქალის არჩევა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით იმ დროის პოლიტიკურ კულტურაში საგულისხმო ფაქტია არა მხოლოდ საქართველოს, კავკასიის ან ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოსთვის, რადგან საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობა მაშინ მეტად დაბალი იყო. “ქალი წარმომადგენლები იმ დროისთვის ევროპის სულ რამდენიმე ქვეყანაში იყვნენ“, – ასე მიაჩნია მკვლევარ ირაკლი ხვადაგიანს.



qristine SaraSiZe
foto: erovnuli arqivi

ჩვენი ნაშრომის მიზანია, მოვითხროთ ეპოქის ერთ-ერთ გამორჩეულ ქალბატონზე, **ქრისტინე (ჩიტო) გიორგის ასულ შარაშიძეზე** (1887-1973).

მრავალფეროვანია ქრისტინე შარაშიძის ტიტულები: “მენშევიკი“, პედაგოგი, ჟურნალისტი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, ქართული ეროვნული კულტურის დიდი მოამაგე, საზოგადო მოღვაწე, 1919 წლის დამფუძნებელი საბჭოს და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ანტისაბჭოთა მოძრაობაში. არაერთხელ დააპატიმრეს. მისი ოჯახის წევრები კი დახვრიტეს.

რთული, მძიმე, მღელვარე და ამავე დროს უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება განვლო ამ ნაზმა და მომნიშლებმა ქალმა. ის მეოცე საუკუნის დამდეგიდან მოწმე იყო საქართველოს ისტორიის კატაკლიზმებისა.

დაიბადა 1887 წლის დეკემბერში ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, სახალხო მასწავლებლების – გიორგი (გიგო) შარაშიძისა და ნინა ქიქოძის ოჯახში.

დაწყებითი განათლება ქრ. შარაშიძემ ბახვის სოფლის სკოლაში მიიღო, სადაც მისი მშობლები ასწავლიდნენ. შემდეგ სწავლა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში განაგრძო, სადაც იგი III კლასში დასვეს.

პოლიტიკურ ასპარეზზე 1904 წელს გამოჩნდა, 15 წლის ასაკში უკვე არაღვალურ ორგანიზაციის წევრი იყო. მისი ინიციატივით რამდენჯერმე მოეწყო ქუთაისელ მოსწავლეთა ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია, რომელიც მეფის აბსოლუტური ძალაუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. აქტიურად მონაწილეობდა აკრძალული ლიტერატურისა და პროკლამაციების გავრცელებაში, რის გამოც გიმნაზიიდან გარიცხეს სხვა მეთაურ მოსწავლეებთან ერთად. ერთი წლის შემდეგ, დედის დაჟინებული მოთხოვნით, მან ჩააბარა დამამთავრებელი გამოცდები ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში. 1905 წელს დაამთავრა გიმნაზია და საცხოვრებლად გადავიდა თბილისში.

მოგვიანებით იხსენებდა კიდევ: “გარდასულ დროთა მოგონებებს ვავლებდი თვალს. გონებაში ამომიტივტივდა, 1904 წელს ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიიდან რომ გამომრიცხეს მიწისქვეშა რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორობისათვის. ახლა მეღიშება ამაზე, თანაც, გარიცხვა რომ არ იკმარეს და პოლიტიკურად არასაიმედო მოსწავლედ შემრაცხეს?! დედის ხათრი რომ არა მქონოდა, აღარც გავაგრძელებდი სწავლას. კიდევ კარგი, ახალგაზრდული გატაცებით დაბრმავებულმა, არ ავიცრუე გული სწავლაზედ“ (მოგონება განთავსებულია სოციალურ ქსელში, კონკრეტულად - facebook-ზე შექმნილი ქრისტინე (ჩიტო) შარაშენიძის გვერდზე: <https://www.facebook.com/SharashidzeQristine/photos/a.361956694297934/368106907016246/?type=3&theater>.

ქრისტინე შარაშიძე 1905 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1906 წლებში თბილისის რევოლუციურ გამოსვლებში. 1905 წლის ნოემბერში

“სომეხ-თათართა შეტაკებების“ განმუხტვისას ირიცხებოდა ე.წ. “მფრინავ რაზმში“, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევდა დაშავებულებს. ახალგაზრდა ქრისტიანე გაზეთებში – “მოგზაურსა“ და “სხივში“ გაფიცვადემონსტრაციების შესახებ ანგარიშებს აქვეყნებდა, ხოლო პუბლიკაციებში აღებულ ჰონორარს ოჯახს ახმარდა. ფაქტობრივად ეს იყო მისი შრომითი მოღვაწეობის დასაწყისი.

ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. დიდხანს კერძოდ ამზადებდა მოსწავლეებს. 1907 წელს ქუთაისის ქალთა კერძო გიმნაზიის გამგემ, მარიამ ყაუხჩიშვილმა 20 წლის ქრისტიანე თავის სკოლაში მასწავლებლად მიიწვია (დ. მეგრელიძე, 1989: 84). იგი რუსულ ენას ასწავლიდა ქუთაისსა და თბილისში დაბალ კლასებში. მას შემდეგ, რაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა ქართულ ენაში ყოფილ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიასთან, ნება დაერთო ქართული ლიტერატურა გადაეცა უფროს კლასებში, კერძოდ, თბილისში, ქალთა საოსტატო სემინარიაში. ქართულს ასწავლიდა აგრეთვე მუშებსა და ნოქრებს ქუთაისში.

1910 წელს ქრ. შარაშიძემ მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ორგანიზებაში. იგი აირჩიეს ამ უნივერსიტეტის გამგეობის წევრად – მდივნად.

ქრისტიანე შარაშიძე იყო პირველი ქართველი ლექტორი ქალი (დ. მეგრელიძე, 1989: 184), არაერთი საქველმოქმედო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი. 1917 წელს იგი არჩეულ იქნა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად, ხოლო 1918 წელს სათანადო თანხის შეწირვის შემდეგ მიღებულ იქნა “ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების“ დამფუძნებელ წევრად. ეს უნივერსიტეტი მან 1931 წელს დაამთავრა პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განხრით.

1917-21 წლებში ჟურნალ “ჯეჯილის“ სარედაქციო კოლეგიის წევრია, რედაქტორ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიწვევით და ინტენსიურად მონაწილეობს რედაქციის მუშაობაში. პუბლიცისტური მოღვაწეობა არც შემდეგ შეუწყვეტია.

მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ფაქტი მოხდა, როცა 1919 წელს არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით.

“დამფუძნებელი კრების წევრებად აგვირჩიეს მე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მანვილაძე, მინადორა ტოროშელიძე, ანა ოლღა სოლოდაშვილი და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე! რა უცხოა და რა მშვენიერი, რომ პირველად, ჩვენ, 5 ქალი ვართ საკანონმდებლო ორგანოში... რომ ჩვენც შეგვიძლია კანონების მიღება, წესრიგის დამყარება, მნიშვნელოვანი ამბების გადაწყვეტა. იქნებ გამიხსენოს კიდევ ვინმემ, თუნდაც გაკვრით, ჩემი სიკვდილის შემდეგ და გვერდიგვერდ ჩამოამწკრივოს ჩვენი სახელები, ვინ იცის?!“

ის იყო დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი, მდივანი და სამი კომისიის: საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიის წევრი.

პარლამენტის წევრობისას აქცენტს უმთავრესად სახალხო ჯანმრთელობის კანონმდებლობასა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემებზე აკეთებდა. როგორც განათლების კომისიის წევრმა, მან მოიარა ქიზიყის სოფლები და წარადგინა ვრცელი მოხსენება ამ სკოლების მდგომარეობის შესახებ (დ. მეგრელიძე, 1989: 185).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება ანტისაბჭოთა მოძრაობაში. 1921 წლის აგვისტოში რამდენჯერმე დააპატიმრეს. რეპრესიებს ვერც მისი ოჯახი გადაურჩა...

საინტერესოა ქრისტინე შარაშიძის დაკითხვის ოქმი, რომელიც 1922 წლის 18 თებერვლით თარიღდება. მას ეკითხებიან: "როგორი განწყობა გაქვთ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ?" ქრისტინე კი პასუხობს: "არ თანაუგრძობ და ვთვლი, რომ ეს ხელისუფლება დამყარდა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით და მან მოუტანა საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უბედურება" (<http://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2&fotocat=400&id=489>).

ამონარიდი მისი ერთ-ერთი დაკითხვის ტექსტიდან, სადაც ჩანს, თუ როგორ მტკიცედ იცავს იგი პარტიულ საიდუმლოებას, თანამოაზრეთა უსაფრთხოებას: "სასწავლებელში იყო გაფიცვა მოსწავლეებისა და თუ ვინ ხელმძღვანელობდა ამ გაფიცვას, არ ვიცი და პირადათ მე არანაირი დამოკიდებულება ამ გაფიცვასთან არ მქონია. საქართველოში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ მე არ ვმუშაობ იმიტომ, რომ არსებული რეჟიმი პოლიტიკურ მუშაობას შეუძლებლათ ხდის.

მე არც ის ვიცი, არსებობს თუ არა ცენტრალური კომიტეტი მენშევიკურ პარტიისა და ეწევა თუ არა რაიმე მუშაობას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაზე შემოძლია ვსთქვა, რომ აქ არის ხსენებული ძალაუფლება შემოსული რუსეთის წითელი ჯარის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს რეალურ ძალას და მთავრობა შემდგარი ქართველებისაგან წარმოადგენს მხოლოდ ფიქციას და ბატონობა საქართველოში არის უცხო ხალხისა..." <http://archive.ge/ka/biography/217>.

მის ერთ-ერთ ყველაზე გაბედულ ნაბიჯად 1922 წელს ოკუპაციის გაპროტესტებას მიიჩნევენ. 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების წლისთავზე გამართული საყოველთაო ზეიმის დროს, ქრისტინე შარაშიძის თაოსნობითა და მისივე მოსწავლეების მონაწილეობით, თბილისის მეათე პედაგოგიური ტექნიკუმი პროტესტის ნიშნად გაიფიცა, რისთვისაც ორგანიზატორი დააპატიმრეს და რამდენიმე თვე მეტეხის ციხეში იხდიდა სასჯელს.

ქრისტინე შარაშიძე არ გადაუსახლებიათ. საქართველოს სსრ სავანგებო კომისიის პრეზიდიუმმა მას 1922 წლის 23 მარტს ბრალდებით – მცდელობა საბჭოთა წყობილების დასამხობად და მენშევიკების ბატონობის აღსადგენად, რ თვით იზოლაციის წესით პატიმრობა მიუსაჯა. მეტეხის ციხიდან ქრისტინე შარაშიძე 1922 წლის 6 მაისს, ავადმყოფობის გამო, მალევე გაათავისუფლეს ძმის, შალვა შარაშიძის თავდებობის ქვეშ. პოლიტპატიმრების დახმარებას ის ამის შემდეგაც აგრძელებდა. მისი ბიოგრაფიის მომდევნო პერიოდში არანაკლებ ღირსშესანიშნავია:

ქრ. შარაშიძე მრავალი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად და პირნათლად ემსახურებოდა საბიბლიოთეკო საქმეს. თავდაპირველად იგი საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის საბიბლიოთეკო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1929 წელს, როდესაც საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ფონდების დიდი ნაწილი საქართველოს მუზეუმს შეუერთდა, ქრ. შარაშიძე საქართველოს მუზეუმის შტატში ჩაირიცხა, 1934 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისეული ბიბლიოთეკის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადატანის გამო, ქრ. შარაშიძე გადაყვანილ იქნა უნივერსიტეტში, 1935 წელს მუშაობდა ყოფილი “მეტეხის” ბიბლიოთეკაში (დ. მეგრელიძე, 1989: 185).

მოგვიანებით კი ცნობილი მეცნიერი გახდა, ქართული ხელნაწერების უბადლო მცოდნე და სამხრეთ საქართველოსთან დაკავშირებული ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი.

ქრ. შარაშიძე აქტიურად და საქმის სიყვარულით მონაწილეობდა საქართველოსა თუ საქართველოს გარეთ მოწყობილ გამოფენებში, სადაც მასალის და ისტორიის შესანიშნავი ცოდნით ამდიდრებდა საგამოფენო ექსპოზიციებს. მისი უმუშალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მოეწყო ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოფენა 1932 წელს, ხოლო 1952 წელს იგი მონაწილეობდა მოსკოვში მოწყობილ გამოფენაში – “ქართველები მოსკოვში”.

1936-37 წლებში ქრ. შარაშიძე აქტიურად იყო ჩართულია შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოწყობაში. მისი ხელმძღვანელობითა და უმუშალო მონაწილეობით (თ. მაჭავარიანთან და მ. ცისკარიშვილთან ერთად) შედგენილ იქნა რუსთაველის პირველი ვრცელი ბიბლიოგრაფია (2000 ბარათზე მეტი) (დ. მეგრელიძე, 1989: 185).

იყო საბიბლიოთეკო დარგის გამოჩენილი მუშაკი საქართველოში. (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/87354/1/Sabiblioteko_Dargis_Gamochenili_Mushakebi.pdf).

1938-1941 წლებში საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის მიწვევით მუშაობდა “ქართული წიგნი ბიბლიოგრაფიის” I ტომის შედგენაზე (ე. მეტრეველი, 1973: 4).

ძველ ნაბეჭდ წიგნებზე ხანგრძლივმა მუშაობამ მას დიდი ცოდნა და ავტორიტეტი შესძინა. როდესაც 1934 წელს სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ბიორკბომმა ქართული შრიფტის ანაბეჭდებს მიაკვლია, წერილის გამოქვეყნებამდე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას მიმართა კონსულტაციისთვის. ბიორკბომის წერილი პასუხისთვის, როგორც სპეციალისტს, ქრ. შარაშიძეს გადაეცა. მან პასუხი მალევე გაგზავნა სტოკჰოლმში. ამრიგად, ქრ. შარაშიძე პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც ევროპელ მეცნიერებს ინფორმაცია მიაწოდა ქართული შრიფტის შესახებ. 1935 წელს, როდესაც ბიორკბომმა თავისი წერილი გამოაქვეყნა, ქრ. შარაშიძეს ამონაბეჭდი გამოუგზავნა და მოსწერა: “ფოსტით გიგზავნით ამ ყურნალის ცალკე ამონაბეჭდს და თან ვატან მოკლე რეზიუმეს, როგორც პატარა სამაგერო სამსახურს მთელი იმ ღირსშესანიშნავი ცნობებისთვის, რომლითაც თქვენ დამავალეთ” (ბიორკბომის წერილებს თარგმნიდა ქრ. შარაშიძის ყოფილი მოწაფე ფატი ხუნდაძე) (დ. მეგრელიძე,

1989: 185-186).

მან ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი შრომები მოამზადა. მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფია “პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722) – ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორია“ (1955);

ასევე, იგი იყო უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების ავტორი ხევისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ. დაამუშავა და შეისწავლა IX-XIX საუკუნეების 1500-ზე მეტი ხელნაწერი. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები: “მებრძოლი ფიქრის პოეტი ნ. ბარათაშვილი“ (მოწაფეთათვის) (1920); “საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.) – გამოკვლევა და ტექსტები“ (1954); “ქართული ანბანი მე-19 საუკუნემდე“ (1957).

1940 წლიდან, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიწვევით, მუშაობას იწყებს ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების გადმოღება-შესწავლაზე. ამ დროიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქრ. შარაშიძის კვლევისა და ზრუნვის საგანი ქართული ხელნაწერები იყო. იგი მუშაობას იწყებს ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ხოლო 1958 წლიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებიდან, ამ ინსტიტუტში მოღვაწეობს 1964 წლამდე – პენსიაში გასვლამდე (დ. მეგრელიძე, 1989: 186).

ქრისტინე შარაშიძე თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საბჭოთა მილიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა მაინც უშიშრად ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. მის მტკიცე ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ 1953 წლის 21 თებერვალს, ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვის დღეს, აკაკი შანიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვებთან ერთად, მიუხედავად დიდი საფრთხისა, შესანიშნავი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა (იქვე: 189).

როგორც მისი თანამედროვეები და ახლობლები გადმოსცემენ, დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდზე ქრისტინე შარაშიძე შინ ბევრს არაფერს ყვებოდა. არც მეგობარი ჰყოლია ბევრი. სულ რაღაცას წერდა და წერდა. ფურცელი იყო მისი მეგობარი.

ქრისტინე შარაშიძე არ დაოჯახებულა. არც მემკვიდრე დარჩენია. 1964 წელს დაწერილ მოგონებებში კი დაწერს კაცზე, რომელიც, ალბათ, მთელი ცხოვრება მის ერთადერთ სიყვარულად დარჩა. დაწერს ამ კაცის სიკვდილიდან 40 წლის შემდეგ. დაწერს მძიმედ – შეკავებული სევდით. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის (SOVLAB) მკვლევარი ირაკლი ხვადაგიანი ამ მოგონებებს შეიტანს წიგნში “ისტორიები რეპრესირებული ქალების შესახებ“. ამ წერილის ადრესატი კი დამფუძნებელი კრების წევრი, გაბრიელ (გაბო) ცისკარიშვილია, რომელიც 1924 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა (<http://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2&fotocat=400&id=489>).

ქრ. შარაშიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი რგოლია ისიც, რომ მან შესანიშნავი პირადი არქივი შემოგვინახა (დ. მეგრელიძე, 1989: 187).

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე აღესრულა 86 წლის ასაკში, 1973

წელს, 10 ნოემბერს, თბილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

მისი პირადი არქივი: ბიოგრაფიის ამსახველი მასალები, შემოქმედებითი, მიმოწერა, ფოტოები და სხვადასხვა მასალები, ჯამში 2938 საარქივო საქმე დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ჩვენ მხოლოდ მშრალი ფაქტებითა და თარიღებით გადმოვეცით ბიოგრაფია დიდი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი ქალბატონისა, რომლის მთელი ცხოვრება მიმართული იყო საზოგადოების წინსვლისა და პროგრესის, სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის. მან სიცოცხლის ყოველი ეტაპით დაამტკიცა, რომ იყო მაღალი იდეალებისათვის მებრძოლი, მემბოხე და თავგანწირული ქალი, რომელსაც არც ერთ მამაკაცზე ნაკლებად არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე.

იმ პიროვნებათა შორის, ვის მიმართაც მომავლის მკვლევრებს განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდებათ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად იქნება ქრისტიანე (ჩიტო) შარაშიძეც – ქალი წარსულიდან“, მომავლისთვის თავგანწირული.

damowmebuli literatura da wyaroebi

d. megreliZe, 1989 – d. megreliZe, qristine (Cito) SaraSiZis cxovreba da moRvaweoba, wignSi: mraValTavi, filologiuri Ziebani, XV, Tb., 1989.

e. metreveli, 1973 – e. metreveli, Sinaarsiani cxovrebis gza, gaz. "literaturuli saqarTvelo", 16 noemberi, #45, 1973.

e. metreveli, 1989 – e. metreveli, qristine SaraSiZe, wignSi: mraValTavi, filologiur-istoriuli Ziebani, XV, Tb., 1989.

i. xvadagiani, 2016 – i. xvadagiani, saqarTvelos damfuZnebeli kreba 1919, Tb., 2016.

i. abulaSvili, 2017 - i. abulaSvili, pirveli parlamentari qalebi saqarTveloSi (http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=40180). 10.03.2019.

n. zotikiSvili, 2015 - n. zotikiSvili, pirveli qali parlamentarebi (<http://gza.kvirispalitra.ge/qveyana/istoriis-labirinthebi/1131-pirveli-qali-parlamentarebi.html>). 10.03.2019.

S. labaZe, 2017 - S. labaZe, pirveli cnobebi saqarTvelos respublikis qali deputatebis Sesaxeb (<http://gza.kvirispalitra.ge/qveyana/5061-pirveli-cnobebi-saqarTvelos-pirveli-respublikis-qali-deputatebis-shesakheb.html>). 10.03.2019.

maswavlebeli qalebi damfuZnebel krebaSi, 2013 - maswavlebeli qalebi damfuZnebel krebaSi (<http://mastsavlebeli.ge/?p=3008>). 10.03.2019.

l. papaskiri, 2018 - l. papaskiri, vin iyvnen pirveli deputati qarTveli qalebi, romlebmac saqarTvelos istoria Secvales (<https://www.ambebi.ge/article/223666-vin-iqvnen-pirveli-deputati-kartveli-kalebi-romlebmac-sakartvelos-istoria-shecvales/>). 10.03.2019.

pirveli qarTveli parlamentari qalebi, 2018 - pirveli

qarTveli parlamentari qalebi (<http://fiqriasi.damonize.blogspot.com/2018/03/1919-130-5-1918.html>). 10.03.2019.

sazogadoebrivi arqivi - sazogadoebrivi arqivi (<http://archive.ge/ka/biography/217>). 10.03.2019.

T. xaliani, 2015 - T. xaliani, gamofena "damfuZnebeli krebis wevri qalebi: 1919-1921 (<http://liberali.ge/news/view/15481/gamofena-damfudznebeli-krebis-tsevi-qalebi19191921>) . 10.03.2019.

National Geographic - saqarTvelo (<https://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2%20&fotocat=400&id=489>) . 10.03.2019.

LOLITA TCHOLADZE

CHRISTIN SHARASHIDZE -

A WOMAN FROM THE PAST DEDICATED TO THE FUTURE

One of the most important achievements of the First Republic of Georgia was giving women the right to vote in elections.

Georgian Constituent Assembly consisted of 5 women: Elizabeth Bolkvadze, Minadora Toroshelidze, Christin Sharashidze, Eleonora Ter-Farsegova-Makhviladze, and Ana Solorashvili. The subject matter of the article is the public work of Christin Sharashidze (1887-1973) who was one of the distinguished women, a teacher, journalist, scientist, big fan of Georgian national culture.

Christin Sharashidze was a member of several charity-scientific communities. In 1917 she was elected as a board member of the organization “spreading reading and writing knowledge among Georgians”, she was a founding partner of “Georgian university founding community”. She graduated from this university in 1931 with a specialization in teaching.

C. Sarashidze was a dedicated servant of the library work for many years. Initially, she managed the library branch of the historical-ethnographic museum. In 1929 when the funds of the historical-ethnographic museum united with the museum of Georgia, she became a staff member of the museum. In 1934 she started working at the university, in 1935 she worked in a former “Metekhi” library.

Later she became a famous scientist, unbelievable expert of Georgian manuscripts and the author of the fundamental work-related to South Georgia. She prepared important works regarding the Georgian printed history, including “The first print house in Georgia (1709-1722) - the history of Georgian printed word” (1955). His private archive: biographical materials, creative

correspondence, photos and different materials, overall 2938 archival works kept in the national center of manuscripts.

ლოლა ხაჭაპურიძე
ლუიზა ხაჭაპურიძე

სამხედრო ბაღატრიალება საქართველოში და
ბაგეთი "ქუჩი" ქუთაისში

ჩვენ დაწვრილებით არ ვისაუბრებთ პუტჩზე, რომლის გამოც დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. უამრავი დევნილით, ომში თუ მიტინგებზე დახოცილი ადამიანებით აივსო ბედკრული საქართველო, რუსეთთან არაპირდაპირი ომი დასრულდა პუტჩისტების "გამარჯვებით", საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობით და საქართველოს უზენაესი საბჭოსა და პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ჯერ დევნილობით, ბოლოს – მკვლელობით.

მაშინ, როცა დაიხურა ოპოზიციური გაზეთები: "saqarTvelos samreklo", "iberia speqtri", 2000 წელს ქუთაისში დაიბადა ქალაქის ჰელსინკის კავშირის ორგანიზაციის გაზეთი "quji", მთავარი რედაქტორი tariel futkaraZe, რედაქციის წევრები: onise banZelaZe (ლიტერატურა), giorgi danelia (საზოგადოება), giorgi lomsianiZe (ისტორია), tariel futkaraZe (პოლიტიკა), Tea cirekiZe, lola xaWapuriZe (პასუხისმგებელი რედაქტორი).

გაზეთმა 2 წელი იარსება, გამოვიდა 39 ნომერი, გამოდიოდა ოთხშაბათობით, ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელთა საიდუმლო შეხვედრების დღის – "ჯუმაშხას" აღსანიშნავად. გაზეთი ვრცელდებოდა მთელს საქართველოში.

გაზეთის მრავალფეროვნებასა და მის დიდ აქტუალობას იმ პერიოდში (თუმცა დღესაც ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს უახლესი წარსულის უტყუარი მატრიანე) განაპირობებდა სხვადასხვა სახის რუბრიკა:

"informacia kolxuri koSkidan" – იბეჭდებოდა დევნილი უზენაესი საბჭოს განცხადებები, სესიებისა და სხდომების დღის წესრიგი: "2000 წლის 23 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელიც ეხებოდა ე. შევარდნაძისა და ვ. პუტინის მიერ დადებულ ხელშეკრულებას ცალმხრივი უვიზო მიმოსვლის შესახებ, რასაც უზენაესი საბჭო მიიჩნევდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიის ანექსიის მცდელობად, რაც ეწინააღმდეგებოდა უზენაესი საბჭოს კონსტიტუციის პირველი თავის პირველი მუხლის მეორე აბზაცს: "საქართველოს ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია". "2001 წლის 27 იანვარს შედგა უზენაესი საბჭოს მორიგი სხდომა, სადაც განიხილეს საკითხი მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ", იმავე წლის 24 თებერვალს უზენაესი საბჭო აქვეყნებს განცხადებას: "ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ, მათ

შორის პარლამენტის არჩევნების დანიშნვის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ“, 2001 წლის 20 მარტს კოლხურ კოშკში ჩატარდა უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა, რომელზეც მიიღეს მიმართვა მსოფლიოს ქვეყნების, მთავრობების, პარლამენტების, ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოსადმი, რათა მათ დაეგმოთ ხუნტა, ელიარებინათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და იურიდიულად დახმარებოდნენ ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას. 2001 წლის 31 მარტს უზენაესმა საბჭომ გამართა სხდომა, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს რესპუბლიკაში საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების 10 წლისთავსა და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, დაბადების 62 წლისთავს.

"fragmentebi Cveni dRevandeli yofidan" – რუბრიკაში წარმოდგენილია წერილები ყოფითი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, მაგ.: "რატომ აძლევს ხელს ფაქტობრივ ხელისუფლებას ქუჩაში მოწყობილი პიკეტები" (გაზ. "ქუჯი", 2000, №1, გვ. 4). წერილი ეხება უმუშევრებს და მასთან დაკავშირებულ ქუჩის პიკეტებს, ასევე გვხვდება წერილები უწყლობის, უგაზობის, საწვავის არარსებობისა და პურის გაძვირების თაობაზე.

"mrude sarke da sinamdvile" – მოგვითხრობს შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების გამონათქვამებზე ქვეყნის აღმშენებლობის, ფეხზე დაყენების თაობაზე, რომ დაძლეულია კორუფცია, რომ გამსახურდიას ფაშიზტურმა მმართველობამ დააუძლურა ქვეყანა და მათ ფეხზე წამოაყენეს, რომ ყველაფერი შესანიშნავად მიდის. მაგ.: საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულების პროექტში დაიბეჭდა ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, სადაც ამბობს: "უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე მავალდებულებს ვებრძოლო კორუფციასა და კონტრაბანდას..." მოცემულ წერილს უპირისპირდება ხალხის აზრი, ანუ სინამდვილე: "ადამიანი, რომელიც სისხლით არის ხელისუფლებაში მოსული და მონაწილეობდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დამხობაში, სამშობლოსადმი, რა მოვალეობებზე საუბრობს და თავად დამნაშავე, როგორ ებრძვის კორუფციას" (ქუჯი, 2000, №2, გვ. 4).

რუბრიკაში "kadrebi quTaisi uxlesi warsulidan" გადმოცემულია პუტჩის დროს ქუთაისელთა ცხოვრება, მიტინგების დარბევა, გაუსაძლისი პურის რიგები, მხედრონელები თარეში და ძარცვა. მოცემული რუბრიკა ძირითადად ეყრდნობოდა ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის წერილებს მათი თავგადასავლებიდან ომის დროს და შემდგომ პერიოდში.

რუბრიკაში "saqarTvelos sxva axali ambebi" გვხვდება ასეთი წერილები: "თბილისში სვანეთის უბანში ლუთერანული ეკლესია დააფუძნა და თავადაც დამკვიდრდა ლუთერანი მოძღვარი ოტო ქუმელი; შემოტანილია ცუდი ნარკოტიკები, რის გამოც მოწამლული საავადმყოფოში მოხვედრილი 9 ახალგაზრდებიდან 5 გარდაიცვალა; ხონისა და სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ლტოლვილები შეასახლეს; ასპინძიდან თურქეთში გაიტანეს ასწლოვანი ხეებით დატვირთული ტრაილერი; ერთ-ერთმა ობიექტმა (სახლმართველობამ) ტყუილი დაპირებებით აყვანილი 600 თანამშრომელი

4 თვიანი მუშაობის შემდეგაც უხელფასოდ დატოვა, რის გამოც მათ საჩივარი შეიტანეს სასამართლოში, თუმცა ესეც უშედეგოდ, და სხვა...

"istoriis gakveTilebi" – იბეჭდებოდა წერილები და ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თავისუფლებისათვის მებრძოლი ცნობილი ისტორიული პირების ცხოვრებიდან.

"Cveni rwmena" – ქვეყნდებოდა რელიგიური ხასიათის წერილები, წმინდათა ცხოვრების მაგალითები, გამონათქვამები, ტროპარ-კონდაკები და სხვა;

"cnobebi danarCeni msfliodan" – წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ როგორ ხდებიან ახალ წელს სხვადასხვა ერები.

"poezia" – იბეჭდებოდა თინათინ მღვდლიაშვილის, გია ბენიძის, ჯემალ შონიას, აწ განსვენებული ქუთაისელი პოეტის გივი ტყემელაშვილის, ერთი სიტყვით, ნაცნობ თუ ნაკლებად ცნობილ ქართველ პოეტთა და მწერალთა ნაწარმოებები.

"mecniereba" – გვხვდება ძალზე საყურადღებო კვლევითი ხასიათის სტატიები ლიტერატურაში, ისტორიაში, ეკონომიკაში...

"sporti" – მოგვითხრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლიდა სპორტის ნორმალურ ფუნქციონირებას, მის განვითარებას.

რუბრიკაში "sxvadasxva" – გაერთიანებული იყო ანეკდოტები, ანუ გაზეთის ტერმინით "კვიმატი". მეტწილად იბეჭდებოდა იმ პერიოდში შექმნილი სატირულ-იუმორისტული ფორმის ხალხური ანეკდოტები. აქვე ერთ მათგანს შემოგთავაზებთ: "ორი ქუთაისელი ხდებდა ერთმანეთს, ერთი მეორეს ეუბნება: – ხომ იცი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მეორე პასუხობს: – კარგი, თუ ძმა ხარ, ეგ რომ მართალი იყოს, მაშინ მთელი პარლამენტი ბარძაყში გადატეხილი უნდა დადიოდეს".

იბეჭდებოდა კროსვორდი, ანუ "tvinsawnexi", "eqimis rCvebi" (აღნიშნულ რუბრიკაში თანამშრომლობდნენ ჰელსინკის კავშირის წევრი ექიმები).

რუბრიკაში "done" წარმოდგენილი იყო ინელექტუალური კითხვები (მაგ.: რომელ ქართველ კომპოზიტორს ეკუთვნის რომანსი ილიას ლექსზე "მესმის, მესმის", რომელ მოქანდაკეს ეკუთვნის ილიას საფლავის ძეგლი...).

"diasaxlisis rCvebi". აღსანიშნავია, რომ რედკოლეგიას ხშირად წერდნენ მკითხველი ქალბატონები, რომლებიც თავიანთ კულინარიულ რეცეპტებს აგზავნიდნენ. მათში ერთი თვალის გადავლებითაც შესამჩნევია, იმდროინდელი მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე ადამიანთა მწირი რაციონი და, როგორც ქუთაისელები ამბობდნენ, "არაფრისგან საჭმლის კეთების ხელოვნება", აქ შეხვდებით იმ პერიოდისთვის ცნობილ "პეჩენიებს" სახელწოდებით "სიგუები", "მურაბის ნამცხვრები", "ბარდიჯნის საცივი", "ტყუილი ბორში" (ანუ უხორცო), სოიოს კოტლეტები, ასევე სოიოსგან დამზადებული "ვითომ ოსტრი" და სხვა, თუმცა გვხვდება სხვა კულინარიული რეცეპტებიც.

რუბრიკაში "qujis fosta" – იბეჭდებოდა მკითხველთა სამადლობელი წერილები, გამსახურდიას კურსის მომხრეთა მოსაზრებები რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისში გამომავალი გაზეთი "ქუჯი", მასში დაბეჭდილი სტატიებით, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა წერილებით იმ პერიოდის საქართველოს უტყუარი მატრიანა, იგი ყველა მოქალაქის ხელით დაწერილი წიგნია იავარქმნილი სამშობლოსა და მისით გამოწვეული პირადი უბედურებების შესახებ. მისი გაცნობა საერთო სურათს შეუქმნის მომავალ თაობებს მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოს ნამდვილ ისტორიაზე.

damowmebuli wyaroebi

გაზ. "quji", 2000-2001 – გაზეთი "ქუჯი", ქუთაისი, 2000-2001.

**LOLA KHATCHAPURIDZE
LUIZA KHATCHAPURIDZE**

**THE MILITARY COUP IN GEORGIA AND
THE NEWSPAPER "KUJI"
IN KUTAISI**

In 2000 Kutaisi organization of Helsinki Union founded the newspaper "Kuji" which functioned for two years, published 39 editions, and was spread to whole Georgia. The diversity and relevancy of the newspaper was defined by the several rubrics: Information from the Kolki castle" published the statements of the persecuted supreme council, the agenda of sessions and meetings; "Fragments from our present", "false mirror and reality", "Scenes from the nearest past of Kutaisi" (describes the life of Kutaisi residents of coup time, breaking up the rallies); "Different news of Georgia", "History lessons", "Our faith", "Poetry", "Science", "Spot", "Kuji post" (published gratitude letters sent from readers and opinions about different issues?).

We can state that the Kutaisi newspaper "Kuji" is the chronicler of the period of Georgia. It is written by all the residents of Georgia about their defeated home country. It will help future generations to create the general picture of Georgia at the end of the 20th century.

ლუიზა ხაჭაპურიძე

ქუთაისის ცეკვის სახელმწიფო ახალგაზრდული
ანსამბლი XX საუკუნის 50-60-იან წლებში

ქუთაისის ქართული ხალხური ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი ჩამოაყალიბა საქართველოს სახალხო არტისტმა, მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა murman lomTaTizem 1945-1950 წლებში. დირექტორი გახლდათ წარსულში შესანიშნავი მოცეკვავე Salva evgenis Ze iaSvili (პირველი ქართველი ქორეოგრაფი, ვინც ყრუ-მუნჯები ააცეკვა). მასზე iliko suxiSvils უთქვამს: “შალვა იაშვილი რომ თბილისის ფილარმონიის საზაფხულო თეატრში კონცერტს ატარებდა, მე კედელზე ავცოცდებოდი და იქიდან ვუყურებდი, რამაც გადაწყვიტა, მოცეკვავე გაემხდარიყავი”¹.

ანსამბლი შედგებოდა სხვადასხვა პროფესიის, მაგრამ ქართულ ცეკვაზე უზომოდ შეყვარებული ქუთაისელი გოგო-ბიჭებისაგან, მათ შორის ქუთაისში მცხოვრები ებრაელი და ოსი ეროვნების ახალგაზრდებისაგან, მათგან ბევრი შემდგომ საქართველოს დამსახურებული ქორეოგრაფი იყო:

SoTa qoriZe საუკეთესოდ ცეკვავდა “პაემანს“, შემდეგ karlo gergaiam ეს ცეკვა აიყვანა კლასიკამდე, nikrisia CeCelaSvili – hqonda utyuari ceri (მასზე ამბობდნენ, ნიძღავზე მაღალი მესრიდან ხტებოდა და ცერზე დგებოდაო, fezu qiSaevi – სპორტის ოსტატი კრივში, იაპონიის ოლიმპიადის მონაწილე სათადარიგო შემადგენლობაში. იყო დავით უშვერიძის ხანჯლური ცეკვის ფანი; CimConia gubaevi (ოსი) – შეეძლო ტყუპ მუხლზე ტრიალი; nodar bibileiSvili – ცეკვავდა საქორწილოში პირველ ქართულს. iuza buziaSvili (ქიმია-ბიოლოგი, აკადემიკოსი) ყველა ცეკვას ერთნაირად ასრულებდა; hamlet wulaia (აკადემიკოსი) ცეკვავდა ყველა ცეკვას. vaJa ioseliani – ექიმი ლარინგოლოგი, განთქმული ტყუპმუხლელი; jemal xazaraZe (ტექნიკური ფაკულტეტი), Jora kezevaZe – ყაზბეგურის უბადლო შემსრულებელი; anzor sirbilaZe – იყო დრო, როცა ქალაქში მოცეკვავე მის გარდა არ იყო; zurab nucubiZe, anatoli nakaSiZe – ცალ მუხლზე მოცეკვავენი, suliko xaWapuriZe (წრეზე ცალმუხლით და მარცხენა ფეხით შბაგატში ბრუნნი); raul CargolaSvili, murman fruiZe, goderZi goqaZe, daTo nanikaSvili, nodar lomTaTize, albert giorgobiani, arCil Wiqaberize ანსამბლს გვიან შეუერთდნენ: renco baxtaZe, guram

¹სიტყვა წარმოთქმული მეგობრულ ბანკეტზე ქუთაისის მასწავლებელთა სახლის დარბაზში, სადაც იცეკვეს შალვა იაშვილმა და ილიკომ, ქალბატონ ნინო რამიშვილთან ერთად. ნინო ფეხსაცმელების გარეშე ცეკვავდა.

vardosaniZe, omar baxsoliani, gela murcxvaniZe, anzor dolaberiZe, jajuli doRonaZe, Tamaz zaqaraSvili, nodar WolaZe, guram riJamaZe, karlo gergaia, giorgi ZoweniZe, nodar sefiaSvili, omar CikvilaZe, guram laRiZe, soso xarabaZe, Temur JRenti, ciala kotoreiSvili, lena CixlaZe, madona WolaZe, ira cirekiZe, eTer banZelaZe, mavra deisaZe, leila kvirkvelia, venera axvlediani, naela enuqaSvili, nargiza ioseliani, nazi nanikaSvili, rusudan da nino nakaSiZeebi, nanuli yanCaveli, madona giorgobiani, leila giorgaZe, neli mesxi, cima SariqaZe, violeta da genrieta saxvaZeebi.

ანსამბლმა პირველი კონცერტი ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საზეიმო გახსნისას, 1955 წლის 5 ნოემბერს, გამართა.

ანსამბლის პირველი საპასუხისმგებლო გამოსვლა 1957 წელს ქალაქ თბილისში, ახალგაზრდობის პირველ რესპუბლიკურ სტუდენტურ ფესტივალზე, მოხდა. კონკურსში გამარჯვებამ ანსამბლს ლაურეატობის წოდება მოუტანა.

შალვა იაშვილის ორგანიზატორობით დაინიშნა გასტროლები საქართველოში. მისივე თქმით: “ჯერ თქვენი სამშობლო მოიარეთ, თქვენ ხალხს შეაყვარეთ თავი, თქვენი სამშობლო და ხალხი თუ მოგცემთ რეკომენდაციას, შემდეგ იარეთ საზღვარგარეთ”.

1958 წელს დაიწყო შიდა გასტროლი მარშრუტით: ბათუმი, ლანჩხუთი, მახარაძე, ზუგდიდი, აბაშა, მარტვილი, სოხუმი, ახალი ათონი, გალი, ოქუმი, მოქვი, ოჩამჩირე.

რამდენადაც გრძელდებოდა გასტროლი, მით უფრო იხვეწებოდა ანსამბლის საშემსრულებლო ოსტატობა.

აქვე მოვიყვანთ ერთ სახალისო ამბავს, რომელიც ლანჩხუთში გასტროლისას გადახდათ: “კონცერტზე ის იყო “ძველი თბილისის სურათების“ ცეკვა დაიწყეს, რომ საიდანაც სცენაზე შავი ძაღლი შევარდნილა. ჯერ გაკვირვებით იყურებოდა თურმე, მერე ეშში შესულა, შუა სცენაზე დამჯდარა და მუსიკისათვის ყმული და ყეფა აუყოლებია. გამოცდილმა მოცეკვავეებმა დავით ნანიკაშვილმა და ნოდარ ლომთათიძემ მიუცეკვეს, თითქოს პურს აძლევდნენ, ისეთი მოძრაობები გააკეთეს და ისე ოსტატურად გაიყვანეს ძაღლი სცენიდან, რომ განგებ დადგმული გეგონებოდათ მთელი ეს ეპიზოდი”.

ქუთაისის ცეკვის ანსამბლის შესანიშნავი გამოსვლების შესახებ ამბავი მთელ რესპუბლიკაში უცებ გავრცელდა. სადაც კი ქუთაისის ანსამბლის აფიშები გამოჩნდებოდა, უამრავი ხალხი ესწრებოდა კონცერტებს. 1959 წელს გასტროლები ჰქონდათ სამხრეთ საქართველოში: ახალციხე, ასპინძა, აბასთუმანი, ადიგენი, ვალე, I და II სასაზღვრო ნაწილები, ბოლნისი და ახალქალაქი.

შემდეგ დაიწყო მზადება სსრკ-ის გასტროლებისათვის. გადახალისდა და შეიცვალა რეპერტუარი, დაიდგა ახალი ცეკვები: ფშაური, ცერული, სიმღი და პოემა ფარიკაობა. გადახალისდა საქორწილო ცეკვა. მოსკოვიდან ზედიზედ რამდენიმეჯერ ჩამოვიდა კომისია ანსამბლის დონის შესამოწმებლად და საბოლოოდ გადაწყდა რ-თვიანი გასტროლების მოწყობა საბჭოთა

კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკაში.

1960 წლის 11 მაისს ანსამბლი სრული შემადგენლობით ეწვია თბილისს, კონცერტი პლენანოვზე, საზაფხულო თეატრში, სრული ანშლაგით ჩატარდა. იყო დიდი ოვაციები. კონცერტების შემდეგ მაყურებელი გოგობიჭები სცენაზე ამოდიოდნენ და ფეხებს უსინჯავდნენ მოცეკვავეებს, რაიმე ხომ არ ედოთ აზიაცებში, რომ ნახავდნენ, გაოფლილი ფეხის მეტი არაფერი იყო, გაკვირვებულები, გაოცებულები ეხვეოდნენ და კოცნიდნენ.

აქედან უკვე ანსამბლი მოსკოვში გაემგზავრა, საიდანაც დაიწყო გასტროლი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. კრემლის სცენაზე გასვლისას დიქტორი აცხადებდა: “მოდიან კავკასიელი არწივები, ქართული ხალხური ცეკვის “ქუთაისის ახალგაზრდული ანსამბლი“.

კონცერტს ძალიან “მიძიმე“ მაყურებელი ჰყავდა, მათ შორის maia pliseckaiac.

აქვე მოვიყვანთ იქ გამართული ქართული ცეკვის მაშინდელ ვარიანტს “ცეკვა საქორწინო“, ეს უფრო იყო ცეკვა ქართული ეთნოგრაფიული ჩანარებით:

“კონცერტის წამყვანი იყო *goderZi goqaze* – უმშვენიერესი ჰაბუკი, ქერა თმით, მაღალი, წარმოსადეგი, შესანიშნავი ბარიტონის ხმით. მას მუსიკალური სასწავლებლის ვოკალური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. პირველად გოდერძი ანსამბლს წარადგენდა, შემდეგ მის ხელმძღვანელს თავისი ტიტულებით, შემდეგ აცხადებდა შესასრულებელ ნომერს. პირველ ნომრად ცეკვა საქორწინო ცხადდებოდა. პირველ ქართულს ნეფე-პატარძლის შემოსვლამდე ხან გურამ ლალიძე ასრულებდა, ხან ვახტანგ კუპრეიშვილი. *am cekvis dros gaismoda faliaSvilis mraValJamieri, Semorboda maxarobeli, xelze ukeTebdnen mandils da SemohyavdaT nefepatarZali specialur formebsi Cacmulni. maxarobeli daudebda ferxTiT TefSs da size fexis dartymit namsxvrevebad aqcevda mas. axdidnen dedofals pirbades da gamoCndeboda saxe umSvenieresi asulisa, Seasmevdnen tkbil badags, gaismoda goderZis mier wakiTxuli d. xuroZis leqsi "Tqven icocxleT, ixareT, vidremde mze anTia, vidre Suqi mohyveba gabrwyinebul ganTiads, vidre gazafxulebi miwas vardiT mosaven, icocxleT da ixareT qveyanaze orTavem."* gaismeboda guram gubelaZis dolis xma. omar baxsoliani win mkerdgamoweuli iwyebeda cekvas. utasod sxva eris warmomadgeneli ki ara, qarTveli ver gaZlebda. odnav TvalebDaxrili ciala kotoreiSvili qurdulad gaaparebda mzeras mzeWabukisaken. vaJi pirvel mokle gasmas sxartad gaakeTebda da iwyebeda wyvilTa cekva.

ევროპაში (უნგრეთი, პოლონეთი, გერმანია, ბულგარეთი, რუმინეთი, საფრანგეთი) გასტროლებზე ანსამბლს ხშირად ახლდნენ: ჟურნალისტი და *mwerali nargiza mgelaZe da poeti zurab kuxianiZe*.

ნარგიზა მგელაძემ წიგნში “ვის ვართმევთ ხელს“ შეიტანა წერილი ჩვენს ანსამბლზე – “ბუღაპეშტი არ ივიწყებს ქუთათურებს“, სადაც მოთხრობილია ანსამბლის მოგზაურობის შესახებ უნგრეთში. იგი სიყვარულითა და

პატივისცემით წერს ანსამბლის თითოეულ წევრზე და ყველაფერზე, რაც მათ უნგრეთში გადახდენიათ.

პოლონეთში გასტროლებისას კი ანსამბლს კონცერტის შემდეგ, სწვევია ქალაქ პოზნანის იარაღების მუზეუმის დირექტორი kvaliasvili. კაცი, რომელმაც 1921 წელს დატოვა საქართველო. მას ჰყავდა სამი ქალიშვილი: მაიკო, ნინო და მანანა. სამივემ ქართული იცოდა. ზურაბ კუხიანიძეს უმცროსი გოგონასთვის ლექსი მიუძღვნია. ამონარიდი ამ ლექსიდან:

poznansi mcxovreb qarTvel qaliSvils

“უცხო მიწაზე ამოსულო ნორჩო ყვავილო,

ეს მე ვარ, კარგად შემომხედე, შენი ძამიე“.

და გულში შენზე ავი ზრახვა ვინაც გაივლოს,

არ ღირსებოდეს საქართველოს ხილვა ამიერ.

ეჰ, მამაშენი ბედმა ქვეყნად სად არ ატარა,

თავის ცოდვებით, თავის მადლით, თავის ზრახვებით...

და ასე ლამაზს, ასე კოხტას, ასე პატარას

დაგარქვა ჩვენი დედოფლური წმინდა სახელი.

რა უცნაურად, ეშხიანად ჩაიღიმელებ,

გამოგყოლია ჩვენი მიწის, ზეცის გერგილი,

უცხო მიწაზე გაფურჩქნულხარ, შენი ჭირიმე,

დიდ სანერგედან მონაპარავ ვარდის ნერგივით...

რაც ვთქვი - გულით ვთქვი, ყალბად მე არ მიარაკნია,

ყველაფერს ამას მკარნახობდა ჩვენი ქედები...

საქართველოში ლამაზები კი არ გვაკლია,

მაგრამ, დაიკო, სხვა მიწისთვის არ მემეტები“.

ბოლოს კი, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ქუთაისის ცეკვის ახალგაზრდული სახელმწიფო ანსამბლის ქართულ ცეკვაზე შეყვარებულმა მგლისმუხლა ბიჭებმა ქართული ცეკვის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერეს მშობლიური ქალაქის – ქუთაისის სახელი.

damowmebuli literatura da wyaroebi

n. mgelaZe, 1975 – ნ. მგელაძე, ბუდაპეშტი არ ივიწყებს ქუთათურებს, წიგნიდან: “ვის ვართმევთ ხელს“, თბ., 1975.

s. xaWapuriZe, 2018 – ს. ხაჭაპურიძე, ქუთაისის ცეკვის სახელმწიფო ახალგაზრდული ანსამბლი XX ს-ის 50-60-იან წლებში (მოგონებები), ქუთაისი, 2018.

გაზ. **"quTaisi", 1961** – გაზეთი „ქუთაისი“, ოქტომბერი-ნოემბერი, 1961.

LUIZA KHATCHAPURIDZE**KUTAISI STATE YOUTH DANCE ENSEMBLE
IN THE XX 50-60S**

Kutaisi ensemble of Georgian folk dance was founded by the famous choreographer Murman Lomtadze in 1945-1950. Director was the former brilliant dancer Shalva Iashvili. The ensemble contained the youth from Kutaisi with different professions who were deeply fallen in love with dancing.

The first concert of the ensemble was held at the opening ceremony of the Lado Meskhishvili drama theatre on November 5, 1955. The first responsible performance was in Tbilisi, 1957 during the first republic student festival. Win in the competition gave the laureate title to the ensemble.

In 1958 they started the inner tour with the following route: Batumi, Lanchkhuti, Ozurgeti, Zugdidi, Abasha, Martvili, Sokhumi, New Aton, Gali, Okumi, Mokvi, Ochamchire. In 1959 they went for the tour in South Georgia. The ensemble enjoyed great love and popularity, which was proved by Anshlag at their concerts. In 1960 the ensemble went to Moscow and in the same year, they visited the republics of the Soviet Union. In 1961 they visited Europe (Hungary, Germany, Poland, Bulgaria, Romania, France). It should be noted that the dances had ethnographic nature thus they effectively served the introduction of Georgian culture at foreign lands.

We can promulgate that the Kutaisi state youth dance ensemble of the 50-60s of the previous century wrote the name of Kutaisi in the history of Georgian dance with golden letters.

რამაზ ხაჭაპურიძე

ქუთაისელ ებრაელთა ტრადიციები (კულინარია, ქორწინება, სამოსი)

ოჯახი ოდითგანვე იყო ერის ბურჯი, სულიერი ცხოვრების საფუძველი საქართველოში. ოჯახმა გადაარჩინა ქართულ კულტურა, რადგანაც ეს იყო ადგილი, სადაც სხვადასხვა ეროვნების “მეზობლები”, საზოგადო მოღვაწეები, ექიმები, ვაჭრები, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა პრობლემებზე.

საქართველოში ოჯახებიც შეიძლება ერთი ერის არ ყოფილიყო, მაგრამ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და იზიარებდნენ ერთმანეთის სინარულს თუ გასაჭირს. სწორედ ასეთი ოჯახები ინახავდნენ ერის საუკეთესო ტრადიციებს, ავითარებდნენ ეროვნულ კულტურას. თუკი რამ კარგი შემოინახა ხალხმა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახისა და ოჯახური ურთიერთობების წყალობით მოხდა.

ეს ოჯახები ძირითადად ცნობილ ინტელიგენტთა ოჯახები იყო, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთა დასაქმების სფეროს ვაჭრობა წარმოადგენდა.

ებრაელები სემიტური მოდგმის უძველესი ხალხის საერთო ეთნიკური სახელია. ამ ერის ფორმირებასა და ისტორიაში გადამწყვეტი როლი მონოთეისტურმა რელიგიამ – იუდაიზმმა შეასრულა. ებრაელები სახლობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ჩაბმულნი არიან მათი მოსახლეობის საერთო ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიქმნა ებრაელთა სახელმწიფო ისრაელი, რომლის ოფიციალური ენაა ივრითი.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 4 ათასი ებრაელი ცხოვრობს. მათი ძირითადი რაოდენობა წარმოდგენილია თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავში, ახალციხეში. სოფლები კი ებრაელებისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

თავის მხრივ, საინტერესოა ოცდაექვსაუკუნოვანი ისტორიის მქონე eTnikuri mezoblebis კულტურული ტრადიციები, სამზარეულო წესები, მათი ქორწინების ისტორია და სხვა.

ებრაული სამზარეულო განსაზღვრავს ებრაელთა პურობის ხასიათს. მაგრამ როგორი შინაარსის ან სიდიდისაც არ უნდა იყოს ებრაელთა პურობა, მას ყოველთვის ახლავს სამი საკრალური ელემენტი: მარილი, პური, ღვინო. მარილზე დაწებული პურის ნატეხის (“ჰამოცის” და “ლდუმის”) და ღვინის კურთხევის რიტუალებით პურობის დაწყების აუცილებლობა

ეტიკეტის სავალდებულო წესია. ყოველი ეთნოსის სამზარეულოში დასტურდება კანონით განსაზღვრული დასაშვები და აკრძალული საკვების არსებობა. ქართველ ებრაელთა კვებაში არსებული აკრძალვები ზოგადებრაულია. მკვლევართა აზრით, სწორედ ამ აკრძალვების დაცვა გახდა ებრაელი ხალხის მორალური და ფიზიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პროდუქტები და კერძები, რომლებსაც ისინი მიირთმევენ, უნდა შეესაბამებოდეს “სიქაშრის“ (ვარგისიანობის) სპეციალურ კრიტერიუმებს. ასე, მაგალითად, ებრაელებისათვის ნებადართული დაკლული და არა მოკლული ხორცი (საქონლის, თხის, ხბოს, ირმის), ფრინველი (ქათამი, ბათი, იხვი, ინდური) და ნანადირევი (მტრედი, ხოხობი) საჭმლის მოსამზადებლად მხოლოდ რიტუალური დამუშავების შემდეგ გამოიყენება. ებრაული კერძებიდან გავრცელებულია: ქაშაყის ფორშმაკი, ფარშირებული თევზი, კარტოფილის ციმესი ხორცი, ხეზლი-ბატის ან ქათმის ყელი სატენით.

გვაქვს აგრეთვე ქართველ ებრაელთა კერძები, როგორცაა: ხბოს ფეხები ნიგვზიან ქინძმარში, ხენავი, ყალია, ქიშიშიანი შავი ტორტი, მაცა, ყალი და ა.შ.

ებრაული სამზარეულო ერთ-ერთი ყველაზე ძველია მსოფლიოში. მისი კულინარიული კულტურა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან და ათასწლეულების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ისტორიულად ცნობილია, რომ საუკუნეთა განმავლობაში ებრაელი ხალხი მიმოფანტული იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. კულტურათა შერწყმის პროცესში ყალიბდებოდა შედარებით განსხვავებული, მაგრამ მაინც ებრაულ ტრადიციებზე დაქვემდებარებული კულინარიული რეცეპტები. შეიძლება ითქვას, ებრაული კულინარია განიცდიდა სხვადასხვა ქვეყნების კულტურის ზეგავლენას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, რომ შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა და გამორჩეული სახე. ყველა კუთხეში მცხოვრებ ებრაელს აერთიანებს რელიგიური წეს-ჩვეულებები, რომლებიც ადაპტირებულია იმ ქვეყნების კულტურასთან, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ. არსებობს რამდენიმე წესი, რომელიც ებრაელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს: აკრძალულია კერძებში ხორცისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და თევზეულის ერთად გამოყენება, ასევე მათი სუფრაზე ერთად დაწყობაც კი. ებრაელები არ ჭამენ ნანადირევს, ხორცის ძალიან ქონიან ნაჭრებს და ღორის ხორცს. ამას მათ რელიგია უკრძალავს.

ებრაულ კერძებში საკმაო ადგილი უკავია იხვისა და ბატისაგან მომზადებულ კერძებს. ფარშირებული ბატის კისერი, ფარშირებული იხვი და ინდაური ებრაული სადღესასწაულო სუფრის შემადგენელი ნაწილია. ფარშის შემადგენლობაში ხშირად ხვდება ბრინჯი, ქიშიში, სხვადასხვა ჩირი, სტაფილო და სხვა პროდუქტები.

ებრაულ კულინარიაში ძალიან პოპულარულია თევზეული. ტრადიციულად იყენებენ კობრს, საზანს და ქარიყლაპიას. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ფარშირებული თევზი “efilte isch”, რომელსაც ყველა ებრაელი დიასახლისი თავისებურად ამზადებს. სხვადასხვანაირად

ფარმირებულ თევზს ზოგი ხარშავს, ზოგი წვავს და ზოგიც ღუმელში აცხობს. ასევე, ცნობილია ებრაული ქაშაყის პაშტეტი “ფორშმაკი“, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს “ჭამის წინ“. მიუხედავად იმისა, რომ ქაშაყის პაშტეტი პრუსიული წარმოშობისაა, ებრაულ კულინარიაში მაინც დაიმკვიდრა თავისი ადგილი. ფორშმაკის რამდენიმე რეცეპტი არსებობს და წარმოადგენს დაკეპილი დამარილებული თევზის, მოხარშული კვერცხის, ხახვისა და სხვადასხვა მოხარშული ბოსტნეულისგან მომზადებულ პაშტეტს. რიგ შემთხვევაში ფორშმაკს უმატებენ კარაქს, ვაშლს, ზეთს და მიირთმევენ პურთან ერთად, როგორც საუზმეს.

ბოსტნეულისგან დამზადებულ კერძებში გამოირჩევა “cimsi“, იგი არის სხვადასხვა ბოსტნეულით, ჩირითა და ფქვილით მომზადებული ბრაწულა, რომელსაც ზოგჯერ მსხალსა და ვაშლსაც უმატებენ. ეს კერძი საკმაოდ სპეციფიკური გემოა. ხილის, ჩირისა და ბოსტნეულის შერევით მიღებული გემო ქართული კულინარიისთვის შედარებით უცხოა.

თუ თურქულ კულინარიაში ქინძი არ იხმარება, ებრაულ სამზარეულოში საერთოდ არ ფიგურირებს რეჰანი. ებრაული კერძები ძირითადად ოხრახუით, კამით, ქინძითა და მწვანე ხახვით ზავდება. მოიხმარენ სხვადასხვა სანელებელსაც, როგორცაა: დარიჩინი, შავი პილპილი და დაფნის ფოთოლი. ებრაული საწებლებიდან გამოირჩევა სეზამის მარცვლების საწებელი თხინა, ლიმონისა და პირშუმხასგან მომზადებული საწებლები.

ებრაული სამზარეულოს თავისებურებას წარმოადგენს ცომეულისგან მომზადებული მარაგი, რომელიც დიდხანს ძლებს. ცომეულში ებრაელები ხშირად იყენებენ მანანის ბურღულს. ასეთია ფარფელახი – მანანის ბურღულით, პურის ფქვილითა და კვერცხით მომზადებულ ცომს სოიოსოსოდენა მარცვლებად ანაწევრებენ და აშრობენ. გამოიყენებენ გარნირად და წვნიანებში. ებრაული წვნიანები გამოირჩევა სქელი კონსისტენციით. ხორცის, თევზის, ბოსტნეულისა და ხილის ნახარშზე დამზადებულ ქემიანს ძალიან ხშირად ემატება ცომეული ნაწარმი, როგორცაა ფარფელახი, მანდელახი, კნეიდლახი და სხვა. მანდელახი მზადდება პურის ფქვილით, ზეთით და კვერცხით, სოდის დამატებით. მომზადებულ ცომს აბრტყელებენ, ჭრიან პატარა ნაჭრებად, აცხობენ და შემდეგ ასეთი ფორმით ინახავენ.

ცალკე განხილვის საგანია “maca“. უმარილოდ, ხორბლის ფქვილისა და წყლისაგან მომზადებული თხელი ხმელი ფირფიტები. მაცასგან დამზადებული ფქვილი – მაცამელი ებრაული სარიტუალო პურობის განუყოფელი ნაწილია. მათ ებრაელები მიირთმევენ პასექის დღესასწაულზე, ვინაიდან ამ დროს აკრძალულია საფუარზე დამზადებული პროდუქტების მიღება. მაცას ფირფიტებს დანამავენ მდულარე წყლით, მოასხამენ კვერცხს, გამოაცხობენ და ასე მომზადებულ მაცას მიირთმევენ პურის ნაცვლად. მაცამელს სხვადასხვანაირად გამოიყენებენ. მას ბრინჯის ნაცვლად უმატებენ ხორცისა და ბოსტნეულის კერძებში, აცხობენ ნამცხვრებს და ღვეზელებს. პასექის დროს ყველა ებრაულ ოჯახში აუცილებლად მზადდება ხაროზეთი (ქართველი ებრაელები ხარაზოთს უწოდებენ). იგი წარმოადგენს ვაშლიან-

ნიგვზიან მასას თავლით და სხვადასხვა ჩირით, რომელსაც მაცაზე წაუსვამენ და ისე ჭამენ. ხაროზეთის მომზადების რამდენიმე რეცეპტი არსებობს, ვაშლს ენაცვლება სხვადასხვა ჩირი, ნიგოზს – თხილი და ნუში.

ღრმადმორწმუნე ებრაელები შაბათისთვის ამზადებენ ჩოლენტს, რომელიც პარასკევს მზადდება და თბილ ადგილას იდგმება. მის შემადგენლობაში შედის: ხორცი, ლობიო, კარტოფილი და კვერცხი. არის საკმაოდ მსუყე და მძიმე საჭმელი.

ძალიან მრავალფეროვანია ებრაული ტკბილეულის სუფრა. აქაც ჭარბობს ნიგოზი, თხილი, ნუში და თავლი. აღმოსავლეთში გავრცელებულია ნამცხვარი ბაქლავა, რომელიც ფილოს ცომით მზადდება. 25-დან 45-მდე თხელ, თითქმის გამჭვირვალე ფენებს შორის ნაწილდება დაფქული ნიგოზი და ერბო, ხოლო მზა ნამცხვარს ზემოდან სხვადასხვა სახის ვაჟინი ესხმება. გულსართად გამოიყენებენ როგორც ნიგოზს, ასევე თხილსა და ნუშს. საბერძნეთში ვაჟინს ფორთოხლის არომატი აქვს. თურქეთში გულსართს ფუსტულის თხილით ამზადებენ. აჭარაში კი უპირატესობას თხილს ანიჭებენ. ქართველი ებრაელები წინაპართა ტრადიციას არ ღალატობენ და ამ ნამცხვარს გულსართად ტრადიციულად ქიშმიშსა და ნიგოზს, ხოლო სანელებლად მიხაკ-დარიჩინს უმატებენ. ბაქლავა გამოირჩევა განსაკუთრებული კალორიულობით და სიტკბოთი.

26 საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ებრაელებმაც ძალიან ბევრი შეითვისეს ქართული კულტურიდან. თავის წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით ამზადებენ იმ კერძებს, რასაც მათ რელიგია არ უკრძალავს. ასეთია საქონლის, ფრინველის ხორცისა და ბოსტნეულისგან დამზადებული კერძები. თუმცა შენარჩუნებული აქვთ ის ტრადიციული კერძები, რომლებიც ებრაულ სამყაროს აერთიანებს.

ებრაული სადღესასწაულო კერძია *yalia*, რომელსაც საგულდაგულოდ ამზადებენ, ძირითადად იხვის ხორცისგან. მსხვილად დაჭრილ ნაჭრებს თავისივე ცხიმში თუშავენ, ამატებენ წყალს, აყრიან ბლომად გარჩეულ ბროწეულს, ხახვს და ხორცი რომ მომზადდება, კერძი მზადაა. საქართველოში მცხოვრები ებრაელები ამ კერძს ხშირად უმატებენ დაფნის ფოთოლს.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ნაწილმა ყალია თავისებურად გარდაქმნა – იხვის ხორცს ჩამუშავენ ხახვში, დაამატებენ წყალს, მარილს, ნიორს და პილპილს, შეაზავებენ დანაყილი ყვითელი ყვავილით, ხმელი ქინძითა და უცხო სუნელით, შემდეგ ამატებენ ბროწეულს და ზოგი სიმინდის ღერდილსაც კი უმატებს. ქართული სანელებლებით შეზავებული ეს ებრაული კერძი მართლაც რომ ქართველი ებრაელების კულინარული კულტურის საკუთრებას წარმოადგენს. ქალბატონმა მედეა ჯანაშვილმა გაგვიმხილა ის რამდენიმე რეცეპტი, რომლებიც ქართულ-ებრაული კულტურის შერწყმაზე მიგვანიშნებს. იგი ქართველი ებრაელია და, როგორც თავად აღნიშნა, ეს რეცეპტები თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ კერძებში გამოყენებულია ქართული სამზარეულოსთვის დამახასიათებელი სანელებლები, როგორცაა: უცხო სუნელი, ქინძი, დანაყილი ნიგოზი და ნიორი. შაბათის სუფრისთვის ამზადებდნენ “ხენავს“. იგი მზადებოდა შემდეგნაირად: მოხარშავდნენ ქათმის კისრებსა და კუჭებს, შემდეგ უმატებდნენ

ხახვს, კვერცხს და აზავებდნენ ნიგვზით.

ტრადიციული ბაქლავის ცომისგან ცხვებოდა ასევე ხორცის ღვეზელი, რომელსაც ქართველი ებრაელები უწოდებენ “ყაფმარს.“ მარილმოყრილ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი ეხვევა ძალიან თხლად გაბრტყელებულ ცომში, შემდეგ უკეთდება მომრგვალებული ფორმა და ცხვება ღუმელში ან თავდახურულ ტაფაზე. ებრაულ გემოსთან ყველზე მიახლოებულია “კომშის ხრაკულა“ – დაბეგვილი ხორცი ან ქათმის ფილე იწვება ფქვილსა და კვერცხში, ფენა-ფენა ეწყობა ალყა-ალყა დაჭრილი შებრაწული ხახვი, მაქარმოყრილი კომში, კარტოფილი, დაფნის ფოთოლი, ნიორი და მაქარმოყრილი შავქლიავა. ესხმება ცოტა ზეთი და როდესაც ჩაითუთქება, ზემოდან ეწყობა შემწვარი ქათმის ან ხორცის ნაჭრები.

საინტერესოა qorwilis აღნიშვნის წესები. ებრაელებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ხალხს, თავისი ხასიათისა და ცხოვრების წესის შესაბამისი საქორწინო რიტუალი, წეს-ჩვეულებები შეუქმნიათ.

ებრაულ საქორწინო ტრადიციებზე თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ წინასწარ მოლაპარაკებით ქორწინება ძალიან გავრცელებული იყო. ქორწინება მშობლების სურვილითა და ტრადიციების გათვალისწინებით ხდებოდა. ქორწინების მიზანი ახალი ოჯახის შექმნა კი არა, არამედ ოჯახური კავშირების ერთიანობა და შენარჩუნება იყო.

ქორწილის დღეებად ირჩევდნენ სამშაბათსა და ხუთშაბათს. ოღონდ ადრეულ წლებში ისინი განაწილებული იყო: ქალთან გაიმართებოდა სამშაბათს და კაცთან ხუთშაბათს. დღეს კი ორივე ერთად იხდის.

mziTevze მოლაპარაკება ქორწილამდე ხდებოდა. მზითევში შედის ის, რისი საშუალებაც აქვს ოჯახს. ეს იქნება თეთრეული, ჩასაცმელი, ქვეშაგებელი, საძილე გარნიტური, მანქანა, სახლი. მზითევს ქორწილამდე აძლევს, ქორწილის მერე არა.

ებრაული ქორწილის წინა დღეს საპატარძლო განიწმინდებოდა-განიბანებოდა. ზოგიერთ თემში მეუღლეები ცერემონიის ბოლომდე შიმშილობდნენ, რათა ახალი ცხოვრების წინ ცოდვათა მიტევება მიეღოთ. ცერემონიის წინ ნეფე სტუმრებს ხვდებოდა, შემდეგ საცოლისკენ მიემართებოდა, ქრისტიანული ჯვრისწერის ანალოგიურია qeTuba, სალოცავში ხახვამი დალოცავს სიძე-დედოფალს. მამაკაცი საცოლეს ვუალს შემოახვევს, რაც სულის სიბრძნისა და სიკეთის სიმბოლო იყო. თავად ცერემონია ჰუბას ქვეშ ტარდება, რომელიც ოჯახურ კერას განასახიერებს, რომლის შექმნა და განაწილება წყვილს მოუწევს. ახალგაზრდები ღვინოს თასიდან სვამენ და სიხარულს გამოხატავენ. ბეჭდების გაცვლის შემდეგ ქორწინების აქტი ორიგინალურ არამეულ ენაზე იკითხებოდა. ყვავილებით მოხატულ ფურცელს, რომელსაც ჰქვია “zaqsi xaxami“ ჩაწერს სიძე-დედოფლის სახელს, რომელზეც დაქორწინებულებთან ერთად ხელს აწერენ მოწმეები და პატარძალს რჩება სახსოვრად. ვინც ზაქს მოაწერს ხელს, ის კანონიერ ცოლ-ქმრად ითვლება და თუ მოხდა ცოლ-ქმრის გაშორება, მან აუცილებლად უნდა წარადგინოს ეს დოკუმენტი, და შემდეგ მისცემენ მათ “გეთს“, ანუ

დოკუმენტურად დადასტურებულ გამოჩენების უფლებას. ხელისმომკიდებები ახლო ნათესავები არიან ბიძა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი... ბედნიერი ქალი ან კაცი, ბედნიერი ანუ დაოჯახებული და შვილიან-შვილიშვილებიანი. კაცს ეძახიან SoSpins და ქალს – dadians. სალოცავში რაბინი მეუღლეებს შვიდჯერ ლოცავს, წყვილი ისევ სვამს ღვინოს თასიდან, რის შემდეგაც თასს იერუსალიმის ტაძრის დანგრევის სახსოვრად გატეხენ. ამით ცერემონია მთავრდება. შემდეგ იწყება წვეულება ცეკვებით.

sufraze აქვთ ხბოს ხორცი, ბაჟე, ხბოს მოხარშული ფეხები ბაჟეში ჩაწყობილი, რასაც sirabaCi ჰქვია. აგრეთვე lapta, რომელიც მზადდება ძროხის ტვინისაგან. მოხარშულ ტვინს ათქვეფენ ნიგოზში, ხახვსა და ხმელ სუნელებსა და მიხაკ-დარიჩინში. sasmelad სუფრაზე არის ღვინო, კონიაკი და არაყიც, ანუ ყველა სახეობა უნდა იყოს, სტუმარს ეძლევა სრული თავისუფლება სასურველი სასმელი დალიოს. qorwilis Tamada ძირითადად არის სიძის ხელისმომკიდე, რომელსაც SoSmins ეძახიან.

sadRegrZeloebis rigi da xasiaTi ასეთია: გაუმარჯოს გამჩენს! მშვიდობას, ნეფე-დედოფალს, მშობლებს, მშობლების დედამამიშვილს, ნათლიებს, ბებია-ბაბუებს... ამ დღეს ხსოვნის სადღეგრძელო არ ითქმება. ქორწილი გრძელდება ერთ დღეს. სტუმრები ოჯახს ფულითაც შეეწევიან. ჩვენი რესპონდენტების თქმით: “ფულის დაწერა ქართველებივით არ ვიცით. კონვერტში ჩადებ, დააწერ შენს სახელსა და გვარს და ისე აჩუქებ.”

ქართველების მსგავსად ქალის მიბრუნება ანუ თავისახლში სუფრის გაწყობა და სტუმრების მიწვევა აქ ხდება შაბათ დღეს, რომელსაც SabaTis supra ეწოდება. ბიჭის ხალხი გოგოსთან მიდის და გოგოს ხალხი ბიჭთან. შაბათის სუფრა იმართება ქორწილის მომდევნო კვირაში.

ცნობილია, რომ ებრაელისათვის არსებობა იუდეველად ყოფნას ნიშნავს, რაც რჯულის დაცვას, ანუ წეს-ჩვეულებათა ერთგულებას, გულისხმობს. ამიტომ ქართველ ებრაელთა კალენდარულ თუ რელიგიურ დღეებს მათს ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მთელი რიგი თავისებურება-სპეციფიკურობით გამოირჩევა.

"ufllis dRed" wodbuli wmida SabaTi, "ros haSana" - ახალი წელი ებრაული კალენდრით, “ქიფური” – მონანიებისა და მიტევების დღე, “სუქოთი” – კარვობა – “ჟამი ჩვენი სიმხიარულისა”, რომელსაც თორის დღესასწაული “სიმხათ თორა” აგვირგვინებს, ბრწყინვალე დღესასწაული “ხანუქა”, ებრაული რწმენის გადარჩენას, სინათლის სიბნელეზე გამარჯვებას რომ განასახიერებს, ხეების ახალი წელი “ტუ ბიშვატი”, “ფურიმი” – ებრაელთა ფიზიკური გადარჩენის სიმბოლო, “ფესახი” – “მაცობა”, ეგვიპტის მონობიდან ებრაელთა გამოსვლის აღსანიშნავი დღესასწაული “ჟამი ჩვენი თავისუფლებისა”, “შაფუოთი” – “ჟამი ჩვენი თორის ბოძებისა”, მარხვისა და ხსოვნის დღეები, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების აღმნიშვნელი თარიღები, ადამიანის ასაკის განსაკუთრებული მომენტები – “ბრით მილა”, “ბარ და ბათ მიცვა”, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპების – “ხუფა”, “ქეთუბა”, “გეტი”- აღნიშვნა და კიდევ ბევრი ოჯახური თუ სათემო ტრადიცია, ქართველი ებრაელების სულიერი კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების მდიდარ სამყაროს

წარმოაჩენს. დღეობა-დღესასწაულები ებრაელების სოციალური ურთიერთობების, სულიერი თუ მატერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს და თითოეულ მათგანში თვალნათლივ იკვეთება მდიდარი, დახვეწილი, ამავე დროს განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნების მატარებელი ყოფილი ტრადიციები.

საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელები იძულებულნი იყვნენ, ჩაეცვათ ან ჰქონოდათ რაიმე აქსესუარი, რომელიც მათ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან გამოარჩევდა.

ჩაცმის თაობაზე თავად ებრაელების მიერ შექმნილ ფორმებს ჰალახის კოდექსი და “ინიუტის“ წესი არეგულირებს. ტანისამოსის სადა ფერი, სიგრძე ქამრის ადგილი, თმის საბურავი მამაკაცებისა და ქალებისთვის, სხეულის კანის დაფარვა გარკვეულ ადგილებში, ნაკლები სამკაული და ა.შ. – ეს ყველაფერი მოკრძალებულობისა და განურჩევლად სქესისა, ამ წესს ყველა ორთოდოქსი ებრაელი იცავს.

kiteli: ამ თეთრ სამოსს, იგივე ხალათს, ტრადიციის მიმდევარი მამაკაცები იცვამენ ქორწილებში, რომ ჰაშანისა და იომ ქოფურის ლოცვების დროს და პასექის ნადიმში

rekeli: პალტოა, რომელსაც ხასიდი ებრაელი კაცები სამუშაო დღეებში ატარებენ. მისი ნაირსახეობა კი შავი ან ლურჯი მატყლისგან დამზადებული რეკელეჩია, რომლებიც შესაფერის შარვალსა და ქამართან ერთად იყიდება.

garteli: ეს ქამარი ებრაელი მამაკაცების აქსესუარია და მას ხშირად ლოცვის დროს იკეთებენ. ტრადიციის მიხედვით, გარტელი ინსტინქტების კონტროლის სიმბოლოა. გარტელი სისადავით გამოირჩევა – შავი ან თეთრი ფერისაა

bekisi: აბრეშუმის გრძელი პალტოს - ბეკიშეს ხასიდი ებრაელები ატარებენ. ძირითადად, მას შაბათობით, ებრაულ დღესასწაულებზე, ქორწილებზე და ბარ მიცვის დროს იცვამენ.

taliti: შალის ამ მოსასხამს დილის ლოცვებისას, თორის კითხვისას და ებრაულ დღესასწაულებზე ატარებენ დაქორწინებული მამაკაცები. ტალიტის მახასიათებელი შტრიხია მოქსოვილი და დაწნული ფონები. რომლებიც მის ოთხივე კუთხეზეა მიმაგრებული ხოლო ლურჯი ზოლი ებრაელის მოვალეობების სიმბოლოა.

ciciti: ერთგვარი ფონებია, რომელსაც რელიგიური წეს-ჩვეულებების დამცველი ებრაელების ოთხკუთხოვან მოსასხამებზე შეხვდებით, მათ შორის ტალიტზეც.

tefilini: ტეფილინი ორი ტყავის ყუთისგან და მათი შემაერთებელი ზონრებისგან შედგება. ერთი მათგანი კუნთზე მაგრდება, ზონარი შევიდვით იხვევა მკლავსა და ხელზე, წესისამებრ, მარცხენაზე, თუმცა ცაციები მას მარჯვენა ხელზე იკეთებენ. მეორე ყუთი შუბლზე მაგრდება. ზონრებზე წერია ოთხი ნაწყვეტი თორიდან, ყუთებში კი მოთავსებულია ხელნაწერი პერგამენტები რელიგიური ტექსტებით. მას დილის ლოცვებზე ატარებენ.

kipa: კიპა მამაკაცის ტრადიციული ქუდია, თუმცა მას თანამედროვე, კონსერვატიული იუდაიზმის მიმდევარი ქალებიც ატარებენ. კიპა რელიგიური რიტუალების ტანამედროვე კომპონენტია. ის შეიძლება იყოს ნაქსოვი ან ხავერდის

podiki: ბეწვის მაღალი ქუდია, რომელიც შტრეიმელს ჰგავს, თუმცა მისგან ზომით განსხვავდება. მას პოლონური ფესვების მქონე ხასიდი ებრაელი მამაკაცები იხურავენ.

homburgi: მას შემდეგ, რაც XX საუკუნის ბეწვი მოდიდან გადავიდა, თახვის ტყავის ქუდმა სახეცვლილება განიცადა და ჰომბურგად გადაკეთდა, რაც იმის ნიშანია, რომ მას ბეწვის საბურველი აღარ ჰქონდა. ჰომბურგის ქვეშ ტრადიციული ებრაელები კულულებს ატარებენ.

Tavsaburavi: ებრაული წესის – ჰალახის მიხედვით, დაქორწინებულმა ქალმა თმა უნდა დაიფაროს, რათა გარშემომყოფმა მამაკაცებმა იცოდნენ, რომ მას ქმარი ჰყავს. ტრადიციის მიმდევარი დაქორწინებული ქალები ატარებენ ქუდებს, ბერეტებსა და პარიკებს განსხვავებული ორნამენტებითა და ფერებით

tiCeli: ამ თავსაბურავს ებრაელი ქალები ატარებენ, როცა “ცნიუტის“, მოკრძალებულობის კოდექსის წესებს იცავენ. ტიჩელის უამრავი ნაირსახეობა არსებობს, ძალიან სადა ფაქტურით დაწყებული, გამორჩეული დიზაინით და ქსოვილებით დამთავრებული.

Saiteli: შაიტელი ერთგვარი პარიკია, რომელსაც ებრაელი ქალები ქორწინების შემდეგ ატარებენ. ის ტრადიციის გამოძახილია, რომლის მიხედვითაც, ქალმა მოკრძალებულობა უნდა შეინარჩუნოს და თმა დაიფაროს.

fexsacmeli: ტრადიციული ებრაელების უმეტესობა არ ატარებს ღია ფეხსაცმელს, სანდალში კი წინდას იცვამს.

lubviCeri: ლუბვიჩერი თახვის ტყავის ქუდისა და ფედორას შთამომავალია, ის ყველაზე თანამედროვეა ტრადიციულ ებრაულ ქუდებს შორის

Streimeli: ქუდი ბეწვითაა შემოქობილი. კაცები მას ძირითადად, ქორწინების შემდეგ ატარებენ, თუმცა ზოგიერთ თემში შტრეიმელი ბარ მიცვის ასაკს გადაცილებული ბიჭების თავსაბურავიცაა. ჰალახის მიხედვით, კაცებს აკრძალული აქვთ თმის პარსვა ან შეჭრა საფეთქლებთან. სწორედ ამ წესის გამო ატარებენ ორთოდოქსები.

kululebi: იმავე ტრადიციის თანახმად, ასევე დაუშვებელია წვერის გაპარსვა სამართებლით, თმისა და წვერის მოწესრიგებისას მხოლოდ მაკრატელსა და ელექტრო საპარსს იყენებენ.

ქალები იცვამენ ზედა სამოსს, რომლის მკლავებიც იდაყვის ქვემოთ მთავრდება. ეს სამოსი ტანზე მომდგარი არ უნდა იყოს და მას ქამარიც ხალვათად უნდა ერტყას. სისადავის კანონი ფერებზეც ვრცელდება. კაბები და ქვედატანები, რომლებსაც ტრადიციის დამცველი იცვამენ, მუხლს ქვემოთ სიგრძისაა. ზოგიერთი ქალი საზოგადოებაში შარვალს არ ატარებს რელიგიური დღესასწაულების სამოსი: შაბათობით ტრადიციის მიმდევარი ქალები თეთრ წინსაფარს ატარებენ (რეპროდუქციული ორგანოების სიწმინდის დასაცავად), სინაგოგაში კი კონსერვატიულად აცვიათ.

საქართველოს ებრაელობამ სათუთად შემოინახა და დღემდე მოიტანა ებრაული რელიგიური ტრადიციისთვის დამახასიათებელი რეალები. ამან განაპირობა ის, რომ საქართველოში ებრაელებმა არ დაკარგეს თავიანთი ეროვნულობა და თვითყოფადობა. ამასთან, ისინი საქართველოში უცხოელებად არ იყვნენ მიჩნეული, პირიქით, ქართველი ებრაელები თანაზიარნი იყვნენ ქართველი ხალხის გაჭირვებისა თუ ღზინისა.

damowmebuli literatura da wyaroebi

z. davaraSvili, T. cagareiSvili, 2008 – ზ. დავარაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბ., 2008.

masalebi, 1998-2005 – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერტეტის qarTvelologiis samecniero-kvleviTis centris masalebi, quTaisi, 1998-2005.

masalebi, 2001 – საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 2001.

sagarTvelos Zeglebi: ebraelebi, 2008

(<http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/ebraelebi.html>). 25.02.2019.

RAMAZ KHATCHAPURIDZE**TRADITIONS OF JEWS LIVING IN KUTAISI
(CULINARY, MARRIAGE, CLOTHING HABITS)**

The basis of spirituality, nationality was a family, which used to live separately but shared the joy and trouble of each-other. These kinds of families retained the best national traditions, developed the national culture. If we have something good today, remained from the past, it the exploits of families.

These families, of course, were intelligent families but of course there were some, who made living with trading.

Jew neighbors were the assets of Kutaisi residents. In terms of the formation of this nature, the significant role had monotheist religion - Judaism.

Jes used to live in different countries and were involved in common economic, societal-political, and cultural lives of each population. In 1948 with the decision of the UN General Assembly Jewish state Israel was born with the official language Ivrit, which means the Jewish language.

According to the results of the population record held in 2002, 4 000 Jews live in Georgia. Their majority lives in Tbilisi, Kutaisi, Batumi, Rustavi, Akhaltsikhe, as for villages they were almost

neglected by Jews. Synagogues are acting in Tbilisi, Kutaisi, Batumi, Gori, Oni, Akhaltsikhe and Surami.

The cultural traditions of “ethnic neighbors” are very interesting, Jewish cuisine rules, their wedding traditions, etc.

მზია ხოსიტაშვილი

**ქუთაისის ბიბლიოთეკის
საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე**

ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ პოლიტიკოსებს, მათ მსოფლმხედველობას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას და პატრიოტულ სულისკვეთებას. ისინი ქმნიან საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკურ ფონს, მათი საშუალებით ხდება ეროვნული იდეების რეალიზება. ამიტომ მნიშვნელოვანია იმ ფასეულობათა გაცნობიერება, რომლებიც აყალიბებს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს.

100 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარეს დემოკრატიული რესპუბლიკა; შეიქმნა ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული სისტემა. საქართველოს პარლამენტის მოწვევამდე უნდა შექმნილიყო წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელიც შეიმუშვებდა მმართველობით ფორმას და კონსტიტუციას. 1919 წლის 14-17 თებერვალს ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები საყოველთაო ფარული, თანაბარი პირდაპირი კენჭისყრით.

საყურადღებოა, რომ დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყებამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის თავზე, 1918 წლის დეკემბერში სახელმწიფოში უკვე იყო განხორციელებული აგრარული რეფორმა, შექმნილი იყო ქართული ჯარი, საბაჟოები, შემოღებულ იქნა გადასახადების ახალი სისტემა, გაფართოვდა ფოსტა-ტელეგრაფის ქსელი, სოფლებში გაიყვანეს სატელეფონო ხაზი, გაიხსნა სასწავლებლები ქართულ ენაზე, დაარსდა პირველი ქართული უნივერსიტეტი, სასამართლო ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და ა.შ. ერთი სიტყვით, მივიღეთ ყველა ზომა, ჩვენს ახალგაზრდა სახელმწიფოს მისცემოდა სახე ნამდვილი სახელმწიფოსი“ (გაზეთი “სახალხო საქმე“, 1918 წლის 1 დეკემბერი, №339), – ასე შეაფასა ნოე ყორდანიამ საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას დამოუკიდებლობის 6 თვე.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე 15 პარტიიდან არჩეულ იქნა 6 პარტია 130 დეპუტატით. დამფუძნებელი კრების შემადგენლობის საერთო სურათი ასე გამოიყურებოდა: 12 საზოგადო მოღვაწე, 2 პროფესორი, 20 პედაგოგი, 20 ვეჟილი, 6 ექიმი, 21 ყურნალისტი, 3 ეკონომისტი, 2 იურისტი, 2 ფილოლოგი, 2 ინჟინერი და 2 მუნიციპალური მოღვაწე, 26 სხვადასხვა

პროფესიის მუშა. უმაღლესი განათლება ჰქონია 63 პარლამენტარს, დაუსრულებელი – 11-ს, დანარჩენებს საშუალო, დაბალი და შინაური განათლება მიუღიათ. საქართველოს ეროვნულ არქივში არსებული მასალების თანახმად, დამფუძნებელ კრებაში ყველაზე მეტი დეპუტატი დასავლეთ საქართველოდან (96) იყო წარმოდგენილი, მათ შორის იმერეთიდან – 36 წევრი.

თავისი მოღვაწეობის მოკლე პერიოდში, 1919 წლის მარტიდან 1921 წლის თებერვლამდე, კრებამ 97 სხდომა ჩაატარა, განხილულ იქნა 425 საკანონმდებლო აქტი. ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის ფონზე მიღებული იყო ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საშინაო და საგარეო პოლიტიკის, განათლების, კულტურის, ეკონომიკის სფეროებში, კრებამ დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, ეროვნული გვარდია და რეგულარული არმია, პროფესიული კავშირები, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი, დაბოლოს, 1921 წელს კრებამ მიიღო პირველი ქართული კონსტიტუცია.

მართალია, საქართველო მე-15 საუკუნის შემდეგ პირველად გახდა ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, დამფუძნებელი კრების წევრების საქმიანობა ცხადყოფს, რომ ისინი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ და მზად აღმოჩნდნენ საქართველოს წინაშე არსებული რთული გადაწყვეტილებების მიღებისა და სახელმწიფოს შენებისთვის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის წინაპირობაც – ისტორიული მოვლენები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, მაგრამ განუზომლად დიდია ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების როლი, რომელთა გაღვივებასა და რეალიზებას იმ პერიოდში სკოლებში მოღვაწე პედაგოგები უწყობდნენ ხელს.

ცნობილია, რომ ადამიანს პიროვნებად სამი სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტი აყალიბებს: ოჯახი, სახელმწიფო და სკოლა. ოჯახი პირად ფასეულობებს აყალიბებს, სახელმწიფო – საზოგადო, სკოლა კი პირად და საზოგადო ინტერესებს აერთიანებს. ხშირად სკოლა უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების მოქალაქედ ჩამოყალიბებაში, ვიდრე ოჯახი. მე-19 საუკუნის ქართული კულტურული ელიტისთვის ეს კარგად იყო ცნობილი, მათ კარგად მოეხსენებოდათ, რომ საქართველოში არსებული ცარისტული რეჟიმი სკოლების დანიშნულებად მხოლოდ ვაჟების ერთგულ მოხელეებად აღზრდას და ქალებისთვის ფრანგული ენისა და სალონების ეტიკეტის შესწავლას თვლიდა. მოსწავლეებს სკოლაში წასაკითხად მხოლოდ სახელმძღვანელოები ეძლეოდათ, დანერგული იყო დაზეპირების მეთოდი, შესაბამისად, საჭირო განათლების მიღება რთული იყო. პროგრესულად მოაზროვნე მოწინავე ქართველთა ვიწრო წრეში ჩაისახა წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების იდეა და 1879 წელს თბილისში განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებისთვის დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. საზოგადოებამ საფუძველი ჩაუყარა ქართული ეროვნული პედაგოგიური

აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას, საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული პედაგოგიური აზრის გამოჩენილი მოღვაწეების – იაკობ გოგებაშვილის, სილოვან ხუნდაძის, იოსებ ოცხელის, ივანე გომელაურის და სხვათა ძალისხმევა.

განათლების სისტემის სრულყოფის გარდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დიდად შეუწყო ხელი ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. იმდროინდელი პრესა დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო კუთხით. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო ჟურნალ “ივერიაში” დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები – “მინაური მიმოხილვები“, რომელიც ეძღვნებოდა მიძინებული ეროვნული თვითშეგნების გამოღვივებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა-აღდგენას, ქართული ენის დაცვას, მართლმადიდებლური ეკლესიის გაძლიერებას და ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებს, სამღვდლოების განათლებაზე ზრუნვას, მათ ჩართვას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ქართული სკოლების დაარსებასა და მათი განვითარების შესწავლას, ქართული პრესისა და თეატრის მდგომარეობას, ქართულ საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, ადამიანის უფლებების დაცვას, სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით თბილისსა და ქუთაისში გაიხსნა ქართული გიმნაზიები, სადაც ისწავლებოდა ქართული ენა, რუსული ენა და სიტყვიერება, გერმანული ენა, ფრანგული ენა, ლათინური ენა, ღვთისმეტყველება, ფილოსოფიის პროპედევტიკა, მათემატიკა, ფიზიკა, მათემატიკური გეოგრაფია, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, სამართალმცოდნეობა. იმ დროისათვის ქუთაისის გიმნაზიებში ასწავლიდნენ ცნობილი პედაგოგები: სილოვან ხუნდაძე, გერასიმე ცაგარეიშვილი, იოსებ ოცხელი, სიმონ ოცხელი, პეტრე სურგულაძე, არსენ წითლიძე, სამსონ ყიფიანი, იასონ ნიკოლაიშვილი, სიმონ ქვარიანი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამფუძნებელი კრების დეპუტატებიდან 36 იმერეთიდან იყო და მათგან 28-ს განათლება მიღებული ჰქონდა ქუთაისის გიმნაზიებში. ისინი სხვადასხვა პარტიებსა თუ საზოგადოებებში მოღვაწეობით აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მათ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში თავისი წვლილი შეიტანეს გადაწყვეტილებების მიღებისას, აქტიურად მონაწილეობდნენ კრების სხვადასხვა კომიტეტებსა და კონსტიტუციის შემუშავების პროცესებში. ესენი იყვნენ: სპირიდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი, ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ლასნიშვილი, სიმონ (სვიმონ) მდივანი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, სამსონ ფირცხალავა, ევგენი გეგეჭკორი, დიომიდე თოფურიძე, პავლე საყვარელიძე, რაჟდენ არსენიძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, ირაკლი გიორგის ძე წერეთელი, სერგი ჯაფარიძე, კონსტანტინე ჯაფარიძე, გიორგი ფალავა, გრიგოლ გველესიანი, ილია კაკაბაძე, ივანე ზურაბიშვილი, სიმონ ავალიანი, რუბენ

აუმტროვი, ქრისტიანე შარაშიძე, იოსებ აბაკელია, ვალერიან ჯუღელი, მიხეილ წერეთელი, ვასილ წერეთელი. თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დამფუძნებელი კრების მუშაობასა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

spiridon kedia – აღიზარდა ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეობაზე, მან ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებისა და პარტიის ჩამოყალიბების მიზნით მთელი საქართველო შემოიარა, გამოძებნა თანამოაზრე ადამიანები და 1917 წლის მარტში ჩამოაყალიბა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო კომიტეტი. 1917 წელს თბილისში მოწვეულ ედუ-ს პირველ ყრილობაზე იგი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს. პარტიამ უმთავრეს მიზნად საქართველოს თავისუფლება, მისი ეკონომიკური აღორძინება და სახელმწიფოებრიობის აღდგენა დაისახა. ს. კედია 1919 წელს აირჩიეს დამფუძნებელი კრების დეპუტატად; იყო საკონსტიტუციო, თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის მუდმივი კომისიების წევრი; ოპოზიციაში ედგა მმართველ (სოციალ-დემოკრატიულ) პარტიას; აკრიტიკებდა მის საგარეო და საშინაო, განსაკუთრებით კი, პერიფერიებთან ურთიერთობის პოლიტიკას; მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა კონსტიტუციის თავი “სახელმწიფო თავდაცვა”. იყო ქმწკგ საზოგადოების წევრი. სხვებთან ერთად გამოსცემდა გაზეთ “საქართველოს”.

niko nikolaZe – “თერგდალეულთა“ ბრწყინვალე წარმომადგენელი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, იურისტი, სამართლის დოქტორი. მისი სახელი დაკავშირებულია 1918 წელს საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი ნიკო ნიკოლაძემ შეადგინა. მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე ძველ და ახალ თაობათა (მამათა და შვილთა) შორის გამართულ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იყო ამ პარტიის საპატიო თავმჯდომარე. 1919 წლის თებერვალში, ედუ-ს სიით, აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად, იყო კრების გზათა კომისიის წევრი. სამშობლოს თავისუფლებისათვის გაწეული ღვაწლისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ნ. ნიკოლაძე თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა. იყო ქმწკგ საზოგადოების ფოთისა და თბილისის განყოფილებათა წევრი.

eqvTime svimonis Ze TayaiSvili (წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში. იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი, საბჭოს წევრი, უძღვებოდა საბჭოს საბიბლიოთეკო კომისიას, 1919 წელს გახდა დამფუძნებელი კრების წევრი, არჩეული იყო კრების თავმჯდომარის მოადგილედ, ასევე მუშაობდა დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების, ხელოვნების კომისიებში. იყო ქმწკგ საზოგადოების,

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე. მისი თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს ეროვნული არქივი.

giorgi mixeilis Ze lasxisvili - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, საფუძველი ჩაუყარა “ახალგაზრდა ივერიელების“ ეროვნულ-რადიკალურ მიმდინარეობას. 1900-დან იყო პარტიული გაზეთის “ცნობის ფურცლის“ და სხვა ორგანოების ფაქტობრივი რედაქტორი. 1905 წელს პარიზში ყოფნისას იყო გაზეთ “საქართველოს“ ერთ-ერთი რედაქტორი. პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად, იყო პრეზიდიუმის წევრი, შედიოდა დამოუკიდებელი საქართველოს ე.წ. დროებითი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში, ეკავა განათლების მინისტრის პოსტი. მისი რეფორმებით მოხდა ქართული სკოლის ნაციონალიზაცია - გაეროვნება“, მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების შექმნა ქართულ ენაზე სწავლებისათვის და სხვ. 1919 წელს აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად; შედიოდა საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში. იყო ქმწკგ საზოგადოების წევრი.

nikoloz CxeiZe - სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ქმწკგ საზოგადოების წევრი. 1892 წ. თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია “მესამე დასი“. 1918 წლის აპრილში იგი გახდა ახლადარჩეული საკანონმდებლო ორგანოს, ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან კი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ დარჩა, თავმჯდომარეობდა და ხელმძღვანელობდა 1918 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, ასევე ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებზე წარგზავნილ ქართულ დელეგაციებს; 1919 წლის 12 მარტს აირჩიეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებაში. აქტიურად იყო ჩართული ჟენევაში “საქართველოს დახმარების საერთაშორისო კომიტეტის“ დაარსებაში. ეხმარებოდა იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ.

evgeni petres Ze gegewkori - იურისტი, პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი კ. ჩხეიძესთან ერთად. 1907-1912 წწ-ში იყო III მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან. თანამშრომლობდა ანტანტის ბლოკის დიპლომატებთან. იყო მოთავე კავკასიური (სომხეთ-საქართველო-აზერბაიჯან-მთიულეთის) კონფერენციებისა, არაერთხელ ითამაშა შუამავლის როლი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. მიაჩნდა რა, რომ ერთიანი კავკასია იყო დამოუკიდებლობის დაცვის მთავარი პირობა. იყო პირველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა (1918-1919) და იუსტიციის მინისტრი (1921), ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, ამიერკავკასიის მთავრობის (სეიმის) პირველი თავმჯდომარე, ქმწკგ საზოგადოების წევრი.

diomide Tofurize – ამიერკავკასიისა და საქართველოს რესპუბლიკის მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარე. ჟურნალ “ეკონომისტი” დამაარსებელი; 1919 წელს აირჩიეს თბილისის ქალაქის საბჭოს ხმონად, 1919 წლის 12 მარტიდან საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისიის წევრი. 1919 წელს აირჩიეს ქუთისის ქალაქის თავად. 1919 წელს მუშაობდა ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად. ბათუმში მყოფ ინგლისის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების დროს, არაერთხელ დასვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე აღიარების საკითხი. იყო ქმწკგ საზოგადოების წევრი.

svimon mdivani – ცნობილი პოლიტიკოსი და დიპლომატი, სოციალისტ-ფედერალისტი, პირველი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში. დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 1921 წლის დასაწყისში მთავრობამ იგი წარგზავნა ელჩად თურქეთში. მას ქემალის მთავრობისთვის უნდა მიეტანა საქართველოსგან ცნობის ფირმანი. სვიმონ მდივანი მთელი ცხოვრება ამაყობდა, რომ იგი პირველი იყო ელჩებს შორის, ვინც ახალ ოსმალეთს თავისუფლება მიულოცა და საქართველოს მიერ მისი ცნობა ახარა.

grigol veSapeli – ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ახლად დაარსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ამავე პარტიის ორგანოს “საქართველოს” რედაქტორი. 1917 წელს გრიგოლ ვეშაპელი არჩეულ იქნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათათბირო ორგანოს წევრად. ასევე იყო მისი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით შექმნილი ეროვნული საბჭოს წევრი.

Salva nucubize (სოციალ-ფედერალისტი) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი მუდმივად განიცდიდა დევნას საბჭოთა რეჟიმის მხრიდან: დაპატიმრებული იყო 1921 და 1938-1940 წლებში, 1953-1960 წლებში გაძევებული იყო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ჩამორთმეული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა.

mixako wereTeli – მეცნიერი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი. 1918-1919 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი სკანდინავიის ქვეყნებში – შვედეთსა და ნორვეგიაში. იყო თსუ პროფესორი ასირიოლოგიასა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში

konstantine iasonis Ze jafariZe – სოციალ-დემოკრატი, 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, შედიოდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის შემადგენლობაში, იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი;

ქმწკგ საზოგადოების თბილისისა და სოხუმის განყოფილებათა წევრი.

ivane ivanes Ze zurabiSvili – იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. იყო თბილისის ნაფიც ვეჟილთა საზოგადოების თავმჯდომარე, ტყიბულის მალაროთა გამგეობის თავმჯდომარე. მონაწილეობდა ქმწკგ საზოგადოების, ქართული სათავადაზნაურო სკოლის დამხმარე კომიტეტისა და ქართული დრამატული საზოგადოების მუშაობაში. 1921 წელს იგი საკათოლიკოსო საბჭოს მრჩეველია. ქმწკგ საზოგადოების თბილისის განყოფილების მუდმივი წევრი.

svimon lukas Ze avaliani – ისტორიკოსი, ეკონომისტი (1909-1916), თანამშრომლობდა პრესაში. რედაქტორობდა გაზეთს "P aĩiĩ eĩiĩ ãããðèã". მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილედ (1919-1920). თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი ფულის ნიშნის (ბონის) დამკვიდრებასა და სტაბილური კურსის შენარჩუნებაში. იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი (1921-1922).

samson giorgis Ze fircxalava – იურისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, 1902-1910 წლებში იყო ქმწკგ საზოგადოების გამგეობის მდივანი და საქმეთა მმართველი. რედაქტორობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანოებს: "გლეხი" (1906), "მიწა" (1906-1908). მონაწილეობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბების პროცესში, ერთხანს იყო პარტიის თავმჯდომარის მოადგილე. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზ. "სახალხო საქმის" რედაქტორი (1917-1921წ.). იყო დამფუძნებელი კრების წევრი.

giorgi (gogita) aqvsentis Ze faRava – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი (სოც.-დემ. პარტია). 1919 წლის 12 მარტს დამფუძნებელი კრების საზეიმოდ გახსნის სხდომაზე, გ. ფაღავა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა წევრი, ასრულებდა მდივნის მოვალეობას. იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. მონაწილეობდა რაჭასა და ლეჩხუმში არსებული ადმინისტრაციის კრიზისის შემსწავლელ დელეგაციაში; საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი თავმჯდომარე, ქმწკგ საზოგადოების ნამდვილი. მუდმივი წევრი

ruben auStrovi – იურისტი, ადვოკატთა კორპორაციის წევრი, სოც.-დემ. მუშათა პარტიის წევრი, საქართველოს სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ორგანიზატორი, არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად, იყო სამხედრო კომისიის წევრი.

gristine SaraSiZe – ქართველი პედაგოგი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მან კრების პრეზიდიუმის წევრისა და მდივნის თანამდებობა დაიკავა, იყო განათლების კომისიის წევრი. პარლამენტის წევრობისას აქცენტს უმთავრესად სახალხო ჯანმრთელობის კანონმდებლობასა და განათლების ხელმისაწვდომობის

პრობლემებზე სვამდა.

minadora toroSelize – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მენშევიკი, სოციალური მოღვაწე. შრომის კომისიაში დაასახელა სოც. დემ. ფრაქციამ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და პედაგოგების დამსახურებაა ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, საქართველოს გაერთიანების იდეის გაცნობიერება, ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

damowmebuli literatura da wyaroebi

n. vaCeisvili, 2014 – ნ. ვაჩეიშვილი, თანამედროვე აზროვნება და მისი როლი მოზარდის განვითარებაში, თბ., 2014. <http://mastsavlebeli.ge/>. 12.02.2019.

m. saxuria, 2018 – მ. სახურია, ილიას “ორიოდე სიტყვა“, როგორც ახალი ეპოქის დასაწყისი, თბ., 2018. <http://mastsavlebeli.ge/?p=18391>. 12.02.2019.

damfuZnebeli krebis Semadgenlobis saerTo suraTi 1919-1920. <http://www.archives.gov.ge/ge/page/damfudznebeli-krebis-wevrta-saert-surati>. 12.02.2019.

sagarTvelos demokratiuli respublika (1918-1921), 2018 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედიკური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი - პროფ. დიმიტრი შველიძე, გამოცემის მთავარი რედაქტორი ზურაბ გაიპარაშვილი, თბ., 2018.

გაზ. **"saxalxo saqme", "1918** – გაზ. “სახალხო საქმე“, ნოე ჟორდანიას მიმართვა დამოუკიდებლობის ექვსი თვის აღსანიშნავ სადღესასწაულო სხდომაზე, 1 დეკემბერი, №339, 1918.

MZIA KHOSITASHVILI**FROM KUTAISI GIMNASIUM TO THE
GEORGIAN CONSTITUENT ASSEMBLY**

In establishing any country as a state, the major role is on politicians, their patriotic approaches and point of view. They create the political-social background of the country. They realize the national ideas. SO, realizing the values which form the public people is important.

It's considered that the 3 societal institutes play a major role in the formation process of a person, these are family, state and school. Family forms personal values, state - general, school - combines personal and societal interests. Sometimes a school has a more important role in terms of person formation than a family. For the 19th century Georgian elite it was a common truth.

Managing to retain the national identity for the country, remaining national ideas, issuing the act of independence on May 26, 1918, by the national board are the exploits of the 19th century noble people. Before forming the parliament of Georgia, they elected with direct vote local authority which had to produce governing form and constitution. In the establishing board, there were already people ready for this.

According to the statistics given in the article, which is based on the documents kept in the National archives of Georgia, from the members of the establishing board from 130 deputies 63 people had higher education, 11 people had unfinished education, most of them were lawyers, teachers, and journalists. We should remark that the board contained 12 public people. According to the same statistics, most of the deputies were elected from west Georgia, including 36 people from Imereti, 28 of them were graduates of Kutaisi Gimnasium.

The article is dedicated to the distinguished graduates of the Kutaisi Gimnasium, who actively participated in the fight for the independence of Georgia, contributed to the work of different committees and commissions of the establishing board, formed the constitution of independent Georgia.

They were: Spiridon Kedia, Aleksandre Asatiani, Niko Nikoladze, Grigol Veshapeli, Giorgi Laskhishvili, Simon (Svimon) Mdivani, Ekvtime Takaishvili, Shalva Nutsubidze, SamsonPirtskhalava, Evgeni Gegetchkori, Diomidze Topuridze, Pavle Sakvarelidze, Rajden Arsenidze, Nikoloz Tchkhaidze, Irakli Tsereteli, Sergi Japaridze, Konstantine Japaridze, Giorgi Fagava, Grigol Gvelesiani, Ilia Kakabadze, Ivane Zuarabashvili, Simon Avaliani, Ruben Austrovi, Christine Sharashidze, Ioseb Abakelia, Valerian Jugeli, Mikheil Tereteli, Vasil Tsereteli.

თეონა ჯალაღონია

**ევფემისტური ფრაგეოლოგიებისათვის
ქუთაისურ მეტყველებაში**
(ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
მასალების მიხედვით)

ევფემიზმი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “კეთილად მეტყველებას”. ევფემიზმი სიტყვა ან გამოთქმაა, რომლითაც შეცვლილია სხვა თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა ან გამოთქმა. ევფემიზაცია ანუ კეთილსიტყვაობა საზოგადოდ დამახასიათებელია კულტურული, მწიგნობრული საზოგადოებისათვის. ევფემიზმებით ცვლიან სინონიმურ ლექსემებს, რომლებიც, მოლაპარაკის აზრით, უტაქტო, უხეში ან უწესოა. ევფემისტურ გამოთქმებში ჭარბობს არა ობიექტური კანონზომიერება, არამედ საზოგადოების გარკვეულ წრეთა ინდივიდუალური გემოვნება. ევფემიზმის შერჩევისას ამოსავალია სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა. თუ მომენტთან დაკავშირებით სიტყვა ან გამოთქმა მიჩნეულია უსიამოვნო, უხეში მეტყველების ნიმუშად, მაშინ დგება საჭიროება, რათა იგი შეიცვალოს უფრო ზრდილობიანით. ევფემიზმი მსმენელთან მიმართებისას ენის ფაქტის შინაარსის ერთგვარი შემსუბუქებაა, რათა სიტყვის პირდაპირმა მნიშვნელობამ უხერხულობა არ გამოიწვიოს.

ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ მასალაში, რომელიც ჩაწერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ქართველოლოგიის ცენტრის) თანამშრომელთა მიერ ქალაქ ქუთაისში, ხშირია ევფემისტური ფორმები წყევლა-გინების და სალანძღავ სიტყვებში. მათი ნაწილი ინდივიდის შემოქმედების ნაყოფია, ნაწილი ანეკდოტებიდან იღებს სათავეს, ნაწილი კი — ბიბლიიდან:

1. TviTsemoqmedebiTi evfemisturi gamoTqmebi

a) wyevlis formebsi:

magas Semoevlo yvavilebi zalaSi – გამოიყენება, როგორც წყევლის ფორმა და ნიშნავს სიკვდილის სურვებას, შეჭამა მთელი ქვეყანა, შვილო, ნეტა როდის daamSvenebS zalas – სიკვდილის სურვება.

b) evfemisturi gamoTqmebi lanZRva-ginebis formebsi საკმაოდ ხშირად გამოიყენება ქუთაისურ მეტყველებაში. მაგალითად:

ეტყობა შენ sxvenSi araferi gaqvs – ანუ: თავში არაფერი გაქვს, ნიშნავს: “გაუნათლებელი, უსწავლელი ხარ”.

daamtvrev Sen erT kalaTa kvercxebS (ირონიით) – არაფრის მაქნისი ხარ, ტყუილად ნუ ბაქიბუქობ.

თინას რძალი leRvis foTlebCacmuli dadis – თითქმის შიშველი დადის, კაი ბიჭია მაგის ქმარი, მარა ცოტა gastrolebze uyvars

siaruli“ – ანუ მექალთანეა.

შენ გენაცვალე, რატომ დადიხარ gamogdebuli melicioneriviT? – აჩაჩულ-დაჩაჩული, მოუწესრიგებელი ადამიანივით.

დაწყნარდი, თორე gamogifcqvni warbebs – დამუქრება. წარბების გამოფცქვნა ნიშნავს: ადგილი მიუჩინა, ჭკუა ასწავლა.

იმავე სემანტიკისაა ulvaSebis gaparsvac – ზედმეტი არ მოგივიდეს, თორე გაგპარსავენ უღვაშებს,

მე ვუთხარი, გაჩერდი, თორე gagisworeb galstuks-თქვა – დამუქრება: გცემ.

გინების მნიშვნელობით გვხვდება ფორმები: magis kargebi vamravle; eg keTileb moxnuli“, idi na xudoJestveni fakultet – ეს უკანასკნელი რუსული გინების აბრევიატურას წარმოადგენს.

2. anekdotidan momdinare formebi lanZRvis mniSvnelobiT.

ეტყობა, ბიჯო, შენ Romi midRemCi ar giWamia – მიუხვედრელი, შეუგნებელი. ანეკდოტი ეხება მეგრელსა და რაჭველს, რომლებიც მატარებლის კუპეში სხედან, შორი გზა აქვთ გასავლელი და მშივრები საჭმელს ამოიღებენ ჩანთიდან: მეგრელი – ღომს, რაჭველი – ქათამს. რაჭველი ეკითხება: რა გაჭმევთ მაგ ღომს? მეგრელი თავს იწონებს: ესაა საოცრება, გონებას ხსნის და მიტომაც ვართ ასეთი ჭკვიანებიო. რაჭველი ცოტას დაფიქრდება და თხოვს, გამასინჯეო, გაუცვლიან ერთმანეთს საჭმელს და დაიწყებენ ჭამას, ნახევარი ქათამი აქვს მეგრელს შეჭმული, რომ რაჭველი ეუბნება: დამიბრუნე ჩემი ქათამიო. მეგრელი პასუხობს: ხოხ, გაგეხსნა გონება?

3. quTaiselTa metyvelebaSi gvxdება lanZRva-ginebisa da wyevlis mniSvnelobis evfemisturi formebi, romelTa pirvelwyaro biblia da saxarebaa.

მაგალითად:

მაგენმა ganisvena wiaRsa Sina abraamisaTa – წყევლა სიკვდილის სურვებით, ირონიული დატვირთვით, რადგან აბრაამის წიაღში მხოლოდ მართალი და სპეტაკი ადამიანები განისვენებენ ბიბლიის მიხედვით.

მანდ არ მომიყვანოთ, თორემ agigeb wess – დამუქრება,

ჩემი ქმარი, რამდენი სახლიდან გავალ, იმდენი kurTxevas matnevs – ანუ: მაგინებს.

ჩემი მეუღლე, ეკლესიაშიც რომ მოვდივარ, მაშინაც კაი locva-kurTxevas matnevs, ისეთი უხეირო კაცია. dedis cxoneba // kurTxeva – ლანძღვა-გინება. დღეს გვხვდება ძირითადად ირონიული გაგებით: ისეთი ამბავი ატებსა, სულ deda ucxona მეზობლებს, პარლამენტში ერთმანეთს სულ mkvdari da cocxali ukurTxes (მასალები, 1994-2006).

მოცემული შესიტყვების სემანტიკურად პარალელური ფორმებია: mkvdrebis miwidan amoyvana, mkvdrebis miwaSi ar dayeneba (ar gaCereba): გიამ ისეთი დღე დამითია, mkvdrebi amomiyvana miwidan.

ჩემი მეზობლის ბიჭს გლახა სიმთვრალე აქ და გუშინ ვინცხაზე ისე იყო გაბრაზებული, mkvdrebi ar douyena miwaSi. უმეტესად გვხვდება დაქადნება-დამუქრების მნიშვნელობით.

თუკი ერიდებიან, პირდაპირ აღნიშნონ ვინმეს უმადღურება, ამბობენ: nu dayri margalitTa TqvenTa, შემოკლებული ფორმაა ფრაზისა nuca daufenT margalitsa Tqvensa winaSe RorTa – იესო ქრისტეს ერთ-ერთი ქადაგებიდან; (მათე 7,6), ძირითადად გვხვდება მრევლის მეტყველებაში.

გაუნათლებელი, ლაზღანდარა ადამიანის აღსანიშნავად იტყვიან: ძან ზრდილობიანია, სულ fsalmunebiT laparakobs; მოვიდა ჩვენი solomon brZeni – იგივე უჭკუო კაცი; ნუცას რძალი რაცხა wmindა wylis damlevia, ვიცი – ანუ უბატოსნო, მეძავი, ხელმრუდი; ეგონა მისი რძალი mama abramis batkani იყო, მარა კი გამოჩნდა მისი ბატკნობა – მოჩვენებითი, ჩუმჩუმელა ადამიანი.

შესაძლებელია, ბიბლიიდან და საეკლესიო ლექსიკიდან მომდინარე ზემოთ მოყვანილი გამოთქმების ევფემისტური ფორმით გამოყენება ათეისტური წლების ნაყოფი იყოს, ანუ, მათ დაკარგეს რელიგიური დატვირთვა და ირონიული ფორმით გვხვდება, როგორც სემანტიკურად დაცლილი ფრაზა. ისე როგორც გამოთქმები: eSmakis fexi, eSmakuna, eSmakunebi uxtis TvalebSi – აქ ეშმაკის, როგორც ბოროტი სულის, არსი შეცვლილია და მოცემულ გამოთქმებში „ანცის, მოუსვენრის“ მნიშვნელობით გამოიყენება.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ იუმორული ირონია ზოგადად დამახასიათებელია ქუთაისური მეტყველებისათვის, რაც მას ერთგვარ მომხიბვლელობას სძენს.

damowmebuli literatura da wyaroebi

1. xaWapuriZe, 2018 – 1. xaWapuriZe, qarTveli marTlmadidebeli mrevlis metyveleba, quTaisi, 2018.

masalebi, 1994-2006 – akaki wereTlis saxelmwifo universitetis qarTveluri dialeqtologiis samecniero-kvleviTl institutis (amJamad qarTvelologiis samecniero-kvleviTl centris) dialeqturi masalebi, 1994-2006.

TEONA JALAGONIA

EUPHEMIST PHRASEOLOGY IN KUTAISI SPEECH (ACCORDING TO THE MATERIALS OF THE SCIENTIFIC RESEARCH CENTER OF KARTVELOLOGY)

We have analyzed the material presented by the Kartvelian Dialectology Institute in the city of Kutaisi, Euphemisms are often found in curse, scourging and swearing forms.

Part of them is the fruit of the creativity of the individual, part of which is derived from the anecdotes and the other from the Bible:

1. Self-creative ephemerical expressions

A) Curse forms: „It’s up to the flowers in the mall“, „To decorate a sitting room“, Used as a curse form and means a desire to die.

B) Euphemistic expressions of swearing forms are often used in Kutaisi’s speech: “You have nothing in the attic“ that you have nothing in your mind, means you are illiterate and unknowable. “You will throw one basket of eggs“ , you are nothing. “Nalm down“, otherwise you will have to bend the eyebrows- Threatening. “The eyebrows were exposed“ - he gave a place, taugt cheeks. The same meaning occurs in words: “Shaving of the mustache“, “straightening the tie”.

In the sense of swearing forms are found: “I’m fine with my mother’s mother“.

2. Forms derived from the jokes in the sense of cursing.
“You have never eaten Romi“-You are unaware, unaware.
3. We are cursed by the words of Kutaisi, and euphemistic forms of the importance of the cube. Their first source is the Bible and the Gospel.

“Give you a rule“ –threatening. “Happy blessings“ –swearing. “Mother’s salvation“ –a blessing, If they are avoided, let’s express their gratitude, they say: “Do not bury your pearls“ -Solomon Wise.

“A stupid man” –“ Father Abram’s lamb“ - False, silent people...

It is possible to be the fruit of atheist years using the euphemistic form of the above-mentioned expressions from the Bible and the ecclesiastical verse. They have lost their religious and ironic form as a semantically empty phrase.

Finally, it is said that humorous irony is generally characteristic for Kutaisi’s speech which makes it a bit charming.

საინტერესო წერილები

INTERESTING LETTERS

ლოლა ხაჭაპურიძე
ლუიზა ხაჭაპურიძე

XX საუკუნის იმერეთის დელოვანი -
ნესტან კვეციანი

ჩვენი სტატია სამეცნიერო კვლევა არაა, ის მეოცე საუკუნის ქუთაისის ისტორიის იმ ფურცელზე მოგითხრობთ, რომელსაც აღამაზებდა მსახიობი და პოეტი ნესტან კვეციანი. მცირე დოზით ვენებით ყველაფერს, რაც ქმნიდა ქალბატონ ნესტანს, როგორც ქუთაისის კოლორიტულ პიროვნებას, ყველასათვის საყვარელ “ფუფალას”, რომლის სახელთანაც მისი რეგალიების სრული ჩამოთვლაც კი ზედმეტია.

ესაა სიყვარულის გამოხატულება ჩვენი ქალაქისა და მისი მკვიდრი ქალბატონისადმი, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობდით, იმ წრეში ვიზრდებოდით, სადაც ის ტრიალებდა და რომელიც ძალზე ახლობელი იყო ჩვენთვის.

“გამარჯობა, ბოვშებო!” ეტყოდა ხოლმე ერთად შეკრებილ თავის მეგობრებს და იქვე, შორიახლო მოთამაშეს, აღარც კი გვიკვირდა, ჩვენზე დიდი ხნით უფროსი ადამიანები “ბოვშებოთი” რომ მიმართავდნენ ერთმანეთს.

მერე წლები გავიდა... მაგრამ ნესტან კვეციანი და მისი მეგობრები ისევ “ბოვშებად” დარჩნენ ჩვენს მეხსიერებაში.

“ფუფალა” შეარქვა პოეტმა ზურაბ კუხიანიძემ: “ფუფალა ხარ ისეთი, რომელსაც მიოლაც კი არ გამოგიგონებიაო” – ეუბნებოდა ხოლმე.

ნესტან კვეციანს ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა: უზარმაზარი ბიბლიოთეკა, საკუთარი წიგნები, დიდი სახლი, თეატრი რომ ჰქვია და ხალხის უდიდესი სიყვარული.

ზამთარში ეს სიყვარული ათბობდა. ფული არ სჭირდებოდა, ალბათ, იმიტომაც არ ჰქონდა. სამწუხაროდ, ამის გამო მისი იუბილე ვიდეოფირზეც არ აღბეჭდილა. ფული თვითონ არ ჰქონდა, მაგრამ მცირედსაც სხვას უნაწილებდა.

მარტოობის ტკივილი, იცოდა, რაც იყო და სხვისთვის ამ ტკივილის შესამსუბუქებლად წყალწითელას მოხუცთა თავშესაფარს სტუმრობდა ხშირად. მოვიტანთ ნაწყვეტს მისი ინტერვიუდან: “რაც მაქვს, ისიც ზედმეტად მიმაჩნია. მადლობელი ვარ უფლის, რომ დიდებული სამეგობრო მყავდა და მყავს. ბევრი წავიდა ჩემი მეგობრებიდან იმქვეყნად – გოგოებიც, ბიჭებიც. ახლა ათასმაგად მიხარია იმათი დანახვა, ვინც 70 წლის ასაკში შემომჩნა. ყველაზე მდიდარი მათი მეშვეობით ვარ. ადამიანთა ურთიერთობაზე უკეთესი არაფერია ამქვეყნად” (გაზ. “იმერეთის მოამბე”, 2009).

2009 წელს საიუბილეო საღამო გადაუხადა ქალაქმა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ თეატრალიზებული წარმოდგენები კინოკადრები, მსახიობები, ნესტანისავე პროზა, პოეზია, მინიატურები...

მეგობრები იხსენებდნენ და ახსენებდნენ.

ეს არ იყო ჩვეულებრივი საღამო იუბილარით, რომელიც მილოცვებს იღებდა. ქალბატონი ნესტანი თავად იყო მოქმედი გმირიც, პოეტიც, მწერალიც, ჟურნალისტიც, კინოსა და თეატრის მსახიობიც, მეგობრებთან ერთად თავადვე აცნობდა საკუთარ თავს მაყურებელს.

რეჟისორმა თორნიკე მარჯანიშვილმა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი სიხარულიძემ არც ხარჯი დაზოგეს, არც თავი დაიშურეს, რომ იმ დღეს ქუთაისს ნამდვილი ნესტან კვიძე ეხილა: საკუთარი ტკივილითა და სიხარულით, ნაცნობი და უცნობი დეტალებით.

იყო ზარები ამერიკიდან, ესპანეთიდან. საბერძნეთიდან, მოსკოვიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, დეპეშებისა, ლექსებისა და მილოცვების ზღვა.

ორმოცზე მეტი როლი აქვს შესრულებული, მთავარიც და ეპიზოდურიც. თვითონვე ამბობდა: “არა აქვს მნიშვნელობა, ეპიზოდური როლი გაქვს თუ მთავარი, სცენაზე ისევე გვაქვს ჩვენი ადგილი, როგორც ცხოვრებაში. ეს იგივე ცხოვრებაა. მახსოვს, სპექტაკლში “ახირებული“ ერთ გავლამი ვღებულობდი ტაშს“.

“samaniSvilis dedinacvali", "maiakovski iwyebody ase", "piligrimi", "Cemi quTaisi", "amklebis dabruneba"... – სწორედ ამ ფილმებში შექმნა ისეთი დამახასიათებელი სახეები, რომელთა გამოც ბატონი რეზო ჭეიშვილი ბოლომდე საყვედურობდა, კინოს რომ არ გაჰყვა.

ნესტანი მეორე მწერალი ქალი იყო, მწერალ მარიამ გარიყულის შემდეგ, ქართული თეატრის 150-წლიან ისტორიაში, რომელიც თეატრში მოღვაწეობდა, თუმცა მარიამმა გათხოვების შემდეგ თეატრს თავი მიანება, ხოლო ნესტან კვიძე, 52 წიგნის ავტორი, მხოლოდ თეატრით სუნთქავდა.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა პუშკინის 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წამყვანიც თავად იყო, ზემფირას როლის შემსრულებელიც და სცენარის ავტორიც. იმ დროს თეატრის ხელმძღვანელი ცნობილი რეჟისორი კოლია გოძიაშვილი ყოფილა. ბატონი კოლია ნესტანის დედასთან მისულა და უთქვამს, თეატრში მოვიდესო.

18 წლისამ უკვე პირველი როლი შეასრულა სპექტაკლში “ხმა გულისა“ და იპოლიტე ხვიჩიასაც გაუწია პარტნიორობა. შემდეგ ამას კიდევ რამდენიმე სპექტაკლი მოჰყვა, თუმცა მაინც პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა პედაგოგიკა-მეთოდის ფაკულტეტზე.

თეატრის გარეშე მაინც ვერ შეძლო, სამეცნიერო კარიერა მიატოვა და იქ მიაშურა, სადაც გული მიუწევდა. როცა აკაკი ვასაძემ კულტურის სახლში ჰიუგოს პიესაში “ანჟელო“ ნესტანი ტიზბეს როლში ნახა, თეატრში მუშაობა შესთავაზა.

“თეატრი ჩემი სახლია. ღამეს ვიწრო დილეგში, ბინაში ვათევ, მაგრამ დიდ სახლში, რომელსაც თეატრი ჰქვია, ვცხოვრობ. ჩემი კოლეგები ჩემი ოჯახის წევრები არიან. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს თითოეული

მათგანი. შვილი თუ ივალდებულებს მშობლებისთვის მას, რაც გიორგიმ და თორნიკემ ჩემთვის გააკეთეს“ (გაზ. “იმერეთის მოამბე“, 2009). მანამ კი 2001 წელს “წარმოდგენა გრძელდება“ იყო (რეჟისორი ლევან როხვაძე). ამით ნესტან კვიციანი და ბატონმა ლევანმა დასავლეთ საქართველოში მონოსპექტაკლებს ოფიციალურად ჩაუყარეს საფუძველი.

“მეფე ღირსი ანუ რაც მოგივა დავითაო“ (რეჟ. ავთანდილ სახამბერიძე) – ქალი რეკლამით, “კეთილშობილი მორიელი ბა“ (რეჟისორები: პაატა მილორაგვა და დალი ბასილაძე) – თავად ინალიშვილის ქალი, “არჩევანი მე“ (რეჟ. თორნიკე მარჯანიშვილი) – ექთანი, “37 წელი“ (რეჟ. გიორგი სიხარულიძე) – გადია, “დიდრო“ (რეჟ. თორნიკე მარჯანიშვილი) – ბებია. ეს ის როლებია, რომლებიც სამი წლის მანძილზე შეასრულა ნესტან კვიციანი. მის აქტიურობას დროის ამ მცირე მონაკვეთში როლების სიმრავლევც უსვამს ხაზს.

საიუბილეოდ ოცნება ჰქონდა – 52 წიგნში გაბნეული მისი ნაწარმოებები: პოეზია, პროზა, ესეები და მინიატურები ოთხტომეულში მოეყარა. ოცნებაც აუსრულდა – პირველი ტომის “777 მინიატურა“ გამოცემაში ელისო კილაძემ გაუწია დახმარება.

ერთხელ ნესტანმა გიორგი სიხარულიძეს 1945 წელს დადგმული სპექტაკლის “სამშობლო“ პროგრამა მიუტანა.. ბატონმა გიორგიმაც გამოჰკითხა, რა ახსოვდა ამ და სხვა სპექტაკლებიდან. ისიც მოუყვა, რას განიცდიდა, რას ხედავდა სრულიად ბავშვი; როგორ მოდიოდა დედასთან სახლში ნატა ვაჩნაძე, ბევრი დიდი მსახიობიც არ დავიწყნია. მაშინ გიორგიმ სთხოვა, ეს მოგონებები სასწრაფოდ დაეწერა. ასე შედგა მეორე ტომი-ესე “ლამაზი ფურცლები წარსულიდან“.

მესამე ტომი, მოთხრობების კრებული “წარმოდგენა გრძელდება“ ქუთაისის მერიამ დაუფინანსა. საიუბილეოდ მეოთხე ტომიც დაიდო, პოეზია – “დედოფლის აღსარება“ კი, რომ არა პროფ. ზაალ ლილუაშვილი, დედოფლის ოცნება ოცნებად დარჩებოდა.

მუდამ აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა: პოეტი, პროზაიკოსი, მსახიობი, ჟურნალისტი, პედაგოგი, თუმცა მუდამ მეოცნებე და სევდიანი იყო; გული წყდებოდა, თავისი ენერჯია ოჯახს რომ ვერ მოახმარა – “შემძლო გამეჩინა ბევრი შვილი და ვყოფილიყავი დედა“.

ბევრი საყვედურობდა “გეშოვნა ქმარიო“, მაგრამ “ნაშოვნი“ ქმარი არ სჭირდებოდა, რადგან მუდამ სიყვარულზე ოცნებობდა. ვინც სიყვარულს ეფიცებოდა, ყველა მეგობრად მიაჩნდა. ალბათ, ბედიც ეს იყო... ვინ იცის, შეიძლება სხვა შემთხვევაში აღარ ყოფილიყო “ფუფალა“, სიყვარულის დედოფლად რომ აღიარეს იმერეთში, ვეღარ მოეცალა საყვარელი ლექსებისთვის და ქუთაისსაც ასეთად აღარ დამახსოვრებოდა...

დადიოდა საყვარელი ქალაქის ქუჩებში პრანჭია და მეოცნებე, მუდამ გაზაფხულის ფერებით მორთული და შეყვარებული, სამკაულებით დახუნძლული, განუყრელი შლაპითა და მარათი, მარად ახალგაზრდა, ისმოდა მისი: “რავა ხართ, ბოვებო?“ და ხვდებოდი, რომ ხარობდა ქუთაისი, მის ქუჩებში მისი ფუფალა, მისი ნესტან კვიციანი დააბიჯებდა.

**IA KHATCHAPURIDZE
LOLA KHATCHAPURIDZE****XX CENTURY QUEEN OF IMERETI
- NESTAN KVEIDZE**

Nestan Kveidze - a teacher, scientist, actor, poet, writer, journalist, queen of Imereti... played more than 40 roles, both main and episodic. She approached both types of roles equally, holding the honorable place both on the stage and in life. "Stepmother of Samanishvili", "Mayakovski had such kind of start", Pilgrim", "My Kutaisi", "Return of naughty" - these are the films, in which she created memorable roles and that's how she stayed in the history of Georgian film. She used to talk to the audience from the stage, from the screen, sometimes with poems, stories, articles, essays, miniatures, graphics... published several poetic selections. She dreamed about collecting her own works published in 52 books. This dream came true with the help of kind people to whom she was very grateful.

Fancy dressed and dreamer, she used to walk in the streets of her city, forever young colorite lit up with the colors of spring and it was clear that Kutaisi was in joy as Nastan Kveidze was walking in its streets.

კომპიუტერული უზრუნველყოფა - **მკატერინე ბარაბაძე**

გარეკანის დიზაინი - **ბელა ღაჭავაძე**